# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 10 (255) ◆ 6 – 12 მარტი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




ვინ არის ეს «X»?

### შევარდნაძემ არჩევნებამდე არ უნდა მიაღწიოს?!

— როცა ინტერვიუს ვაძლევ, ეს უკვე გაფრთხილებაა... ანუ — ბათიაშვილი აფრთხილებს ხელისუფლებას — რუსეთს რჩება ერთი გზა — შევარდნაძემ არჩევნებამდე არ უნდა მიაღწიოს... ვგულისხმობ ფიზიკურ ანგარიშსწორებას...

— მაღალ ეშელონებში, კერძოდ, შევარდნაძის გუნდში არის პიროვნება, რომელიც ჯერ მის ოპონენტს არ წარმოადგენს, მაგრამ მომავალში რუსეთი მასზე გააკეთებს ფსონს... გვ.7

### სვეტიცხოვლის კარიბჭე გადარჩა...



რომ არ გვეაქტიურა, შესაძლებელია, კარიბჭე დღეს დანგრეული ყოფილიყო. ბოროტი განზრახვით კი არა, ალბათ, სურდათ უფრო სწრაფად გაეკეთებინათ საქმე. გვ.4

### ლიხს იქით საქართველო მიემხრობა კრასნოდარს, ლიხს აქეთ — ვოლგოგრადს!.. გვ.3

...აზერბაიჯანის ტერიტორია ნაწილდება რუსეთს, ირანსა და სომხეთს შორის; საქართველოს ერთმევა აფხაზეთი და ცხინვალი (გადადის რუსეთის შემადგენლობაში)... „სამაგიეროდ", სულ არ ვუქმდებით;

— დიდ პრივილეგიებს გვთავაზობენ ჩეჩნეთსა და დაღესტანში;

...კავკასიაში აშშ-ის მთავარი მოკავშირე აზერბაიჯანია და არა — საქართველო.

მკითხველთა უმრავლესობას ჰოროსკოპების არ სჯერა!

მკითხველის ოპიციონი გვ.27

### ქართველებს და აფხაზებს ერთობლივი ენერგომაფია ჰქონიათ?!.

— ჩემი ინფორმაციით, ელექტროენერგიის დიდი ნაწილი თბილისიდან ისევ აფხაზეთს გადაეცემა. არ არსებობს არანაირი ახსნა, სად მიაქვთ და ვის ჩუქნიან ამდენ ელენერგიას აფხაზები... ძლიერი ეჭვი მაქვს, რომ აფხაზები მას ქართულ მხარესთან ერთად „სარფიანად" ყიდიან... აბა ამ ძვირადღირებულ პროდუქტს ხომ არ გადააგდებენ? გვ.6

### თუ არ დაიცავ სამშობლოს, ვინ ხარ შენ?

რატომ არ მიჰყავთ „იელოველები" ჯარში?!

„იელოველებს" სამშობლოს დაცვა ეკრძალებათ... თუ სამხედრო კომისარიატში მიიტან ცნობას, რომ ხარ „იელოვას მოწმე", თავისუფლდები სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან და რადგან ჩვენს ჯარში არც ალტერნატიული სამსახური არსებობს, დაბრუნდი შინ?... გვ.8-20

სამხედრო თემაზე:

### შეგახსენებთ ადრე ნავარაუდევს...



...პარტიზანული ბრძოლის აქტიური ფაზა პირდაპირპროპორციულ კავშირშია იმასთან, თუ რამდენი ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაური დარჩება ცოცხალი;

...არ არის გამორიცხული, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა თავშესაფარი საქართველოშიც ითხოვოს — ოფიციალური თბილისი არასახარბიელო სიტუაციაში ჩავარდება. გვ.9

ვეტერანი

### როგორ გაიშიფრა ლეგენდარული აბელი

იხსენებს უშიშროების ქართველი გენერალი

...უცებ წყნარი საუბრის ხმა შემომესმა, მივბრუნდი და რას ვხედავ! ჩემგან ათიოდ ნაბიჯზე, ყოველგვარი დაცვის გარეშე, მოსეირნობენ ვოროშილოვი და მოლოტოვი. მათ შორის კი — სტალინი!

— ნატახტარში დავპატიჟეთ ლეგენდარული აბელი... შეზარხოშებულებს მისი ეროვნების „დაცლენა" გვინდოდა... ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარე. გვ.10

### მე დილის ექვს საათზე გავაქრობ „ქართლის დედას"



— კაზინოში თამაში აკრძალული მაქვს...

— შემომთავაზეს, ლას-ვეგასში კრუპიესთვის კარტის ჩაწყობა მესწავლებინა...

— კოპერფილდის ცნობილი ფოკუსი — თავისუფლების ქანდაკების გაქრობა ჩემთვის სულ მარტივი ასახსნელია... თქვენც აგიხსნით... გვ.8

### ადამიანის გამტაცებლები — ხარება და გოგია...

მძაფრსიუჟეტიანი მასალა — მოულოდნელი „სტუმრები", გატაცება, თვალების ახვევა, კარავში ტყვეობა, ბორკილების დადება — გამოსასყიდი თანხის „შეწერა"... მომენტის შერჩევა და გაქცევა... გვ.6

### „მე დღეს მათხოვრის როლს ვთამაშობ..."



(ადრე თურმე ეთერ გუგუშვილი ჯულიეტა მაზინას ეძახდა)

(ადრე თურმე მიშა თუმანიშვილის თეატრში მუშაობდა)

(ადრე თურმე მიწვევები თეატრებსა და კინოსტუდიაშიც ჰქონდა) გვ.20

ახლა თურმე მგზე ესაუბრება.

### ნუგზარ შევარდნაძე „გადააგდეს"

...ვის აქვს ამ ბანკის სოლიდური ვალი, ვის ფიასკოს უნდა ველოდოთ;

...გულიაშვილმა ნუგზარ შევარდნაძეც კი „გადააგდო" – $150 000-ში.

„კვირის პალიტრის" მოკრძალებული მოკვლევა. გვ.5


ფირმა „ზერმუხა"



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


### საკვირაო

ტელე-კინოგიდი

6-12 მარტი



გვ. 14-15

### დღევანდელი „ლელთ ღუნია" დღევანდელ პრეზიდენტზე...

—კაცს რო 30 წელიწადს სკამს ვერ გამოაცლის ვერავინ, გინდ შინ და გინდ გარეთ, ესე იგი ძელქვასავით მაგარი ყოფილა.

— ერთია კიდევ, რიგითი კაცი მეფის ნააზრევსა და ნამოქმედარს როგორ შეიძლება განსჯიდეს. ის რაღა მეფეა და მეთაური, თუ ჩემთვის გასაგებად ამბობს და აკეთებს.

— არა, ნაკლიცა აქვს... იცით, რა არ მომწონს მისი? გვ.12


Неделя
КОММАНДОС
Частная жизнь
Телохранитель
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
stern
СЕГОДНЯ
Клюква
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
Paris Match
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
le nouvel Observateur
Итоги


## თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს

## მარათონმა სტარტი აიღო

ცსკ-მა ოფიციალურად დააფიქსირა 2000 წლის 9 აპრილის საპრეზიდენტო არჩევნების კანდიდატები და წინასაარჩევნო მარათონსაც სტარტი მიეცა. პრეზიდენტობის 11 კანდიდატისგან ყველაზე „ცნობილ“ და რეალურ პრეტენდენტებად, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე და ჯუმბერ პატიაშვილი მოიაზრებიან, დანარჩენთაგან კი, ყველაზე „ძლიერ და ორიგინალურ“ ფიგურას ქართლოს ღარიბაშვილი წარმოადგენს. რაც შეეხება როინ ლიპარტელიანს, გია ჩხიკვაძეს, თენგიზ ასანიძეს, გურამ აბსანძეს, ვაჟა ჟღენტს, ავთანდილ ჯოგლიძეს, გელა გელაშვილს და გაიოზ მამალაძეს, მხოლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, რომ ორი მათგანი — აბსანძე და ასანიძე, „ოთხ კედელშუა“ იმყოფებიან და ამით არიან ცნობილნი ფართო საზოგადოებრიობისათვის, დანარჩენები კი თამამად შეგვიძლია, მივაკუთვნოთ არაფრით გამორჩეულ „რიგით მოკვდავთა“ რიგს... დღევანდელ ურთულეს ვითარებაში კი, ბუნებრივია, საქართველოს ნამდვილად არ აძლევს ხელს პრეზიდენტის სავარძელში „რიგითი მოკვდავი“.

## „შავი ხვრელები“ კანონში

ცსკ-ში პრეზიდენტობის კანდიდატთა მხარდამჭერთა სიების ჩაბარება სკანდალის გარეშე არ დამთავრებულა, კერძოდ, როინ ლიპარტელიანის რწმუნებული უცნობმა პირებმა სცემეს, შემდეგ თბილისის ზღვაზე „გაასეირნეს“ დ იქ დატოვეს... ლიპარტელიანმა სასტიკი პროტესტი გამოთქვა და ინციდენტიც ამოიწურა(!)... დაბოლოს, მიუხედავად კონსენსუსისა, ასლან აბაშიძე კვლავ კატეგორიულად მოითხოვს ამომრჩეველთა მარკირებას, ჯემალ გოგიტიძეს კი ამ საკითხის გადაუჭრელობა კვლავ „შავ ხვრელებს“ აგონებს... ნავში, ანუ კანონში!!

## ბოევიკებს სანადირო თოფებით მოვიგერიებთ?!

მაშინ, როცა საქართველოს უკეთესი მომავლის რწმენით გამსჭვალულ პრეზიდენტობის კანდიდატთა რწმუნებულებს ასიათასობით ხელმოწერები მიჰქონდათ ცსკ-ში, აფხაზი ბოევიკები ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონას უტევდნენ და ცეცხლსასროლი იარაღით ცხრილავდნენ. ქართველები თავდამსხმელებს... სანადირო თოფებით იგერიებდნენ(!), მშვიდობიანი მოსახლეობა მსხვერპლს შემთხვევით გადაურჩა. „საინტერესო“ ის არის, როგორ შეაღწია სოფელში ურალის მარკის ავტომანქანით 30-მდე აფხაზმა ბოევიკმა, როგორ დაიკავეს საბრძოლო პოზიცია და გახსნეს ცეცხლი? ვარაუდობენ, რომ აფსუა ბანდიტები ამჯერადაც ქართველ მძევალთა ასაყვანად შეიჭრნენ სოფელში, საიდანაც თვე-ნახევრის წინ ცოლ-ქმარი ქარდავები წაიყვანეს სოხუმისკენ! თამაზ ნადარეიშვილმა მომხდარი რუს „მშვიდობისმყოფელთა“ დანაშაულებრივ უმოქმედობას დააბრალა. სოხუმში არძინბასთან საგანგებო შეხვედრიდან დაბრუნებულმა რეზო ადამიამ კი (იგი არძინბასთან აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის საკითხების შესათანხმებლად იმყოფებოდა) ავისმომასწავებლად განაცხადა: „თუ არძინბას რეჟიმი არ წამოვა კომპრომისებზე, მაშინ საქართველოს სხვა გამოსავალი აღარ დარჩება გარდა იმისა, რომ აფხაზეთში გამოიყენოს — ჩეჩნეთის ვარიანტი,“ ანუ აფხაზეთის დაბრუნება ომის გზით! გაირკვა, რომ ერთი კვირის წინ ვლადისლავ გრიგორიევიჩს წერილი გაუგზავნია კოფი ანანისთვის, სადაც „კატეგორიულად სთხოვს გაეროს — ცნონ აფხაზეთის დამოუკიდებლობა!“ ადამიამ „დამაიმედებელი“ ინფორმაციაც ჩამოიტანა, კერძოდ ის, რომ არძინბა თანახმაა, აფხაზეთის პრობლემატიკაზე ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია, თუმცა რა შედეგით დამთავრდება მსგავსი ღონისძიებები, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს...

## რა ერგება ბათუმს, რა დარჩება ცენტრს

შევარდნაძე-აბაშიძის ამასწინანდელმა შეხვედრამ პირველი კონკრეტული და ცნობილი შედეგი მოიტანა — პრეზიდენტი ინიციატივით შევიდა საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიის დაფიქსირებასთან დაკავშირებით. ზურაბ ჟვანიას თქმით, ამ საკითხის გადაწყვეტას წინ არანაირი პრობლემა არ ელობება და ეს მოხდება. რაც შეეხება ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნას, სპიკერის განცხადებით, შეიქმნება ორმხრივი კომისია, რომელიც განსაზღვრავს კიდეც, თუ რა უფლებები ექნება ბათუმს და რა დარჩება ცენტრს...

**(კავკას-პრესი)** ამავე დროს საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის სტატუსის დაფიქსირებას იმსჯელეს ბათუმში სტუმრად ჩასულმა იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა და აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ.

როგორც შეხვედრის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, თუ პარლამენტი მალე მიიღებს კანონპროექტს ცვლილებების შესახებ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე საქართველოს კონსტიტუციაში აჭარა დაფიქსირდება, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

## პატიაშვილი ბოლომდე იბრძოლებს!

ვასილ მჟავანაძის ყოფილი სახლის კეთილმოწყობილ სარდაფში საზეიმოდ აკურთხეს ჯუმბერ პატიაშვილის საარჩევნო შტაბი, რომელსაც ბათუმური ალიანსის მთელი ელიტა და პატიაშვილის დროინდელი ცკვს აპარატის ყოფილი თანამშრომლები დაესწრნენ. პატიაშვილმა და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა მამუკა გიორგაძემ „დაიფიცეს“, რომ არჩევნებში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ ბოლომდე, თუნდაც მე-2 ტურში აბაშიძე გამოიყვანოს პატიაშვილის კონკურენტად(!). გიორგაძის თქმით, იგი მხოლოდ იმიტომ დათანხმდა შტაბის ხელმძღვანელობას, რომ პატიაშვილი ბოლომდე იბრძოლებს და თავისი გუნდით მოვიდეს ხელისუფლებაში... გიორგაძის ამ განცხადებებს „აღორძინების“ ლიდერები „გაგებით“ შეხვდნენ და არც აღტაცება, არც უკმაყოფილება აშკარად არ გამოუხატავთ. რჩება შთაბეჭდილება, რომ ყველა შეგუებულია — აბაშიძე მოხსნის თავის კანდიდატურას.

## ნეოკონსერვატორები პრეზიდენტს მოუწოდებენ

ერთი წლის წინ დიდი რიხით შექმნილმა ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა, რომელიც კარგა ხნის მანძილზე ბასილია-ბათიაშვილის პარტიის სახელით იყო ცნობილი, სახელწოდება შეიცვალა და დაირქვა „ნეოკონსერვატორული კავშირი“. საგანგებოდ გამართულ ყრილობაზე ადრე ორგანიზაციიდან სკანდალით წასული ბასილია არსად ჩანდა, სამაგიეროდ, პარადი ირაკლი ბათიაშვილსა და ფიქრია ჩიხრაძეს მიჰყავდათ, რომლებიც ცალსახად აცხადებდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ედუარდ შევარდნაძის ერთგული მხარდამჭერნი იქნებიან! მაგრამ პარტიამ მომავალ პრეზიდენტს განსაკუთრებული მოთხოვნაც წაუყენა, კერძოდ, შევარდნაძემ კორუფციასთან რეალურ ბრძოლას უნდა მოჰკიდოს ხელი და თავი ანებოს ამ თემაზე დეკლარაციების კეთებას! ნეოკონსერვატორებმა მოუწოდეს პრეზიდენტს, დააჩქაროს ანტიკორუფციული სამსახურის შექმნა და თავადვე ჩაუდგეს მას სათავეში! პრეზიდენტის რეაქცია ახალი პარტიის შექმნაზე (თავის დროზე პარტიის შექმნისთვის სწორედ მან აუნთო მწვანე შუქი ბასილიას) უცნობია ისევე, როგორც უცნობია, როდის ჩამოაყალიბებს ამ ყბადაღებულ ანტიკორუფციულ კომისიას!

## როკის გვირაბს დახურავენ?!

დიდი პატივით მიიღეს თბილისში ჩრდილო ოსეთის პრეზიდენტი ალექსანდრ ძასოხოვი... დასასრული არ უჩანდა ორ მოძმე ერს (ქართველებსა და ოსებს) შორის არსებულ მრავალსაუკუნოვან ძმობა-მეგობრობაზე საუბრებსა და განცხადებებს. ამის შესახებ განსაკუთრებით ლაპარაკობდნენ ოსური დელეგაციის წარმომადგენლები... კონკრეტულად კი, შევარდნაძე-ძასოხოვ, ძასოხოვ-ლორთქიფანიძე, ჟვანია-ძასოხოვის შეხვედრებზე №1 თემა იყო როკის გვირაბიდან საქართველოში მომდინარე ფანტასტიკური მასშტაბის კონტრაბანდის ალაგმვის საკითხები. მოლაპარაკებებზე ალაგ-ალაგ ვითარება იქამდეც კი მივიდა, რომ ქართულმა მხარემ დღის წესრიგში მთელი კატეგორიულობით დასვა — როკის გვირაბის შესაძლო დახურვის საკითხი! ამის გამგონე ოსებს პირკატა ეცათ, რადგან თავი რომ დავანებოთ როკის გვირაბის სტრატეგიულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას ოსებისთვის, ფაქტია, რომ ჩრდილო და სამხრეთელი ოსებიც აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია, ამ გვირაბის წყალობით ფანტასტიკურად მდიდრდებიან სწორედ საქართველოში ათასგვარი კონტრაბანდული საქონლისა და პროდუქციის, უწინარესად, ბენზინის შემოტანით. უკვე ჩამოყალიბდა კლასიკური ტიპის ქართულ-ოსური მაფიოზურ-კლანური დაჯგუფებები (ბოროტი ენები ამბობენ, ამ კლანთა კვალი საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისკენაც მიდისო...), რომლებიც სადღეღამისო, კონვეიერულ კონტრაბანდულ ტვირთბრუნვას აკონტროლებენ: შედეგად ქვეყნის ბაზარი წალეკილი აქვს აღურიცხავ საწვავსა და საქონელს.

## საბაჟო „სიცოცხლის გვირაბთან“

კონტრაბანდის აღმოფხვრის ჟინით და პასუხისმგებლობით აღსავსე შემოსავლების მინისტრი ცხინვალს ეწვია და ადგილობრივ ოს ხელისუფლებთან დახურულ კარს მიღმა გამართა მოლაპარაკება. ოსებმა ჟურნალისტები შენობაში არ შეუშვეს, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ მხარეები როკის გვირაბთან ერთობლივი საბაჟო პუნქტის გახსნაზე დაობდნენ, რაც, ჯერჯერობით, ვერ გადაწყდა. ოსები კატეგორიული წინააღმდეგნი არიან „სიცოცხლის გვირაბთან“ რაიმე მაკონტროლებელი სამსახურის ჩაყენებაზე, მით უმეტეს, თუ ის ქართველებითაც იქნება დაკომპლექტებული. ოსები არც საქართველოს მოკავშირე „წყეული დასავლეთის“ წარმომადგენელ კომპანია „აი-თი-ეს“-ს ენდობიან... მიშა მაჭავარიანი ერთ კვირაში კვლავ ეწვევა ცხინვალს. მოსალოდნელია, რომ ქართული მხარე ჩიბიროვის გუნდზე ძასოხოვის საშუალებით განახორციელებს ზეწოლას და დაითანხმებს როკის გვირაბთან საბაჟოს გახსნაზე...

## ფქვილის პროცედურები იგოეთურად

იგოეთის საგუშაგოზე ცემა-ტყეპა გაიმართა პოლიციელებსა და მარნეულელ აზერბაიჯანელებს შორის, რომლებსაც კონტრაბანდული ფქვილი შემოჰქონდათ და უარს ამბობდნენ მის განბაჟებაზე. მხარეებმა საქმეში ჩართეს მუშტები, წიხლები და... ფქვილიც. საბედნიეროდ, „ფიშტო“ არ გავარდნილა და არც ეროვნებათაშორის დაპირისპირებაში გადაზრდილა აღნიშნული ინციდენტი, რადგან აზერბაიჯანელების თვალწინვე იგივე „პროცედურა“ ჩაუტარეს ქართველ და სომეხ კონტრაბანდისტებსაც!

## ნაგვის გატანა გაძვირდა!

რამდენიმე დღის მანძილზე თბილისის საკრებულოში დიდი შეხლა-შემოხლა იყო, რის შედეგადაც საკრებულომ ჩააგდო პროექტი, რომლის თანახმადაც, თბილისში უნდა გაზრდილიყო გადასახადი წყალზე, მაგრამ გაიზარდა ნაგვის გატანის გადასახადი 25-დან 40 თეთრამდე!

## ელჩი ფაქტებს ადასტურებს

თბილისში ჩამოსულმა ინგლისში საქართველოს ელჩმა თემურ მამაცაშვილმა განაცხადა, რომ სიმართლეს შეესაბამება საზღვაო სანაოსნოს თანხებით ინგლისში ჩვენი საელჩოს დაფინანსების ფაქტები. ელჩმა ისიც ბრძანა, რომ სწორედ მისი რეკომენდაციითა და ძალისხმევით გამოუყვეს სანაოსნოს კრედიტის სახით ჯერ 12, შემდეგ კი 15 მილიონი დოლარი დაპატიმრებული ქართული გემების გამოსახსნელად და რომ საელჩოს დაფინანსების საკითხი მამაცაშვილის ბათუმში ყოფნის დროს გადაწყდა.

## ოპოზიცია ემზადება, არ თვლემს პოზიციაც!

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად აქტიურდებიან ზვიადისტებიც. ეს აქტიურობა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან დაიწყეს, სადაც ოთხი ზვიადისტი თავს პოლიტპატიმრად აცხადებს და დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს. სოლიდარობის ნიშნად ქალთა კოლონიაშიც დაიწყო შიმშილობა რამდენიმე პატიმარმა ქალმა... უკანასკნელ საათს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, შიმშილობა შეწყვიტა ლოთი ქობალიამ! მანანა არჩვაძე-გამსახურდიას წარმომადგენლებიც უკვე აკეთებენ განცხადებებს, რომლებშიც მთელ ქართველ ერს არჩევნების ბოიკოტირებისა და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისკენ მოუწოდებენ. გაზაფხულის დადგომასთან ერთად ზვიადისტები ქუჩის აქციებისთვისაც ემზადებიან... რა თქმა უნდა, ემზადებიან თემურ მღებრიშვილის ბიჭებიც...

## ძალა ერთობაშია

შემოსავლების სამინისტროს მიერ დაწყებული საქმიანობის პრობლემებს მიუძღვნა სპეციალური კონფერენცია მოქკავშირის ორმა ლიდერმა, ორმა მიშამ — სააკაშვილმა და მაჭავარიანმა, რომელიც უწინარესად მიზნად ისახავდა ერთი მიშას მიერ მეორისადმი მხარდაჭერის დაფიქსირებას. სააკაშვილის თქმით, საგადასახადო სამსახურებში უპროტექციოდ რიგითი თანამშრომელიც კი არ ინიშნებოდა, ამიტომ მიშა მაჭავარიანის მიზანიც მათი რიცხვის მკვეთრი შემცირებააო. სააკაშვილმა დაადანაშაულა კახა თარგამაძის უწყებაც, რომელიც არავითარ დახმარებას არ უწევს მაჭავარიანის სამინისტროს... შემდეგ პირველმა მიშამ მოქკავშირში თითქოსდა არსებულ შინაპარტიულ დაპირისპირებებზეც ისაუბრა და უწოდა მას ბლეფი და ჭორი, მაგრამ შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად ბრძანა: ის, ვინც შეეწინააღმდეგება მიშა მაჭავარიანისა და მისი გუნდის მიერ გატარებულ რეფორმებს, იქნება ქვეყნის ინტერესების მოწინააღმდეგე და ჩვენი სახით დაუძინებელი მტერი ეყოლებაო. აღნიშნული პრესკონფერენცია რეფორმების გეგმით შემუშავებული ღონისძიებების დაწყებას დაემთხვა (კულუარული ინფორმაციით, მაჭავარიანი და მისი ხალხი „მომაკვდინებელ“ დარტყმას უმზადებენ ბენზინის, სიგარეტისა და ფქვილის ბიზნეს-კონტრაბანდის მაფიოზურ კლანებსა და მათ ნათლიებს!), რაც შეთანხმებულია უცხოელ ექსპერტებთან! მიშა მაჭავარიანმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა: „მე ვარ ჩემი პარტიის გუნდის წევრი, ამ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი მიშასთან ერთად და ამ გუნდიდან არსად ვაპირებ წასვლას...“ მოელიან, რომ საკუთარ უმრავლესობასთან შეხვედრის შემდეგ მაჭავარიანი და მისი, ჯერჯერობით, ათკაციანი კოლექტივი ფართო ფრონტით შეუტევს საბაჟო-საგადასახადო-სახელისუფლებო უწყებებში ჩაბუდებულ „ბიუჯეტიჭამია ვირთხებს“. ბოროტი ენები კი ამბობენ, რომ მაჭავარიანს უკვე უთვლიან ნაირ-ნაირ მუქარა-გაფრთხილებას სამამულო ქართული მაფიის მესვეურნი...

## საქართველოს დიდი რისკის ქვეყნად მიიჩნევენ

სტამბოლში ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის, როგორც იქნა, დაიდო ხელშეკრულება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის საკითხებზე, თუმცა ტარიფების თაობაზე კვლავაც ვერ შეთანხმდნენ და მისი მოგვარება შევარდნაძე-ალიევის მოლაპარაკებების დროისთვის გადადეს. ალიევი მარტში ესტუმრება თბილისს... საგანგებო პრესკონფერენციაზე სტამბოლიდან დაბრუნებულმა ირაკლი მენაღარიშვილმა და გია ჭანტურიამ განაცხადეს, რომ საქართველოს კვლავ აღიქვამენ, როგორც „დიდი რისკის“ ქვეყანას დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის, მის ჩრდილო საზღვართან მიმდინარე ომისა და სხვა ფაქტორების გამო, მაგრამ საქართველოს იმიჯს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შევარდნაძის ავტორიტეტი და მიმდინარე დემოკრატიული რეფორმები. სტამბოლში მიღწეული შეთანხმებიდან გამოყვეს ის, რომ ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე (იმ მონაკვეთზე, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის) პასუხისმგებელი იქნება პროექტის მონაწილე ყველა სახელმწიფო და არა მხოლოდ საქართველო. დაკმაყოფილებულია საქართველოს მოთხოვნა გარემოს დაცვის პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებით და რომ, სანამ საქართველო არ დაამტკიცებს ნავთობსადენის ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტიებს, მშენებლობა არ დაიწყება... სავარაუდოდ, სრულმასშტაბიან ხელშეკრულებას აპრილში დაამტკიცებენ აზერბაიჯანისა და საქართველოს პარლამენტები.

## სად აორთქლდა 70.000 ლარი?!

იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი ისევ სასამართლოში ჩივილს აპირებს (უკვე მერამდენედ...). ამის მიზეზი „აღორძინების“ წევრების განცხადებებია, რომლებიც ახლახან ქუთაისის საკრებულოდან „გარეკეს“. „ამღორძინებლები“ ირწმუნებიან, რომ მათთვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ საკრებულოში გამართული კენჭისყრა შაშიაშვილის ზეწოლით განახორციელეს „მოქალაქეებმა“. თავად საკრებულოს ყოფილი წევრები „აღორძინებიდან“ ამტკიცებენ, რომ ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის ფონდისთვის შაშიაშვილის მიერ ქალაქის ბიუჯეტიდან გადარიცხული 70 ათასი ლარი „აორთქლდა“, შაშიაშვილი კი აცხადებს — ჩემმა მტერმა იაროს მაგათ ჭკუაზეო!

## საელჩო სამხედრო ობიექტს უთვალთვალებდა

**(ბლეძ სი პრესი)** ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო ჯგუფის პრესსამსახურმა განაცხადა საქართველოში გერმანიის საელჩოს თანამშრომელთა მხრიდან არამართლზომიერი ქმედების შესახებ.

3 მარტს ვაზიანის სამხედრო ბაზის უშუალო სიახლოვეს შენიშნეს პირები, რომლებიც სამხედრო ობიექტის კინოფოტოგადაღებას აწარმოებდნენ, — განაცხადეს ГРВЗ-ს პრესსამსახურში. მათ თან კავშირგაბმულობის საშუალებები და მიდამოების მსხვილმასშტაბიანი რუკა ჰქონდათ. დადგინდა, რომ ხსენებული პირები საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები არიან — სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ლოტკე ლამჟელიუდეკე და მისი თანაშემწე, ფელდფებელი ალფრედ ლიდნერი.

ვაზიანის 137-ე სამხედრო ბაზის მეთაურმა გერმანიის საელჩოს თანამშრომლებს განუცხადა მათი ქმედების არამართლზომიერების შესახებ, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ობიექტის დაზვერვის წარმოება. შესაბამისი ახსნა-განმარტების შემდეგ სამხედრო ბაზის სარდლობამ ინციდენტი ამოწურულად მიიჩნია.

## სეპარატისტები ზეიმობენ

აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ აღნიშნა ავტონომიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 79-ე წლისთავი. ამავე დროს, აფხაზეთის ხელისუფლებამ ეს დღე აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღედ გამოაცხადა. სეპარატისტული ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა გვირგვინებით შეამკეს აფხაზი რევოლუციონერების — ნესტორ ლაკობასა და ეფრემ ეშბას ძეგლები. როგორც მიტინგზე აღინიშნა, რომ არა 1921 წლის 4 მარტი, დღეს აფხაზეთის სახელმწიფო არ იარსებებდა. შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ საქართველოსგან დამოუკიდებლად, სახელმწიფოს მშენებლობის კურსი აიღო და ცდილობს დე იურე გააფორმოს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ აუღიარებელი აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ეს დღე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნოს 2001 წელს, როდესაც აფხაზეთის გასაბჭოების 80 წლისთავი შესრულდება.




## უდუგოვს შინ ციხე ჰქონია

**(კავკას-პრესი)** გროზნოში, ჩეჩნეთის მთავარი იდეოლოგის მოვლადი უდუგოვის სახლში აღმოჩენილია ციხე მძევლებისათვის. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორის ინფორმაციით, სახლის სარდაფს რკინის კარი და გისოსები აქვს. იატაკზე კი ტყვეებისათვის ლეიბებია დაგებული.

უდუგოვი, რომელიც იანდარბიევთან ერთად ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისა და ჩრდილო კავკასიაში რელიგიური ექსტრემიზმის მთავარი იდეოლოგია, სპეცსამსახურების მონაცემებით, ამჟამად ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ მუსულმანურ სახელმწიფოში იმალება და აქტიურ ანტირუსულ პროპაგანდას ეწევა.

ოპერატიული მონაცემებით, მოვლადი უდუგოვის სახლში მძევლად იმყოფებოდნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები — ქრისტიანები, იუდეველები, მუსულმანები და ბუდისტები, რომლებსაც აწამებდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. გარდა ამისა, კატაიამას რაიონში აღმოჩენილია ე.წ. „ახალჩეჩნური ელიტის“ სახლების მთელი კვარტალი, რომელთა სარდაფებში ბოევიკებს მძევლები ჰყავდათ. კატაიამას მიკრორაიონს დუდაევისა და გელაევის კლანები აკონტროლებდნენ. ყველაზე დიდი „ზინდანი“ აღმოჩენილია ჯოჰარ დუდაევის ნათესავის, ტუხან დუდაევის სახლში. სარდაფების კედლებზე ამოჩხაპნილია ჯვრები, რომლითაც მძევლები აღნიშნავდნენ ტყვეობაში გატარებული დღეების რაოდენობას.

# ლიხს იქით საქართველო მიებმება კრასნოდარს, ლიხს აქეთ — ვოლგოგრადს!..




გეოპოლიტიკა (ბერძნ. — მიწა, ქვეყანა და პოლიტიკა), საბჭოური ეპოქის ლექსიკონებში ასე იყო განმარტებული: „იმპერიალისტური ბურჟუაზიის პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ეკონომიკური, ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის მონაცემების დამახინჯების გზით ცდილობს დაასაბუთოს იმპერიალისტური სახელმწიფოების ექსპანსიონისტური პოლიტიკა... გეოპოლიტიკა მჭიდრო კავშირშია რასიზმთან, ნაციონალიზმთან, ჰეგემონიზმთან და ნეოგლობალიზმთან".

თანამედროვე „დემოკრატიული" რუსეთის სტრატეგებისა და გეოპოლიტიკოსების უმრავლესობა, თუ მათსავე ნაშრომებსა და პუბლიკაციებს გავიხსენებთ, დღესაც თითქმის იმავე აზრისაა (განსხვავება მხოლოდ ტერმინოლოგიაშია), თუმცა სახელი ის არის, რომ უკვე ოფიციალურ ცდილობენ ისეთი დოქტრინების შემუშავება-განხორციელებას, რაშიც ათი-ოცი წლის წინათ „იმპერიალისტურ სახელმწიფოებს" ადანაშაულებდნენ. უბედურება ის არის, რომ ახალი ტიპის რუსული „წესრიგის" დასამკვიდრებლად ძირითადი დარტყმა სამხრეთ კავკასიისკენაა მიმართული. როგორც ჩანს, ამ მხრივ კვანძი უახლოეს მომავალში უნდა გაიხსნას, მით უფრო, რომ გაჭიანურებული მოლაპარაკება, ბაქო-ჯეიჰანის პროექტის შესათანხმებელ საკითხებზე, მთავრდება, ტარიფების განსაზღვრასთან იგივე დამტკიცება და მშენებლობა დაიწყება... ახლა სიძნელეები ტრანსკასპიური გაზსადენის ირგვლივაც გაჩნდა და დავა თურქმენეთსა-აზერბაიჯანს შორის ისე გამწვავდა, რომ პრეზიდენტ ნიაზოვი პროექტის ჩაშლითაც დაიმუქრა და ვაშინგტონსაც მოუწოდა მუშტი(!) იმ საბაბით, რომ „აშშ კასპიის ენერგოპროექტების განხორციელების პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებს"(!). ბუნებრივია, ამ პროცესებს გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მოსკოვი, რომლის გეოპოლიტიკურ ინტერესებსაც ნამდვილად არ პასუხობს „საუკუნის პროექტების" განხორციელება. მეტიც, ზოგიერთი რუსი გეოპოლიტიკოსი ისეთ ოდიოზურ თეორიებს ამუშავებს, რომლებსაც, ერთი შეხედვით, ნაკლებად მიიჩნევ სალ აზროვნების ნაყოფად, მაგრამ, როცა ამ ავტორთა შრომები სამხედრო წიგნებად და სახელმძღვანელოებად აქვთ მიღებული დიპლომატებსა და სამხედროებს, ვფიქრობ, აუცილებელია ჩვენს საზოგადოებამ იცოდეს, თუ რა „ჭეშმარიტებებითაა" დახუნძლული მეზობელი ქვეყნის სტრატეგთა ჭკუა-გონება...

ვესაუბრები ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პოლიტოლოგ კახა კაციტაძეს:

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსები გაუთავებლად წუწუნებდნენ, რომ არ ჰქონდათ კონცეპტუალური იდეა, რომელზეც დააფუძნებდნენ საგარეო პოლიტიკას... მარქსისტული იდეოლოგია აღარ იყო და რუსებმაც მისი ჩამნაცვლებელი იდეა მოძებნეს გეოპოლიტიკაში. შედეგად — რუსეთში იმდენადაა გეოპოლიტიზებული ყველაფერი, რომ მასში მთელი დატვირთვით ჩართეს... მოსკოვის უნივერსიტეტიც(!). თუ გამოვრიცხავთ ანდრეი კოკოშინის ტიპის მაღალი დონის ექსპერტებს, ინტელექტუალობაზე პრეტენზიის მქონე საშუალო დონის რუსებს გეოპოლიტიკა ესმით ისეთივე ვულგარული მნიშვნელობით, როგორც გერმანულ გეოპოლიტიკურ სკოლას ესმოდა XIX-XX ს.ს-ების მიჯნაზე, კერძოდ ის, რომ „სახელმწიფოს ქცევა-მოქმედებას მისი მდებარეობა განსაზღვრავს..." ეს გახლავთ გეოპოლიტიკის ყველაზე ვულგარული გაგება, რომელსაც პოლიტიკური მეცნიერებების ფუძემდებელი ჰანს მორგენთაუ ცრუმეცნიერულს უწოდებდა! გეოპოლიტიკას აქვს კიდევ ორი მნიშვნელობა: 1. როგორ აისახება პოლიტიკური პროცესები გეოგრაფიულ სივრცეში, 2. როგორ და რა ფაქტორების გამო იცვლიდნენ პოლიტიკურ-გეოგრაფიული პროცესები დროში. რუსების დოქტრინები კი ემყარება ერთ ფაქტორს: რუსეთი გადაჭიმულია ევრაზიაზე და მას განსაკუთრებული მისია აკისრია...

**— ანუ, თუ თანამედროვე რუს გეოპოლიტიკოსებს, უწინარესად, ალექსანდრე დუგინს დავესესხებით, რუსეთი არც ევროპაა, არც აზია, არამედ ეს არის ერთი მთლიანი სივრცე, იმპერია, რომელიც უნდა კვებოს და აცოცხლოს ე.წ. ნეოევრაზიელობის იდეამ...**

— იმავე დუგინის მოსაზრებით — გეოპოლიტიკოსი აუცილებლად ანგაჟირებული უნდა იყოს, ანუ რომელიმე მხარის პოზიციაზე უნდა იდგეს, თორემ ისე ობიექტური მეცნიერი ვერ იქნებაო, ძალიან მაგონებს ლენინის თეზისს „მეცნიერების პარტიულობის" შესახებ. დღეს, რუსეთში, ფაქტობრივად, სამი-ოთხი ვერსია დომინირებს: პირველი გახლავთ წმინდა იმპერიული, ანტიდასავლური კურსი და სერიოზულად ცდილობენ ალიანსის შექმნას ჩინეთ-ირან-ერაყთან, თუმცა რუსების ნაწილი ხვდება, რომ ეს არ გამოუვათ და შეიძლება ქვეყანაც თავზე დაეცეთ; მეორეა — რუსეთის პროდასავლური პოლიტიკა, რომელიც, ფაქტობრივად, მკვდარია და მთავარი პროდასავლელები, ჩუბაისის თავკაცობით, ჩეჩნეთის ომს ტაშს უკრავენ; შესაბამისად, აშკარაა, რომ ამ პოლიტიკას არსებობის შანსი არა აქვს; მესამე არის ე.წ. მრავალპოლუსიანი სამყაროს თეორია, რომლის თანახმად რუსეთიც ზესახელმწიფოა; ანუ მსოფლიო იყოფა რამდენიმე პოლუსად, სადაც ზესახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი გავლენის ზონები! მოკლედ, რუსეთი „მოწყალედ" უთმობს დასავლეთს — ბალკანეთს, აღმოსავლეთ ევროპას, ლათინურ ამერიკას და აფრიკას, ოღონდ თავისთვის ითხოვს კავკასიას და შუა აზიას! აი, ეს არის მრავალპოლუსიანი სამყაროს რუსული ვერსია, ანუ რუსები გლობალურ პრეტენზიებზე უარს ამბობენ, მაგრამ მთელი ძალებით კონცენტრირებას ახდენენ იმ მიმართულებებზე, რომლებიც სასიცოცხლოდ მიაჩნიათ. მეტსაც გეტყვით, დუგინი რუსეთის გენერალური შტაბის აკადემიაში მიიწვიეს... გეოპოლიტიკის კათედრის გამგედ(!). საბედნიეროდ, ჯერ საქმე არ მისულა რუსეთისა და ფაშისტური გერმანიის გეოპოლიტიკური მისწრაფებების შორის პარალელის გავლებამდე, მაგრამ ის ინტელექტუალური ბაზისი, რასაც დუგინი ეყრდნობა, კერძოდ, 80% აღებულია იმავე გერმანული გეოპოლიტიკური სკოლიდან, რომელიც გერმანიაში ფაშიზმის იდეოლოგიური ბაზა გახდა...

რუსების ამ იდეოლოგიაში ყველაზე საშიში არის ის, რომ თითქოს „საერთაშორისო ურთიერთობები კონვენციებისა და შეთანხმებების საფუძველზე არ არსებობს... საერთაშორისო პოლიტიკის ხასიათს განსაზღვრავს და განაპირობებს... გეოგრაფია"(!). მაგრამ გერმანიისა და რუსეთის შემთხვევაში, მათი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ეს გეოგრაფიული ინტერპრეტაციაც სხვადასხვანაირია. ფაშისტები ამტკიცებდნენ, რომ მათ არა აქვთ „სასიცოცხლო სივრცე" და ამ სივრცობრივ გაფართოებას სჭირდება ექსპანსია აღმოსავლეთით და შეჯახება დასავლეთთან... ხოლო რუსეთთან დაკავშირებით „სასიცოცხლო სივრცის" თაობაზე ლაპარაკი სასაცილოა. ამიტომ ისინი სხვა რამეს ამტკიცებენ, კერძოდ: გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, რუსეთი უსათუოდ უნდა დომინირებდეს გარემომცველ სივრცეებზე!

ყველაზე სასაცილო ის არის, რომ თეზისი — ვისაც უკავია ევრაზიის შუაგული, ის დომინირებს მთელ ევრაზიაზე — ეკუთვნის არა რუსებს, არამედ გერმანელებს და ინგლისელებს. ცხადია, იდეოლოგიადაკარგულმა რუსებმა გამოიყენეს ეს ნაჩუქარი „ტუზი" და დაიწყეს მტკიცება, რომ რადგან გეოგრაფიულად დომინირებენ ევრაზიის ცენტრზე, პოლიტიკურადაც უნდა დომინირებდნენ ევრაზიაში(!). გერმანიაში ფაშიზმის იდეოლოგიური ბაზის შემქმნელი გეოპოლიტიკოსები ომის დამთავრებასაც მოესწრნენ და ძალიან ნანობდნენ თავიანთ საქციელს. ჰაუსჰოფერმა, რომელმაც იდეოლოგიურად ჩამოაყალიბა ჰიტლერი, 1946 წელს ჰარაკირი გაიკეთა. მისი შვილი კი 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერზე თავდასხმაში მონაწილეობდა და დახვრიტეს... დღეს, რუსებს არ ესმით, რომ სასაცილოა 21-ე საუკუნის დასაწყისში მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სცადო რაღაცის „გამოცხობა". ამით ისინი ადასტურებენ, რომ ვერ ახერხებენ ჩამოყალიბებას ნორმალურ საზოგადოებად, რომელიც ჯანსაღ პრინციპებზე ააგებს საერთაშორისო ურთიერთობებს. ამიტომაა, რომ მე-19 საუკუნის „ეგზოტიკურ" იდეებს აცოცხლებენ.

**— მაგრამ რუსები არც ჰარაკირის გაიკეთებენ და არც ამ „ეგზოტიკური" იდეების განხორციელებაზე იტყვიან უარს, თუ, რა თქმა უნდა, მათ ამის საშუალება მიეცათ. ერთ-ერთ ასეთ დუგინისეულ „ეგზოტიკურ" იდეას წარმოადგენს აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამუდამოდ დარღვევა და ამ ტერიტორიების განაწილება რუსეთს, ირანსა და სომხეთს შორის... მაგრამ „საინტერესო" ის არის, რა ბერკეტები აქვს რუსეთს ამ „იდეის" განსახორციელებლად.**

— ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი გახლავთ მათ ხელთ არსებული რესურსების თავმოყრა ძალისმიერი, თუ პოლიტიკური ზეწოლის განსახორციელებლად. ჩვენ პირდაპირ ვართ ამ გეგმაში, რადგან მოსკოვის გეოპოლიტიკური მიზნების სარეალიზაციოდ სწორედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმართულებაა რუსეთისთვის გადამწყვეტი და ისიც, რომ ამ მიმართულებით მან უნდა შთანთქას ყველაფერი, რაზეც კი „ხელი მიუწვდება". კერძოდ, აზერბაიჯანის ტერიტორია ნაწილდება რუსეთს, ირანსა და სომხეთს შორის. შედეგად, სომხეთს და რუსეთს უჩნდებათ საერთო საზღვარი(!); საქართველოს ერთმევა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რომლებიც უშუალოდ ინტეგრირდებიან რუსეთის შემადგენლობაში(!), „სამაგიეროდ", ჩვენ აზერბაიჯანივით სულ არ ვუქმდებით და დუგინი გულმოწყალედ გვაძლევს საშუალებას, რომ განსაკუთრებული პრივილეგიები გვქონდეს... ჩეჩნეთსა და დაღესტანში(!).

**— შეიძლება მკითხველს აბსურდად მოეჩვენოს ყოველივე ეს, მაგრამ კვლავ შევახსენებთ, რომ ამ გეოპოლიტიკური იდეების ავტორი რუსეთის გენერალურ შტაბში ანათლებს მომავალ „ერმოლოვებს"... საინტერესოა ისიც, რომ ეს კაცი არაფერს ამბობს აჭარის მიმართ თურქეთის შესაძლო პრეტენზიებზე. სამაგიეროდ, დიდ წიაღსვლებს აკეთებს ე.წ. კავკასიის „ფედერაციაზე".**

— საქმე ის არის, რომ დუგინს ძალიან არ უყვარს თურქები და აჭარაც ჩვენთვის უფრო „ემეტება". ამასთან, სხვა რუსი იმპერიალისტებისგან განსხვავებით, თვალში არ მოსდის ჩინელები და მოითხოვს იაპონიასთან ალიანსს ჩინეთის წინააღმდეგ. ლოგიკურად მართალიცაა, რადგან თუ მილიარდნახევრიანი ჩინეთი და 150 მილიონიანი რუსეთი საზღვრებს გახსნიან და გახდებიან მოკავშირეები, ცხადია, ვინ იქნება ამათ შორის „უფროსი ძმა"!

რაც შეეხება დუგინისეული კავკასიის „ფედერაციის" შექმნას, მისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები არ დაემთხვევა დღევანდელ ეროვნულ საზღვრებს, კერძოდ, მიახლოებითი საზღვარი რომ გავავლოთ ლიხზე, კავკასიის რეგიონის ნაწილი ებმება კრასნოდარის მხარეს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველო და აზერბაიჯანი დაღესტან-ჩეჩნეთთან ერთად ებმება ვოლგოგრადს(!), ანუ ქართველების ნაწილი აღმოჩნდება კრასნოდარზე მიბმული, ნაწილიც ვოლგოგრადზე... იქნებ არც უნდა ვთვლიდეთ ლაპარაკის ღირსადაც კი ამ „პროექტებს", მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს თეორიები დღითი დღე სერიოზულ და აღიარებულ სახეს და ხასიათს იძენენ!

**— კასპიის ენერგოპროექტები ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამცავი მექანიზმია. თუ გავითვალისწინებთ რუსების მიერ თავიანთი ენერგოპროექტების, ნავთობსადენებისა და გაზსადენების მშენებლობის ფორსირების მცდელობებს (გაზსადენების პროექტები რუკაზე წყვეტილი ხაზითაა აღნიშნული, — რედ.) და ეს მაშინ, როცა მიუხედავად რამდენიმე საკითხზე შეთანხმებისა, ბაქო-ჯეიჰანის ტარიფები კვლავ გაურკვეველია, თურქმენეთის პრეზიდენტი კი ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტის ჩაშლით იმუქრება... არადა ფაქტია, რომ „საუკუნის პროექტებს" სწორედ გეოპოლიტიკურ ჭრილში განიხილავენ რუსებიც და ამერიკელებიც, ანუ აქ საკითხი პირდაპირ დგას: ვინ ვის!**

— ამერიკელებისთვის ეს პროექტები გაცილებით მეტს ნიშნავს და გეოპოლიტიკური ფაქტორი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მათი სტრატეგიისა. რუსებისთვის კი, კასპიის ენერგოპროექტები მხოლოდ და მხოლოდ გეოპოლიტიკური პროექტებია და თვლიან, რომ მათი განხორციელების შემთხვევაში რუსეთი მთლიანად და სამუდამოდ დაკარგავს კავკასიას და შუა აზიას, ისევე, როგორც აღმოსავლეთ ევროპა დაკარგა... რაც შეეხება ნიაზოვის განცხადებებს, უნდა გავითვალისწინოთ თურქმანბაშის ფსიქოლოგია (ათათურქის ანალოგიით, რაც „თურქთა მამას" ნიშნავს, ნიაზოვს თურქმანბაშს უწოდებენ ოფიციალურად, რაც „თურქმენთა თავს, მამას" ნიშნავს): კაცმა, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე დაკანონებული აქვს პრეზიდენტობა და 2-5-10 ათას მანათიანებზე საკუთარ გამოსახულებას ახატავს, ყველაზე მცირე თანხის აღმნიშვნელ კუპიურზე კი შუა საუკუნეების დიდ პოეტს ალიშერ ნავოის, შეიძლება იფიქრა — მუშტს დავარტყამ მაგიდაზე და უფრო მეტ დივიდენდს მივიღებო! შეიძლება ეჭვიანობს კიდეც, რომ ვაშინგტონი ალიევსა და ქარიმოვს გაცილებით დიდ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მას და ა.შ. არადა აზერბაიჯანთან და უზბეკეთთან აშშ-ის განსაკუთრებული ურთიერთობების კონცეფცია ბჟეზინსკის შემუშავებულია, ანუ აშშ-ის მთავარი მოკავშირეები კავკასიასა და შუა აზიაში არიან აზერბაიჯანი და უზბეკეთი... და არა საქართველო! ამის მიზეზია ის, რომ ამერიკელები არ თვლიან საქართველოს იმ ძალის სახელმწიფოდ, რომელიც გაქაჩავს აშშ-ის მოკავშირის ფუნქციას. არცა ვართ! ამერიკას თავისი მოკავშირის ძალა და ფუნქცია სხვაგვარად წარმოუდგენია, ვიდრე ჩვენ: ამერიკელები ნამდვილი მოკავშირეობის კატეგორიებით აზროვნებენ და არა პატრონაჟისა. ჩვენ კი გვინდა პატრონაჟული ურთიერთობა გვქონდეს ფეოდალური ეპოქის დამახასიათებელი ვასალისა და სიუზერენის მსგავსად! იგივე ჩვენთვის ცნობილი გენერალი ოდომი თავის ნაშრომში, „თანამეგობრობა თუ იმპერია", პირდაპირ ამბობს, რომ „საქართველო შინაგანად არის ძალიან სუსტი ქვეყანა, შესაბამისად, ძალიან სუსტი მეტოქე რუსეთისთვის..." შინაგან სისუსტეში ოდომი გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტეს, რომელიც განპირობებულია მათი ტოტალური კორუმპირებულობით და არაეფექტიანი ფუნქციონირებით. ოდომი იმასაც ამბობს, რომ რუსეთი უზბეკეთზე ვერ ახდენს ზეწოლას იმიტომ, რომ იქ ძლიერი სახელმწიფო სისტემაა... და რაც მთავარია, არ დგას რუსის ჯარი!

თურქმანბაში გაამწარა იმან, რომ უარის თქმა მოუხდა რუსეთის გავლით თურქმენული გაზის ექსპორტზე — რუსეთი დიდ ტარიფებს მოითხოვდა. ბოლოს, ნიაზოვი წავიდა სტამბოლის შეთანხმებაზე და უცებ მეწილენი გაუხდნენ! წარმოიდგინეთ მისი მდგომარეობა! ალბათ მოიძებნება გამოსავალი, თუ არა და, გაბრაზებული თურქმანბაში მართლა სხვა გზას მოუძებნის თავის გაზს — რუსეთის ან ირანის გავლით გაიტანს!

**— ენერგოპროექტების რუკას დავაკვირდეთ გეოპოლიტიკოსის თვალით და შევეცადოთ, გავიაზროთ, რა გეოპოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებენ რუსები ამ პროექტებს და სინამდვილეში რა შეიძლება შერჩეთ ხელთ.**

— ვფიქრობ, ეს ყველაფერი რუსებისთვის უაღრესად სიმბოლურია. საოცარია, მაგრამ რუსეთის პოლიტიკურ ისტორიაში სიმბოლოებს ხშირად აქვს რეალიების მნიშვნელობა: გავიხსენოთ ვარსკვლავი, ნამგალი და ურო... მითოლოგიაში ნამგალს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა — ზევსმა ურანოსი ნამგლით... დაასაჭურისა! რუსებისთვის ეს მილსადენები იმპერიულობის სიმბოლოა, რომ აი, რუსებს უწევენ ანგარიშს, სწორედ მათი პროექტები ხორციელდება და არა სხვისი... სხვათა შორის, მილსადენები და აბრეშუმის გზა ქართველებისთვისაც ერთგვარი სიმბოლოა, რაც წინაპართა ოცნებების ასრულებას გამოხატავს...

ახლა კი პროექტებს შევეხოთ და ვნახოთ, რა რჩებათ რუსებს: ნოვოროსიისკის პორტი შეზღუდულია და თუ არ ვცდები, წელიწადში 80 დღე-ღამე მუშაობს. ამასთან, ნავთობს სრუტეების გავლით თურქები არ გაუშვებენ, არც ბალკანეთის გავლით. საეჭვოა, რაიმეს მიაღწიონ... მოკლედ, ეს პორტი აშკარად ვერ გაატარებს აზერბაიჯანისა და თენგიზის ნავთობს. „საოცარი" ხალხი არიან რუსები: სრული სერიოზულობით ამტკიცებდნენ, რომ ბაქოდან სუფსამდე უფრო დიდი მანძილია, ვიდრე ბაქოდან ნოვოროსიისკამდე(!). რაც შეეხება „ცისფერ ნაკადს", ანუ კრასნოდარიდან შავი ზღვის ფსკერის გავლით თურქეთში გაზსადენის გაყვანას, ეს ოკეანოგრაფების გასაანალიზებელია და პირადად მე არ მესმის, რა ხარისხის მილები უნდა ჩააწყონ ფსკერზე, რომ მათ ათწლეულები გაძლონ?! მთავარია, ჩვენს ტერიტორიულ წყლებში არ გავატაროთ. მაგრამ თუ მაინცდამაინც საქართველოს ტერიტორიულ წყლებში უნდათ მისი გაყვანა, კეთილი ინებონ და ხმელეთზე, კრასნოდარი-სოხუმი-ბათუმი-თურქეთის მარშრუტით გამოიყვანონ. საერთოდ, ეჭვი მეპარება ამ პროექტის რეალობაში... რაც შეეხება ტრანსკასპიურ გაზსადენს, თურქმენეთი ითხოვს 30 მლრდ კუბმეტრი გაზის ექსპორტს თურქეთში. აზერბაიჯანის გაზის საბადოების აღმოჩენის შემდეგ კი ბაქომ მოითხოვა, მისი ექსპორტი ამავე ტრანსკასპიური გაზსადენით, რამაც გააცოფა თურქმანბაში. მოკლედ 30 მლრდ კუბმეტრის გამტარუნარიან გაზსადენს ვერ იყოფენ, ორი გაზსადენის მშენებლობას კი არავინ დაგიფინანსებს...

**— ამასთან დაკავშირებით საინტერესო იყო შევარდნაძის კომენტარი. მისი თქმით, ყველაფერს გადაწყვეტს ის, თუ რომელი მარშრუტის გაზსადენით მიღებული გაზის შეძენას მოისურვებს თურქეთიო. ანუ აშკარაა, თუ თურქმანბაში ჩააგდებს ტრანსკასპიურ პროექტს და ირანის ან რუსეთის გავლით შესთავაზებს თურქეთს თავის გაზს, თურქეთი უარს ეტყვის ამ პროექტების განხორციელებაზე...**

— რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, თურქეთი რუსეთზე გაცილებით ძლიერი ქვეყანაა და ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები გააჩნია. იგი მოახერხებს მისთვის ყველაზე სასარგებლო მარშრუტის არჩევას. ამასთან, თურქეთი არა მარტო მომხმარებელია, არამედ ტრანზიტორიც და ეს გაზი თურქეთიდან ევროპაშიც უნდა გავიდეს...

**— როგორც ჩანს, რუსეთი მაინც ბოლომდე იბრძოლებს თავისი გეოპოლიტიკური და ნეოევრაზიელობის დოქტრინების განსახორციელებლად და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გადამწყვეტი ბრძოლა დასავლეთსა და რუსეთს შორის სწორედ აქ, ჩვენს რეგიონში გაიმართება.**

— დიახ და ერთადერთი, რაც ამ ვითარებაში გადაგვარჩენს, იქნება ის, თუ რუსეთი მიხვდება, რომ დასავლეთთან ჭიდილი მისთვის წამგებიანი იქნება და გარკვეული ეკონომიკური, ფინანსური გარანტიების ფასად, ანუ გარიგების შემთხვევაში, დათმობს ამ სივრცეს. ე.ი. გარიგება უნდა მოხდეს ამ გეოპოლიტიკურ სივრცეზე. თავის დროზე რუსებმა ბევრი იყვირეს და იჩხუბეს ბალტიისპირეთის, აღმოსავლეთ ევროპის გამო, მაგრამ ამ სახელმწიფოებმა გაუძლეს ყველა ზეწოლას, პროვოკაციას სწორედ იმიტომ, რომ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები ჰქონდათ. ჩვენთან კი არა მარტო უკიდურესად სუსტია სახელმწიფო ინსტიტუტები, არამედ არაფერი კეთდება მათ გასაძლიერებლად. საქართველოში მძვინვარე ტოტალური კორუფცია უზარმაზარ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე, ეფექტური საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებაზე. როცა მაღალჩინოსანი იჯიბავს ქვეყნისთვის კუთვნილ ფულს, თითქოს ამ ფაქტორს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს გეოპოლიტიკასთან, მაგრამ სწორედაც რომ აქვს პირდაპირი კავშირი და თანაც დამანგრეველ-დამაქცეველი! ენერგოპროექტები სახელმწიფო ინსტიტუტებს ვერაფერს უშველიან და კომუნიზმის იდეალივით არ უნდა ავიტაცოთ. იგი უნდა იყოს დანამატი სახელმწიფოსი და არა თავად სახელმწიფო! ხიფათს გვიქმნის არა რუსეთის ძლიერება, არამედ საქართველოს სისუსტე. სადაც რუსეთს მაგრად და ძლიერად ხვდებიან, იქ მას არაფერი გამოსვლია, ყველგან დათმობაზე წავიდა და მიდის.

**— გმადლობთ!**

***ზურაბ მჭედლიშვილი***

P.S. კვლავ საბჭოთა რუსეთისდროინდელ პოლიტიკურ ლექსიკონში მოცემულ გეოპოლიტიკის განმარტებას დავესესხები და შემოგთავაზებთ მის ერთ-ერთ პუნქტს: „...Геополитические взгляды, ставящие развитие человеческого общества в прямую зависимость от географического положения, построены на соединении идеи социального дарвинизма, неравноценности рас, недостаточности „жизненного пространства", „естественных границ" и служат идеологическим обоснованием агрессивной внешней политики империализма... Геополитика усиленно культивировалась в Германии, где была возведена в ранг официальной доктрины - фашизма!!!"

# ცხრა ძმა კოლაელთა წამება

ისტორიულ ტაოში, მდინარე მტკვრის სათავესთან მდებარეობდა სოფელი კოლა. აქ გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქრისტიანები და წარმართები. მათი შვილები მთელი დღე ერთად თამაშობდნენ, მაგრამ როდესაც მწუხრის ზარები ჩამოკრავდა, ქრისტიანი ბავშვები ეკლესიისკენ მიეშურებოდნენ, წარმართები კი გულდაწყვეტილნი შინ ბრუნდებოდნენ, რადგანაც ეკლესიაში შესვლა ეკრძალებოდათ.

ერთხელ წარმართმა ბავშვებმა ძალით მოინდომეს ეკლესიაში შესვლა. თანატოლებმა აუხსნეს, რომ ამას ნათლობის შემდეგ შეძლებდნენ. ყრმებმა სიხარულით აღუთქვეს მეგობრებს, რომ მოინათლებოდნენ და ხუცესს მიმართეს. მიუხედავად მკაცრი სიცივისა, ხუცესმა ბავშვები მდინარეში ჩაიყვანა და ნათლობის საიდუმლო შეასრულა. ამ დროს მოხდა სასწაული: წყალი გათბა და ყრმებმა ნათლის ანგელოზები იხილეს. რწმენაში განმტკიცებული ბავშვები ქრისტიანებთან დარჩნენ.

წარმართმა მშობლებმა შვილების გაქრისტიანება რომ შეიტყვეს, ტაძრიდან ძალით გამოიყვანეს ისინი. ტანჯვა-წამების შემდეგ შვიდი დღე მშიერ-მწყურვალი ამყოფეს, მაგრამ ვერანაირმა მცდელობამ ვერ აიძულა ბავშვები ქრისტიანობა უარეყოთ.

წარმართებმა მათი ჩაქოლვა გადაწყვიტეს. ხალხი შეიკრიბა მდინარე მტკვრის სათავესთან, სადაც ბავშვებმა ნათელიღეს, დიდი ორმო ამოთხარეს და ყრმები შიგ ჩაყარეს. პირველად მშობლებმა აიღეს ქვები ბავშვების ჩასაქოლად. მათ სხვებმაც მიბაძეს და მალე ორმო ქვებით აივსო.

წარმართებმა ხუცესიც სიკვდილის პირას მიიყვანეს, გაძარცვეს და ნაძარცვი თავად გაინაწილეს.

ეს ამბავი მოხდა ახ. სტ. 7 მარტს, V საუკუნეში. ეწამა 8 წლამდე ასაკის 9 ბავშვი — გურამი, ადარნასე, ბაქარი, ვაჩე, ბარძიმი, დაჩი, ჯუანშერი, რამაზი და ფარსმანი.

ამ დღეს მართლმადიდებელი ეკლესია მოიხსენიებს მათ წმინდა სულებს.

***ანა ჩხეიძე***



ქრისტიანული ეკლესიის დიდმოწამის, წმიდა გიორგის „ცხოვრების" თავდაპირველი ვერსიით, სპარსელი მეფე დადიანი (V—V ს.ს.-ით დათარიღებული ბერძნული ფრაგმენტი ინახება ქ. ვენის მუზეუმში) და მოგვი ათანასე შვიდი წლის განმავლობაში აწამებდნენ გიორგის. წმიდანის სიკვდილის შემდეგ სპარსელ მეფეს კლავს ღვთის მიერ ზეციდან მოვლენილი ალი.

V საუკუნის დასასრულისთვის ეს რედაქცია ეკლესიამ აპოკრიფულად ჩათვალა და V საუკუნიდან სპარსელი დადიანი რომის იმპერატორმა დიოკლეტიანემ შეცვალა. წმიდა გიორგის ცხოვრების უძველესი რედაქცია ქართულ ისტორიულ წყაროში „დადიანესის" სახელით არის ცნობილი. ე.ი. V საუკუნის ხატებზე, თუკი ასეთი იარსებებდა, გამოსახული იქნებოდა არა რომის იმპერატორი დიოკლეტიანე, არამედ ირანის შაჰი.

წებელდის ხატზე (კოდორის ხეობის სოფელი), რომელიც ჩემ მიერ ახ.წ.-ით 325 წლის ახლო პერიოდით არის დათარიღებული, გამოსახულია წმიდა გიორგი, რომელიც კლავს სპარსელ მეფეს. მეფის გამოსახულების შესწავლით გამოვლინდა, რომ ის არის ირანის შაჰი, სასანიანი ვარახრანი, რომელიც მეფობდა ახ.წ. 274-276 წლებში. ხატზე არსებული სამენოვანი წარწერებიდან ამჯერად ყურადღებას იპყრობს არამეული ანბანის ფალაური ნაისახეობით შესრულებული წარწერები: „მლ/ქა?/" — მეფე დადი/ან?/. მეფის საიდენტიფიკაციო ნიშნებია: 1. სხივისებური გვირგვინი და მასზე გამოსახული მითური „სენმურვი". სხივისებური გვირგვინი ვარახრან I-ის ინდივიდუალური გვირგვინი იყო. გარკვევით ჩანს უფლის მიერ მოვლენილი ზეციური ალის სიმბოლური გამოსახულება — ღუზისმაგვარი ჯვარი, რომელიც კარგად არის ცნობილი ქრისტიანულ სიმბოლიკაში. მას „კატაკომბების ჯვარი" ეწოდება და გამოიხატებოდა IV საუკუნემდე.

ამრიგად, წებელდის ხატი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ისტორიისა და მარტიროლოგიის კარდინალურ საკითხთა გარკვევის და წმიდა გიორგის წამების ჭეშმარიტი თარიღის დასადგენად. ვარახრან -ის გამოსახულება, აგრეთვე, მნიშვნელოვანია სასანიანთა ირანის ისტორიისთვისაც.

***გურამ ნარსიძე***

ქართულმა მასმედიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გასულ კვირას, სვეტიცხოვლის გალავანთან მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების გამო მომხდარ დაპირისპირებას ძეგლთა დაცვის სამმართველოსა და ტაძრის წინამძღვარს შორის. აღდგენით სამუშაოებს ხელმძღვანელობს წინამძღვარი — არქიმანდრიტი იოაკიმე.

სვეტიცხოვლის კარიბჭის მარცხნივ შენდება სამრეკლო. ძეგლთა დაცვის სამმართველოს აზრით, სამუშაოს იმგვარად წარმართვა, როგორითაც იგი მიმდინარეობდა, გამოიწვევდა გალავნის დანგრევას. ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოში, დახურულ კარს მიღმა, ერთმანეთს შეხვდნენ დაპირისპირებული მხარეები. შეხვედრას ესწრებოდა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია .

კომენტარი ვთხოვეთ ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსს ბატონ ლერი მეძმარიაშვილს და მამა ბესარიონს.

**ლერი მეძმარიაშვილი**: ორივე მხარე შევთანხმდით, გავარკვიეთ ბუნდოვანი საკითხები. იმედი მაქვს, ძეგლის ინტერესებიც დაცული იქნება და ახალი სამრეკლოც იმავე ადგილზე აშენდება. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ თანამშრომლობით ყველაფრის გაკეთება შეიძლება.

**— გამოდის, რომ არც ისე საგანგაშოდ ყოფილა საქმე.**

— ვერ ვიტყვი, არ იყო-მეთქი... რომ არ გვეაქტიურა, შესაძლებელია, კარიბჭე დღეს დანგრეული ყოფილიყო (გალავანს, სადაც ახლა სამრეკლო შენდება, დატანებული აქვს შედარებით მომცრო კარიბჭე, — **მ.გ.**). ბოროტი განზრახვით კი არა, იმის გამო, რომ ალბათ სურდათ, უფრო სწრაფად გაეკეთებინათ საქმე. სპეციალისტებთან შეუთანხმებლობა ძეგლის დაღუპვას ნიშნავდა, რისი უფლებაც არ გვქონდა.

**მამა ბესარიონი**: ძეგლთა დაცვისა და საეკლესიო ხელოვნების საბჭოს ერთობლივ სხდომაზე დაამტკიცეს სვეტიცხოვლის ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი. განზრახული იყო სამრეკლოს აშენებაც. სამუშაოები პროექტის მიხედვით მიმდინარეობდა მამა იოაკიმეს ხელმძღვანელობით. ძეგლთა დაცვის სამმართველოს პრეტენზია არასდროს გამოუთქვამს. ხშირად, უშუალოდ საქმის წარმოების დროს, გარკვეული გაუთვალისწინებელი გარემოებები იჩენს ხოლმე თავს. რისი მოგვარებაც შესაძლებელია. რესტავრაციას თავისი სპეციფიკა აქვს, სრულ პროექტს წინასწარ ვერ გაამზადებ. ადგილზე რა გამოჩნდება, შემდეგ იმისდა მიხედვით ხდება კორექტირება. სწორედ ასე შეთანხმებულად ვმუშაობდით. სხვათა შორის, ლერი მეძმარიაშვილს ისიც უთქვამს, — იმის გაკეთებას, რაც მამა იოაკიმემ შეძლო, ჩვენი სამი თაობა ვერ გაართმევდა თავსო.



ახლანდელი გაუგებრობა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: პროექტი ითვალისწინებდა გალავნის კარიბჭის შენარჩუნებას და მასზე სამრეკლოს დაშენებას. დაიწყეს მუშაობა. აღმოჩნდა, რომ კედლები თიხით იყო ამოლესილი, ამიტომ ფუყე გამოდგა. კედლის ნაწილი მოსახსნელი გახდა, მაგრამ საქმის სრული კონტროლი ვერ მოხერხდა — ძეგლთა დაცვის წარმომადგენლებმა ჩასვლა დაიგვიანეს და კედელი საჭიროზე მეტი მოინგრა. მაგრამ ამას დიდი უბედურება არ მოჰყოლია, დროულად მოხდა ამის დაფიქსირება და მოვილაპარაკეთ, რომ შემდგომში უფრო შეთანხმებულად იმუშავებენ ძეგლთა დაცვა და ეკლესია.

მამა იოაკიმემ კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

სვეტიცხოვლის სამრეკლოსთან დაკავშირებით ერთი ისტორიული ფაქტიც შევიტყვეთ: ტაძარს თურმე ორი სამრეკლო ჰქონია. ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობას, თუ როდის დაინგრა ერთ-ერთი მათგანი. მეორე სამრეკლოს ზედა ნაწილი კი 1826 წელს ჩამოქცეულა და 8 წლის ბიჭის სიცოცხლე შეუწირავს (თქვენი არ ვიცი, და სულში სურამის ციხე და „შვილო ზურაბ" გახმიანდა რატომღაც... ის 8 წლის ბიჭი ახლა ალბათ უფლის მხედრიონშია დავანებული). მსხვერპლის გამო გუბერნატორ ხოვენს უთხოვია ეგზარქოს იონასთვის, — სამრეკლო, ქართველ მეფეთა ყოფილი სასახლის მაღალ კედლებთან ერთად, მთლიანად დაეშალათ, რადგან მათი ჩამონგრევის საშიშროებაც ყოფილა.

სხვათა შორის, ამ სასახლის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერენ. სასახლე 1020 წელს აღადგინა მელქისედექ კათალიკოსმა. იგი XV საუკუნეში თემურ-ლენგს დაუნგრევია. XV საუკუნეში კი კვლავ აღუდგენიათ ქართველებს, მაგრამ შაჰ-აბასს ისევ გაუცამტვერებია (მაინც რამდენი გვაქვს გადატანილი, ალბათ იმიტომ ვუძლებთ ასე შემართებით დღევანდელ ყოფას).

სამრეკლო და სასახლის კედლები მართლაც დაუშლიათ. ახლის აგება კი ველარ მოხერხებულა. ახლანდელი მშენებლობა სწორედ იმ ადგილზე მიმდინარეობს, სადაც ერთ-ერთი სამრეკლო მდგარა.

**ბოლოთქმის მაგიერ:** სვეტიცხოვლის დედატაძრის ეზოში დედოზარი გარინდულა. ელოდება იმ ბედნიერ წუთს, როცა მძლავრად დაიგუგუნებს ქართველთა რწმენის განსამტკიცებლად.

***მამუკა გიორგაძე***




# ნუგზარ შევარდნაძე $150.000 „გადააგდეს“...

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რომ იტყვიან, „ჩეჩქად დაიყარა“ კერძო ბანკები. თუმცა, ბევრმა მათგანმა დროის გამოცდას ვერ გაუძლო და „მოღვაწეობა“ გაკოტრებით დაასრულა. სამაგიეროდ, მათმა საპირისპირო ნაწილმა, მავანთა „კრიშობით“ თუ სწორი საბანკო პოლიტიკით, „ფართოდ გაშალა ფრთები“, მძლავრი ფინანსური იმპერია შექმნა და ახლა იმ კომპანიების „გაკოტრებით ერთობა“, რომლებმაც ბანკიდან აღებული კრედიტის დაფარვა ვერ შეძლეს.

ზემოხსენებული კატეგორიის ბანკები მიზეზთა გამო, ხშირად სკანდალებში ეხვევიან, რაც უმეტეს შემთხვევაში ბანკის მოწინააღმდეგის არცთუ სასიამოვნო შედეგით მთავრდება. მაგალითისთვის „საფოსტო ბანკისა“ და ტელეკომპანია „იბერიის“ დაპირისპირებაც კმარა, რომლის „ფინალსაც“ უახლოეს მომავალში შეიტყობს საზოგადოება. ნახსენებ „საფოსტო ბანკზე“ არაერთგვაროვანი აზრია შექმნილი მოსახლეობაში. დამეთანხმებით, ბევრ ჩვენგანში, აღნიშნული ბანკის ხსენება, გვინდა თუ არა, ფრიდონ ინჯიასთან ასოცირდება, რომელიც გაურკვეველ (ვისთვის კი გარკვეული) მიზეზთა გამო „წილიდან მოტეხეს“. მავანნი ამას ინჯიას ოპოზიციონერობითა და ბანკის ამჟამინდელი ხელმძღვანელის სერგო იაკობიძის პრეზიდენტის ოჯახთან ახლობლობით ხსნიან. სამწუხაროდ, ამის გარკვევა ჩვენს ძალებს აღემატება, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება, ინჯიას ხელში „გამოჩეკილმა“ „საფოსტო ბანკმა“ კავშირგაბმულობის ექს-მინისტრის „მამობაზე“ უარი განაცხადა, ინჯიას „კრიშობით“(?) საკუთარი იმპერია ააგო და ახლა სხვას უწევს „ლობირებას“. თუმცა, ტელეკომპანია „იბერიის“ მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ არცთუ კარგი „აღმზრდელი“ ყოფილა, რადგან მოკლე ხანში „შვილის“ გაყიდვას აპირებს (სიჯიუტის გამო).



ბანკებთან დაკავშირებულ საკითხებზე (და არა მარტო) ვესაუბრებით „საფოსტო ბანკის“, „თბილკომბანკის“ და ამჟამად გაუქმებულ „არმაზბანკის“ ადვოკატ **ლაშა ჭიჭინაძეს**.

*— ბატონო ლაშა, „საფოსტო ბანკის“ ერთ-ერთი მეწილე იყო ფრიდონ ინჯია, რომელიც რატომღაც თამაშგარე სიტუაციაში აღმოჩნდა. რატომ მოხდა ეს?*

— ფრიდონ ინჯია არასოდეს ყოფილა „საფოსტო ბანკის“ დამფუძნებელი, ანუ ის არ ფლობდა საწესდებო კაპიტალში არც ერთ აქციას. უბრალოდ, ბანკი კავშირგაბმულობის სამინისტროს მიერაა დაფუძნებული, იმ დროს კი მინისტრის პოსტი ბატონ ინჯიას ეკავა.

*— ე.ი. ბანკს პირველი ნაბიჯებისას ლობირებას ინჯია უწევდა?*

— ვფიქრობ, ლობირება არაზუსტი განმარტებაა. უბრალოდ, თანხა, საწესდებო კაპიტალისთვის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ჩადო.

*— გარდა ამისა, ბანკის ერთ-ერთი აქციონერი სააქციო საზოგადოება „ეგრისიცაა“, რომლის დამფუძნებელიც ფრიდონ ინჯია გახლავთ...*

— ეს არაფერს ცვლის. რაც შეეხება თქვენი კითხვის ქვეტექსტს ლობირების შესახებ, გეტყვით, რომ „საფოსტო ბანკის“ ლობი, თავად „საფოსტო ბანკია“.

*— და სხვისიც, მაგალითად, ტელეკომპანია „იბერიის“.*

— ჩვენ უბრალოდ ერთ-ერთი დამფუძნებლები ვართ „იბერიისა“, რომლის აქციების 50%-საც ვფლობთ. თუმცა ცნობილ მიზეზთა გამო მიმდინარეობს დავა 35%-ის ჩამორთმევაზე.

ცნობისათვის: ტელეკომპანია „იბერიის“ პარტნიორებს „საფოსტო ბანკიდან“ დაახლოებით 250 000 აშშ დოლარი კრედიტი აქვთ აღებული, რომელსაც ვადის დადგომის მიუხედავად ვერ ან არ იხდიან. „იბერიის“ დამფუძნებელთა ნაწილმა კახა გაგლოშვილი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა და მის ნაცვლად კახა კვინიხიძე დანიშნა. თუმცა ეს უკანასკნელი შენობაში არ შეუშვეს. კვინიხიძეს შუამდგომლობით „იბერიას“ რამდენიმე დღით მაუწყებლობა შეუწყდა. ამის საპასუხოდ ტელეკომპანიის პრეზიდენტმა კახა გაგლოშვილმა „საფოსტო ბანკის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და ზარალის (500 ათასი ლარი) ანაზღაურებას მოითხოვდა. სასამართლომ მოსარჩლის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბანკს 250 ათასი ლარის გადახდა დააკისრა კახა კვინიხიძესთან ერთად. თუმცა მოპასუხე, ანუ „საფოსტო ბანკი“ იმედს იტოვებს, რომ უახლოეს მომავალში ზემდგომი სასამართლო ინსტანციის ძალით აქციებს დაიბრუნებს და მეტიც, მთლიანად ჩაიგდებს ხელში აქციების პაკეტს.

**ლაშა ჭიჭინაძე:** — კახა და ვლადიმერ გაგლოშვილების გარდა (ტელეკომპანიის პრეზიდენტი და საფინანსო განყოფილების უფროსი), ბანკიდან კრედიტი (130 ათასი აშშ დოლარი) „იბერიის“ ერთ-ერთ თანამშრომელს, დავით ბერსენაძესაც აქვს გატანილი, რომელსაც გარანტად ტელეკომპანია უდგას. გადახდისუნარიანი არც ეს კრედიტორი გახლავთ. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, რომ უახლოეს მომავალში გაგლოშვილების ხელთ არსებული წილი აუქციონზე იყიდოს. აუქციონში მონაწილეობას „საფოსტო ბანკიც“ აპირებს და ვფიქრობთ, რომ შევძლებთ წილის ყიდვას.

*— მოკლედ, კრედიტის გადაუხდელობას ბევრი კომპანია გაკოტრებამდე მიჰყავს. ჩემი ინფორმაციით, ურჩი გადამხდელები არც „თბილკომბანკს“ აკლია. მაინც ვის აქვს ბანკის სოლიდური ვალი, ანუ ვის ფიასკოს უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში?*

— მოელის თუ არა „თბილკომბანკის“ კრედიტორ კომპანიებს ფიასკო, ჯერ ვერ განვსაზღვრავთ. რაც შეეხება იმ კომპანიებს, რომელთაც გადახდის ვადა დაუდგათ. ესენია შ.პ.ს. „ბიგი“ — 194 ათასი აშშ დოლარი, „რუსთავი-ვობი“, დაახლოებით ნახევარი მილიონი აშშ დოლარი, „თბილნავთობ პროდუქტი“ — 249 ათასი აშშ დოლარი, „საქგვირაბმშენი“ — 117 ათასი აშშ დოლარი... ვალის გადახდა მათ სასამართლოს ძალით აქვთ დაკისრებული („რუსთავი-ვობის“ გარდა). გადაუხდელობის შემთხვევაში ისინი ალბათ „იბერიის“ ბედს გაიზიარებენ.

*— „თბილკომბანკის“ „კრიშად“ შევარდნაძის მძახალს ზურაბ ახვლედიანს ასახელებენ, რამდენად რეალურია ეს ხმები?*

— რამდენადაც ვიცი, ზურაბ ახვლედიანს „თბილკომბანკში“ პირდაპირი წილი არ აქვს. თუმცა ძნელია ასე ხელაღებით რამის უარყოფა ან დადასტურება. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ ახვლედიანის „კრიშობაზე“ რამდენიმე ბანკის თანამშრომლისგანაც მსმენია.

*— ბატონო ლაშა, რამ გამოიწვია „არმაზიბანკის“ გაკოტრება?*

— „არმაზიბანკს“ თავის რესურსების უდიდესი ნაწილი ინვესტირებული ჰქონდა სააქციო საზოგადოება „კარდენახში“, რომლის ყოფილი ხელმძღვანელი თემურ გულიაშვილი აღმოჩნდა არაკეთილსინდისიერი მეწარმე და პარტნიორი. მისი ხელმძღვანელობით ქარხანა ფაქტობრივად გაკოტრებამდე მივიდა. გულიაშვილმა ბევრი პიროვნების „გადაგდება“ მოახერხა. მათ შორის პრეზიდენტის ძმიშვილის ნუგზარ შევარდნაძის, რომელსაც 150 ათას დოლარად, გაყალბებული საბუთებით მიჰყიდა ღვინის მინი-ქარხანა „წარაფი“.

*— როგორც ცნობილია, ნუგზარ შევარდნაძემ იმის ნაცვლად, რომ სასამართლოსთვის მიემართა, საქმეში კანონიერი ქურდები ჩარია. ამის შესახებ რას იტყოდით?*

— ვერ გეტყვით, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა რა პირობით მოხდა, თუმცა არც ქუჩურ გარჩევას გამოვრიცხავ, თან ზოგიერთ შემთხვევაში ამ გზით უფრო სწრაფად.

*— „არმაზიბანკსა“ და გულიაშვილს შორის როგორ განვითარდა მოვლენები?*

— დღესდღეობით გულიაშვილზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ქონების დიდი ოდენობით დატაცებასთან დაკავშირებით და იგი იძებნება. რაც შეეხება თავად სააქციო საზოგადოება „კარდენახის“ ვალს, „არმაზიბანკს“ ვალების ნაწილში, სათანადო წესით საწესდებო კაპიტალის საკონტროლო პაკეტი გადმოეცა, მაგრამ გულიაშვილი ვერ ეგუება მარცხს და „არმაზიბანკს“, დღეს უკვე შ.პ.ს. „არმაზი-98“-ის წინააღმდეგ ბრძოლას სხვა აქციონერების საშუალებით აგრძელებს.

როგორც ხედავთ, უახლოეს მომავალში საკმაოდ საინტერესო მოვლენების მოწმენი გავხდებით. გაკოტრებული კომპანიების მრავალრიცხოვან სიას კიდევ ბევრი მათგანი შეუერთდება. მიზეზი კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვალის გადაუხდელობაა.

რაც შეეხება ბანკებს, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში უამრავი კერძო ბანკია, ყველაზე მეტად ბედმა ხუთ მათგანს გაუღიმა. ესენია: „თიბისი ბანკი“, „თბილკომბანკი“, „თბილკრედიტ ბანკი“, „თბილუნივერსალ ბანკი“ და „ინტელექტ ბანკი“. ხუთივე მათგანს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან კრედიტები აქვთ აღებული („თიბისი ბანკი“, „თბილკომბანკი“, „თბილკრედიტ ბანკი“ — 3 მილიონი აშშ დოლარი, „ინტელექტ ბანკი“ — 2 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო „თბილუნივერსალ ბანკი“ — 1 მილიონი აშშ დოლარი). ამის გარანტად კი სახელმწიფო დგას. პირველი გადახდის თარიღი აღნიშნულ ბანკებს მიმდინარე წელს უწევთ. როგორც ხედავთ, ბანკებს კრედიტორების უმრავლესობა თანხებს ვერ უხდის, რაც გარკვეულწილად ბანკების გაკოტრების საშიშროებას ქმნის. ამ შემთხვევაში კი კრედიტის დაფარვა სახელმწიფოს მოუწევს. აქვე ნუ დაგვავიწყდება, რომ სახელმწიფოს საგარეო ვალი თითქმის 2 მილიარდ დოლარს აღწევს.

„კვირის პალიტრა“ მომავალშიც გააგრძელებს მოკვლევას ბანკების საქმიანობის შესახებ, რომელსაც, რაღა თქმა უნდა, ჩვენი მკითხველიც გაეცნობა.

**ზურა ქაჩლიშვილი**

# „აჭარის კონსტიტუცია გაიყიდება და ვისაც სურვილი აქვს, მაღაზიაში შეიძინოს“

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირების, ბრალდებების თუ მოთხოვნა-ულტიმატუმების სპექტრიც შესაბამისად უფრო გლობალურ მასშტაბებს იძენს.

წინასაარჩევნო მარათონი როგორც წესი, ალბათ, თანდათან უფრო გამწვავდება. საარჩევნო კანონში მთელი რიგი ცვლილებების მიუხედავად, აჭარა კვლავ კატეგორიულად მოითხოვს ამომრჩეველთა მარკირებას იმ მოტივით, რომ თავიდან იქნას აცილებული არჩევნების გაყალბების შესაძლებლობა. ამ იდეას ასეთივე კატეგორიულობით ეწინააღმდეგება ცენტრი, რომელსაც, ცხადია თავისი არგუმენტაცია გააჩნია — მოსახლეობას შეურაცხყოფას ვერ მივაყენებთ და საღებავებით ვერ დავდაღავთო. ამ შეუთანხმებლობის ფონზე წინასაარჩევნო დღის წესრიგში აჭარის ინიციატივით ჩნდება კიდევ ერთი საკითხი საქართველოს კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დაფიქსირების შესახებ. საქართველოს პრეზიდენტი წინააღმდეგი არ არის. ამდენად, თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა იყოს, მაგრამ... მოულოდნელად საქართველოს პარლამენტმა რეგიონის კონსტიტუციის გაცნობა მოისურვა. აღმოჩნდა, რომ ცენტრს აქამდე აჭარის კონსტიტუცია თვალით არ ენახა.

**ვიტალი ხაზარაძე** — პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი:

— აჭარის ხელისუფლებამ ეს თემა წამოსწია, მე ვიტყოდი, არა მთლად სახელმწიფოებრივი მიზნით. ჩემი აზრით, აქ აჭარის ხელისუფალთა ინტერესი უფროა, როდესაც საკითხი პირველად დაისვა, იურიდიული კომიტეტის სახელით თხოვნით მივმართე აჭარის უზენაეს საბჭოს, რომ ჩვენთვის გამოეგზავნათ რეგიონის მოქმედი კონსტიტუციის ერთი ეგზემპლარი მაინც. მივიღე ძალიან ვრცელი წერილი, რომელსაც ხელს ასლან აბაშიძე აწერს. წერილში წერია, რომ 1995 წლის კონსტიტუციის ამოქმედების შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებები, რის გამოც სრულყოფილი სახით მისი პოლიგრაფიული გამოცემა ვერ მოხერხდა. კონსტიტუციის სრულყოფილი სახით პოლიგრაფიული გამოცემის შემდეგ 500 ეგზემპლარი საჩუქრად გამოეგზავნება საქართველოს პარლამენტს და სახელმწიფო კანცელარიასო. ალბათ ელოდებიან საქართველოს კონსტიტუციაში როდის დაფიქსირდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და თავიანთ კონსტიტუციას მხოლოდ ამის შემდგომ დაბეჭდავენ. საერთოდ, ეჭვიანი კაცი არა ვარ, მაგრამ ვფიქრობ, რომ კიდევ ძალიან ბევრ ცვლილებას შეიტანენ, არგუმენტად კი თავიანთ კონსტიტუციას მოიშველიებენ. როგორც ვიცი, აჭარის კონსტიტუცია დიდ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მოქმედ კონსტიტუციასთან.

*— თქვენ წინა პარლამენტშიც იყავით და მაშინ თუ მოითხოვა ვინმემ აჭარის კონსტიტუცია?*

— მაშინ დღის წესრიგში არ იდგა ეს საკითხი. ამიტომ არც არავინ დაინტერესებულა. როდესაც საკითხი დაისვა, შესაბამისად გაჩნდა ეჭვიც. ავტონომიას რომ აძლევ, ბუნებრივია, უკვე გაინტერესებს რა წერია მათ კონსტიტუციაში. ლოგიკურია, არა?

*— თქვენ ამბობთ, რომ ხელში ვერ ჩაიგდეთ აჭარის კონსტიტუცია. ამავე დროს აცხადებთ, რომ იგი წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან. პარლამენტისთვის საიდან გახდა ცნობილი ეს შეუსაბამობა?*

— შინაგანად ეჭვი მაქვს, რომ ეს ასეა, რადგან როდესაც ცენტრსა და აჭარას შორის რაიმე სადავო ხდება, ისინი აცხადებენ, ჩვენი კონსტიტუცია გვაძლევს ამის უფლებასო. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ კონსტიტუციაში არსებობს ისეთი ჩანაწერები, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანულ კანონებს.

*— დავუშვათ, ცენტრი ვერ გაეცნო აჭარის კონსტიტუციას, ასეთ შემთხვევაში სტატუსი მაინც დაფიქსირდება?*

— როგორ შეიძლება ლაპარაკი იყოს კონსტიტუცის ძირითადი სუბიექტისთვის სტატუსის დაფიქსირებაზე და მათ კანონებს კი არ ვიცნობდეთ.

*— მაგრამ თუ ცენტრისთვის აჭარის კონსტიტუცია საერთოდ მიუღებელი იქნება, მაშინ რა მოხდება?*

— საკითხი განხილვას დაექვემდებარება. კონსენსუსის გარეშე რაიმე გადაწყვეტილების მიღება უბრალოდ შეუძლებელია.

*— სტატუსის დაფიქსირების თვალსაზრისით მხოლოდ აჭარაზეა საუბარი თუ შესაბამისად აფხაზეთზეც?*

— თავისთავად ცხადია. დღის წესრიგში დადგება ერთიანი საქართველოს ფარგლებში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის საკითხიც. ხომ არ შეიძლება, რომ მხოლოდ აჭარაზე იყოს ლაპარაკი? ეს კი დიდ სირთულეებს გვიქმნის. მოგეხსენებათ, აჭარის ხელისუფლებასთან გაცილებით მარტივია ამ თემაზე საუბარი, ვიდრე აფხაზეთის ხელისუფლებასთან. არადა მათი განცალკევება არასასურველი და არაკორექტულიც კი არის. ასე რომ, აჭარის ხელისუფლებამ გარკვეული უხერხულობა შეგვიქმნა. თუმცა, ვფიქრობ, საქართველოს პრეზიდენტი სწორად მოიქცა, როცა დათმობაზე წავიდა და თემას ბლოკირება არ გაუკეთა. ხოლო, რას იზამს პარლამენტი, ამას შემდგომ დავინახავთ.

*— „აღორძინება“ კვლავ კატეგორიულად მოითხოვს ამომრჩეველთა მარკირებას. როგორ ფიქრობთ, მიაღწევთ შეთანხმებას?*

— ცენტრი იცავს საზოგადოების აზრს პარლამენტში. საზოგადოებრივი აზრი კი ამასთან დაკავშირებით აბსოლუტურად უარყოფითია. მარკირება ეს არის პიროვნების ეჭვქვეშ დაყენება. ე.ი. ყველა ამომრჩეველს ვთვლით პოტენციურ თაღლითად და ვეუბნებით, მოდი, უნდა დაგდაღო, რათა კიდევ სხვაგან არ წახვიდეო. ვინც ამას ვერ აცნობიერებს, მისთვის შესაძლოა, ყურის მოჭრაც არ იყოს შეურაცხყოფა. მარკირებით დავკარგავთ ძალიან ბევრ ამომრჩეველს, ამან კი შეიძლება საფრთხე შეუქმნას არჩევნების ჩატარება-არჩატარებას. გარკვეულ პოლიტიკურ ძალებს ალბათ სწორედ ეს სურთ. მოსახლეობის მარკირება გამორიცხულია.

**ვალერი გელბახიანი** — „აღორძინების“ ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი:

— მაოცებს მმართველი პარტიის არგუმენტები იმის შესახებ, რომ მარკირება ხალხის შეურაცხყოფაა, ხალხი ცხვარი არ არის და არ შეიძლება, რომ დადაღო; დანიშნო და ა.შ. ეს არის უფერული საღებავი და მისი გამოყენების პრაქტიკა მთელ მსოფლიოში არსებობს. ამერიკის ვერც ერთ ღამის ბარში და, სხვათა შორის, ვერც სავალუტო ფონდში ვერ შეხვალთ მარკირების გარეშე. მრავალ ქვეყანაში კი ამ მეთოდს არჩევნებშიც წარმატებით იყენებენ. ერთი მითხარით, ხალხის ხმებს რომ აყალბებენ, ეს არ არის შეურაცხყოფა? თუ არადა, როგორ ფიქრობთ, ერთხელ შეურაცხყოფა არ სჯობია მერე მთელი 4 წელი უხელფასოდ, უპენსიოდ, უშუქოდ, უგარანტიოდ და უიმედოდ ცხოვრებას? ე.ი. ეს ყველაფერი ღირსებად ითვლება და მხოლოდ უფერული საღებავის წასმა შეურაცხყოფად?

*— ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ მარკირების შესახებ შეუთანხმებლობის შემთხვევაში თავის კანდიდატურას მოხსნის.*

— ბატონი ასლანი თუ არ მოხსნის კანდიდატურას, ჩვენ თავად შევეცდებით, დავარწმუნოთ, რომ ასეთ სიტუაციაში არჩევნებში მონაწილეობას არანაირი აზრი არ აქვს.

*— შესაბამისად ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურის მოხსნის საკითხიც ხომ არ დადგება?*

— ეს თვითონ ბატონი ჯუმბერის გადასაწყვეტია.

*— ე.ი. თქვენი მოთხოვნა მარკირებასთან დაკავშირებით კატეგორიულია?*

— დიახ, ეს არის და იქნება ჩვენი შეუცვლელი პოზიცია.

*— მაგრამ ასევე კატეგორიულია უმრავლესობა საწინააღმდეგო მოსაზრებით...*

— მოდით, ბარემ ვთქვათ, რომ უმრავლესობა მარკირების კი არა, გაყალბების მექანიზმის გაუქმების წინააღმდეგია.

*— მარკირების პარალელურად თქვენი მხრიდან წამოიჭრა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის დაფიქსირების საკითხიც. მაინცდამაინც არჩევნების წინ რატომ წამოწიეთ ეს თემა?*

— თავის დროზე, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია შეიქმნა, ერთ-ერთი თავი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ, განხილვიდან ამოღებულ იქნა იმ მოტივით, რომ სულ მალე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაიწყებოდა და უპრიანი იქნებოდა ეს საკითხები ერთად განხილულიყო. მაშინ ამ იდეის ავტორები აცხადებდნენ, რომ გაერთიანების პროცესი მაქსიმუმ ორ წელიწადს გასტანდა, მაგრამ როგორც ხედავთ, კვლავ ჯერჯერობით უპერსპექტივოდ გამოიყურება. თუ ასე გაგრძელდა, რა თქმა უნდა, აჭარის ავტონომიასაც საფრთხე დაემუქრება. მით უმეტეს, რომ მმართველი ძალა არა მხოლოდ ქმედებებით აფიქსირებს, არამედ ხმამაღლაც გამოთქვამს საერთოდ ავტონომიების გაუქმების სურვილს. გარდა ამისა, უფრო მეტს გეტყვით, ის კამპანია, რომელიც წამოწყებული იყო ვითომ „აღორძინების“, როგორც პოლიტიკური ძალის წინააღმდეგ, პრაქტიკულად მიმართული იყო სწორედ ავტონომიის საწინააღმდეგოდ. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს, ვინაიდან სწორედ შევარდნაძეა ის პიროვნება, რომლის მმართველობის პერიოდშიც საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებში მოხდა კატასტროფული გარღვევა ანუ სამი მოქმედი ავტონომიიდან ორი დაიკარგა, ამიტომ ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე თუ ვადის გაგრძელებამდე სწორედ შევარდნაძემ უნდა იკისროს პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე. „დე ფაქტოდ“ არსებული ავტონომია ყოველთვის ხდება ქვეყანაში მუდმივი ესკალაციისა და გაუგებრობის საგანი. აი, ამან გამოიწვია ის, რომ აღნიშნული საკითხი არჩევნების წინ წამოვწიეთ. საქართველოს პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა იდეას და უნდა ითქვას, რომ ამ ინიციატივით დღემდე დაშვებული შეცდომები გამოასწორა.

*— ამბობენ, რომ აჭარის კონსტიტუცია შეუსაბამობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან.*

— ამას უცოდინარები ამბობენ. როგორ შეიძლება, ცენტრის და რეგიონის კონსტიტუციები ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს?

*— ცენტრი აცხადებს, რომ ხელში ვერ ჩაიგდო აჭარის კონსტიტუცია.*

— თავის ბრალია, თუ ვერ ჩაიგდო. თუმცა მე ვიცი, რომ ძალიან ბევრს აქვს და ახლა ტყუილ აჟიოტაჟს ქმნის.

*— არის ეჭვი, რომ აჭარის კონსტიტუციის დაყოვნება ხდება მასში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიზნით.*

— დაახლოებით ერთი კვირის წინ ბათუმში ჩატარდა სესია, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ 20 მარტამდე მოხდეს აჭარის კონსტიტუციის თავიდან ბოლომდე კორექტირება.

*— ამის შემდეგ აჭარის კონსტიტუცია თბილისშიც ჩამოვა?*

— იცით რა, თავისით არაფერი არ ჩამოვა, გაიყიდება და ვისაც სურვილი ექნება მაღაზიაში შეიძინოს.

*— არ იცით, რომ აჭარის ხელმძღვანელობა ცენტრს 500 ეგზემპლარის ჩუქებას დაჰპირდა?*

— არ ვიცი. ეგ მათი ნებაა, მაგრამ მე, პირადად, არ ვაჩუქებდი. ჩვენ რა, გვჩუქნიდნენ? ვყიდულობდით ან ვიწერდით და ამაშიც ფულს ვიხდიდით.

*— რამდენი ეღირება აჭარის კონსტიტუცია?*

— არ ვიცი, ალბათ ერთი ლარი.

*— რომ იძვირონ?*

— რატომ უნდა იძვირონ? მოკლედ, ესენი შარზე არიან. ყველაფერში შარს ეძებენ.

**ხათუნა ყვირალაშვილი**

# ქართველებს და აფხაზებს ერთობლივი ენერგომაფია ჰქონიათ?!



ნათქვამია, მღვრიე წყალში ბევრ თევზს იჭერენო. გამონაკლისი ამ მხრივ არც ქართულ-აფხაზური კონფლიქტია. ისე, ვინ იცის, იქნებ სწორედ მღვრიე წყლის ბრალია, კონფლიქტი დღემდე რომ ვერ დარეგულირდა. ვერსიები კონტრაბანდისტებსა და მაფიურ კლანებზე, რომლებიც ქართულ-აფხაზურ ჯგუფებს შორის არსებობს, ყოველთვის იყო. ხანდახან, ეს ვერსიები ფაქტებით იყო გაჯერებული. ასეთ საკითხებზე კი რეაგირებას პროკურატურა აკეთებდა (ან არ აკეთებდა) და უშიშროების საბჭოსაც აჰყავდა კონტროლზე.

სულ მალე, აფხაზეთის საკითხთა საპარლამენტო კომისია სხდომის მოწვევას აპირებს. სხდომაზე ენგურჰესი და მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საკითხი განიხილება. კომისიის თავმჯდომარეს ეჭვი აქვს, რომ ენგურჰესის ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი ქართველ და აფხაზ მაფიოზებს შორის სარფიანად ნაწილდება. საქმის ზოგადი არსი ასეთია: ენგურჰესი დღე-ღამეში მინიმუმ 120 მგვტ-ს გამოიმუშავებს. აფხაზეთის ტერიტორიას კი განათებისთვის 30 მგვტ-იც ჰყოფნის. სად მიდის დანარჩენი ძვირადღირებული პროდუქტი?! ჩვენი დღევანდელი რესპონდენტის თქმით, მისი უმეტესობა საეჭვო ვითარებაში „იკარგება“. უფრო ზუსტად რომ ითქვას, ელექტროენერგია იყიდება როგორც ერთგვარი კონტრაბანდა, რომელსაც „კრიშა“, ალბათ, ხელისუფლებაშიც ჰყავს.

ვესაუბრებით აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს **ვახტანგ ყოლბაიას**.

**— ბატონო ვახტანგ, რა იცით ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თაობაზე.**

— დავიწყებ იმით, რომ ენგურჰესის მნიშვნელობა ქართულ ეკონომიკაში და ხალხის წარმოდგენაში ჯეროვნად არ არის შეფასებული. ენგურჰესის საბაზისო ელექტროსადგურის უნიკალურობა ელექტროენერგიის დეფიციტს საერთოდ გამორიცხავს. დღესდღეობით, ენგურჰესი დაყოფილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებად. ასეთებად მიიჩნევა ვარდნილჰესების კასკადი და ძალოვანი კვანძი — თვით ენგურჰესი. ამ ძალოვან კვანძში დღეს მწყობრშია და მუშაობს სამი აგრეგატი, რომლებიც საშუალოდ 140 მგვტ-ს გამოიმუშავებს. საკვანძო ენგურჰესთან ერთად კი, 800 მგვტ-საც აღწევს. ეს ციფრები შეიძლება ზუსტი არ იყოს, რადგან იგი წყლის დონეზეა დამოკიდებული და ცდომილება ჩემს ციფრებში გამორიცხული არ არის.

**— გამომუშავებული ელექტროენერგია როგორ ნაწილდება?**

— ჩემი ინფორმაციით, პროდუქტის უდიდესი ნაწილი (ასე, 80%) აფხაზეთში ბრუნდება. მისი გადაცემა შემდეგნაირად ხდება: ელექტროენერგია ჯერ ცენტრალურ სისტემაში მოდის, (თბილისში), მერე კი გადაეცემა აფხაზეთს. ე.ი. ცენტრალური სისტემა აწვდის მას.

**— საერთოდ, ენგურჰესის ელექტროენერგიის განაწილების საქმეში რა როლი მიუძღვის პარლამენტს? გასაგებია, რომ ეს პარლამენტის უშუალო კომპეტენცია არ არის, მაგრამ ჰესი კონფლიქტის ზონაში მდებარეობს და პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია.**

— ეს პარლამენტის უშუალო საკითხი მართლაც არ არის, მაგრამ გვერდსაც ვერ ავუვლით. შესაძლოა, ამის გამოა, რომ ექსცესები არ გამოირიცხება. მაგალითად, შარშან პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა ხელშეკრულებას, რომელიც ენგურჰესის რეაბილიტაციისთვის ტრანშის გამოყოფას ითვალისწინებდა. მაშინ ეს პოლიტიკურ შეცდომად იქნა აღქმული, სკანდალის ჟღერადობა მიიღო, და როგორც ვიცი, საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთი ხელმძღვანელი პირი კიდეც გადააყოლეს. მე კარგად მესმის ენგურჰესის ეკონომიკური მნიშვნელობა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ იგი ამ საზღვრებს სცილდება და პოლიტიკურ ჭრილში განიხილება. ჩემი აზრით, ენგურჰესის ელექტროენერგიის განაწილება სწორედ პოლიტიკურ დონეზე უნდა გადაწყდეს. ზემოხსენებული ხელშეკრულების რატიფიცირების შემდეგ პარლამენტის ტრიბუნიდან ამაზე აღარავინ საუბრობს. ვისი და რისი ინტერესების გამო ხდება — გამორკვევა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

**— ზემოხსენებული ტრანში გაიცა?**

— კი, გაიცა და თანაც დიდი ოდენობით. მთლიანად 39 მილიონი დოლარი იყო გამოყოფილი. ჯერ რამდენია დახარჯული, არ ვიცი.

**— კონტროლის განხორციელება ხომ მაინც შეგიძლიათ?**

— ძალიან მარტივად გიპასუხებთ: კონტროლს მე კი არა, ვერავინ ვერ ახორციელებს. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ კონტროლი იმ ტერიტორიაზე საერთოდ შეუძლებელია.

**— ე.ი. რა გამოდის?! პარლამენტმა არაკონტროლირებად მხარეს მილიონები ხელში ჩაუგდო?**

— არა, მთლად ასე არ არის. კონტროლი შესაბამის სამსახურებს შორის რაღაც დონეზე ხორციელდება, მაგრამ არასაკმარისად.

**— ზემოთ ახსენეთ, რომ აფხაზეთს საჭიროზე ბევრად მეტი ელექტროენერგია მიეწოდება. არც ამაზე ხორციელდება კონტროლი?**

— ჩემთვის პირადად, არ არსებობს არანაირი ოფიციალური ახსნა, სად მიაქვთ და ვის ჩუქნიან აფხაზები ამდენ ელექტროენერგიას. ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე მეთვალყურეობა ან ცენტრალურ ენერგოსისტემას უნდა დაევალოს ან რაღაც სხვა სამუშაო ჯგუფს.

**— ეს საკითხი ხელისუფლებაში არ დასმულა?**

— არა. რატომ — ვერ გეტყვით. ძლიერი ეჭვი მაქვს, რომ აფხაზები ელექტროენერგიას ქართულ მხარესთან ერთად ყიდიან. სხვა რა შეიძლება ვიფიქროთ? ძვირადღირებულ პროდუქტს ხომ არ გადააგდებენ? სხვათა შორის, ჩემთვის ისიც არის ცნობილი, რომ აფხაზები (უფრო სწორად, იქაური ენერგობოსები) თავისთვისაც არ ხარჯავენ პროდუქტს. იქაურები 24-საათიანი განათებით სულაც არ არიან განებივრებულნი.

**— ამას წინათ, პირად საუბარში ახსენეთ, რომ აფხაზებს ელექტროენერგიით კვების ობიექტები მოემატათ.**

— მე ეს ინფორმაცია მართლაც გამაჩნია. რა თქმა უნდა, სისულელეა ვიფიქროთ, რომ აფხაზური ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგა და ქარხნები და საწარმოები გახსნეს. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს, რომ ელექტროენერგია უკანონოდ იყიდება. ბუნებრივია, ამ საქმეში ისინი მარტონი არ არიან. თუ არსებობს გამრიგებელი, არსებობს მომრიგებელიც. სამწუხაროდ, ბევრი სხვა საკითხის მსგავსად, ამ საკითხის გამორკვევაც სცილდება ჩემს კომპეტენციას. მე, როგორც კომისიის ხელმძღვანელს, მხოლოდ ფაქტების სააშკარაოზე გამოტანა შემიძლია. რეაგირება კი პროკურატურის საქმეა. საერთოდ ენგურჰესი და მისი მიმდებარე ტერიტორია კონტრაბანდის ბუდე რომ არის, ორი აზრი არ არსებობს. აქ ყველაფერს ეზიდებიან — ხე-ტყეს, ფერად და შავ ლითონს, უაქციზო საქონელს და გნებავთ, იარაღსაც. ამ პროცესს ხელს უწყობს ისიც, რომ რუსი სამხედროების მანქანები კონტროლს არ ექვემდებარება. ეს რაც შეეხება კონკრეტულად ტვირთს, ხოლო რაც შეეხება ელექტროენერგიას, როგორც ერთგვარ კონტრაბანდას, კომისიის სხდომის შემდეგ ამ საკითხს ალბათ უშიშროების საბჭო განიხილავს.

**— კონკრეტულ პასუხისმგებელ პირებად ვინ იქნება მოწვეული კომისიის სხდომაზე?**

— სხდომა აუცილებლად იქნება, ალბათ 2-3 კვირაში. მოწვეული იქნება ყველა კომპეტენტური პირი, ვისაც ამ საკითხთან შეხება აქვს. ენგურჰესი დღეს პოლიტიკაა და არა უბრალოდ, მომგებიანი ობიექტი. ჩვენ აფხაზებთან ბევრ შეცდომას ვუშვებთ და ენგურჰესიც ერთ-ერთი ასეთი მომენტია.

**— ელექტროენერგიის გადანაწილების პრინციპიც განიხილება?**

— ყოველი შემთხვევისთვის, ამას მოვითხოვთ. ეჭვი რეალურია — ძვირადღირებული პროდუქტი, რომელიც იქაურ მხარეს მიეწოდება და რომელიც იმათთვის საჭიროზე მეტია, ვიღაცის ინტერესებს ემსახურება. ვფიქრობ, თავიდან უნდა განისაზღვროს განაწილების პროცენტულობა. ჩემი აზრით, დედაქალაქს მაინც, ელექტროენერგიის პრობლემა ბევრად უკეთ უნდა ჰქონდეს მოგვარებული — ამის პოტენციურ შესაძლებლობას ენგურჰესი იძლევა (თუ, რა თქმა უნდა, განაწილების სადავეები აფხაზთა და მავანთა მხარეს არ იქნება).

**— ხომ ვერ გვეტყვით, რომელ ქალაქებში ან რომელ საწარმოებზე იყიდება ელექტროენერგია?**

— არ ვიცი, რადგან კონკრეტული ფაქტები არ მაქვს. სხვა წყაროს ცნობით კი, ეს შეიძლება იყოს არა მარტო თბილისი, არამედ ბათუმი და ზუგდიდი.

**P.S.** *ამ კვირას პარლამენტში აფხაზეთის სტატუსის დაფიქსირებაზე იქნება საუბარი. სტატუსის განსაზღვრის კვალდაკვალ საუბარი იქნება უფლებამოსილების გამიჯვნაზე, საბაჟოს კონტროლზე, ეკონომიკურ საკითხებზე. რამდენად დაარეგულირებს ამ პრობლემებს ხელისუფლება, ძნელი სათქმელია. კულუარებში ამბობენ, რომ აფხაზეთის (და აჭარის) სტატუსის დღემდე დაუფიქსირებლობა, ერთი მხრივ, სწორედ კონტრაბანდაში მონაწილე ზოგიერთ ხელისუფალთ აძლევდა ხელს. კონტრაბანდის „კრიშად“ კი უმეტესად აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურები მოიაზრება.*

*რამდენიმე კვირის, ან თუნდაც თვის შემდეგ „კვირის პალიტრა“ ამ საჭირბოროტო საკითხებს ისევ მიუბრუნდება, მაგრამ რამდენად სამართლიან პასუხს მოვისმენთ, ვერ გეტყვით.*

***ქეთი ბერეკაშვილი***

## ადამიანის გატაცება

# გამტაცებლები ერთმანეთს ხარებას და გოგიას ეძახდნენ...

დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებს მოგაგონებთ მისი სიუჟეტი: მოულოდნელი „სტუმრები“, მოტაცება, თვალების ახვევა, უცნობ ადგილას — კარავში ტყვეობა, მუქარა ფულის გამოძალვის მიზნით, „მცველების“ განიარაღება, გაქცევა... სიუჟეტი მართლაც საინტერესოა და ბოლოც ზღაპარივით კეთილი, ოღონდ არა — გამტაცებლისათვის, რომელთაგან ორი გისოსებს მიღმა ზის, სასამართლო პროცესზე, დანარჩენი მონაწილენი კი ჯერაც იძებნებიან.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია მოსამართლე ნანა გვეტაძის თავმჯდომარეობით იხილავს ადამიანის გატაცების საქმეს. განსასჯელებს, თიანეთში მცხოვრებ მინდია ხაიაურს და რაულ გონჯილაშვილს გენერალური პროკურატურის პროკურორმა ედიშერ ქარჩავამ ბრალად წაუყენა მეტად მძიმედ კვალიფიცირებული დანაშაული: ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების შეძენა, უკანონოდ შენახვა და ტარება, წინასწარი განზრახვით ადამიანის მოტაცება და თავისუფლების აღკვეთა.

განსასჯელთა ადვოკატები მარინე ქავთარაძე და ნოდარ ფეიქრიშვილი არ ეთანხმებიან ბრალდების მხარეს ზოგიერთი მუხლის გამო და როგორც ჩვენთან საუბარში განაცხადეს, „პროცესი წინ არის, წინასწარ არაფრის დაკონკრეტება არ შეგვიძლია, შეიძლება გამართლდნენ, შეიძლება დაისაჯონ... ვეცდებით მაქსიმალურად დავიცვათ ისინი“.

როგორ შეძლებენ განსასჯელთა დაცვას და ბრალის შემსუბუქებას, ამას სასამართლოს დასრულების შემდეგ შევიტყობთ. ახლა კი მოვუსმინოთ დაზარალებულ ბუთხუზ კვესელავას, რომლის ჩვენებაც ნათელს მოჰფენს მომხდარს და, რომელიც 12 დღის მანძილზე თიანეთის ტყეში ტყვედ ჰყავდათ „ხარებას, გოგიას და ტრუხუნის“ (ალბათ „უტრუხუნე“ იგულისხმა). — რა ვიცოდი მაშინ მე, რა ერქვათ, ერთმანეთს ხარებას და გოგიას უძახდნენ, ეს ტრუხუნი იყო“ — უპასუხა დაზარალებულმა სასამართლოს შეკითხვაზე: სახელებით მიმართავდნენ თუ არა ერთმანეთს შენი თანდასწრებითო.

ბუთხუზ კვესელავა მარტვილის რაიონში ცხოვრობს, ავტობუსის მძღოლად მუშაობდა. იმ დღეს, ჩვეულებრივ, დილის საათებში უნდა გასულიყო ვაგზლიდან თბილისი-ბანძის მიმართულებით.

„ამ დროს მოვიდნენ ჩემთან ორნი და მეკითხებიან, — თქვენ ბრძანდებით ბუთხუზიო? კი, მე ვარ-მეთქი. ჩვენ პოლიციის სამმართველოდან ვართ. გვაქვს ინფორმაცია, რომ ავტობუსით ნარკოტიკები გადაგაქვს. წავიდეთ სამმართველოში და იქ გავარკვიოთო“.

პოლიციელებთან ურთიერთობა მძღოლისთვის უცხო არ არის, ამიტომ ბუთხუზ კვესელავას ეჭვიც არ შეჰპარვია არაფერში და სიმართლის გასარკვევად ჩაუჯდა „07“ მარკის მანქანაში, რომელსაც პოლიციის „ციმციმაც“ ჰქონდა დადგმული.

„ხაიაური მანქანაში დამხვდა. რომ ჩავჯექი, ხეთაგუროვიც (იგი ჯერ დაკავებული არ არის, იძებნება. ნ.ც.) მომიჯდა გვერდით და შუაში აღმოვჩნდი. მძღოლმა (მისი ვინაობა დაუდგენელია. ნ.ც.) უთხრა, ბორკილები დაადეთო“ და ასე ხელბორკილდადებული ბუთხუზ კვესელავა წაიყვანეს დიღმის მიმართულებით. ეჭვი, რომ შესაძლოა პოლიციელებთან კი არა, დამნაშავეებთან ჰქონდა საქმე, მაშინ გაუჩნდა, როცა პოლიციის სამმართველოს გასცდნენ. „ვეკითხები, სად მიგყავართ, ბიჭებო, რაღაც შეცდომაა-მეთქი. — გაჩუმდი, თორემ აქვე გაგაფართხალებთო, — მითხრა ხაიაურმა და მაკაროვის პისტოლეტი მომადო. ხეთაგუროვმა ამოიღო ლეიკოპლასტირი, თვალებზე ამაწება და მზის სათვალე გამიკეთა. — წყნარად იჯექი, ოსეთში უნდა გადაგიყვანოთო“.

ტყუილად ეფიცებოდა მათ კვესელავა, უბრალო მძღოლი ვარ, ვიღაცაში გეშლებითო. თბილისიდან მოშორებით სხვა მანქანაში გადასვეს და ერთსაათიანი მგზავრობის შემდეგ ფიცრულში მიიყვანეს. სწორედ იქ გაუმხილეს მოტაცების მიზანი — ნახევარი მილიონი დოლარი უნდა მოიტანონ შენი გამოსასყიდი და მხოლოდ მაშინ გაგიშვებთო. თავზარდაცემულ კვესელავას დაურწმუნებია ისინი, რომ თვითონვე სხვების ვალი ჰქონდა გადასახდელი და რომ მოეკლათ, ამხელა თანხის შოვნას ვერ შეძლებდა, მაშინ 10% მაინც აუცილებლად უნდა მოიტანო, თორემ სამუდამოდ აქ დარჩებიო, — 50 ათას დოლარზე „დათანხმდნენ“ ბიჭები, როდესაც „მსხვერპლის“ უნუგეშო და შეწუხებულ სახეს შეხედეს, ეჭვი შეჰპარვიათ და ერთმანეთისთვის გადაულაპარაკებიათ, ხომ არ შეგვეშალა, კაცს 450 ათასი მოვუკელით და 50 როგორ ვერ უნდა გადაიხადოსო. მეტი გზა არ ჰქონდა ბუთხუზს და წერილი მისწერა ოჯახს: გაყიდეთ ყველაფერი, რაც გაგაჩნიათ, ისესხეთ ნათესავ-მეზობლებში და სადაც გეტყვიან იქ მიიტანეთ, თუ გინდათ რომ ცოცხალი დავბრუნდეო. ოჯახთან მოსალაპარაკებლად და შუამავლად თვით კვესელავას აურჩევია თანასოფლელი როსტომ ხაინდრავა და საკონტაქტო ტელეფონიც თვითონვე მიუცია გამტაცებლებისათვის.

დღეები დღეებს მისდევდა, პასუხი კი არ ჩანდა. ამასობაში ერთი კვირა გავიდა. მერვე დღეს, შემთხვევით ქალი შესულა ფიცრულში მოულოდნელად. მორიგე „დარაჯს“, ვინმე ემზარს გარეთ გაუყვანია ის ქალი, — რაულის ახლობლები ვართ, მას ველოდებითო. მაინც შეფიქრიანებულან, ზედმეტი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ღამის 2 საათზე ადგილი შეუცვალეს „ტყვეს“ და „გაზ-52“-ის მარკის ავტომანქანით თვალახვეული სხვა კარავში გადაიყვანეს. „ორი ყარაული სულ თავს მადგა. ერთი რომ დაიძინებდა, მეორეს გადასცემდა იარაღს და ახლა ის მდარაჯობდა. შეშინებულმა მეორე წერილი მივწერე ოჯახს, რადგან ბიჭები მეუბნებოდნენ, დრო იწურება და სხვა გზა არ გვრჩება, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ თუ ფულს არ მივიღებთ, სამუდამოდ დაგტოვებთ აქ, ე.ი. სიცოცხლეს გამოეთხოვებიო. აქვე საინტერესოა ის ფაქტი, რომ არც ერთი წერილი ადრესატს არ მიუღია, კვესელავას ახლობლებმა ამ წერილების არსებობაც არ იცოდნენ. „შუამავალს“ იმის შიშით, კვესელავას ოჯახმა ჩემზე რამე ცუდი არ იფიქროსო, წერილები გაუნადგურებია. აქედან გამომდინარე, ამაოდ ელოდნენ ფულს და რომ არა ის მარჯვე შემთხვევა, რომელიც ბუთხუზ კვესელავამ კარგად გამოიყენა, არავინ იცის, როგორ დასრულდებოდა ყოველივე.

„სამი დღე-ღამე ვიყავი პატარა ფიცრულში. ერთხელაც, ემზარს ეძინა, მინდია მყარაულობდა. ვსაუბრობდით... დავუახლოვდით ამ ხნის მანძილზე ერთმანეთს. ჩემს მდგომარეობაზე ვსაუბრობდით. ამ დროს ვიღაცამ დაიძახა. მოულოდნელობისაგან მინდია დაიბნა და გარეთ გავარდა, თან მომაძახა, ემზარი გააღვიძეო(!). მისი გასვლისთანავე ავიღე მძინარე ემზარის ფეხებთან დადებული იარაღი, ისიც გავაღვიძე, გავიყვანე გარეთ. მინდიამ ჩემს



ხელში რომ იარაღი დაინახა, გათეთრდა ეს შავი კაცი, მეხვეწებოდნენ, არ მოგვკლაო. მე რომ მათგან შეურაცხყოფა მეგრძნო (არც სიტყვიერად და არც ფიზიკურად შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ ამ ხნის მანძილზე), ალბათ იქვე ვესროდი და არ ვაცოცხლებდი. ამიტომ არ ვისროლე და ვუთხარი ბორკილები გაეკეთებინათ. თავისი ხელით გაიკეთეს ბორკილები და ასე დავტოვე ქოხში. შეშინებული კაცი (მწყემსი აღმოჩნდა, ჩვენები მეგონეთ, ვიფიქრე, იქნებ სიგარეტი ან დასალევი ჰქონდეთო და იმიტომ დავიძახეო) გაიქცა და არ მომკლაო, იძახდა. ვუთხარი, ჩემი მხსნელი ხარ, ნუ გარბიხარ, არ გესვრი, დაიცადე-მეთქი. ერთად წავედით. ავუხსენი ჩემი მდგომარეობა და ვკითხე, ოსეთში რა ადგილზე ვიმყოფებოდით. ოსეთში კი არა, თიანეთამდე 27 კილომეტრი იქნებაო. გზაში „მოსკვიჩი“ ვნახე გაჩერებული. მინა ჩავამტვრიე, დავქოქე და მწყემსს დავუბარე, პატრონს გადაეცი, ამა და ამ ადგილზე დავტოვებ ამ მანქანას და თუ რამე მოხდა, ნუ იდარდებს, არაფერი დაეკარგება-მეთქი“.

ასე მდევრის შიშით ჩამოაღწია ბუთხუზ კვესელავამ ჟინვალამდე. იქიდან კი გზადმიმავალ მანქანას გაჰყვა აბაშამდე.

„სათქმელად ადვილია, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. 11 დღე-ღამე სიკვდილს ველოდებოდი. ყოველ დილას ღმერთს ვევედრებოდი, გადამარჩინე-მეთქი. „ამინო“ — მეუბნებოდნენ ხაიაური და ემზარი. მართლა ღმერთმა გადამარჩინა და ის მწყემსი მხსნელად მომივლინა. სახლში დაბრუნებული მთელი თვე მძიმე განცდებში ვიყავი. ავად გავხდი, ჩამოვდნი კაცი. მას შემდეგ აღარც მიმუშავია, შიშს თავს ვერ ვაღწევდი. მეშინოდა ჩემი ოჯახის, შვილების გამო. ამიტომ მაშინ არც მიცდია პოლიციისათვის მიმემართა. შემდგომში მარტვილშიც ჩამომაკითხეს ემზარმა და ხეთაგუროვმა. თურმე სიტუაცია დაიძაბა საქმის მიმცემსა და გამტაცებლებს შორის. ისინი „აწვებოდნენ“, რომ არ გაგქცეოდათ, მამამისი ფულის გადამხდელი იყოო. მათ მოწმედ ვჭირდებოდი, რათა საქმის გარჩევისას დამედასტურებინა, რომ ჩემი ოჯახი ფულის გადამხდელი არ იყო. როგორც მითხრეს, საქმის მიმცემები ჩემი თანასოფლელები ყოფილან...“

ასე გადიოდა დრო. მეორედაც ჩააკითხეს მარტვილში ბუთხუზ კვესელავას. „რატომ არ მიმართეთ პოლიციას მაშინვე ან თუნდაც ერთი თვის შემდეგ? რატომ შეიტანეთ განცხადება დაგვიანებით?“ მოსამართლის ამ კითხვაზე კვესელავა ასე უპასუხებს: მეშინოდა, ვერავის ვენდობოდი. აღარც მუდმივი დაძაბულობის ქვეშ ცხოვრება შემეძლო და როგორც კი ვნახე რეალური სიტუაცია, საიმედო ხალხი სამინისტროში (შს სამინისტროს თანამშრომლებს ასახელებს), რომლებმაც დახმარება და თანადგომა შემომთავაზეს, ვირწმუნე მათი და საქმესაც ამის მერე მივეცი მსვლელობა.

განსასჯელები თავს დამნაშავედ არ ცნობენ — რაღაც ზღაპრებს ჰყვებაო, განაცხადეს კვესელავას ჩვენების შემდეგ.

სასამართლო განაახლებს საქმის განხილვას. პროცესის მსვლელობისას თვალში საცემი იყო ის მომენტი, რომ არც ერთი მხრიდან აგრესია არ იგრძნობოდა ერთმანეთის მიმართ, რაც ასე იშვიათია სასამართლოზე. არ შეიძლება ერთი რამ არ გაითვალისწინოთ: ქართველის ბუნებაში ეტყობა, უცხოა და შეუთავსებელი ადამიანის გატაცება და დატყვევება. სამაგალითოდ გავიხსენოთ არცთუ შორეულ წარსულში საქვეყნოდ გახმაურებული გოჩა ესებუას მიერ გაეროს დამკვირვებელთა მძევლად აყვანა, როგორ გულშემატკივრობდნენ ყოფილი მძევლები შემდგომში მას; აგრეთვე კოდორის ხეობაში ორგზის აყვანილი და ორივეჯერ უვნებლად გაშვებული უცხოელები... მით უფრო ქართველ კაცს როგორ მოექცეოდნენ უკადრისად! დაზარალებულის თქმით, როგორც შეეძლოთ „მასპინძლობდნენ“...

მათ საყურადღებოდ კი, ვისაც ამ გზით სურს ფულის შოვნა, ერთი რამის თქმა შეგვიძლია: მიიღეთ მხედველობაში, რომ მძღოლის გატაცების თითქმის არც ერთი შემთხვევა არ არის გაუხსნელი. ყოველ შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო ამას დარწმუნებით აცხადებს. თუმცა ამ საქმის კეთილად დამთავრება მხოლოდ თავად ბუთხუზ კვესელავას დამსახურებაა.

***ნელი ცქიტიშვილი***

# „შევარდნაძემ არჩევნებამდე არ უნდა მიაღწიოს?!“

საპრეზიდენტო არჩევნები ქართული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელმაც ჩვენი პოლიტიკური სპექტრი სამ ნაწილად გაყო: შევარდნაძის მომხრეებად, აბაშიძე-პატიაშვილის მხარდამჭერებად და მობოიკოტეებად. დღევანდელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პოლიტიკა ვერ იტანს ცნებას „არასოდეს“. მართლაც, განა წარმოიდგენდა ვინმე, რომ ერთ დროს პატიაშვილის შეურიგებელი ოპონენტი „სახალხო“ პარტია (ძველი ედპ) დღეს მისი მხარდამჭერი იქნებოდა, ხოლო მამუკა გიორგაძე ცკ-ის ყოფილი პირველი მდივნის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი?! ზოგმა, აქამდე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ კი არჩევანი ამჟამინდელ პრეზიდენტზე შეაჩერა, მისდამი მხარდაჭერა სხვადასხვა ნიუანსით გაამართლა და ლოგიკურადაც დასახა.

რამდენიმე დღის წინ პოლიტიკური ნათლობის მომსწრენი გავხდით. „მოძრაობამ ქართული სახელმწიფოსთვის“ ახალი სახელი დაირქვა. ნეოკონსერვატორულ კავშირად გარდაქმნილი „მოძრაობა“, როგორც ჩანს, შევარდნაძის ფრთაზე იბრძოლებს; თუ რატომ, ამას კავშირის თავმჯდომარის ირაკლი ბათიაშვილისგან შევიტყობთ, რომელსაც „კვირის პალიტრამ“ რამდენიმე კითხვით მიმართა:

**— თქვენი პარტიის სახელწოდების შეცვლის მიღმა რაიმე შინაორგანიზაციული ცვლილებები უნდა დავინახოთ თუ უბრალოდ, მოდურმა სახელწოდებამ მიგიზიდათ?**

— ნეოკონსერვატიზმი ჩვენი იდეოლოგიისთვის შესაფერისი თანამედროვე სახელწოდებაა. იგი დასავლეთში 80-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა, როგორც რეაქცია ულტრამემარცხენეობაზე. ჩვენ თავისუფალი ეკონომიკის მომხრეები ვართ. საქართველოს უბედურება ის არის, რომ ეკონომიკის ძირითადი სექტორები ხელისუფლებისა და სახელისუფლებო კლანების მიერ არის მონოპოლიზებული. ზედმეტია ლაპარაკი თავისუფალ კონკურენციაზე, იმავე მიზეზების გამო არ არსებობს საბიუჯეტო წესრიგი.

ჩვენთვის პრიორიტეტულია ქრისტიანული მართლმადიდებლური ღირებულებების დამკვიდრება საზოგადოების ცხოვრებაში. მაშინ, როდესაც ქვეყანაში მორალურ-ფსიქოლოგიური კრიზისია, ეკლესიის როლი უნდა გაძლიერდეს ჩვენი ხალხის სულიერი კონსოლიდაციის მიზნით. სტაბილიზაცია ქვეყანაში მარტო ადმინისტრაციული მეთოდებით არ მიიღწევა, ისტორიულად საქართველოში სტაბილიზაციის გარანტი სარწმუნოება იყო. პოლიციელზე მეტად ადამიანს საკუთარი მრწამსის ეშინოდა და ეს რწმენა უფრო აკავებდა მას დანაშაულებრივი და ამორალური ქმედებისგან.



უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტები უნდა მიენიჭოს შეიარაღებასა და სპეცსამსახურების მუშაობას (პრიორიტეტს მხოლოდ მათ დაფინანსებაში არ ვგულისხმობ). უნდა გაირკვეს, რამხელა ჯარის შენახვა შეგვიძლია. არ სჯობს გვყავდეს უფრო მცირერიცხოვანი, მობილური, პროფესიონალური ჯარი? შინაგან საქმეთა სამინისტროშიც რეორგანიზაციაა საჭირო. ის დღესდღეობით არის მონსტრი, საბჭოთა სისტემის გადმონაშთი. ვის რად სჭირდება მშიერი, ჩაუცმელი პოლიციელი ან უშიშროების თანამშრომელი? ძალოვანი სტრუქტურები დღეს კორუფციის ბუდეა. დღეს იქ არსებული ვითარება ვიღაცას ხელს აძლევს იმიტომ, რომ ფულის კეთების საშუალებას იძლევა და რაც უნდა კარგად დააფინანსო, კაციშვილმა არ იცის, სად წავა ეს თანხები. სპეცსამსახურს და შეიარაღებულ ძალებს გარდაქმნა და პრიორიტეტული დაფინანსება სჭირდება. ჩვენ საგანგებო მდგომარეობაში ვიმყოფებით. როცა ქვეყანა ოკუპირებულია, მან თავისი შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების გაძლიერებაზე უნდა იზრუნოს, თორემ დაკარგულ ტერიტორიებს სხვაც მიემატება.

და რაც მთავარია, ჩვენ ვთვლით, რომ მიზეზთა მიზეზი ჩვენი ყველა უბედურებისა, ანუ პრობლემათა პრობლემა არის კორუფცია.

იქნება კორუფცია? არ იქნება არც ბიუჯეტი, არც შემოსავლები, არც სწორი ხარჯები, არც ჯარი და არც ტერიტორიული მთლიანობა. ვიცი, ტოტალურ კორუფციას საქართველოში ერთიანად ბოლო ვერ მოეღება, მაგრამ არც ასეთი განუკითხაობის მოთმენა შეიძლება. თავის დროზე კორუფციის წინააღმდეგ სხვადასხვა სტრუქტურა შეიქმნა, მაგრამ უშედეგოდ. იყო პერიოდი, როცა მაფიის და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიაში ჯაბა იოსელიანი, იგორ გიორგაძე და ავთანდილ მარგიანი შეიყვანეს. მათ სახელმწიფოს მეთაურის „ნდობა ვერ გაამართლეს“. მერე პარლამენტში შეიქმნა ანტიკორუფციული კომისია, მაგრამ მასაც არ მოჰყოლია რეალური შედეგი. ჩვენ ვაყენებთ წინადადებას, რომ შეიქმნას კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი საგანგებო კომისია, რომელსაც უშუალოდ პრეზიდენტი უხელმძღვანელებს. ის უნდა იყოს პასუხისმგებელი და არა სხვა, იმაზე, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით. ამ კომისიაში უნდა გამოირიცხოს ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელების მონაწილეობა (რადგან, ხშირ შემთხვევაში სწორედ ისინი არიან მთავარი დამნაშავეები), მაგრამ ცხადია, რომ კომისიის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პროფესიონალებმა.

საქართველოს საგარეო კურსი მეტად მყიფეა, რადგანაც მას ზურგს არ უმაგრებს ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სისტემა. რეალურად არის შესაძლებელი, რომ ერთ დღეში ეს კურსი 180⁰-ით შემოტრიალდეს, თუ წარმოვიდგენთ, რომ 10 აპრილს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული პატიაშვილი ან აბაშიძე გამოვა. რუსეთისთვის საუკეთესო შემთხვევა არის ის, რომ საქართველო თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს (ყოველგვარი ფართომასშტაბიანი ძალადობისა და ხელისუფლების დამხობის გარეშე) და საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვოს მისი კურსის მომხრე კანდიდატმა. ეს კონსტიტუციურადაც სწორი იქნება — Все будет гладко. თუმც ეს არარეალურად მიმაჩნია. არჩევნებში შევარდნაძის დამარცხება, გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ ძალაუფლების ბერკეტები მის ხელშია, საკმაოდ ძნელი იქნება. ამიტომ რუსეთს რჩება ერთი გზა — შევარდნაძემ არჩევნებამდე არ უნდა მიაღწიოს. მან არჩევნებში არ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში თითქმის ავტომატურად პრეზიდენტი ხდება რუსეთისთვის სასურველი პიროვნება (აბაშიძე ან პატიაშვილი), იმიტომ, რომ ცხადია, ამ არჩევნებში გაგნიძე და ჯოგლიძე ვერ გაიმარჯვებენ.

**— რას გულისხმობთ განცხადებაში, — შევარდნაძემ არ უნდა მიაღწიოს არჩევნებამდე, — ფიზიკურ ანგარიშსწორებას?**

— რა თქმა უნდა. თუკი რუსეთის მმართველი ძალა მიიჩნევს, რომ მისთვის კავკასია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ერთ-ერთი დაბრკოლება ამ რეგიონის საკუთარ სივრცეში დასაბრუნებლად საქართველოს საგარეო კურსი და მისი პრეზიდენტია, მაშინ წესით, მან ახლა აქტიური მოქმედება უნდა დაიწყოს, რადგან უკეთესი დრო, ვიდრე ეს საარჩევნო სიტუაციაა, მომავალში ძნელად თუ გამოჩნდება.

**— როგორც ამბობთ, რუსეთის ინტერესებს აბაშიძეც მოერგება და პატიაშვილიც. ამათგან ერთ-ერთზე გააკეთებს არჩევანს რუსეთი?**

— ახალს არაფერს ვიტყვი იმ განცხადებით, რომ ეს პიროვნებები რუსეთის ინტერესებს მოერგება, მაგრამ რამდენიმე თვის წინ თქვენს გაზეთში განვაცხადე, რომ რუსეთს მათ გარდა ჰყავს კიდევ ერთი მისთვის სასურველი პიროვნება და ჩემი განცხადება ახლაც ძალაში რჩება. უფრო მეტად არ მინდა ამ საკითხის დაკონკრეტება.

**— რადგან კონკრეტულ პიროვნებას არ ასახელებთ, იქნებ მიანიშნოთ მაინც, რომ თქვენმა განცხადებამ ყალბი აჟიოტაჟის შთაბეჭდილება არ დატოვოს. მაინც სად არის ის პიროვნება?**

— ის პიროვნება გამოქვაბულში არ ზის, მას კარგად იცნობენ. ის ამჟამად არის ხელისუფლებაში, აქ არ ვგულისხმობ ძალოვნებს. ვამბობდი და ვიმეორებ, რომ პატიაშვილისა და აბაშიძის გარდა, რუსეთს საქართველოში ჰყავს ისეთი პიროვნება, რომელზეც მომავალში გააკეთებს ფსონს.

**— მომავალში... როდის? არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ?**

— არა, მერე... ამ არჩევნებში არის შევარდნაძე და მისი ოპონენტები არიან აბაშიძე-პატიაშვილი.

**— კულუარებში რუსეთზე ორიენტირებულ პიროვნებებად შოთა კვირაიასა და ვაჟა ლორთქიფანიძეს სახავენ. პარლამენტის თავმჯდომარე გამორიცხეს იმიტომ, რომ მას ძალზე პროდასავლური კურსი უჭირავს.**

— არ მინდა არავითარი განცხადებების გაკეთება... მაგრამ რა როლს შეიძლება თამაშობდეს დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შოთა კვირაია?! კაცი შვებულებაშია, არ მუშაობს. ის არავითარ ბერკეტებს არ ფლობს, ან პარტია ედგეს ზურგს უკან, ან მომხრეები ჰყავდეს. მასზე რაიმეს თქმა არასერიოზულია. თქვენ ლორთქიფანიძე და ჟვანია დამისახელეთ, არ მინდა, რომ რაიმე დავაკონკრეტო, ეს ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება.

**— თქვენ ამბობდით, რომ პუტინს ელცინის პრეზიდენტობის დროს მომხრეები ჰყავდა საქართველოში; დღეს ის რუსეთის ფაქტობრივი პრეზიდენტია, როგორი იქნება მისი დამოკიდებულება საქართველოსადმი ამჟამად?**

— რუსეთი გააძლიერებს საქართველოზე ზეწოლას. დღეს პუტინს დიდი შანსი აქვს და დარწმუნებულიც ვარ, რომ ის რუსეთის პრეზიდენტი გახდება, იმიტომ, რომ ომი ჩეჩნეთში მისთვის წარმატებულად მიდის (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს), მით უმეტეს ზამთრის პირობებში, რადგან ჩეჩნები პარტიზანულ ომს ინტენსიურად ვერ წარმართავენ. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ჩეჩნეთში წარმატებას მიაღწევს, მისი პრეტენზია და ზეწოლა საქართველოზე გაიზრდება. გაიზრდება პროვოცირებებიც. პუტინი თანამედროვე პოლიტიკოსია. ის არ ფიქრობს სსრ კავშირის რეანიმაციაზე. მას უნდა თანამედროვე მოდელით აღადგინოს გავლენა სამხრეთ კავკასიაზე.



**— როდესაც ზეწოლის გაძლიერებაზე საუბრობთ, კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ზეწოლა გაძლიერდება სამხედრო ბაზების საკითხთან დაკავშირებით. თავის დროზე სტამბოლის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების გაყვანას ითვალისწინებდა, დიდ მიღწევად ჩავთვალეთ. მაგრამ პრეზიდენტი მაშინ ელცინი იყო, რუსეთს არ სურდა, დასავლეთი ჩეჩნეთის ამბებში ჩარეულიყო. ამ ხელშეკრულებას იმ იმედით მოაწერა ხელი, რომ დრო ჯერ კიდევ ჰქონდა და მერე მიხედავდა ამ პრობლემას. ჩეჩნეთის ომში წარმატების შემთხვევაში რუსეთი დააყენებს საკითხს, რომ სამხედრო ბაზები არათუ გავიდეს საქართველოდან, არამედ დაკანონდეს.

რუსეთის ინტერსებში ამასთანავე არ შედის ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. ის შეეცდება საქართველო ხელახლა ჩართოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში და რუსეთ-ბელორუსიის კავშირის მოდელი გაავრცელოს ისეთ სახელმწიფოებზე, როგორიცაა: სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი. პუტინის ამოცანა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და მოძლიერებაა. ის ხედავს, რომ დსთ სიცოცხლისუნარიანი ვერ აღმოჩნდა და შეეცდება, მისი ტრანსფორმაცია მოახდინოს. აბაშიძე და პატიაშვილი რომ უფრო მისაღებია მისთვის, ეს ცხადია. მე მგონია, რომ რუსეთი უფრო ლოიალური იქნება მათ მიმართ. გარდა ამისა, მაღალ ეშელონებში არსებობს პიროვნება, რომელიც შესაძლოა რუსეთისთვის მისაღები და მართვადი აღმოჩნდეს.

**— ე.ი. ეს ისეთი პიროვნებაა, რომელსაც საპრეზიდენტო ამბიცია ექნება?**

— რა თქმა უნდა.

**— თქვენ აცხადებთ, რომ რუსეთს არ სურს შევარდნაძე მივიდეს არჩევნებზე, რა მოდელები შეიძლება აამოქმედოს მან ამ მიზნის მისაღწევად?**

— პრეზიდენტის ლიკვიდაცია. პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაციის შემთხვევაში, კონსტიტუციით, მის მოვალეობას 45 დღის მანძილზე პარლამენტის თავმჯდომარე ასრულებს. შემდეგ ის ნიშნავს საპრეზიდენტო არჩევნებს. მაგრამ დღეს არჩევნები უკვე დანიშნულია და კანდიდატებიც რეგისტრირებულნი არიან. სიას ვერავის მიუმატებენ და ვერც არჩევნებს გადადებენ. გეკითხებით, ვინ გახდება ამ შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი? რა თქმა უნდა, კანდიდატებიდან ერთ-ერთი.

**— ამ დროს სად იქნება ის პიროვნება, რომელზეც თქვენ ამბობდით?**

— ეს პიროვნება პრეზიდენტობის კანდიდატთა სიაში ნამდვილად არ არის. მასზე ფსონის გაკეთება ამ არჩევნებზე ნამდვილად არ მოხდება, რადგანაც იგი დღეს შევარდნაძის ოპონენტს არ წარმოადგენს.

**— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იგი პრეზიდენტთან არის დაახლოებული...**

— ცხადია. დღესდღეობით იგი შევარდნაძის გუნდშია. მისი საკითხი დადგება და რუსეთი მასზე ფსონს დადებს. შესაძლოა, მომდევნო ხუთი წლის შემდეგ, როცა შევარდნაძის მემკვიდრის საკითხი დადგება (თუ პრეზიდენტი ამ არჩევნებში გაიმარჯვებს), ან კიდევ ხუთი წლის განმავლობაში. თუ ეს პერიოდი ბოლომდე ვერ გაიტანა პრეზიდენტმა ან არ გაატანინეს. ის პიროვნება, რომელზეც მოგახსენებთ, სერიოზული პოლიტიკური ფიგურაა, მმართველი პარტიის წარმომადგენელი, ხელისუფლების ბერკეტების მქონე და სავსებით ლოგიკურია, რომ იგი შევარდნაძის მემკვიდრე იყოს.

**— მას აქვს საამისო მონაცემები?**

**ის პიროვნება გამოქვაბულში არ ზის, მას კარგად იცნობენ. ის ამჟამად არის ხელისუფლებაში, აქ არ ვგულისხმობ ძალოვნებს. ვამბობდი და ვიმეორებ, რომ პატიაშვილისა და აბაშიძის გარდა, რუსეთს საქართველოში ჰყავს ისეთი პიროვნება, რომელზეც მომავალში გააკეთებს ფსონს.**

— რა თქმა უნდა. და არაფერი ალოგიკური იმაში არ იქნება, რომ ძალაუფლება მის ხელში გადავიდეს.

**— დღესდღეობით თუ აკეთებს ეს პიროვნება ისეთ განცხადებებს, რომ მას პრორუსულობა დასწამონ?**

— დღეს საქართველოში, გარდა ძალიან გულუბრყვილო პოლიტიკოსებისა, აქტიურ პრორუსულ განცხადებებს არავინ აკეთებს იმიტომ, რომ ეს მოდაში აღარ არის და ამით შეიძლება რაღაც ეჭვები აღიძრას მის მიმართ. ამიტომ პოლიტიკოსი, რომელიც ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, კიდეც რომ იყოს მომავალში მართვადი და რუსეთის პოლიტიკისთვის მისაღები, ამჟამად უთუოდ შეინიღბება.

**— ეს პიროვნება დღესდღეობით თუ ასრულებს რუსეთის დირექტივებს?**

— დღეს რუსეთს ისეთი ძალა არა აქვს, რომ ინსტრუქტაჟის და სერიოზული დირექტივების გზით რაიმე გააკეთოს. რუსეთი შეეცდება ეს პიროვნება აიძულოს, რომ ნელნელა მასთან დაიწყოს თანამშრომლობა. რა საშუალებით შეძლებს რუსეთი ამას: კომპრომატის მოძებნით, ობიექტური სიტუაციის შექმნით, მეგობრული რჩევით თუ ამ პიროვნების ამბიციურობის გათვალისწინებით, ეს უკვე მეთოდის საქმეა.

**— თუ არის პრეზიდენტი ინფორმირებული, რომ ასეთი საფრთხე ემუქრება. თქვენ არ გითქვამთ მისთვის არაფერი?**

— როცა ინტერვიუს ვაძლევ, ეს ხომ უკვე გაფრთხილებაა. სხვანაირად როგორ უნდა გავაფრთხილო, პირადი ურთიერთობები მასთან არ მაქვს.

***იზო რიკაძე***




უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით

მ ე დ ი

ეპილაციის მეთოდების შედარებითი დახასიათება

| | მაღალი სისწრაფე | უმტკივნეულო | თმის ძირის დაშლა | არ გააჩნია გვერდითი მოვლენები |
|---|---|---|---|---|
| პინცეტი | – | – | – | – |
| ცვილი | + | – | – | – |
| სამართებელი | + | + | – | – |
| კრემები | + | + | – | – |
| ელექტროეპილაცია | – | – | + | – |
| ლალის ლაზერი | – | +/– | + | – |
| ალექსანდრიტის ლაზერი | + | + | + | + |

25-02-02 22-50-43 MEDI ი. ჭავჭავაძის გამზ. №70

# „შემომთავაზეს, კრუპიესთვის კარტის ჩაწყობა მესწავლებინა...“

## როგორ გააქრობ „ქართლის დედას“?!

ქაზინოში, მწვანე ხავერდგადაკრულ მაგიდასთან, სიმპათიური ქალბატონი რულეტის ყოველ დატრიალებაზე ძვირადღირებულ კოჭებს აგებდა. წაგებას წაგება მოსდევდა, ქალი დაძაბული, შუბლშეკრული დასცქეროდა სათამაშო მაგიდას და ეტყობოდა, რომ ახლა მისთვის არავინ და არაფერი აღარ არსებობდა.

ქალბატონის გვერდით ერთი მამაკაცი იჯდა და მშვიდად უყურებდა თამაშს. როგორც მითხრეს, ეს ქართველი ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია ყოფილა, რომელსაც კაზინოში თამაში აკრძალული ჰქონია. მაშინ, დიდი სურვილის მიუხედავად, მიზეზთა და მიზეზთა გამო, მასთან გასაუბრება ვერ მოვახერხე, მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მომეცა ამის შესაძლებლობა და, რასაკვირველია, შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი.

ბატონი ზურაბი საინტერესო პიროვნება და შესანიშნავი მოსაუბრე გამოდგა, მით უმეტეს, რომ იგი იმ ხელობის კაცია, ყოველთვის და ყველასათვის რომ იდუმალებით არის მოცული.

**— ბატონო ზურაბ, თუ საიდუმლო არ არის, ვინ იყო თქვენი პირველი მასწავლებელი?**

— პირველ რიგში, ქუჩა. დიდი როლი ითამაშა მამაჩემის ავტორიტეტმაც — იგი მაშინდელი კრიმინალური სამყაროს იდეოლოგი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ყოველთვის მკაცრად მაფრთხილებდა ხოლმე, ცუდ გზას არ დაადგეო. რომელი მშობელი წააქეზებს შვილს ცუდი საქმისაკენ? ამ მხრივ გამონაკლისი არც მამაჩემი გახლდათ. მისი მეგობრები ხშირად მეუბნებიან, მამაშენის თითები გამოგყვაო. ალბათ, ასეცაა, მაგრამ მე ამ თითებს სულ სხვა, სანახაობითი გზა მივეცი. თუნდაც იმიტომ, რომ მამაჩემის სიტყვას ვერ გადავიდოდი.

ჩემს პროფესიას ყოველთვის სერიოზულად ვუყურებდი, არასოდეს მიმაჩნდა ზერელე საქმედ. გართობას და სანახაობის ჩვენებას, სხვათა შორის, დილეტანტი კაცი ვერ შეძლებს. ჩვენს საქმეს სჭირდება თუ სჭირდება პროფესიონალები. ამიტომ ჯერ კიდევ ე.წ. უძრაობის პერიოდში იურიდიულ-ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში ფსიქოლოგიის ლექციებს ვისმენდი. ფსიქოლოგია ჩვენი ჟანრისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ახლაც ხშირად ვესაუბრები ხოლმე ფსიქოანალიტიკოსებს... ყველაფერს ჯერ ტვინი აკეთებს და მერე კი თითები...

**— ამბობენ, კაცს აჭიმებს ისე მოხსნის შარვლიდან, პატრონი ვერც კი შეამჩნევსო. იმავეს ამბობენ საათვალეებსა და საათზეც... როგორ ახერხებთ ამას — ხელის სისწრაფით თუ ისევ ფსიქოლოგიას იშველიებთ? ხვდებით, რომ ადამიანმა ყურადღება მოადუნა და...**

— თქვენ, ალბათ, ჩემს საკონცერტო გამოსვლებს გულისხმობთ... ასეთ დროს მაყურებელს, ნებისმიერ პიროვნებას ამოვირჩევ და ვეუბნები, რაიმე უნდა მოგპარო-მეთქი. ხომ ვაფრთხილებ, წესით, ყურადღება უნდა გაამახვილოს. პირიქით კი ხდება — სცენაზე გამოყვანილი ადამიანი დაბნეულია, გაფაციცებული. მე ისევ ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ, ვთქვათ, მოვხსნი ქამარს. მას ყურადღება გადააქვს ქამარზე და სხვა რამ აღარ აფიქრებს. სწორედ ამ დროს ადუნებს ყურადღებას, მეც ვსარგებლობ მომენტით, ვხსნი სულ სხვა ნივთს, მერე კი ვუბრუნებ და იმავე შუალედში ქამარსაც ავაცლი ცხვირწინ.

წეღან საათი ახსენეთ და, ერთი ამბავი გამახსენდა ამასთან დაკავშირებით. ერთმა მოსკოველმა, ნახევრად ქართველმა, ნახევრად რუსმა მაფიოზიმ შემომთავაზა, ბელგიაში ჩემი ხარჯით წაგიყვან, დანარჩენი შენი თითების სისწრაფეზე იყოს. ორივე ვიხეირებთო. ბელგიაში უამრავი ტურისტი ჩადის, „როლექსები“ უნდა შეგვეხსნა, და საერთოდ, გასუფთავებაზე უნდა გვემუშავა. უარი ვუთხარი, ჯიბგირობა რომ მნდომოდა, წინ ვინ დამიდგებოდა. ძლივს მოვიშორე თავიდან ის კაცი...

ერთი ნაცნობი მყავდა, თანაჯგუფელი იყო ჩემი. კარგა ხანია, აღარ მინახავს... ერთ დღეს დავინახე ჩემს ჯგუფელს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, რაღაცას აცლიდა ჯიბიდან. შევატყვე, დაბნეული იყო... ეს ყოვლად დაუშვებელია. ჯიბგირი ისე უნდა იპარავდეს, ვერავინ ამჩნევდეს, ვერც თვითონ „გოიმი“ (ჟარგ. — ვისაც პარავენ). როცა ჯიბგირი თვალებში შემოგცქერის და ისე გპარავს, ეს უკვე ყაჩაღობაა. ამ დროს იძულებული ხარ, არ შეეწინააღმდეგო, რადგან გეშინია, არაფერი დაგიშავოს.

ჯიბგირი, როცა ჯიბგირობს, იმდენად აქვს დაფიქსირებული ყურადღება „გოიმზე“, რომ საკუთარი თავი ავიწყდება. მხოლოდ ერთი კონტროლის უნარი აქვს — არ დაიჭირონ. ჰოდა, ვისარგებლე ამით და ის ჩემი თანაჯგუფელი პირწმინდად გავასუფთავე. ამ შემთხვევაშიც, გარდა თითების სისწრაფისა, ისევ და ისევ ფსიქოლოგიური ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს.

**— რატომ გაქვთ აკრძალული კაზინოში თამაში?**

— მე ილუზიონისტი ვარ, აქედან გამომდინარე, სულ იოლად შემიძლია კოჭების (ჟეტონი, ფიშკა), კარტების დამალვა, „გაქრობა“. უმალ ვხვდები, რა დროს რა კარტი ამოვა. კარგად ვიცი ფსონის თამაშის წესებიც, ანუ რა დროს უნდა ჩავიდე პატარა ან დიდ ფსონს. ამიტომაც ყოველთვის მოგებული ვრჩები. რაც მთავარია, ვფიქრობ, ერთი კარგი, მოთამაშისათვის აუცილებელი უნარიც მაქვს — აზარტში შესულს შემიძლია თამაშს თავი დროულად დავანებო, არ გადავამლაშო... ჩემთვის კარტის თამაში არ არის მთავარი, მთავარი ადამიანის ფსიქოლოგიაა.

**— რომელი თამაში გიყვართ ყველაზე ძალიან?**

— ყველა თამაშს მაინც სეკას ვამჯობინებ — ფსიქოლოგიური თამაშია, აზროვნებას მოითხოვს. თუ პროფესიონალი ხარ, მაშინ მოწინააღმდეგეს ერთი შეხედვითაც (თვალის გუგაზე), შეატყობ მაღალი ქულა უჭირავს თუ დაბალი, იტყუება თუ არა. მაგრამ თუ მოწინააღმდეგეს კარტის აღებისას გამომეტყველება არ ეცვლება, მაშინ შეიძლება რამდენიმე ხელი საგანგებოდაც წააგო და კარტი გაუხსნა იმისათვის, რათა მიხვდე, როდის, როგორ მოიქცევა. ყველაფერ ამას უტყუარი ალღო გკარნახობს.



მორიგი „მსხვერპლი“

**— დავუშვათ, ერთმანეთს ორი პროფესიონალი შულერი ხვდება. რა ხდება ამ დროს — ორივე ხვდება, რომ თანაბარი ძალისანი არიან თუ თამაში ხელის სისწრაფესა და ისევ ფსიქოლოგიაზე იქნება გათვლილი?**

— ხშირად მოთამაშეები ერთმანეთს იცნობენ და მათ იმდენად ჩაკეტილი წრე აქვთ, რომ იქ ვერც თქვენ მოხვდებით და ვერც სხვა შევა. ამიტომ კარგი მოთამაშეები ერთმანეთს არ ეთამაშებიან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რაიმე ბოღმა აქვთ ერთმანეთის მიმართ. და თუ სათამაშო მაგიდასთან მაინც აღმოჩნდებიან, მაშინ ორივე მალევე მიხვდება, რომ ტოლი ტოლს შეხვდა. ასეთ დროს გადაწყვეტილება პირად შეთანხმებაზე იქნება დამოკიდებული.

მახსოვს, უძრაობის დროს რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში ვიყავი საგასტროლოდ. გვიან, ღამით, ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. კარი რომ გავაღე, ზღურბლზე ისეთი ჩამოკონკილი კაცი იდგა, სახტად დავრჩი. საშინლად დაღლილი ვიყავი, მეძინებოდა. თავიდან რომ მომეშორებინა, რამდენიმე ფოკუსი ვაჩვენე. კარტი უსიტყვოდ გამომართვა და ისეთი რამ მანახა, რაც მანამდე არ მენახა. როგორც მიამბო, თურმე ძლიერი შულერი ყოფილა. ზეპირად იცოდა ლენინგრადის სტამბებში სად და როგორი, რა ფერის კარტის დასტები იბეჭდებოდა. რაც შეეხება მის ჩაცმულობას, ესეც საგანგებოდ გათვლილი „ნომერი“ გახლავთ. ეს მაშინ ძალიან ჭრიდა. თურმე „ცეხავიკებთან“ სათამაშოდ იყო ჩამოსული. ერთმანეთს კარტის წაკითხვა ვასწავლეთ, რაც ე.წ. კარტის კოდის მეშვეობით ხდება, თუმცა წაკითხვის სხვადასხვა ხერხიც არსებობს. მოკლედ, იმ ღამეს ერთმანეთს გამოცდილება გავუზიარეთ მე და ჩემმა ღამის სტუმარმა... მისი ნამდვილი სახელი არ ვიცი, მეტსახელად ვალიკო ერქვა. მაშინ უფრო მეტსახელებით იყო ცნობილი ამ ხელობის ხალხი.

**— კიდევ ხომ არ გაიხსენებდით რომელიმე შემთხვევას, როცა თქვენი შესაძლებლობების გამოყენებას გთავაზობდნენ?**

— 1998 წელს ერთი მოსკოველი მოვიდა ჩემთან, თან ამერიკელი მოთამაშე ახლდა. ასეთი რამ შემომთავაზეს: თავიანთი ხარჯით ჩამიყვანდნენ ლას-ვეგასში, იქიდან ატლანტიკ-სიტიში გადავიდოდით. იქ კრუპიე ჰყავდათ დაბმული, მისთვის შულერობა უნდა მესწავლებინა. კერძოდ, პოკერში, კარტის თანმიმდევრობის ჩაწყობა (ფლეშ-როიალი), რათა მოთამაშეს ფლეშ-როიალი ჰქონოდა, კრუპიეს კი — თამაში. კრუპიე მათი კაცი იყო. მხოლოდ კარტის ჩაწყობა უნდა მესწავლებინა, სხვა არაფერი გევალებაო, მითხრეს. სამაგიეროდ, მონაგებიდან ჩემს წილს მივიღებდი. მე ჩემი ვუთხარი, — ის კრუპიე აქ ჩამომიყვანეთ, სწავლებაში გასამრჯელო მომეცით და დანარჩენი თქვენი საქმე იყოს-მეთქი. დამთანხმდნენ, ოღონდ კრუპიეს ჩამოყვანაზე მაინც უარი მითხრეს, შენ წამოდიო... ბოლოს და ბოლოს, მაინც ვერ შევთანხმდით. ჯერ ერთი, ის ხალხი კარგა ხნის უნახავმა ნაცნობმა ჩამომიყვანა, ამდენად, მისი ნდობაც არ შეიძლებოდა. მეორეც — როცა ასეთ საქმეს ჰკიდებ ხელს, ფაქტობრივად, იმ ხალხზე ხდები დამოკიდებული, ვინც გქირაობს, ფულს გიხდის. ეს ისეთი მაცდური საქმეა, რაც მეტს შოულობ, მით მეტი გინდა. ამიტომ თავდაპირველ პირობას, მეორეც მოჰყვებოდა, მერე მესამეც და თავის დაძვრენა არც ისე იოლი იქნებოდა.

**— ისევ თქვენს პროფესიას დავუბრუნდეთ... დევიდ კოპერფილდიც ილუზიონისტია, თქვენი კოლეგა. შეგიძლიათ თუ არა ანალოგიურის გაკეთება?**

— იმისთანა აპარატურა რომ მქონდეს, როგორიც კოპერფილდს აქვს, რაღა მიჭირდა. თქვენც კი შეძლებდით იმავეს გაკეთებას. სხვათა შორის, დევიდ კოპერფილდზე უფრო პროფესიონალი ილუზიონისტებიც არიან: ლას-ვეგასში ძმები ზიჰრი და როი, მანიპულატორი ლარს ბარტონი. ისინი ფანტასტიკას მიახლოებულ ფოკუსებს აკეთებენ — სცენაზე ჩანჩქერებს აჩენენ, ლომები დაფრინავენ და ა. შ. მათ მსოფლიო რეკლამა არ სჭირდებათ, რადგან 3-4 თვეში 5-10 მლნ დოლარს შოულობენ. მათ უკან მთელი ინდუსტრია დგას, მუშაობს და სასწაულების „გაკეთებაც“ იოლია. მთავარია, ფული და შეუძლებელი არაფერია. მერწმუნეთ, შესაფერი პირობები, თანხა და აპარატურა რომ მქონდეს, „ქართვლის დედას“ გავაქრობდი...

თუმცა ამ ოცნებას მაინც ავისრულებ, არ მკითხოთ, როგორ მოვახერხებ ამას... ქართველი მაყურებლისათვის ეს გრანდიოზული სანახაობა იქნება...

**— კოპერფილდის ცნობილ ფოკუსზე რას გვეტყოდით, როცა ის მაყურებლის თვალწინ „თავისუფლების ქანდაკებას“ აქრობს?**

— ამ ფოკუსის მექანიზმი იოლია. დავიწყოთ იქიდან, რომ კოპერფილდი ამ ფოკუსს ღამით ატარებს. როგორც ა ესკიზზე ხედავთ, მაყურებლის წინ მდგომარე ორ ბოძზე დამონტაჟებულია პროჟექტორები, რომელთა ნათება მაყურებლის მხარესაა მიმართული, რაც მათ მხედველობის უნარს მნიშვნელოვნად უქვეითებს. ამასთან, მაყურებლები მიწის ზედაპირიდან ნახევარი მეტრით დაბლა სხედან. ამიტომ მაყურებელი იძულებულია, მზერა ზემოთ მიმართოს. ჰაერში ყურადღების მოსადუნებლად კოპერფილდის ვერტმფრენი დაფრინავს, ესეც საგანგებოდ გათვლილი ხერხია — მაყურებელს ჰგონია, რომ ქანდაკებას სწორედ ამ ვერტმფრენით გააქრობენ, ამიტომ თვალს არ აშორებს... მოგეხსენებათ, სანაპიროდან „თავისუფლების ქანდაკებამდე“ საკმაო მანძილია. ანძების ბოლოებზე დამაგრებულია რკინის ჩარჩო, რომლის წინა მხარეს დაკიდებულია ვერცხლისფერი ფარდა №1 (იხ. ესკიზი), ხოლო ამ ფარდის მოპირდაპირე მხარეს, ჩარჩოზე, მაყურებლისთვის შეუმჩნევლად, დამაგრებულია შავი ფარდა №2. ასევე ქანდაკების წინ და უკან დამონტაჟებულია პროჟექტორი №1, რომელიც ფოკუსის დაწყებით ეტაპზე ჩართულია და მოძრაობს და პროჟექტორი №2, რომელიც პირველ ეტაპზე გამორთულია და უმოძრაოდ არის. ფოკუსის მთელი საიდუმლო მდგომარეობს შემდეგში: კოპერფილდის ბრძანებისთანავე, ჩამოშვებას იწყებს ვერცხლისფერი ფარდა №1, პარალელურად კი — მაყურებლისათვის შეუმჩნევლად, უკან ეშვება შავი ფარდა პროჟექტორ №2-სა და ქანდაკებას შორის. კოპერფილდის მეორე ბრძანებისთანავე, ვერცხლისფერი ფარდა ჩამოვარდება. ამ დროს ირთვება №2 პროჟექტორი და იწყებს მოძრაობას №1-ის ანალოგიურად, რომელიც იმ მომენტში უკვე გამორთულია. იქმნება ილუზია, რომ ქანდაკების უკან მოთავსებული პროჟექტორი არის იგივე (ანუ №1) და ქანდაკება გაქრა, რადგან უვარსკვლავო ღამით, ფაქტობრივად, ადამიანის თვალი შავ ფარდას ვერ აღიქვამს. ქანდაკების უკან დაბრუნება ანუ გაჩენა იმავე, ოღონდ უკუმეთოდით ხდება. ასეთია, მოკლედ, ამ ფოკუსის არსი. რაც შეეხება ფოკუსის ჩატარების დროს, მე „ქართვლის დედის“ გაქრობას, კოპერფილდისაგან განსხვავებით, გამთენიისას, დილის 6 საათზე ვაპირებ. მაგრამ ეს სამომავლო საქმეა, ვნახოთ, რა გამოვა...





ესკიზი ა





ესკიზი ბ

***ესაუბრა თამაზ ხაბეიშვილი***

---

# „იეღოველებს“ სამშობლოს დაცვა ეკრძალებათ(!)

## რატომ არ მიჰყავთ „იეღოველები“ ჯარში?..

ბოლო ხანს საინფორმაციო საშუალებების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ე.წ. პროცესი, რაც საქართველოს პარლამენტის დეპუტატის გურამ შარაძისა და „იეღოვას მოწმეების“ ურთიერთდაპირისპირების გამო აღძრულმა სასამართლო პროცესმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესზე საუბარს არ ვაპირებთ, ეროვნული თემიდას საბოლოო გადაწყვეტილების გამო (სასამართლომ დაადგინა, რომ „იეღოვას მოწმეები“ არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნისთვის), ქართველ საზოგადოებრიობას ვაცნობებთ, რომ თურმე ამ ორგანიზაციის წევრები ანუ „იეღოვას მოწმეები“ თავისუფლდებიან სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან; თანაც არა რომელიმე კანონის ან დებულების შესაბამისად, არამედ მათი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი საორგანიზაციო, სამობილიზაციო სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი ფრიდონ მახათაძე ამ ინფორმაციას ადასტურებს: — „იეღოველები“ წერენ განცხადებას კომისარიატში სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ იმ მოტივით, რომ მათი რელიგიური მიმდინარეობისთვის მიუღებელია იარაღის ხელში აღება, თუნდაც სამშობლოს დაცვის მიზნით. ცნობის საფუძველზე, რომ ის ნამდვილად „იეღოვას მოწმეა“, იგი ითხოვს ალტერნატიულ სამხედრო სავალდებულო სამსახურს, სადაც მისი გაწვევა მაინც არ ხდება, ვინაიდან ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, არ არსებობს კანონი — ალტერნატიული სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ — აღსრულების მექანიზმი.

**— მართალია, კანონი არ სრულდება ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, მაგრამ ვიღაც მაინც სარგებლობს მისი თუნდაც ფორმალური არსებობით.**

— სარგებლობს ყველა ის პირი, ვისაც შეუძლია გამოთქვას ალტერნატიული სამხედრო სამსახურის გავლის სურვილი თავისი რწმენისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად. კანონით ვერ ისარგებლებს მართლმადიდებელი ქრისტიანი, ვინაიდან ჩვენი რელიგია არ კრძალავს სამშობლოს დასაცავ სამხედრო ქმედებებს. ჩემი აზრით, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს კანონი, რომლის შესაბამისად, სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობები არ შეაფერხებენ და ზიანს არ მოუტანენ ქვეყნის ინტერესებს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ფაქტის შესახებ საკუთარი თვალსაზრისის გაზიარება ვთხოვეთ ბატონ მამუკა არეშიძეს.

— რეალურად „იეღოვას მოწმეთა“ სექტა რეგისტრირებულია, როგორც იურიდიული პირი, ანუ ერთი შეხედვით არასამთავრობო ორგანიზაცია, მაგრამ იგი რელიგიური ორგანიზაციაცაა. მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ ამ რელიგიურ ორგანიზაციას სინამდვილეში ჰქვია „იეღოვას მოწმე“, რომელიც გარკვეული პრინციპებით განსხვავდება მართლმადიდებლობისაგან და სხვა მიღებული ქრისტიანული რელიგიებისაგან: კათოლიციზმისგან და სხვ. აღსანიშნავია ისიც, რომ „იეღოვას მოწმეთა“ სექტის ერთ-ერთი იდეოლოგიური პრინციპი დაფუძნებულია ცნობილ დოგმაზე — „არა კაც ჰკლა“, ამ ცნების აყვანა საზოგადოებრივ რანგში, ანუ სექტის იდეოლოგიის ქვაკუთხედად ქცევა, „იეღოვას მოწმის“ მიმდევარს უკრძალავს იარაღის გამოყენებას და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას. იგი არ შეიძლება ჯარისკაცი იყოს: ე.ი. ადამიანს, რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე, ეკრძალება სამშობლოს დაცვა; ეს არის ყველაზე უარყოფითი მხარე, რაც შეიძლება გააჩნდეს რელიგიურ მიმდინარეობას. ამის საპასუხოდ უნდა შემუშავდეს კანონი, რომელიც თუმცა არსებობს, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ მუშაობს (ალტერნატიული სამხედრო სამსახური გულისხმობს, რომ თუ ადამიანი რელიგიური მოტივით და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად უარს ამბობს სამხედრო-სავალდებულო სამსახურზე, უნდა იმსახუროს ალტერნატიულ სამსახურში, სადაც შეუძლია შეასრულოს მენაგვის, სანიტრის და ა.შ. მოვალეობა. მაგრამ კანონი მიღებულია და სისტემა არ მუშაობს). ამიტომ „იეღოვას მოწმეთა“ მიმდევრები სამხედრო სამსახურიდან მექანიკურად თავისუფლდებიან.

**— არის თუ არა ეს დანაშაული?**

— რასაკვირველია, არის. თუ კანონი არ მუშაობს, უამრავ ადამიანს ეძლევა საშუალება, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული სექტის მიმდევარი, თავიდან აიცილოს სავალდებულო სამხედრო სამსახური. თქვენი ყურადღება მინდა შევაჩერო კავკასიაზე, რომელსაც რელიგიური სიჭრელის თვალსაზრისით, მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. საქართველო კი ამ მხრივ კავკასიის განუყოფელი ნაწილია. უფრო ნათელი რომ იყოს, შეგახსენებთ კავკასიაში არსებულ რელიგიებს, ესენია: ქრისტიანული რელიგია ორი ფორმით, მართლმადიდებელი და გრეგორიანული, ისლამი, იუდაიზმი და სხვა მცირე რელიგიები.

***(გაგრძელება იხ. გვ. 20)***

# ნაადრევი ზეიმი. ბრძოლები ჯერ კიდევ გრძელდება...

რუსებმა შატოიც აიღეს. შატოი, შეიძლება ითქვას, ბოლო მსხვილი დასახლებული პუნქტი იყო, რომელსაც ჩეჩნები ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ.

კრემლი ზეიმობს — ომი დამთავრდაო!

მაგრამ ეს ყველაფერი ხომ უკვე იყო. ხუთი წლის წინ რუსეთის ფედერალურმა ძალებმა ასევე გაყარეს ჩეჩენი მებრძოლები ყველა მეტ-ნაკლებად დიდი სოფლიდან თუ ქალაქიდან. თუმცა ერთ წელიწადში, 1996 წლის აგვისტოში, ჩეჩნები მოულოდნელად თავს დაესხნენ უშუალოდ გროზნოს, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა ჩეჩნეთის პირველი ომის ბედი.

დღეს თითქოს მსგავსი სიტუაცია იქმნება, ოღონდ ერთი განსხვავებით — რუსეთის გენერალიტეტმა პირველი ომიდან საჭირო დასკვნა გამოიტანა და ტაქტიკური დესანტი ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვართან, მთებში გადასხა. ამით მოსკოვმა, ფაქტობრივად, „ტომარაში" მოაქცია ჩეჩენი მებრძოლები და უკან, სამხრეთისკენ დასახევი გზა მოუჭრა.

გარდა ამისა, რუსმა სამხედროებმა ერთი ძალზე რთული, მაგრამ მომგებიანი სვლა გააკეთეს — ინგუშეთიდან ითუმ-ყალამდე სამანქანო გზა გაჭრეს, რამაც მათ საშუალება მისცა, მაღალმთიან პოზიციებზე მსხვილკალიბრიანი საბრძოლო ტექნიკა გადაესროლათ.

ამ ტაქტიკური სვლით რუსმა სტრატეგებმა შეიძლება გარკვეულწილად საჭოჭმანო გახადონ უტყუარი მტკიცება — მთებში ყველაზე ეფექტურნი მსუბუქი იარაღით აღჭურვილი მობილური ჯგუფები არიანო. მთის მწვერვალებზე ატანილმა 120 მმ-იანმა ნაღმსატყორცნებმა, 122 მმ-იანმა ჰაუბიცებმა Д-30, თვითმავალმა „Нона"-ებმა და 152 მმ-იანმა 2С19 „МСТА-С"-ებმა ხეობებში მიმალული ჩეჩნები მძიმე მდგომარეობაში ჩაყარა.

ფაქტობრივად, რუსმა სამხედროებმა მიაღწიეს იმას, რაც ჟუკოვმა ბერლინის აღების დროსაც ვერ მოახერხა — ჩეჩნების პოზიციების თითოეულ კილომეტრს არანაკლებ 60 ქვემეხი, ჰაუბიცა და ნაღმსატყორცნი „ურტყამდა".

სწორედ ასეთ მძლავრ საარტილერიო მომზადებას უნდა მივაწეროთ რუსეთის ფედერალური ძალების დღევანდელი წარმატებები.

მაგრამ საკვირველი ერთი რამ არის — თუკი ჩეჩნებმა დიდი ხანია გამოაცხადეს პარტიზანულ ომზე გადასვლა, რაღას „ეჭიდებიან" დასახლებულ პუნქტებს და პოზიციებს ამაგრებენ? ვის გაუგონია, პარტიზანი სანგარში იმალებოდეს (გალის მოვლენების დროს ქართველი პარტიზანების მთავარი შეცდომაც ეს იყო, თუმცა იგი ობიექტური მიზეზებით გახლდათ გამოწვეული — დაცვის გარეშე დარჩენილ ქართულ სოფლებში ჩარჩენილ მშვიდობიან მოსახლეობაზე აფხაზი სეპარატისტები შურს მაინც იძიებდნენ)? ძნელი ასახსნელია, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა რატომ ვერ განსაზღვრა რუსული არტილერიის დამღუპველი ძალა. პირველი ომის დროს მას ასეთი შეცდომა არ მოსვლია.



ჩეჩენი პარტიზანების მიერ დადებულ ნაღმს კიდევ ერთი რუსული ტანკი შეეწირა

დღეს ჩეჩნების ხელში კვლავ რჩება რამდენიმე სოფელი არღუნის ხეობაში, მაგრამ მათი დაცვის მცდელობასაც რუსული არტილერია ნაცარტუტად აქცევს.

„კვირის პალიტრამ" საკმაოდ დიდი ხნის წინ ივარაუდა, რომ ჩეჩნები სრულფასოვანი პარტიზანული ომის დასაწყებად გაზაფხულს ელიან, როდესაც ტყეები გაიფოთლება. ამას რუსი სამხედროებიც ხვდებიან და ცდილობენ, მანამდე რაც შეიძლება ნაკლები ჩეჩენი დატოვონ ცოცხალი.

სხვათა შორის, ჩეჩნეთის ომის აქტიური ფაზა პირდაპირპროპორციულ კავშირშია იმასთან, თუ რამდენი ცნობილი ჩეჩენი საველე მეთაური დარჩება ცოცხალი.

დღესდღეობით, ცოცხლებში კიდევ მოიხსენიებიან მასხადოვი, ბასაევი და ხატაბი. რუსეთის ГРУ-ს სპეციდანიშნულების რაზმების დივერსიულ ჯგუფებს მათზე ნამდვილი ნადირობა აქვთ გამოცხადებული. მათ გარშემო წრე ნელ-ნელა იკვრება.

არ არის გამორიცხული, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა თავშესაფარი საქართველოშიც ითხოვოს, სხვა თუ არაფერი, მას თავის ქართველ კოლეგასთან გარკვეული ნაცნობობა და ძველი ურთიერთობა აკავშირებს.

თუმცა მოსკოვი მასხადოვს ამ ბოლო შანსსაც ართმევს — იგი რუსეთმა „ინტერპოლს" გადასცა მოსაძებნად, როგორც დამნაშავე. ამ შემთხვევაში, ოფიციალური თბილისი საკმაოდ არასახარბიელო სიტუაციაში ჩავარდება და ალბათ იძულებული იქნება, შეასრულოს ეს მოთხოვნა ჩეჩნეთის პრეზიდენტის გადაცემის შესახებ.

P.S. ორი თვის წინ რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა ასევე საზეიმოდ გამოაცხადეს ქალაქების — შალის, არღუნის, გუდერმესის დაკავება და მათი სრული კონტროლის ქვეშ აყვანა. მაშინ, რამდენიმე დღეში, ჩეჩნებმა მოულოდნელი თავდასხმა განახორციელეს ამ დასახლებულ პუნქტებზე და კინაღამ დაიბრუნეს. რუს სამხედროებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ჩეჩნების მოსაგერიებლად. ეს კი არა, შალის ცენტრში გამაგრებული ჩეჩენი მებრძოლების წინააღმდეგ რუსმა სამხედროებმა ტაქტიკური დანიშნულების „მიწა-მიწა" კლასის „Точка"-ს ტიპის რაკეტაც კი ისროლეს, რომელმაც ქალაქის ცენტრში მშვიდობიანი მოსახლეობის სახლები დაანგრია.

დღეს სიტუაცია მეორდება. 2 მარტს უკვე აღებული გროზნოდან სულ რაღაც 5 კმ-ში, სტაროპრომისლოვის რაიონში ჩასაფრებული ჩეჩნები თავს დაესხნენ ქ. სერგეევ-პოსადის „ომონის" რაზმს. მოულოდნელმა შეტევამ შედეგი გამოიღო — წინასწარი მონაცემებით, ჩეჩენმა მებრძოლებმა 20 რუსი მილიციელი მოკლეს და 29 დაჭრეს.

ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩეჩნები ნელ-ნელა, გაზაფხულის დადგომისთანავე ფართომასშტაბიანი პარტიზანული ბრძოლის მეთოდებზე გადადიან.

ამ შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, რომ არღუნის ხეობაში „ტომარაში" მოქცეული არანაკლებ 1,5-2 ათასი ჩეჩენი პატარ-პატარა, 3-5 კაციან ჯგუფებად დაიყოფიან და გეზს არა საქართველოს საზღვრისკენ, არამედ პირიქით, ჩეჩნეთის შუაგულისაკენ აიღებენ, სადაც უკვე „გამწვანებული" ტყეები მათთვის საუკეთესო „ბუნებრივი კამუფლაჟი" იქნება.

რუს სამხედროებს ყველაზე მეტად გზებზე ჩასაფრებებისა უნდა ეშინოდეთ, რადგან ჩეჩნები ამაში მართლაც ძალზე დაოსტატდნენ. ისინი აფეთქებენ გზაზე გაჭიმული კოლონის წინა და უკანა მანქანებს, ხოლო ვიწრო სავალი ნაწილის გამო კოლონის სხვა მანქანები, ფაქტობრივად, უძრავად რჩებიან და პარტიზანებისათვის საუკეთესო სამიზნეებს წარმოადგენენ.

# ვინ რა „ჩამოყარა" ჩეჩნეთის მთებში?!

ჩეჩნეთის მთებში რუსმა სამხედროებმა კიდევ ერთი „გრანდიოზული აღმოჩენა" გააკეთეს, რამაც მოსკოვს მისცა საშუალება, ახალი ბრალდება (თუმცა, არაპირდაპირი) წამოეყენებინა სამხრეთელი მეზობლების — საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ.

საქმე ის გახლავთ, რომ ზამთრის ბოლო დღეს ითუმ-ყალის სიახლოვეს, მთებში, რუსეთის ფედერალური ძალების მზვერავთა ჯგუფმა სადესანტო პლატფორმა იპოვა.

ამგვარივე სადესანტო პლატფორმები თავის დროზე საბჭოთა კავშირის საჰაერო-სადესანტო ჯარების აღჭურვილობაში ირიცხებოდა. მათი საშუალებით ხდებოდა დამატებითი ტყვია-წამლისა და სხვა საბრძოლო საჭურვლის მიწოდება მოწინააღმდეგის ზურგში გადასხმული მედესანტეებისთვის.

როგორც რუსეთის სამხედრო დაზვერვა ირწმუნება, ეს სადესანტო პლატფორმა, თავისი კონტეინერებითურთ, სულ რაღაც ერთი-ორი თვის წინ იქნა ჩეჩნეთის სამხრეთით, მთებში „გადმოსროლილი". მათი მტკიცებით, სატვირთო კონტეინერებში ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო და გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები იყო მოთავსებული.



აქედან გამომდინარე, მოსკოვი თითქმის პირდაპირ მიუთითებს — ასეთი სადესანტო პლატფორმები 1991-92 წლებში ქართველებს ლაგოდეხსა და ქუთაისში დავუტოვეთ, სადაც მანამდე ჩვენი სადესანტო-მოიერიშე და საპარაშუტო-სადესანტო ნაწილები იყო განთავსებულიო.

**ჩვენი დოსიე:** **პარაშუტების გამოყენების პარალელურად, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მსოფლიოს სხვადასხვა არმიებმა ტვირთების ჰაერიდან დესანტირებაც აითვისეს. სხვათა შორის, ბერიას ბრძანებით, ძირითადად სწორედ ამ მეთოდით ამარაგებდნენ ბელორუსიის ტყეებში გაბნეულ საბჭოთა პარტიზანებს. ჯავშნიანი საბრძოლო მანქანის БМД-1-ის დესანტირება ეკიპაჟის ორი წევრითურთ, პირველად განხორციელდა 1973 წელს. მას შემდეგ საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ჯარები სისტემატურად ახრულებდნენ ტვირთებისა და საბრძოლო ტექნიკის „ჩამოყრას" სპეციალური სადესანტო პლატფორმების გამოყენებით.**

ამ, თითქოსდა გულუბრყვილო მინიშნებით, გაუცნობიერებელი მკითხველი, ბუნებრივია, დაასკვნის — ჩვენს მტრებს — ჩეჩნებს, ქართველები უკვე ჰაერიდან, პარაშუტებით აწვდიან იარაღსო.

სინამდვილეში საქმე ბევრად უფრო მარტივადაა — რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარებს არც ლაგოდეხში და არც ქუთაისში არავითარი სადესანტო პლატფორმები არ დაუტოვებიათ. რომც დაეტოვებინათ, განვლილი ცხრა წლის განმავლობაში მათი საპარაშუტო სისტემა უკვე გამოუსადეგარი გახდებოდა!



მაგრამ ძირითადი მიზეზი, რის გამოც ქართველი სამხედროები მთლიანად გამოირიცხებიან ამ საქმიდან, სამწუხაროდ, უფრო პროზაულია — საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებს არა აქვთ ერთი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავიც კი, რომელიც სადესანტო პლატფორმების დესანტირებისთვის გამოდგებოდა. სხვა თუ არაფერი, ასეთი სატრანსპორტო თვითმფრინავი და სადესანტო პლატფორმები რომ გვქონოდა, აფხაზეთის ომის დროს მაინც გამოვიყენებდით. ამ დროისთვის მხოლოდ ერთადერთი — Ан-12 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავიღაა დარჩენილი ალექსეევკაში (თბილისის სამოქალაქო აეროდრომის გვერდით), მაგრამ კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს და თანაც ჩვენთვის იგი რუსებს ჯერ არც გადმოუციათ.

ქართველი სამხედროების გასაჭირის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულ ინფორმაციას ფლობს რუსული ГРУ და ამიტომაც მათ დამატებით „სამიზნედ" აზერბაიჯანი აირჩიეს.

ეტყობა, არც უმიზეზოდ.

საქართველოსგან განსხვავებით, რომლის ტერიტორიაზეც საბჭოთა პერიოდში არ იყო განთავსებული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების ესკადრილიები (თუ არ ჩავთვლით ზემოხსენებული ალექსეევკის საავიაციო ბაზას, სადაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის — ЗаКВО — სარდლობის მომსახურე სამგზავრო და სატვირთო თვითმფრინავები ბაზირებდა), აზერბაიჯანში ამ ტიპის თვითმფრინავები იმყოფებოდა. თავის დროზე აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის მებრძოლებმა საწვავგამწყობი მანქანებით გადაკეტეს რამდენიმე აეროდრომის ასაფრენი ზოლი და რუს პილოტებს ნახევარ ასეულამდე სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავი ძალით დაატოვებინეს.

არც ის არის გამორიცხული, რომ კიროვობადში დისლოცირებული საბჭოთა საჰაერო-სადესანტო ნაწილიდან აზერბაიჯანელებს ზემოხსენებული პლატფორმებიც დაეტოვებინათ.

თუმცა, სამხედრო ექსპერტებს მაინც მიაჩნიათ, რომ ჩეჩნეთში იარაღის საჰაერო გადასროლა არ მომხდარა.

უბრალოდ, ეს სადესანტო პლატფორმა შეიძლება ჩეჩნეთის პირველი ომიდანაა შემორჩენილი, ან, რაც უფრო ახლოს არის სიმართლესთან, ის ცოტა ხნის წინ თავად რუსებმა ჩამოუშვეს პარაშუტით იმ მედესანტეების დასახმარებლად, რომლებიც იანვარში არღუნის ხეობაში გადასხეს ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვრის გადასაკეტად.

## CIA-ს შეფი თბილისში ჩამოდის

რუსეთის სამხედრო პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მარტის მეორე ნახევარში თბილისს ვიზიტით ეწვევა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი ჯორჯ ტენეტი.

ამ კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟონვა რუსულ პრესაში ალბათ რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა საგანგებოდ განახორციელა. უფრო მეტიც, ისინი იტყობინებიან, რომ CIA-ს დირექტორის ვიზიტი ოფიციალურ თბილისთან უკვე შეათანხმა საქართველოში CIA-ს რეზიდენტმა. მოსალოდნელია, რომ ჯორჯ ტენეტი შეხვდება როგორც საქართველოს პრეზიდენტს, ისე უშიშროების საბჭოს წევრებს და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობას.

CIA-ს დირექტორთაგან მხოლოდ ერთი არის ნამყოფი საქართველოში (ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად ასე არის ცნობილი) და ისიც რამდენიმე საათით, რათა თბილისის აეროპორტიდან საკუთარი თვითმფრინავით წაესვენებინა თავისი რეზიდენტის — ჯეიმს ვუდროფის ნეშტი. ეს უკანასკნელი მცხეთის სიახლოვეს მანქანაში მოკლეს.

როგორც რუსეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ძალღონეს არ იშურებს პრეზიდენტ შევარდნაძის პირადი დაცვის გასაძლიერებლად და ამასთან სპეცდანიშნულების ტექნიკას (რადიოაპარატურა, იარაღი, ჯავშანჟილეტები და სხვა) აწვდის ქართულ სპეცსამსახურებს. მათივე ინფორმაციით, საქართველოში ვაშინგტონმა უკვე გამოგზავნა რადიოელექტრონული დაზვერვის სპეციალისტები, რომლებმაც ჩეჩნეთის ომის „პერიპეტიებს" უნდა უსმინონ რადიოეთერში.

# იაფი Су უფრო ადვილად იყიდება



ერთ-ერთი ქართული საინფორმაციო სააგენტოს მიერ გასულ კვირას გავრცელებული ცნობით, თბილისის საავიაციო ქარხანაში დამზადებულია რვა Су-25 ტიპის მოიერიშე; თითოეული მათგანის გაყიდვა 6 მლნ დოლარად არის განზრახული. სააგენტო საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ სინამდვილეში ქართული მოიერიშე ორჯერ მეტი, 12 მილიონი დოლარი ღირს და მხოლოდ გაჭირვება აიძულებს ქართველ თვითმფრინავთმშენებლებს, თვითმფრინავები ნახევარ ფასად შესთავაზონ პოტენციურ მყიდველსო.

რეალურად საქმე ცოტა სხვაგვარადაა — 70-იან წლებში დაპროექტებულ Су-25 მოიერიშეს 12 მილიონად კი არა, 6 მილიონ დოლარადაც არავინ იყიდის, განა იმიტომ, რომ ეს თვითმფრინავი არ ვარგა, არამედ მოძველებული რადიოელექტრონული სისტემისა და რეაქტიული ძრავების გამო.

Су-25-ის შექმნისას გათვალისწინებული იყო მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება — სიიაფე, ამიტომაც ჩვენს მოიერიშეებს არც ავტოპილოტი აქვთ და არც მფრინავის ჰერმეტული კაბინა.

თუმცა ეს ნაკლოვანებები, რამდენადაც წარმოუდგენელი არ უნდა იყოს მკითხველისთვის, დამატებით შანსს იძლევა, რომ ქართული მოიერიშეები მსოფლიო საიარაღო ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანნი იყვნენ, რადგან ავტოპილოტიც და მფრინავის ჰერმეტული კაბინაც თავის მხრივ საკმაოდ ძვირი ღირს.

იარაღის ბაზარი მთელ მსოფლიოში არცთუ აღმავალ გზაზე დგას. ცივი ომის დამთავრებისთანავე მკვეთრად შემცირდა მოთხოვნა თანამედროვე, ძვირადღირებულ იარაღზე. საბრძოლო ტექნიკის ძირითადი ექსპორტიორები — აშშ, რუსეთი, საფრანგეთი და სხვები თითოეული ტანკის თუ თვითმფრინავის გაყიდვისთვის ერთმანეთს ყელს ღადრავენ. ამ „სისხლისმსმელ" ბრძოლაში კი საქართველო ძალზე უთანასწორო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რომ არა ერთი გარემოება — სამწუხაროდ, საქართველოში არსებული დაბალი ეკონომიკური დონე ძალზე აიაფებს კვალიფიციურ მუშახელს და შესაბამისად, მათ მიერ წარმოებულ სამხედრო პროდუქციასაც.

აქედან გამომდინარე, ქართული მოიერიშე თვითმფრინავები, ნაღმსარტყორცნები, ჯავშანჟილეტები და ამფეთქებლები სულაც არ ჩამოუვარდებიან მსოფლიო დონეს. ამასთან ისინი, თავისი გასაყიდი ფასით, სავსებით ხელმისაწვდომნი არიან მესამე მსოფლიოს ქვეყნებისთვის. სწორედ ამიტომაც მოიპოვა ნავსაყუდელი შარშან კონგოში ოთხმა ქართულმა მოიერიშემ. თავის რიგს დანარჩენებიც ელიან, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა 12 მილიონ დოლარად!

ამ ფასად ამ მოიერიშის მხოლოდ ბოლო მოდიფიკაცია — Су-25ТМ თუ გაიყიდება, რომელიც შედარებით თანამედროვე რადიოელექტრონული სისტემებითაა აღჭურვილი, მაგრამ ამ ტანკსაწინააღმდეგო მოიერიშე თვითმფრინავის სერიული წარმოება ათი წელია, ჭიანურდება. თბილისში გამოშვებული 14 ასეთი თვითმფრინავი თავის დროზე რუსეთში იქნა გაგზავნილი გამოსაცდელად. არ არის გამორიცხული, ამ თვითმფრინავებიდან ორიოდე Су-25ТМ ჩეჩნეთის ომშიც მონაწილეობდეს.

**გვერდი მოამზადა**
**ირაკლი ალადაშვილმა**

# როგორ გაიშიფრა ლეგენდარული აბელი იხსენებს უშიშროების გენერალი...

***მ**რავალი წლის მანძილზე გენერალი გივი ჯორბენაძე საქართველოს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ალექსი ინაურის მოადგილე იყო.*

*1985 წელს, როგორც ჩანს, ინტრიგების დიდოსტატთან — ინაურთან მომხდარი დაპირისპირების გამო, ჯორბენაძემ განცხადება დაწერა და სამსახურიდან წავიდა. მას მაშინვე შესთავაზეს საბჭოთა კავშირის კონტრდაზვერვის შეფის მოადგილის თანამდებობა, მაგრამ გენერალმა მშობლიური თბილისის დატოვება არ ისურვა.*

*გამოხდა ხანი და გივი ჯორბენაძე კვლავ საქართველოს სპეცსამსახურშია — ამჟამად 75 წლის გენერალი მეტად მხნედ გამოიყურება და ჩვენი ქვეყნის უშიშროების სამინისტროში აქტიურად მოღვაწეობს.*

*უფროსი თაობის თბილისელები მას ქალაქის კოლორიტად მიიჩნევენ — დოდო აბაშიძის, რევაზ ლაღიძის, გოგი ცაბაძისა და ეროსი მანჯგალაძის უახლოესი მეგობარი ალბათ სხვანაირი ვერც იქნებოდა. როგორც მისმა თანამშრომლებმა გვაუწყეს, კოლოსალური გამოცდილებისა და ბრწყინვალე განათლების გარდა, გენერალი იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭითაც გამოირჩევა. ამაში ინტერვიუს აღების დროსაც დავრწმუნდით, მაგრამ იუმორის შესახებ სხვა დროსა და სხვა რუბრიკაში მოგიყვებით, დღეს კი, ჩვენი თხოვნით, გივი ჯორბენაძე რუბრიკა „ვერსიის“ შესატყვის თემებზე გვესაუბრება:*

## „ქართველი ხარ, ბიჭო?“

სწორედ ისე, „ღიმილის ბიჭებში“ რომ არის — თბილისის საშუალო სკოლის დამთავრების თარიღი ზუსტად დიდი სამამულო ომის დაწყებას, 1941 წლის 22 ივნისს დაემთხვა. მთელი კლასი მაშინვე სამხედრო კომისარიატში გამოვცხადდით და ჰიტლერის გასანადგურებლად, ომში წასვლა მოვითხოვეთ. როგორც ჩანს, მაშინ პატიოსანი კომისრები იყვნენ და კატეგორიული უარით გამოგვისტუმრეს.

შემდეგ იყო 2 წელი უნივერსიტეტში, ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ლექციებს გვიკითხავდნენ ნიკო ბერძენიშვილი და კოტე ბაქრაძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და შალვა ნუცუბიძე... ერთ მშვენიერ დღეს კომკავშირის რაიკომში დამიბარეს და განმიცხადეს, სამუშაოდ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატში გიშვებთო. ვიუარე, მე ჯარში მინდა-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მაუზერი აქაც გექნებაო და ამგვარად გადაწყვიტეს ჩემი მომავალი.

დღემდე არ ვიცი, რატომ მიმიწვიეს უშიშროებაში — ბიძაჩემი მეფის რუსეთის მაღალჩინოსანი იყო, დედაჩემი თავადის ქალი ბრძანდებოდა, მამა კი 1936 წელს ციხეში გარდაცვლილი ეროვნულ-დემოკრატი... ეტყობა, ომის პერიოდი რომ იყო, კადრები უჭირდათ და მეც ამიტომ დამიძახეს. მალე უმცროსი ლეიტენანტის ერთი ციცქნა ვარსკვლავი დამაკრეს და სამუშაოდ ჩოხატაურში გამგზავნეს.

ომის წლებში საქართველო ლამის წალეკეს იმ დროს მომრავლებულმა ბანდებმა და გერმანელთა მიერ გადმოსხმულმა ჯაშუშებმა. გურიაში არაერთხელ მოგვიწია მათთან შეტაკება. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ე.წ. ბარამიძის ბანდის წევრები. ერთ-ერთი შეტაკებისას ფირალმა ასლან ბარამიძემ ფეხში დამჭრა. ცოტა ხანში კვლავ დავიჭერი. ამჯერად ჩეჩენთან ბრძოლის დროს.

ომი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მივლინებით ყირიმში, იალტის მახლობლად გამგზავნეს. იქ საავტომობილო მაგისტრალი მდებარეობდა და მის ერთ-ერთ მონაკვეთზე პატრულირებას ვახდენდი. ერთხელაც, ვხედავ რამდენიმე სატვირთო მანქანა მოგვადგა. იქიდან პოლკოვნიკები გადმოვიდნენ, მომიახლოვდნენ და თან სამი უცხოელი ოფიცერიც მოიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, ჩვენებს იქ უზარმაზარი რადიოანძის აღმართვა ჰქონდათ გადაწყვეტილი და ამერიკელი სპეციალისტებიც ამის გამო მოუწვევიათ. მალე სხვა სამხედროებიც მოვიდნენ, ანძა უსწრაფესად დაამონტაჟეს და წავიდნენ.

ორი დღის შემდეგ კვლავ ვმორიგეობ დასახლებულ რაიონში და უეცრად, კიდევ ერთი, შავი ფერის მანქანა მომიახლოვდა. იქიდან ამჯერად ფაფახიანი გენერალი გადმობრძანდა და უმალ შემომიტია, ვინ ხარ და საერთოდ, ვინ არის აქ მეთაურიო. არ დავბნეულვარ, პასუხი სხარტად გავეცი, მაგრამ გენერალი მეტად აღელვებული იყო და კვლავ დამაყარა კითხვები. ანძით იყო დაინტერესებული. ვუპასუხე, მაგრამ ცოტა მეც ავღელდი და ნამეტანი ფიცხი პასუხი გამომივიდა. მოულოდნელად, თვალები მოჭუტა და წყნარად მეკითხება:

— ბიჭო, შენ ქართველი ხომ არ ხარ?

— დიახ, ამხანაგო გენერალო, თბილისელი ვარ.

— ოო, გეტყობა, მაგარი ვინმე ხარ...

— მაგარი რომ არ ვიყო, აქ ვინ დამაყენებდა? — გავთამამდი.

— ჰოდა, სწორედ ამიტომ, ახლავე ჩემთან წამოხვალ!

— კი მაგრამ, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე ეგნატაშვილი გახლავართ, კრემლის კომენდანტი!

გენერალმა ჩემს უშუალო უფროსს გამოუძახა და უბრძანა, საბუთები სასწრაფოდ გაუფორმე, ეს ლეიტენანტი ჩემთან წამოვა სამუშაოდო. ასე მოვხვდი იალტაში. ეგნატაშვილი მამასავით მპატრონობდა: სულ მთლად ახალი, თბილი ქურქი ჩამაცვა, მაჭმევდა, მასმევდა... ჩემს სიცოცხლეში ყავაც პირველად მან დამალევინა.

ერთხელ, თავისი მანქანით იალტის აეროდრომზე წამიყვანა, რაღაც შენობის წინ დამტოვა, მითხრა, ცოტა ხანს აქედან ფეხი არ მოიცვალოო და სადღაც წავიდა. დავრჩი მარტო. გავიდა 10, 20 წუთი, ნახევარი საათი...

უცებ, წყნარი საუბრის ხმა შემომესმა. მივბრუნდი და რას ვხედავ! ჩემგან ათიოდ ნაბიჯზე, ყოველგვარი დაცვის გარეშე, მოსეირნობენ ვოროშილოვი და მოლოტოვი, მათ შორის კი — სტალინი!

20 წლის ბიჭი ვიყავი, საშინლად დავიბენი, პირი დავაღე და კედელს გავეკარი. ამ დროს ვოროშილოვმა შემომხედა და დამიძახა:



— ახალგაზრდავ, თუ შეიძლება, მობრძანდით ჩვენთან!

მივირბინე და ბელადის წინ ავიტუზე. მოლოტოვს გაეღიმა:

— „ბორჯომით“ ხომ არ გაგვიმასპინძლდებით?

ახლავე-მეთქი, ვუპასუხე, შემოვბრუნდი და შენობისკენ გამოვიქეცი, მაგრამ რად გინდა? — აქაურობას საერთოდ არ ვიცნობდი და წარმოდგენაც არ მქონდა, სად უნდა მეშოვა „ბორჯომი“. გულში ეგნატაშვილს ვწყევლიდი, რა შარში გამხვია-მეთქი. პირველივე ოთახში შევიჭერი და ღმერთო, დიდებულო! საბანკეტო დარბაზში აღმოვჩნდი... უნაკლო სუფრა იყო გაშლილი და რა თქმა უნდა, „ბორჯომიც“ ბლომად იყო.

ორ ბოთლს, სამ ჭიქასა და გასახსნელს დავავლე ხელი და გარეთ გამოვვარდი. აკანკალებული ხელით პირველად ვოროშილოვს მივაწოდე სასმლით სავსე ჭიქა. ეს ალბათ ინსტინქტურად მომივიდა — „ბორჯომი“ ხომ სწორედ მან მთხოვა. ვოროშილოვმა თვალით სტალინისკენ მანიშნა. მეც მაშინვე მივხვდი ჩემს შეცდომას და ჭიქა ჯერ სტალინს მივაწოდე. როცა სამივემ მიირთვა, სტალინი მომიბრუნდა:

— როგორ მიდის აქ საქმეები?

— კარგად, ამხანაგო სტალინ!

— უცებ ქართულად მეკითხება:

— ქართველი ხარ?

— დიახ, იოსებ ბესარიონის ძევ, — ქართულადვე ვუპასუხე.

— ძალიან კარგი. კარგი ბიჭი ჩანხარ!

ბელადმა გაიღიმა, რაღაც უცნაურად, ეშმაკურად გადახედა მოლოტოვსა და ვოროშილოვს და გზა განაგრძო.

საღამოს ალექსანდრე ეგნატაშვილისგან შევიტყვე, რომ იმ დღეს იალტის კონფერენცია დაწყებულიყო, სადაც სტალინთან ერთად აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურებიც იღებდნენ მონაწილეობას.

## „ტასი“ უფლებამოსილია განაცხადოს“

ორი ათეული წლის წინ საბჭოთა კავშირში მეტად პოპულარული იყო ფილმი „ტასი“ უფლებამოსილია განაცხადოს“, რომელიც ცნობილი მწერლის, იულიან სემიონოვის იმავე სახელწოდების წიგნის მიხედვით შეიქმნა. ბევრმა ალბათ იცის, რომ თავად წიგნის ფაბულა სემიონოვმა დოკუმენტურ ფაქტებზე ააგო. ამ ფაქტების მთავარი გმირები კი ჩვენი თანამემამულენი იყვნენ.

ყველაფერი ასე დაიწყო: საქართველოს უშიშროების თანამშრომელმა, გურამ პატარქალიშვილმა, რომელიც შიფრებისა და კოდების შესანიშნავი სპეციალისტი გახლდათ, ერთხელ დაშიფრული ინფორმაცია მოიპოვა — ჩვეულებრივ კონვერტში მოთავსებული ჩვეულებრივი წერილი, სხვა ქალაქში გასაგზავნად, ვიღაცამ სოხუმში მდებარე საფოსტო ყუთში ჩააგდო. ეს წერილი პატარქალიშვილმა შეამოწმა (იმდროინდელი კანონის შესაბამისად ზოგჯერ ვაწარმოებდით ხოლმე მოქალაქეთა წერილების ფარულ შემოწმებას) და ღია ტექსტის მიღმა დაშიფრული წინადადებები ამოიკითხა.



წერილის ადრესატის ძებნამ შედეგი არ გამოიღო, გამგზავნის სახელი, გვარი და მისამართი კი კონვერტს საერთოდ არ ეწერა. არადა, ეს ადამიანი, რომელიც სავარაუდოდ უცხოელთა ჯაშუში უნდა ყოფილიყო, სასწრაფოდ უნდა გვეპოვა. მეორე მხრივ, წარმოიდგინეთ ზღვისპირა სოხუმი ზაფხულში. იქ ხომ ათასობით ადამიანი ცხოვრობს და ისვენებს. მიდი და მიაგენი მათ შორის იმ ერთადერთს!

ჩვენმა გრაფოლოგიურმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ წერილის დამწერი უთუოდ რუსეთის მოქალაქე ან რუსული ენის უზადო მცოდნე მამაკაცი იყო. ეს იყო და ეს. სხვა ინფორმაცია არ გაგვაჩნდა.

შევუდექით სოხუმის სასტუმროების, დასასვენებელი სახლებისა და ბინების შემოწმებას. შევამოწმეთ ასევე თვითმფრინავის ძველი ბილეთების ჩამონახევებიც. ამ და სხვა ღონისძიებათა გატარების შედეგად გამოვლინდა ასობით ადამიანი, რომელიც, შესაძლოა, წერილის ავტორი ყოფილიყო.

მშვენივრად ვიცოდით, რომ უცხოეთის სპეცსამსახურებს ნაკლებად აინტერესებდათ საბჭოთა მუშები, კოლმეურნეები ან თუნდაც ხელოვანები, ამიტომ ვეძებდით ადამიანს, რომელსაც საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი. გამორიცხვის მეთოდის საშუალებით ეჭვმიტანილთა სია თანდათან მცირდებოდა და ბოლოს ერთ კაცამდე დავიდა.

ეს იყო ვინმე ოგოროდნიკოვი — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრეი გრომიკოს თანაშემწე ანალიტიკური სამუშაოების დარგში. ფაქტობრივად, ეს ოგოროდნიკოვი ფლობდა იმ ინფორმაციას (და შესაძლოა, მეტსაც), რასაც გრომიკო და ამდენად უცხოეთის დაზვერვისთვის უაღრესად საინტერესო და სასურველი პირი გახლდათ.

სასწრაფოდ დავამყარეთ კავშირი მოსკოვთან და როდესაც ეჭვმიტანილი სოხუმიდან რუსეთში დაბრუნდა, საერთო ძალებით ფარულად შევუდექით მის დამუშავებას — დავუნიშნეთ მოთვალთვალენი და ა.შ. მალე შევატყვეთ, რომ ოგოროდნიკოვი ანერვიულდა. ეტყობა, რაღაც იყნოსა. რამდენიმე დღის შემდეგ მან დაშიფრული წერილი გაამზადა და ერთ უკაცრიელ ადგილას, სამალავში ჩადო. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, წერილით ამერიკელებს ატყობინებდა, მგონი მითვალთვალებენ და სასწრაფოდ მიშველეთ რამეო. სამალავის გარშემო მაშინვე ჩავსაფრდით და დავიწყეთ ლოდინი. ცდა დიდხანს არ დაგვჭირვებია, გრომიკოს თანაშემწის წერილის წასაღებად უცხოელი დიპლომატები, ქალი და მამაკაცი მოვიდნენ. მიაგნეს თუ არა სამალავს, მაშინვე ყოველი მხრიდან ვეცით და შევიპყრეთ. მახსოვს, ქალი ისე გაამწარა ჩვენმა გამოჩენამ, რომ ერთი თანამშრომელი საშინლად დაგვიკბინა...

*სტუმარსაც სულ უფრო ეკიდებოდა ღვინო. მედუდუკეებს ვანიშნე, ახლა „სემ-სოროკი“-მეთქი და იმათაც უმალ შეასრულეს დაკვეთა.*

*უცებ, ებრაული მელოდიის გაგონებისას, რუდოლფ აბელი აცმუკდა, შემდეგ ფეხზე წამოიჭრა და ცეკვას მოჰყვა.*

პარალელურად დააპატიმრეს ოგოროდნიკოვიც, მთელი ეს ამბავი კი სავალალოდ დასრულდა. დაკავებული უცხოელები პერსონა ნონ გრატად გამოვაცხადეთ და ქვეყნიდან გავაძევეთ. როდესაც გრომიკოს თანაშემწე გამომძიებელთან დასაკითხად მიიყვანეს, დაკავებულმა განაცხადა, ვიცი, რომ ტყუილის თქმას აზრი აღარ აქვს და ყველაფერს გულახდილად ვიტყვიო. მიუტანეს ქაღალდი და კალამი, მაგრამ ოგოროდნიკოვმა საკუთარი კალამი მოითხოვა — შეჩვეული ვარ იმით წერას და უარს ნუ მეტყვითო. თხოვნა შეუსრულეს, მაგრამ როგორც კი დაკავებულმა ხელში აიღო კალამი, თავსახური მოხსნა, იქ მოთავსებული შხამიანი აბი გადაყლაპა და იქვე განუტევა სული.

სხვათა შორის, მოგვიანებით იულიან სემიონოვის რეკომენდაციით, მხატვრული ფილმის კონსულტანტად მე მიმიწვიეს, მაგრამ სწორედ მაშინ საზღვარგარეთ მივემგზავრებოდი და ფილმის რეჟისორს უარი ვუთხარი. სამაგიეროდ, ჩემი მხრივ, რეკომენდაცია გავუწიე ჩემს თანამშრომელს, გენერალ გიორგი ფიფიას და შემდეგ სწორედ ის იყო (გიორგი კოლხის ფსევდონიმით) „ტასი“ უფლებამოსილია განაცხადოს“ მთავარი კონსულტანტი.

## როგორ გაიშიფრა აბელი

ქართველებს, ალბათ, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებზე მეტად გვსიამოვნებს, როდესაც მსოფლიოში ამა თუ იმ ცნობილ ადამიანზე შევიტყობთ, წარმოშობით ქართველი არისო. ამის გამოა, რომ არაერთ სახელგანთქმულ პირს თავადვე შევუქმენით მითი, თითქოსდა მისი ქართული წარმომავლობის შესახებ. ამ უკანასკნელთა რიცხვს უნდა განეკუთნებოდეს ლეგენდარული საბჭოთა მზვერავი რუდოლფ აბელიც (ამ თემაზე „კვირის პალიტრა“ არაერთხელ წერდა).

ეს ადამიანი მართლაც ღვთისგან უნიკალური ნიჭით დაჯილდოებული გახლდათ და მის შესახებ არა მხოლოდ საქართველოშია მითები შექმნილი. აბელი 20 წელზე მეტხანს მუშაობდა აშშ-ში და ცენტრს იქიდან უმნიშვნელოვანესი ინფორმაციით ამარაგებდა. მზვერავი გასცა მისივე კოლეგამ, საბჭოთა რეზიდენტმა რეინო ჰაიჰანენმა. ამერიკელებმა აბელი დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ იგი საბჭოთა კავშირში დატყვევებულ პილოტში, პაუერსში გაცვალეს.

აბელის ცხოვრების ერთ ეპიზოდზე მინდა მოგითხროთ: აშშ-ის საპყრობილეში ყოფნისას, მან შეიმუშავა ამერიკული ციხის სრულიად ახალი პროექტი — დაწყებული შენობის მოდელით და დამთავრებული პატიმართა დღის განრიგით. ამერიკელ ექსპერტებს იმდენად მოეწონათ აბელის იდეა, რომ დიდი ხნის მანძილზე იყო სერიოზული საუბრები აღნიშნული პროექტის განხორციელებაზე...

ახლა კი აბელის თითქოსდა ქართველობის შესახებ: მზვერავის ამერიკელი ადვოკატის, ჯეიმს დონოვანის ცნობით, აბელის დატყვევებისას მეტად გართულდა მისი ეროვნების დადგენა. „არსებობდა ვარაუდი, — ამბობს დონოვანი, — რომ აბელი ეროვნებით ქართველი იყო, კახელი აზნაურების, აბელიშვილების შთამომავალი“. ვერაფერს გეტყვით, საიდან უნდა სცოდნოდა ამერიკელ ადვოკატს კახეთის ან კახელი აზნაურების შესახებ, მაგრამ მოგიყვებით იმას, რისი მოწმეც თავად ვიყავი.

საბჭოთა კავშირში დაბრუნების შემდეგ აბელი ხშირად მოგზაურობდა სხვადასხვა რესპუბლიკაში. ერთხელ, მეუღლესთან ერთად, საქართველოშიც გვეწვია. დავათვალიერებინეთ ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობები, რა თქმა უნდა, არც პურმარილს ვივიწყებდით. კახეთშიც გვყავდა. სწორედ ის ადგილები ვუჩვენეთ, სადაც აბელიშვილები ცხოვრობდნენ, მაგრამ აბელს იქ არანაირი გრძნობები არ გამოუხატავს...

მახსოვს, ნატახტარშიც დავპატიჟეთ ვახშამზე. ლეგენდარულ მზვერავს საქართველოს უშიშროების კომიტეტის თანამშრომელთა რამდენიმეკაციანი ჯგუფი ვახლდით. ვახშამი თანდათან ეშხიან ქეიფად იქცა. თამადა მე ვიყავი. ჩემმა შეზარხოშებულმა თანამშრომლებმა, ისე, რომ აბელს ვერაფერი გაეგო, დაიჩემეს, მოდით დავაცდენინოთ, მართლა ქართველია თუ არაო. არადა, სტუმარი კაი ეშმაკი კაცი იყო და მისგან ინფორმაციის გამოტყუება ნამდვილად არ იყო იოლი. მაინც გადავწყვიტე მესარგებლა იმით, რომ აბელი უკვე გვარიანად ნასვამი იყო, თანაც თავს, პრაქტიკულად, შინაურ გარემოში გრძნობდა, ყურადღება მოდუნებული ექნებოდა და ასეთი ექსპერიმენტი ჩავატარე.

ვუხმე მედუდუკეებს და ქართული ცეკვები შევუკვეთე. ბალდადური და ლეკური დაუკრეს და მასპინძლებმაც ერთი კარგად ჩამოვუარეთ. აბელი ადგილიდან არ წამომდგარა. ცოტა ხანში მუსიკოსებს რუსული „ჩასტუშკები“ დავაკვრევინე. არც ახლა ჰქონდა სტუმარს რეაქცია. ამასობაში ქეიფი უფრო გახურდა, სტუმარსაც სულ უფრო ეკიდებოდა ღვინო. მედუდუკეებს ვანიშნე, ახლა „სემ-სოროკი“-მეთქი და იმათაც უმალ შეასრულეს დაკვეთა.

უცებ, ებრაული მელოდიის გაგონებისას, რუდოლფ აბელი აცმუკდა, შემდეგ ფეხზე წამოიჭრა და ცეკვას მოჰყვა. მას მეუღლემაც მიბაძა, ასაკისა და სასმლის მიუხედავად, სტუმარი მუსიკის დასრულებამდე ცეკვავდა.

მე ეშმაკურად მეცინებოდა, რომ ასეთი პრიმიტიული ხერხით გავშიფრე ლეგენდარული მზვერავი. როგორც ჩანს, შემნიშნა. ცეკვა რომ დაასრულა, ღიმილით მომიახლოვდა და მხარზე ხელი დამკრა: „ეჰ, კონტრრაზვედკა, კონტრრაზვედკა...“

***მიხეილ ჩერქეზია***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ასწავლა



ვაგზლის მოედნისკენ მიმავალ ავტობუსში ხანში შესული ქალი ამოდის.

სასწრაფოდ უთმობენ ადგილს.

ფერმკრთალი ქალი სკამზე დაეშვა და მაშინვე გაუბა საუბარი მის გვერდით მჯდომ ჩაპუტკუნებულ ქალს:

— კუჭი მტკივა, შვილო, საჭმელი არ მაქვს, მარა, რასაც ვჭამ, ისიც მწყენს.

ქალი თანაგრძნობით უკანტურებს თავს.

— სახსრებიც მტეხავს, დედა... სიარული მიჭირს და თავიც მიბრუის, წნევა მაქვს ცვალებადი.

გვერდით მჯდომი ქალი ამჯერად სიჩუმეს ამჯობინებს.

— ხო, დედა... თირკმლებიც მაწუხებს... არც გული მაქვს კარგად.

საერთო სიჩუმე.

უყურადღებობით გაბრაზებული მოხუცი უკან მჯდომ ახალგაზრდას მიუბრუნდა:

— ჩემი შვილიშვილისხელა ხარ, ბებია, და რა დაგიმალო, შაქარი მაქვს... გემოგლობინიც არაა ნორმაზე. დღეში ერთხელ მეტად ვერ ვშარდავ! — აპა!

თავშეკავებული სიცილი.

ავტობუსი ვაგზლის მოედანს უახლოვდება.

— დედა, მიმართავს მძღოლს... კუკიაზე, რომელი ტრანსპორტით უნდა ევიდე?

— კატაფალკით, ბებოჯან... კატაფალკით — სერიოზულად პასუხობს მძღოლი.

რეისი დასრულდა...

***მურმან მერკვილიშვილი***

## საფრთხობელა



ეს ამბავი სამეგრელოში, გარახაში მოხდა. იმ დღეს საშინელი ქარი ქროდა — ატარებული სიმინდი სულ ერთიანად მიაწვინა და დალეწა. დედაჩემს შინ რა გააჩერებდა, როცა ოჯახის მარჩენალი ინდაურები სადღაც მიმოფანტულიყვნენ.

შარაზე გავიდა და ხედავს, მეზობელი — მაღალი შოთა დანგრეულ შუა ყანაში ჩამდგარა და თავში ორივე ხელს იცემს.

— შოთა, ჩემი ყანა უარეს დღეშია, თავს ნუ იკლავ, ჩემი ინდაურები ხომ არ გინახავს? — დედაჩემის ხმა ქარმა ლაფარიაში წაიღო.

შოთამ ორივე ხელით უჩვენა, შენი ინდაურები იქით არიანო. წაფრატუნდა დედაჩემი, ერთი საათი ეძება, მაგრამ ვერ იპოვა, უკან მობრუნდა, კვლავ დაუძახა შოთას.

შოთამ ახლა უფრო ზევით, გორაკისკენ გაიშვირა ორივე ხელი. ქარმა ფრიალ-ფრიალით აიყვანა გორაკზე. ეძება, მაგრამ უშედეგოდ, იმედგადაწურული უკან მობრუნდა და დაღლილმა და გაბრაზებულმა ისევ დაუძახა შოთას, მან კი უარის ნიშნად ორივე ხელი გადააჯვარედინა.

დედაჩემმა ჭიშკარი შეაღო, დალეწილ სიმინდებში ძლივს გაიარა, შოთასთან ახლოს მივიდა, ასწია თავი და რას ხედავს, შოთას თავის სიმაღლე საფრთხობელა გაუკეთებია, თავისი ტანსაცმელი ჩაუცმევია, ქუდიც დაუხურავს და...

...უბერავს და უბერავს ქარი, ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.

***გუჯა ლელაძე, გარახა***

## ...დედა — მკითხავი

პატარა გიორგის საბავშვო ბაღში ჰკითხეს:

— ვინ არიან შენი მშობლები (პროფესია აინტერესებდათ)?

— მამა მხატვარია, დედა — მკითხავი — არ დაფიქრდა გიორგი.

გაკვირვებულმა მასწავლებელმა:

— შენ რა იცი დედა რომ მკითხავია?

— სულ კითხულობს და კითხულობს.

***ნონიკა***



## ჩაიწია შარვალი, ჩაცუცქდა და...

სტუდენტობის დროინდელი ამბავია, ბაკურიანში ვიყავით იმ ზამთარს, ავდიოდით წვალებით კოხტაგორაზე და ვეშვებოდით იქიდან თხილამურებით. ერთ ჩვენს მეგობარს ზედ მთის წვერზე მოუჭირა მუცელმა საშინლად, სასწრაფოდ ჯოხები გვერდზე გადადო, ჩაიწია შარვალი, ჩაცუცქდა და მისცა საარტილერიო ზალპი... ალბათ ეს გახდა მიზეზი და ეგრევე მოცურდა, ჯოხებსაც ველარ მისწვდა, არც ოსტატობა ეყო, რომ ამდგარიყო, შარვალი ამოეწია და უჯოხოდ დამუხრუჭებულიყო. ერთი სიტყვით, ასე შარვალჩახდილი და ჩაცუცქული მივიდა ფინიშზე. უნდა გენახათ რა სიცილ-ხარხარით შეხვდნენ ამ ამბავს მთის ძირში შეკრებილები.



***გურამ რეხვიაშვილი, თბილისი***



## მტირალი ბავშვი

ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა. ჩემს მეზობლად, გვარს არ დავასახელებ, პატარა ბავშვი გამოსულიყო ეზოდან და ჭიშკართან მდგარი, ხმამაღლა ტიროდა. ამ დროს ვიღაც ქალმა გამოიარა და ბავშვს ჰკითხა:

— რა გატირებს, სად არის დედაშენი?

— საგიჟეთში, — სლუკუნით უპასუხა ბავშვმა.

— მამა?

— ციხეში — იყო პასუხი.

— იტირე, შვილო, კი გქონია სატირლად საქმე, — თქვა გულშემოყრილმა ქალმა.

ბავშვის დედა სანიტრად მუშაობდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, ხოლო მამა ციხის სამკურნალო ნაწილის გამგე იყო.

***შალვა ლორთქიფანიძე, ქუთაისი***




## ასე აქანეც ქე იყავით

— რა ქენი ნენა? — ეკითხება ბებია ფეხბურთის შეჯიბრიდან დაბრუნებულ შვილიშვილს.

— ყაიმით დავამთავრეთ!

— რაია, ნენა, ყაიმი?

— ფრედ, ბებია, ფრედ!

— რაია, ნენა, ფრე?

— ფრე, ბებია, იგია, რომე ვერც ჩვენ მევიგეთ და ვერც იგენმა.

— კი, მარა, ასე აქანეც ქე იყავით, შეჯიბრზე რაღას მიდიოდით ამდენი ხალხი?

***გურიაში გაგონილი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



სვანს თავზე გველი უკბენს. ექიმი რომ მოვიდა დაინახა, სვანს ყელში თოკი აქვს წაჭერილი და გაგუდულია.

— კი მაგრამ, რატომ გაგუდეთ? — გაბრაზდა ექიმი.

— რა ვიცი შარშან ჩემს მეზობელს ხელზე რომ უკბინა გველმა, თქვენ თვითონ მოუჭირეთ თოკი მკლავზე.

***ზვიად ჩადუნელი, ახალდაბა***



პარიკმახერმა პარსვის დროს კლიენტს ორჯერ გაუჭრა ლოყა. შემდეგ კი ჰკითხა:

— ადრეც ხომ არ ყოფილხარ ჩვენთან?

— არა, ეს ხელი ფრონტზე დავკარგე.

***ნადეჟდა ქალიაშვილი, ხაშური***



გურული წყლის პირას ზის. უცებ მოვარდება ცხენზე ამხედრებული მეგრელი:

— პატენი, სად არის აქ ფონი?

— აგერ, ძამა, აა!..

მეგრელმა ცხენი წყალში შეაგდო და კინაღამ დაიხრჩო. ძლივს გადარჩენილი ეუბნება გურულს:

— რა მიყავი, წიე, ეს?

— რა ვიცი, ძამა, წეღან კვატიე (იხვი) გამევიდა და წელზე სტობოდა წყალი.

***ბაცუ კილაძე***

ჭიჭიკიას შვილი მისდევს გასალახად. გააზავეს მეზობლებმა.

— რა იყო ჭიჭიკია, რა მოხდა? — ჰკითხეს.

— დედა შევაგინე ამ მამაძაღლს და გული მოუვიდა, კიდევ კაი, ფაქტზე ვერ შემისწრო.

***ჯანო ონიანი***



— გაიგე, ჭიჭიკიას ცოლი რომ უთხოვია?

— სულ რავა მათხოვრობს ეგ უბედური, ჩემიც სამი ლარი აქვს ვალი.

***ზურა შინდარელი, ხაშური***



ქმარი სამუშაოდან მშიერი ბრუნდება:

— ქალო, საჭმელი მაჭამე!

— თხოვნას ერთი ჯადოსნური სიტყვაც რომ უნდა დააყოლო, დაგავიწყდა?

— სირბილით, შენი დედა...

***სოფო და ნინო***



ჭიჭიკია და ილიკო თევზის დასაჭერად წავიდნენ. ცოტა ხანში ჭიაყელა გაუთავდათ და მის მოსატანად ჭიჭიკია წავიდა. მალე ჭიჭიკიამ ჭიაყელები მოიტანა, რაზეც ილიკომ გაკვირვებით ჰკითხა:

— ვა, ამდენი ჭიაყელა საიდან?!

— ეგერ მიწაში 12 ვოლტი ჩავუშვი და ჭიაყელები თავისით ამოძვრნენ.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გაუთავდათ ჭიაყელა. ამჯერად მის მოსატანად ილიკო წავიდა. მალე ილიკო ტანსაცმელშემოფხრეწილი, თვალებჩალურჯებული და თავგატეხილი დაბრუნდა, გაკვირვებულმა ჭიჭიკიამ ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ილიკო?!

— ეგერ მიწაში 220 ვოლტი ჩავუშვი და ჯერ ჭიაყელები ამოძვრნენ, შემდეგ მეშახტეებიც ამოჰყვნენ და გამხეთქეს ცემით..

***გაიოზ ყაითმაზაშვილი, ბათუმი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე***

# „ლელთ ღუნიას“ თვალით დანახული დღევანდელი საქართველო და მისი პრეზიდენტი

უბატონოდ ნაცხოვრებ ქიზიყელებს იოლად შეამჩნევთ მემკვიდრეობით მიღებულ თავისუფლების მადლს. ისინი მეზობელ კახელებზეც კი უფრო გულღია და უშუალონი არიან, სიმართლის პირში მთქმელი. მათი თვითმყოფადი, ცოცხალი იუმორი თითქმის ყოველთვის მსუბუქ, უვნებელ ქილიკში გადადის. შრომის დროს შენიშვნებს ვერ იტანენ, „ჯარიმას“ თამადის დაძალებაზეც არ სვამენ, ჭირში ბავშვებივით ფაქიზნი და გულისხმიერნი ხდებიან, ლხინში კი მათი დაუოკებელი მხიარულება ზღვარს არასოდეს სცილდება.

დღეს ქიზიყსაც ისევე უჭირს, როგორც მთელს საქართველოს. აქაც იგივე პრობლემებია, რაც იმერეთსა და ქართლში, რაჭასა და ლეჩხუმში, გურიასა და სამეგრელოში, მაგრამ ქიზიყელების დამოკიდებულება გაჭირვებისადმი მაინც განსხვავდება სხვათა დამოკიდებულებისაგან. მათი განწყობა ნაკლებად ისტერიული და ნაკლებად დრამატიზებულია. აქაურთა გაღიზიანებაში სხვათა მიმართ ზიზღსა და ბოღმას ნაკლებად ნახავთ. დღენიადაგ ხელს „ზევით“ არ იშვერენ. გასაჭირიდან თავის დახსნას თვითონვე ცდილობენ. ხალისიან განწყობას ბოლომდე არ კარგავენ და ყველაფერს იოლად აშარჟებენ და ალექსპრომტებენ.

... საუბრისას, ბოდბელებმა მსუბუქი ირონიით შემომჩივლეს: „გაზეთებში ყოველდღე ერთსა და იმავე პოლიტიკოსებს რომ ალაქლაქებთ, ერთხელ ჩვენცა გვკითხეთ ქვეყნის ბედი, ჩვენც გვივლია სკოლაში და ჩვენცა გვაქვს ჩვენი პარლამენტი“-ო („პარლამენტს“ ისინი სოფლის ბირჟას ეძახიან). რესპონდენტიც თვითონ შემირჩიეს — „ყველას მაგივრად ეგე, „ლელთ ღუნია“ ილაპარაკებსო“ — და ოთხმოცს გადაცილებულ ყირმიზ, თეთრწვერა მოხუცზე მიმითითეს.

„მთელი სოფელი ეგრე მეძახის, ისე, გიო მქვიაო“ — ცოტა არ იყოს, დაირცხვინა მოხუცმა. თუმცა, ამის შემდეგ მსგავსიც აღარაფერი შემინიშნავს, მით უმეტეს მაშინ, როცა ჩვენს ზოგიერთ ვითომ-პოლიტიკოსს ძალიან, ძალიან „თბილად“ მოიხსენიებდა.

**— გიო პაპა, რამდენი თვეა პენსია არ აგიღია?**

— რო ამელო, ვითომ ძაან შემეტყობოდა? 12 ლარისას თვეში მარტო კევსა ღეჭავენ ჩემი შვილიშვილები.

განა ძაან მილხინს და იმიტომ ვამბობ ეგრე, მაგრამ თუ კაცი ხარ და ცოცხალი ხარ, სხვისი ხელებში შემყურე არ უნდა იყო, თუ გინდ ის „სხვა“ სახელმწიფო იყოს.

გაგვაზარმაცა და გაგვაუქნარა იმ წყობამ, შვილო. დგანან და გაიძახიან — სად ვიმუშაოთ, სამუშაო მოგვეცითო! შე, მამაცხონებულო, ვინ უნდა მოგცეს სამუშაო?.. აქ ერთი არსაითი გვყავს, უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ ხელიდან მაინც არაფერი გამოსდის. ხან დროშას დაათრევდა, ხან საფრთხობელებს აკეთებდა. ეხლა ლამის ყოველდღე გამგეობაშია აყუდებული — მამუშავეთო. მე ვუთხარი — რასა ცდები, შვილო, შენი ცოდნა და დიპლომი რო ვინმეს სჭირდებოდეს, თვითონ მოგაკითხავდნენ, წადი, მამაშენს მაინც მიეხმარე (ჰექტარი და ოცდახუთი მეასედი ვენახი აქვთ), ილაჯი გაუწყდა აპარატის თრევისგან-მეთქი. შენც არ მომიკვდე, ამაიჩრის საბუთებს ილლიაში რევიზორივითა და ავა სიღნაღში...

გეკითხები ეხლა შენ — რა უნდა მაგისთანებს? კარგი შვინდის სახრე არ მოუხდებათ?!

**— ხო, მაგრამ... ავადმყოფმა და დაუძლურებულმა მოხუცებმა რაღა ქნან? ზოგს არავინა ჰყავს მიმხედავი...**

— იცი, რა გითხრა? ე-წინაზე სიღნაღში ვიყავ ასული და ჩემი თვალით ვნახე წითელჯვრიან ყუთებს აქეთ-იქით როგორ დაარბენინებდნენ. თურმე ჰუმანური ხალხის გამოგზავნილი დახმარება ყოფილა... იცი, რა არი, შვილო, ჩემი გამოცდილებით დავრწმუნდი, რამდენიც გინდა მისცე კაცსა, სულ ეცოტავება, კიდე მეტი უნდა...

**— დენზე რას მეტყვი, პაპაჩემო?**

— დენზე ნამდვილად არაფერს გეტყვი, რადგან ხელისუფლების ყველაზე დიდი საიდუმლოს გაცემა გამომივა.

**— ნუ გეწყინება, გიო პაპა და მე შენ მთავრობასთან „შეკრული“ მგონიხარ.**

— მერე ცუდს რას ხედავ მაგაში, შემოგევლოს გიო პაპა. დღეს ერთ მუშტად უნდა შევიკრათ ყველა. სხვანაირად დავიღუპებით და ვერც ჩვენს დამოუკიდებლობას გადავარჩენთ.

ალბათ არ გინახავს, როგორ იკუმშება ცხვრის ფარა მგლის მოახლოებისას. ცხვრები, რომლებიც ამ დროს საგულდაგულოდ ეტმასნებიან ერთმანეთს, გრძნობენ, დაქსაქსულად თუ მოიხელთა მგელმა, შეიძლება ყველა ამოწყვიტოს ან დაასახიჩროს. მჭიდროდ შეკრულ ფარაში კი ნადირი ვერ აღწევს და მსხვერპლი უმნიშვნელოა.

შარშან ერთი სწავლული კაცი მოიყვანეს ჩემ „ზავოდზე“. ისეთი რამე თქვა, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. თურმე ფრინველები რომ მიფრინავენ ხოლმე თბილ ქვეყნებში, ყველას, მათ შორის აქ ახალ დაბადებულთაც შეუძლიათ მეწინავეობა იკისრონ და წინ გაუძღვნენ გუნდსა. მაგრამ, თუ რომელიმეს ცალკე გამოყოფ და ისე გაუშვებ, გზას ვერც ერთი ვერ გაიგნებსო.



გესმის, თურმე სწორი გზა ერთად ყოფნით შეიძლება ვიპოვოთ. თავისუფლება ზოგს მოხარშული სიმინდი ჰგონია, სათითაო ტარო უჭირავთ და ხრავენ როგორც უნდათ... იმიტომაა, ქვეყანა საგიჟეთს რომ დაემსგავსა...

როცა პრეზიდენტი რაიმე საშიშროებაზე მიგვანიშნებს-ხოლმე, ჩვენ ტყემლის ხიდან ვეპასუხებით — „მაიტა, ხალხა მოგვაწოდე, დაბლა დამრჩაო“. იმიტოა ხანდახან გაბრაზდება და დაუჯრონიებს ხოლმე — ბევრი არ ჭამოთ, შვილიშვილებს კბილი არ მოჭრასო. რას იზამს, უმადური საქმეა მეფობა. თვითონაც იცის...

**— და მაინც, გვირგვინის მაძიებელი რომ ბევრი გვყავს.**

— უაზრო საქმეს ეჭიდებიან. კაცს რო 30 წელიწადის მანძილზე სკამს ვერ გამოაცლის ვერავინ, გინდ შინ და გინდა გარეთ, ე.ი. ძელქვასავით მაგარი ყოფილა. ან ვისაც 30 წელიწადი მეწისქვილედ უმუშავია, იმაზე კარგად როგორ უნდა დაფქვა საფქვავი. ან მინდის აღებაში, მასზე პატიოსანი სხვა რად იქნება?

როცა ხორბლით სავსე ტომარას დოლაბამდე ველარ მიიტანს, თვითონვე გავა წისქვილიდან, აბა, რას იზამს?!

**— ე.ი. სწორია, როცა ამბობენ ალტერნატივა არ ჰყავსო?**

— ეგ რასა ნიშნავს?

— შეუცვლელიაო.

— ეგ არ მომწონს. მასეთი კაცი არ არსებობს. მაგრე რო იყოს. აქამდე დაიღუპებოდა ქვეყანა, მაგრამ რომ თქვან: დღეს ამ კაცს სწორად და საიმედოდ უპყრია ქვეყნის დამოუკიდებლობის საჭე და ექსპერიმენტებს ჯერჯერობით თავი დავანებოთო, ამაში დავეთანხმებოდი.

**— საიდან იცი, რომ საიმედოდ უჭირავს საჭე?**

— ქვეყანაში მშვიდობა როა და ვისაც სად უნდა, იქა მუშაობს, იქიდან ვასკვნი.

ამას წინათ თბილისში წამიყვანა სიძემ ბაზრობაზე, თავი სიზმარში მეგონა. აქ აიღე თუ გინდა: კოპტონაანთ უშანგის ბიჭს საკუთარი „კამაზი“ ჰყავს, ბლუაანთ გივის ავტობუსი. წალდიყელაანთ ვანოს ბიჭმა გერმანიიდან ჩამოიყვანა, რაღაცას ეძახიან, ის მანქანა; აგე, იმ ეზოში, ეხლაც რო შეიხედო, სამი მანქანა უდგათ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. იმის მეზობლად თედოს ბიჭი ცხოვრობს, ცალუღალაანთი, ბოლო ორ წელიწადში მეოთხე მანქანა შეიცვალა. რომელი ერთი ჩამოვთვალო?! მარტო ამ ერთ პატარა უბანში ავტოპარკი გაიხსნება. მაინც იფურთხებიან, ეს რა დრო მოვიდაო. ვეტყვი ხოლმე — პირველად რო ხიზილალა გავასინჯეთ ჩემ შვილიშვილსა, ისიც ეგერ მოიქცა-მეთქი. ამათ თავისუფლების გემო არ იცოდნენ და ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ.

პრობლემები განა მე არა მაქვს ოჯახში. იმაზე მეტიც, ადრე რომ მქონდა, მაგრამ... კაცი რომ სახლს აშენებ, ცირკის ბილეთების უშოვრობაზე არ უნდა წუხდე.

**— და მაინც, მომდურავი არ ელევა ჩვენს ხელისუფლებას...**

— ყოველ საღამოს, აი, ამ ბირჟაზე იკრიბება სოფელი და არ მახსოვს, ვინმე არ გაეჭორროთ და ვირზე არ შეესვათ. სულ საკრიტიკოს ეძებენ ერთმანეთში. და რაც უფრო ნიჭიერი, ან ბედნიერია კაცი, მით უფრო პოულობენ მის გასაკილავ მიზეზს. გაზეთში ნიჭიერ კაცზე რო წავიკითხავ ხოლმე რამეს — გინდ პოლიტიკოსი იყოს, გინდ მხატვარი, თქვენზეც, ჟურნალისტებზე — გული ხარობს. გამოვალ გარეთ და სწორედ იმათზე ლაპარაკობს ხალხი — ეგაო, ცისფერი ყოფილაო. თურმე ეს „ცისფერი“ არაკაცს ნიშნავს. გაიგე, რის თქმა მინდა? ერთია კიდევ, რიგითი კაცი მეფის ნააზრევსა და ნამოქმედარს როგორ შეიძლება აფასებდეს და განსჯიდეს. ის რაღა მეფეა და მეთაური, თუ ჩემთვის გასაგებად ამბობს და აკეთებს...

განა ამ კაცს ნაკლი არა აქვს, მაგრამ...

**— რას უთვლი, გიო პაპა, ნაკლად?**

— ბოლო დროს ხანდახან თავს იკატუნებს-ხოლმე, ვითომ რაღაცა არ იცის. არადა, ხო ვხვდები, რომელ ბარდში რა ფერის კურდღელია განაბული და რომელ მგელს ცხვრის ქურქი აქვს მოსხმული, სულ იცის.

კიდე რა არ მომწონს მაგისი? ნათესავებზე რომ ამბობს, პასუხს არ ვაგებო მაგათ საქციელზე, არ შეიძლება მაგრე. მე ექვსი წელი ვიმუშავე ბრიგადირად კოლმეურნეობაში და პირველ რიგში ჩემ ახლობლებს „ვუნთებდი ცეცხლსა“. საქმეს და სოფელს სჭირდებოდა და იმიტომ. თუ აშავებს, ნათესავი რასა ჰქვია?!

ახალგაზრდობაში შვილი ორჯერ დავსაჯე და ორივეჯერ სასიკეთო შედეგი გამოიღო.

**— როგორ დასაჯე?**

— ცარიელ ადგილში ვაზი ჩავაყრევინე მარტოსა. ბოლოს შემეცოდა და მეც მივეხმარე, მაგრამ... ეხლა ისეთი ვენახი აქვს, მარტო უნდა უყურო.

**— აკი ჩვენი პრეზიდენტიც სჯის „ურჩ თავადებსა“, სრასასახლეებსა და სასტუმროებს აშენებინებს.**

— მერე რასა ბოლმიანობ ახალგაზრდა კაცი, შენ ვილა გითხრა უარი? უშენებიათ, ხომ არ ანგრევენ?

ბატონი შილკინი ბერლინის გარეუბანში არყის ქარხნის მეპატრონეა. შილკინების გვარი მეფის რუსეთშიც ბრწყინავდა, მას ახლაც კარგად იცნობენ მაგარი სასმელების მოყვარულები. სერგეი აპოლონოვიჩი 84 წლისაა, მაგრამ ფირმას ისევ სათავეში უდგას. კომპანია „შილკინი“ გდრ-ის დროინდელ იმ მცირერიცხოვან კომპანიათა შორისაა, რომლებმაც გერმანიის გაერთიანების შემდეგ დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს და გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. სპირტიანი სასმელების მწარმოებელთა გერმანიის კავშირმა სერგეი შილკინი თავის საპატიო თავმჯდომარედ აირჩია. შილკინის მამა ნიკოლოზ -ის სასახლის კარს ამარაგებდა მაგარი სასმელებით. მეფის ჩამოგდების შემდეგ ის ბერლინში დასახლდა. პატარა სერიოჟამ ყველაზე ფასეული, რაც კი მათ ოჯახს გააჩნდა, ზურგჩანთით გაიტანა საზღვარგარეთ. ეს იყო არყის გამოხდის რეცეპტი. შილკინები რუსეთში აღარ დაბრუნებულან და ბერლინის მახლობლად არყის სახდელი ქარხანა დააარსეს.

სოციალიზმის ეპოქაში სერგეი ამ საწარმოს, როგორც შენიღბული კაპიტალისტი, ისე მართავდა, ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. „გერმანიის გაერთიანებას ჩემთვის ხეირი არ დაუყრია, ფირმა ლამის დამიხურეს, ახლა ნელ-ნელა ფეხზე ვდგები“ — ამბობს სერგეი. 6 წლის წინ ფირმას თავკაცად სიძე დაუყენა, მაგრამ თვითონაც ყოველდღე მოდის სამსახურში, უიმისოდ ვერავინ ვერაფერს გადაწყვეტს.

სერგეი შილკინი ერთხანს უმუშევარი დარჩა. ყოფილ გდრ-ში შილკინი დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ნაციონალიზაციას. 1972 წელი მისთვის საბედისწერო შეიქნა, იძულებული გახდა თავისი საკუთრების ბოლო წილი სახელმწიფოსთვის დაეთმო. იგი სახალხო საწარმოს დირექტორი გახდა, 1980 წელს კი პენსიაზე გავიდა.

„საკუთრების დაბრუნებაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ კეთილმა ხალხმა მირჩია — უნდა დაიბრუნოო. ამასობაში დასავლეთბერლინელი, ჰამბურგელი და შვეიცარიელი მწარმოებლები რიგში ჩადგნენ იმ მიწის შესაძენად, რომელზეც ჩემი საწარმო იდგა, რათა შემდგომ იგი სხვა დანიშნულებისათვის გამოეყენებინათ. მივხვდი, ჩემი ოჯახის ქონებისათვის უნდა მეპატრონა, ასე გავხდი კვლავ კაპიტალისტი, — ამბობს ბატონი სერგეი.

კომპანია „შილკინის“ ქარხანაში არყის გარდა ყოველ ერთ საათში სპირტიანი სასმლით ივსება 13 ათასი ბოთლი. ნახევარში ყავისფერ სითხეს ასხამენ. ეს არის ბრენდის სახეობა — „გოლდ ბრანდი“. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შილკინის ბრენდის „14,50“-ს ეძახდნენ სწორედ ამდენი ღირდა ის მრავალი წლის განმავლობაში (14 მარკა და 50 პფენინგი). შემდეგ გაიაფდა: „პროდუქციას ვაიაფებ, რომ სასტიკ კონკურენციაში მყიდველი შევინარჩუნო“, — ამბობს ბატონი შილკინი.

1994 წელს შილკინმა მიუნხენში გერმანიის მთელ ტერიტორიაზე სამეფო არყის აღორძინება იზეიმა. დღესასწაული კი გრანდიოზული იყო, მაგრამ თავად არაყს მაინცდამაინც დიდი გასავალი არა აქვს, შეიძლება იმიტომ, რომ რეკლამისათვის მეტისმეტად თამამი ლოზუნგი აირჩიეს: „გაუმარჯოს მეფეს!“.

***კომერსანტი №35***



# ვედენეევას ტყემლის საწებელი

რუსეთის ტელევიზიის პირველი არხის ყოფილმა დიქტორმა ტატიანა ვედენეევამ ტყემლის საწებლის წარმოებას მიჰყო ხელი. უკვე შემუშავებულია ხუთი რეცეპტი და უახლოეს მომავალში იგი ლამაზი ბოთლებით გაიყიდება — 1 ბოთლი 2 დოლარი. იდეა რამდენიმე წლის წინ დაიბადა, როცა ტატიანამ პირველად იგემა ტყემლის საწებელი.

ტყემალს ველური ქლიავისაგან ამზადებენ და სხვადასხვა სუნელებით ანელებენ. ტატიანას ქმარი წარმოშობით თბილისელია. იქაურ დიასახლისთაგან თითოეული ტყემლის საწებელს თავისებურად ხარშავს. ტყემლის საუკეთესო რეცეპტის შესარჩევად ცოლ-ქმარმა თბილისში კონკურსი ჩაატარა. შემდეგ კვების ინსტიტუტის სპეციალისტებს მიმართეს. ჰოლანდიისა და იტალიის ლაბორატორიებში შინაური რეცეპტი წარმოების პირობებს შეუთავსეს, ბოთლის დიზაინი თავად ტატიანას ეკუთვნის.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №35***

# კითხვა-პასუხი



***რა განსხვავებაა სუნიტებსა და შიიტებს შორის?***
***ინგა გამეზარდაშვილი, ქუთაისი***

დაპირისპირება სუნიტებსა და შიიტებს შორის, რაც ხშირად რელიგიურ ომებში გადაზრდილა, ისლამის რელიგიურ სისტემად ჩამოყალიბებისთანავე (მე-7 საუკუნე) დაიწყო. განსხვავებას ისლამის ამ ორ მიმდინარეობას შორის ქმნის ის, რომ სუნიტები ყურანის გარდა აღიარებენ მუჰამედისა და მისი მოწაფეების ცხოვრების ამსახველ წიგნს — სუნას. შიიზმი კი თავიდან შეიქმნა როგორც პოლიტიკური დაჯგუფება. იგი სუნიზმისაგან განსხვავებით, კანონიერ ხალიფად მხოლოდ მუჰამედის ასულისა და მისი მეუღლის შთამომავლებს თვლიდა, მათ დასაცავად იბრძოდა და არ ცნობდა პირველ სამ ხალიფას, ასევე, — სუნიტების წიგნს სუნას. მართალია, შიიზმი პოლიტიკურად დამარცხდა, მაგრამ რელიგიურ მიმართულებად იქცა და დაუპირისპირდა თავისთან შედარებით უფრო დემოკრატიულ, შემწყნარებელ და სწავლა-განათლების პატივისმცემელ კონფესიას — სუნიზმს.

***თსუ ისტორიის კათედრა***

***1982 წელს გამასამართლეს სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე მუხლით და მომისაჯეს 15 წელი, გავთავისუფლდი 1989 წელს. ვითვლები თუ არა სამართალში არყოფილად?***
***შალვა თორაძე, თბილისი***

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პატიმრობამისჯილი პირი, ვადაზე ადრე გათავისუფლების მიუხედავად, არ ჩაითვლება სამართალში არყოფილად.

***ადვოკატთა კოლეგია***

***რას ნიშნავს პოლიტიკაში მემარჯვენეობა და მემარცხენეობა. გთხოვთ მოგვცეთ ვრცელი განმარტება.***
***თქვენი მკითხველები***

ჩვენს მიერ ადრე განმარტებული მემარჯვენეობისაგან განსხვავებით (პრიორიტეტულია ეროვნული ინტერესი, სახელმწიფო, ტრადიცია), მემარცხენეობა გულისხმობს სოციალურად დაუცველი, გაღარიბებული ფენებისადმი დახმარებას. სახელმწიფო სათავეში მოსული მემარცხენეები ცდილობენ, დაიცვან ბალანსი საზოგადოებაში, რათა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ფენებს შორის მკვეთრი დაპირისპირება არ მოხდეს. მაგალითად, 1932 წელს შვეციის სახელმწიფო სათავეში მოსული მემარცხენე მთავრობა — სოციალ-დემოკრატები აქტიურად ეხმარებოდნენ გაღარიბებულ ფენებს, ხოლო პრივილეგირებულებს გადასახადს უზრდიდნენ, რის ხარჯზეც ცდილობდნენ აღმოეფხვრათ მკვეთრი სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. იმ ქვეყნებში, სადაც მემარცხენეებს სახელმწიფო მართვის სადავეები უპყრიათ, არ არიან მულტმილიონერები.

***ზურაბ დვალიშვილი, თსუ საერთაშორისო ურთიერთობის კათედრის გამგე***

***რომელი ქვეყნები შედის შენგენის ქვეყნების შემადგენლობაში?***
***კახა ჯმუხაძე, თბილისი***

შენგენში შემავალ ქვეყნებს ერთმანეთთან მიმართებით გააჩნიათ ერთგვარი საკონსულო კავშირი, საერთო მიმოსვლა და უვიზოდ მგზავრობის სივრცე. ასეთ ქვეყნებს განეკუთვნება: ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, პორტუგალია, ესპანეთი.

***იუნესკოს საქმეთა კომისია საქართველოში***

***რამდენი დღით განისაზღვრება დეკრეტული შვებულება და, უხელფასო შვებულებაში გასვლის შემთხვევაში, შემინარჩუნდება თუ არა სამუშაო ადგილი?***
***მარინა ლობჟანიძე, თბილისი***

დეკრეტული შვებულება განისაზღვრება მშობიარობამდე 70 კალენდარული დღის, ხოლო მშობიარობის შემდეგ — 56 დღის ოდენობით, მძიმე მშობიარობის დროს კი — 70 დღის ოდენობით. უხელფასო შვებულებაში გასვლისას დედას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი ბავშვისათვის სამი წლის შესრულებამდე.

***სოცუზრუნველყოფის სამინისტრო***

***რა სარგებლობა აქვს ღამით 1 ჭიქა წყალში გახსნილ 2-3 ჩაის კოვზი თაფლის მიღებას დილით უზმოზე? თუ გააჩნია რაიმე უარყოფითი თვისება? ასაკს აქვს თუ არა მნიშვნელობა?***
***ნ.ე.***

ღამით ჭიქა წყალში გახსნილი 2-3 ჩაის კოვზი თაფლის მიღება უზმოზე არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას მატებს სიმხნევეს, აუმჯობესებს გუნება-განწყობას და ადამიანის სახის ფერს. თუ თაფლი ნატურალურია, იგი უარყოფითად არც ასაკოვან ადამიანზე მოქმედებს.

***კახა საბახტარიშვილი, მე-13 პოლიკლინიკის ტრადიციული მედიცინის კაბინეტის გამგე***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
3 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 1,970 |
| გერმანული მარკა | | 0,981 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,121 |
| ევრო | | 1,918 |
| რუსული რუბლი | | 0,068 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,034 |

ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ფალიაშვილის 100; ჭავჭავაძის 25
ტ: 25-12-72; 22-60-03; 877-41-87-75

და შტამპების
ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09; 38-37-89

NGA
ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.
მის: ბარნოვის 84. ტ: 29-39-81, 877-41-87-75

ყველაზე იაფად!
გადავიტანთ ავეჯს ან 5ტ-მდე ტვირთს
თბილისი — 1 სთ - 8 ლარი,
თბილისს გარეთ — 1 კმ — 70 თეთრი
გვყავს მუშა-სპეციალისტები როიალების და სეიფების გადასატანად
ა/მ ГАЗ-53 ფურგონით.
შეგვატყობინეთ თქვენი ტელეფონი პეიჯერზე 900(111) 9990 (პეიჯერზე დარეკვა უფასოა).
დაგიკავშირდებით 10 წუთში ან დაგვირეკეთ:
☎69-11-01



# პრეზიდენტი და ჯენტლმენი

## ვლადიმირ, იცეკვე ჩემთან

მსოფლიოს აწვალებს კითხვა, თუ ვლადიმირ პუტინი ამ მოკლე ხანში პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის სავარძლიდან აწ უკვე კანონიერი პრეზიდენტის სავარძელში გადაინაცვლებს, როგორ წარმართავს იგი რუსეთის ბედს? არადა მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ყმაწვილობაში, თურმე საზოგადოებაში თავი ყოჩაღად ეჭირა. ლენინგრადის „სკოლა №981“-ის (სადაც პუტინი სწავლობდა) კლასმა წვეულება გამართა და იგი თავის პარტნიორ გოგონასთან იმ იმედით ცეკვავდა, რომ ლამაზმანი მას თავის თავსაფარს შემოახვევდა, რამეთუ რუსებს ასეთი წესი აქვთ: გოგონამ სასურველი ჭაბუკი თავსაფრით უნდა დაიჭიროს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ცდა კრახით დამთავრდა. მიუხედავად თავისი დიდი ოცნებებისა, პუტინი პატივმოყვარე არ ყოფილა: ალგებრას, ფიზიკას, ქიმიას საშუალოდ, სამიანებზე სწავლობდა. უკეთესი ნიშნები ჰქონდა ისტორიასა და ლიტერატურაში და რაც მთავარია — ყოფაქცევაში.

იგი ისე გამოიყურება, თითქოს უნიფორმა შემთხვევით არ აცვია. მკაფიოდ მეტყველებს, მოკლე ფრაზებით; გრძელ ნაბიჯებს დგამს, ხელები ხშირად შარვლის ნაკერებზე უწყვია; ტანმორჩილია და ფერმკრთალი, მიუკარებელი და მკაცრი. 1999 წლის ზაფხულამდე მას რუსი ერის მხოლოდ 2 თუ იცნობდა, ახლა ვლადიმირ ვლადიმიროვიჩ პუტინი რუსეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელია. ელცინის მემკვიდრე პუტინი ხალხის საყვარელი პოლიტიკოსია. რუსებს მოსწონთ კაცი, რომელიც ასე რადიკალურად განსხვავდება ელცინისგან. ელცინი კრემლში ციმბირის დათვივით მოვიდა: თამამი, მსმელი, თავგადასავლების მაძიებელი. პუტინი კი მამაცია და ფხიზელი. იგი სახალხო ზეიმებზე ელცინივით ნამდვილად არ იცეკვებს. შოუ ნამდვილად არ ესადაგება პუტინის ხასიათს, მაგრამ რუსებს უკვე შოუც ყელში ამოუვიდათ. სიმკაცრე, წესრიგი და სიბეჯითე ახასიათებს პუტინს. ეს თითქმის ელცინის საწინააღმდეგო პორტრეტია. თავის წარმატებას და პოპულარობას პუტინი ჩეჩნეთის ომს უნდა უმადლოდეს. ზოგჯერ მსოფლიო ომის დროინდელ ლოზუნგებს ისვრის: „ხალხი და არმია ერთიანია“, „გავანადგუროთ მტერი თავისსავე ბუნაგში“. პუტინი ხშირად იმეორებს: „ადამიანზე გავლენის მოსაპოვებლად სამი გზა არსებობს — ძალადობა, არაყი, სიკვდილის მუქარა“.

პუტინმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გამოსცა დეკრეტი, რომელიც ელცინს და მისი ოჯახის წევრებს სამუდამოდ დაიცავს სასამართლო ორგანოებისაგან. ასე რომ, კორუფციის ბუდე, რომელმაც ელცინის რეჟიმის ბოლოს იჩინა თავი, არასოდეს განადგურდება.

## ფრაგმენტები პუტინის ფსიქოგრამიდან

„კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტი ესაუბრა ფსიქოლოგ ალესანდრე კორმუშკოს.

— იავლინსკიმ ვლადიმერ პუტინს „შავი ყუთი“ უწოდა, — ე.ი. მის შესახებ არავინ არაფერი იცისო. რას იტყვით, როგორც ფსიქოლოგი?

— შეხედეთ პუტინს: გამხდარი, მოხდენილი აღნაგობის, უხეშად გამოკვეთილი ძვლოვან-კუნთოვანი რელიეფით, არავითარი ზედმეტი ცხიმი; სახე კვერცხისებური, პატარა ნიკაპი, გრძელი და წვრილი კისერი, ცხვირი გრძელი, მახვილკუთხოვანი პროფილი. გერმანელი ფსიქიატრი კრეჩმერი ამ ტიპის ადამიანს ლეპტოსომატიკს (გამახვილებული ყურადღებით, შინაგანი ძრწოლვით, მგრძნობიარობით, ქრონიკული დაღლილობით, მძიმე წუთებში განმარტოებისკენ ლტოლვით ხასიათდება) უწოდებდა; მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ადამიანის აღნაგობაზეა დამოკიდებული მისი ხასიათი და ტემპერამენტი. პუტინი განეკუთვნება ასთენიური (მოდუნება, მეხსიერების და ფსიქოლოგიური აქტივობის დაქვეითება) ხასიათის ტიპს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი ძირითადი მახასიათებელია ნერვიული გამოფიტვა და მერყეობა.

მაგრამ პუტინმა „ძიუდოს“ ვარჯიშებითა და დაზვერვაში მუშაობით გაიკაჟა თავი...

სპეცსამსახურები მას ჰიპერკომპენსაციის რეაქციას უწოდებენ. ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის ნატურა მაინც თავისას შვრება. ასტენიკს (მოდუნება, მეხსიერებისა და ფსიქოლოგიური აქტივობის დაქვეითება) ბუნებამ სუსტი ნერვიული და ჰორმონალური სისტემა მისცა. დააკვირდით, პუტინის ხელებისა და ფეხების მოძრაობას, ზოგჯერ არ გაგონებთ მექანიკური სათამაშოების ქანქარს? მისი არისტოკრატული თავშეკავებულობა სინამდვილეში კარგად მორგებული ნიღაბია. მას ნამდვილად არ მიაჩნია თავი პრეზიდენტობის ღირსად. ნიშანდობლივია, რომ იგი გენერლის წოდებაზეც უარს ამბობდა: რა გენერალი მე ვარო?.. ასტენიკებს უყვართ, როცა მას მფარველობენ, კიდეც ისწრაფვიან ამისკენ. მაგალითად, გორბაჩოვის აპეკუნობას რაისა მაქსიმოვნა სწევდა.

— ვინ მფარველობს პუტინს?

— საახალწლოდ, ჩეჩნეთში გაფრენის წინ მან განაცხადა: ცოლი ამეკიდაო. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლუდმილა პუტინა მას ალბათ არ მეურვეობს. შეიძლება ითქვას, რომ 31 დეკემბრამდე მისი აპეკუნი ელცინი იყო, მისი გადადგომის შემდეგ პუტინს ძალიან გაუჭირდა. გაიხსენეთ, როგორ გამოიყურებოდა დორენკოს პროგრამაში, ინტერვიუს დროს: გაფითრებული, უპეებჩამოსიებული... და ეს ორი კვირის დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ... აწუხებს აკვიატებული აზრები — რა სჯობია? ვინ დავნიშნო? რასაც მოჰყვება უძილო ღამეები და ჯანმრთელობის შერყევა.

— როგორ მოიქცევა პუტინი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ? ხომ არ გადაუხვევს იგი დიქტატურისკენ? გამარჯვების შემდეგაც არ მოიხსნის პუტინი ნიღაბს; ეს ხომ თანდაყოლილია. საეჭვოა, ასტენიკმა შეძლოს დიქტატურის დამყარება. სტალინიზმისკენ მიბრუნებისათვის მას შინაგანი რესურსები არ ეყოფა. მაგრამ სხვა საქმეა როგორი იქნება გარემოცვა? ძნელი სათქმელია, მოერგება თუ არა პუტინი სახელმწიფოს მეთაურის როლს... რასაკვირველია, სტაბილურ საზოგადოებაში ძლიერი ტრადიციების მქონე პარლამენტით პუტინის მსგავსნი კარგი პრეზიდენტები იქნებოდნენ. აი, რუსეთში კი...

***კომსომოლსკაია პრავდა***

# სამხედრო ოპერაცია ჩეჩნეთში დასრულდა

ჩეჩენ სეპარატისტთა უკანასკნელი დასაყრდენი — რაიონული ცენტრი შატოი დაეცა. მედესანტეებმა ქალაქის სატელევიზიო ანძაზე რუსეთის ალამი აღმართეს. ამის შემდეგ ფედერალური დაჯგუფების მეთაურის მოადგილემ გენადი ტროშინმა ჩეჩნეთში სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის დასრულება გამოაცხადა. ახლა არმიისა და მილიციის მთავარი მიზანია ბოევიკთა მეთაურების პოვნა და მთებში შეხიზნული პატარა რაზმების განადგურება. უკანასკნელ თვეებში ბოევიკებმა შატოი აუღებელ ციხესიმაგრედ აქციეს. იქ მოიყარეს თავი გროზნოდან გამოძევებულმა რაზმებმა. შატოის დაცვას ცნობილი ტერორისტი ხატაბი ედგა სათავეში. რუსი სამხედროები საგანგებოდ აღნიშნავდნენ, ჯერჯერობით, ჩვენ არ გვეჩქარება შატოის შტურმიო. ამიტომაც ბოევიკებისთვის სრულიად მოულოდნელი იყო საარტილერიო და საჰაერო თავდასხმა. მოგვიანებით შატოიში მედესანტეები შევიდნენ პოდპოლკოვნიკ ჰ. თინგიზოვის მეთაურობით. ბრძოლამ გათენებამდე გასტანა. ბოევიკები მთებში გაიხიზნენ, შატოიში დატოვეს გვამები, იარაღი, ავტოტრანსპორტი. ჩეჩნებმა დაახლოებით 150 ადამიანი დაკარგეს. დაიღუპა ერთი რუსი სამხედრო, ხუთი დაიჭრა. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ტყვედ ჩავარდნენ ცნობილი საველე მეთაურის რუსლან გელაევის ბოევიკები, რომლებიც ჯერ გროზნოს იცავდნენ, შემდეგ შატოის. იმის მიუხედავად, რომ ოპერაცია დასრულდა და რესპუბლიკიდან თანდათანობით გაიყვანენ არმიის ნაწილებს, ეს მაინც სრულ გამარჯვებას არ ნიშნავს. ახლა მთებში 2-დან 4 ათასამდე ბოევიკია შეფარებული. ისინი, ალბათ, უახლოეს ხანში აქტიურ მოქმედებებს აღარ დაიწყებენ და თოვლის დადნობის შემდეგ კი ჩეჩნეთიდან გასვლას შეეცდებიან. ისიც საფიქრებელია, რომ შეურიგებელი ბოევიკები გააგრძელებენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას. შეგახსენებთ, რომ 1944 წელს ჩეჩნების დეპორტაციის შემდეგ შექმნილ პარტიზანულ მოძრაობას ხელისუფლება ათეული წლების განმავლობაში ებრძოდა. იმ პერიოდის უკანასკნელი პარტიზანი 1974 წელს დააპატიმრეს.

***კომერსანტი №35***

# მათ ეძებს ევროპა

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შტიმერი რუს გენერლებს დაემუქრა — თუ დამტკიცდება, რომ ჩეჩნეთში თქვენ არღვევდით ადამიანის უფლებებს, სასამართლოს გადაგცემთო. ეს იმას ნიშნავს, რომ გენერლები, რომლებიც სამშობლოში ლამის ეროვნულ გმირებად იქცნენ, მთელ ევროპაში შეიძლება პერსონა ნონ-გრატად გამოცხადდნენ.

თავისი სენსაციური განცხადება შტიმერმა ისე გააკეთა, რომ არ დაუცდია ჩრდილო კავკასიაში ევროსაბჭოს კომისრის ალვარო-ჰილ-რობლესის მოგზაურობის შედეგებისთვის, თუმცა მის მოხსენებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება ევროპის ვერდიქტისთვის.

თუ დადასტურდა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები, რომ ჩეჩნეთის ომში საომარ საშუალებებს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ იყენებენ, კონკრეტული დამნაშავეები სასამართლოს გადაეცემიან. რუსი გენერლების მიმართ მუქარის მიზეზი, შესაძლოა, ის კადრები გახდა, რომლებმაც მსოფლიოს ყველა ტელეარხი მოიარა. მართალია გაირკვა, რომ ფირზე აღბეჭდილია დაღუპულ ბოევიკთა და არა მშვიდობიან მოსახლეთა დახვრეტა, მაგრამ გენერლებს მაინც საფრთხე ელით, რადგან არ არსებობს იმის გარანტია, რომ მომავალში სამხედროთა მოქმედებას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულად არავინ მიიჩნევს და მაშინ ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მუქარა შესაძლოა, ასრულდეს. რა თქმა უნდა, რუს გენერლებს შეუძლიათ არაფრად ჩააგდონ ჰააგის ტრიბუნალის გამოძახება, როგორც ამას, სლობოდან მილოშევიჩი აკეთებს. მაგრამ მაშინ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ისინი ავტომატურად გახდებიან პერსონა ნონ-გრატა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპაში ჩასვლის უფლება არ ექნებათ.

***კომერსანტი №35***

# ჰაიდერი მიდის

ავსტრიაზე უპრეცედენტო საერთაშორისო ზეწოლამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო — იორგ ჰაიდერმა გამოაცხადა, — თავისუფლების ულტრამემარჯვენე პარტიის თავმჯდომარის პოსტს ვტოვებო. „არ მსურს მინისტრთა კაბინეტის ნორმალურ მუშაობას ხელი შევუშალო,“ — განუცხადა ჰაიდერმა ვენის ერთ-ერთ სასტუმროში შეკრებილ თანამებრძოლებს. თავისუფლების პარტიაში მმართველობა სიუზანა რეის-პასერის ხელში გადადის, რომელსაც ქვეყნის ახალ ხელისუფლებაში ვიცე-კანცლერის პოსტი უჭირავს.

დამთავრდება თუ არა ამით ალპიური რესპუბლიკის საერთაშორისო იზოლაცია? თუ ამერიკელი და დასავლეთ ევროპელი პოლიტიკოსების რეაქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, — ალბათ, არა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯ. რუბინმა განაცხადა — სწორად მოიქცა ჰაიდერი, მაგრამ ამერიკის ადმინისტრაცია მაინც შეშფოთებულია, რადგან თავისუფლების პარტია კვლავაც მონაწილეობს მთავრობაშიო. არც ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ჩქარობენ ავსტრიასთან კონტაქტების აღდგენას და სანქციების გაუქმებას.

დასავლეთის სახელმწიფოთა ლოგიკის გაგება შეიძლება. ჰაიდერის გადადგომა დემოკრატიული ნაბიჯია, მაგრამ მაინცდამაინც არაფერს ცვლის. არავისთვის საიდუმლო არ არის, თავისუფლების პარტიაში მის პოსტს რაც არ უნდა ერქვას, მოძრაობის ფაქტობრივი ლიდერი, მისი სიმბოლო კვლავაც ჰაიდერი იქნება. მის შემცვლელს, ქალბატონ რეის-პასერს სულაც არა აქვს ჰაიდერისგან განსხვავებული აზრი. ჰაიდერისა და მისი იდეების ერთგულებისთვის ჟურნალისტებმა ვიცე-კანცლერს „სამეფო კობრა“ უწოდეს. ასე რომ, თავისუფლების პარტიის პოლიტიკური სახე ძველი დარჩა. არც ჰაიდერი აპირებს პოლიტიკიდან წასვლას; მომავალ არჩევნებში გამარჯვების იმედი აქვს.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №30***

# სპეცრეისით თავისუფლებისაკენ

რადიო „სვობოდას“ კორესპონდენტი ანდრეი ბაბიცკი (მისი ამბავი ჩვენს მკითხველებს გაზეთის წინა ნომრებში ვუამბეთ) მოსკოვში შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ცარიელი თვითმფრინავით ჩაიყვანეს და მხოლოდ აეროპორტ „ჩკალოვოში“ გამოუცხადეს, რომ ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით გაუშვებდნენ შინ.

ჟურნალისტებისთვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე ანდრეი ბაბიცკიმ განაცხადა, რომ „ყველაფერი, რაც მას შეემთხვა უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ მოწყობილი შურისძიების საკმაოდ ცუდად დაგეგმილი აქციააა“. ბაბიცკის თქმით, ჩეჩნეთში ის იმყოფებოდა ვინმე ადამ გენიევის მომხრეთა ხელში. ეს უკანასკნელი უშიშროების ფედერალურ სამსახურთანაა დაკავშირებული და მოსკოვში თავისი მოძრაობის „ადამალის“ ოფისიც აქვს. ჟურნალისტის თქმით, ის 13 იანვარს გროზნოდან გამოსვლას აპირებდა, მაგრამ ერთ-ერთ ბლოკპოსტზე დააკავეს. 16 იანვრიდან 2 თებერვლამდე ჩერნოკოზოვოს საფილტრაციო ბანაკში იმყოფებოდა. 31 იანვარს მასთან მივიდა კაცი, რომელმაც უთხრა, — მაჰომედ ხაჩილაევი, ტურპალ ალი ატგერიევის სახელით რუს სამხედრო მოსამსახურეებზე გაცვლას გთავაზობსო. ანდრეი დასთანხმდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ატგერიევი მას გაათავისუფლებდა. მაგრამ 3-დან 23 თებერვლის ჩათვლით, სადღაც სოფელში ჰყავდათ და ყოველდღე ჰპირდებოდნენ — მალე გაგიშვებთო. ბოლოს და ბოლოს, ვინმე კირილ ზინოვიევიჩ ბუროვის (და არა მუსაევის, როგორც ოფიციალური წყაროები იტყობინებოდნენ) პასპორტი გადასცეს და მანქანის საბარგულით დაღესტანში ჩაიყვანეს, საიდანაც აზერბაიჯანში გაგზავნას უპირებდნენ. მაჰაჩყალაში ანდრეი ომონის თანამშრომლებმა შეიცნეს და დააკავეს.

ანდრეი ბაბიცკის საქმე იმდენად არაორდინარულია, რომ ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები. ბაბიცკი თავს ძალიან ცუდად გრძნობს. პრესკონფერენციის დაწყების წინ „სასწრაფოს“ გამოძახება გახდა საჭირო, ექიმმა, რომელმაც ნემსი გაუკეთა, საავადმყოფოში დაწოლა ურჩია.

***სეგოდნია №47***

**„ოკუპირებულ ჩეჩნეთში ძლიერდება ნაციონალური წინააღმდეგობის მოძრაობა. მაგალითად, ზნამენსკში სოფლის ახალგაზრდობა სარგებლობს იმით, რომ ოკუპანტები შორს არიან და აკრძალულ მუსიკას — პოპულარული შემსრულებლის ხაზა მოჰამედის საბრძოლო სიმღერებს უსმენს“.**

***შპიგელი***

# ოლბრაიტს ჩეხეთის პრეზიდენტად მოიაზრებენ

კლინტონის გუნდის წამყვანი მოთამაშეები ახალი სამსახურის ძიებაში არიან. თეთრი სახლის დიასახლისი ჰილარი კლინტონი სენატორობას აპირებს, ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი დემოკრატთა მთავარი კანდიდატია მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. უფრო დაბალი რანგის მოხელეები ამერიკის კერძო კომპანიებში ეძებენ პრეზიდენტებისა და მრჩევლების პოსტებს. მაგრამ კლინტონის ადმინისტრაციაში არის ფიგურა, რომელიც უცხოეთის ერთ-ერთ სახელმწიფოში მეტისმეტად მაღალ პოსტს უმიზნებს. ეს გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაითი (კორბელი).

ამერიკის დიპლომატიის მეთაურმა თვალი დაადგა ჩეხეთის პრეზიდენტის პოსტს. ეს იდეა ოლბრაითისათვის ჩეხეთის პრეზიდენტს ვაცლავ ჰაველს წლინახევრის წინ ვაშინგტონში ყოფნის დროს მიუწოდებია.

ქალბატონმა ოლბრაითმა თავბრუდამხვევი პოლიტიკური კარიერა გაიკეთა. მანამდე ამერიკაში არც ერთ ქალს არ სჭერია სახელმწიფო მდივნის პოსტი.

მადლენ ოლბრაითი ჩეხოსლოვაკიაში დაიბადა 1948 წელს. 11 წლის მადლენმა ოჯახთან ერთად დატოვა პრაღა და ამერიკაში გადასახლდა. ამბობენ, ჩეხურად კარგად ლაპარაკობს. ჰაველთან შეხვედრის დროს შემოთავაზებულ წინადადებაზე არც ჰო უთქვამს და არც — არა. პრესა წერდა, — ოლბრაითი იმ ქალს ჰგავდა, რომელსაც საყვარელი მამაკაცი პაემანს ვერ უნიშნავს იმიტომ, რომ ქმარს ჯერ ოფიციალურად არ გაშორებიაო. რკინის ნებისყოფისა და ანალიტიკური გონების გარდა, მადლენს სხვა კოზირიც აქვს — ის თავისუფალი ქალია, ჰყავს სამი მოზრდილი ქალიშვილი, 10 წელია, ქმარს გაშორებულია და თუ ამერიკაში ხელისუფლებას სხვა გუნდი ჩაუდგება სათავეში, მადლენს პოლიტიკური განქორწინება ელის.

***თაიმი №38***

# რა მოკლავს ჰუსეინს

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ცნობა, რომ ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინზე თავდასხმა მზადდებოდა, ერაყის ოპოზიციის მონაცემებით, შეთქმულები ჰუსეინის კორტეჟს უნდა დასხმოდნენ თავს, მაგრამ ხელი მოეცარათ — შეთქმულება გამჟღავნდა და მისი მონაწილეები დასაჯეს.

ლონდონში გამომავალი ოპოზიციური გაზეთი „აზ-ზამანი“ ამტკიცებს, რომ თავდასხმის ორგანიზატორი ერაყის რესპუბლიკური გვარდიის გენერალი აბდელქერიმ ად-დულეიმი იყო. ის თავის 40 კაციან ჯგუფთან ერთად აპირებდა არმიის დღის ზეიმზე მიმავალი სადამ ჰუსეინის კორტეჟის დაცხრილვას. ეს უნდა მომხდარიყო 6 იანვარს, წინა დღით კი შეთქმულება გასცეს, მისი ყველა მონაწილე დააპატიმრეს და გაუსამართლებლად დახვრიტეს. მოგვიანებით ერაყის მთავრობამ გამოაცხადა — მოულოდნელად გარდაიცვალა გენერალი ად-დულეიმიო. შეთქმულებაზე ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

ერაყის ლიდერზე თავდასხმის შესახებ ცნობა რამდენიმე წელია, ხშირ-ხშირად გაიელვებს ხოლმე. ბაღდადის რეჟიმის ოპოზიცია წამდაუწუმ ჰპირდება მთელ მსოფლიოს — ჰუსეინს მოვკლავთ, მოვწამლავთ, დავხვრეტთო, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ერაყელ ოპოზიციონერთა სურვილად რჩება, რადგან ჰუსეინის მიერ შექმნილი თვალთვალის ტოტალური სისტემა შეთქმულებს წარმატების შანსს არ უტოვებს. რვა სპეცსამსახური დღედაღამ თვალს ადევნებს ერაყელებს, რა თქმა უნდა, ერთმანეთსაც. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ჰუსეინის მოკვლის შანსი მხოლოდ იმას აქვს, ვინც მარტო მოქმედებს.

***სეგოდნია №39***

## მოკლედ

როიტერის სააგენტოს ცნობით, **აშშ**-ის ხელისუფლებამ ჩეჩენი ლტოვილების დასახმარებლად საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციას 2,4 მლნ დოლარი გამოუყო.

ასოშეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით: **ტეხასის** შტატის გუბერნატორმა ჯორჯ ბუშიუმცროსმა მნიშვნელოვანი წინასაარჩევნო გამარჯვება მოიპოვა ვირჯინიის, ჩრდილოეთ დაკოტისა და ვაშინგტონის შტატებში.

**აშშ**-ის ქალაქ ფლინტის დაწყებითი სკოლის 6 წლის პირველკლასელმა გაკვეთილზე ესროლა თანაკლასელ გოგონას. კისერში დაჭრილი კაილა როლანდი საავადმყოფოში მისვლამდე გარდაიცვალა.

**ინგლისში** 16 თვიანი შინაური პატიმრობის შემდეგ ხანდაზმული გენერალი პინოჩეტი სამშობლოში ბრუნდება. სასამართლომ იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლა, ინგლისელმა ექიმებმა 84 წლის ექს-დიქტატორს უამრავი დაავადება აღმოუჩინეს და დაასკვნეს, რომ მას კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეუძლია.

**მოზამბიკის** მოსახლეობა შეშფოთებულია — წყალდიდობას უკვე 300-ზე ადამიანი ემსხვერპლა, ხალხი სახლების სახურავებსა და ხეებზეც კი სხედან, რადგან შვეულმფრენები, რომლებიც მხოლოდ დღისით დაფრინავენ, ხალხის ევაკუაციას ვერ ასწრებენ. ერთმა ქალმა ხეზე იმშობიარა. ის 15 წუთში შვეულმფრენით გადაიყვანეს საავადმყოფოში.

# „ბოლშაია კარეტნაია“ — ვლადიმირ ვისოცკის ცხოვრების უცნობი ფურცლები

**ვისოცკის შესახებ თითქოს ყველაფერია ცნობილი, მაგრამ ახლა გთავაზობთ მისი ახლო მეგობრის, მილიციის პოლკოვნიკის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ანატოლი უტევსკის მოგონებებს შესანიშნავ მსახიობსა და ბარდზე.**

მე და ვალოდიამ ბავშვობა და სიყმაწვილე ერთად გავატარეთ. მამაჩემი ცნობილი მეცნიერი, იურისტი იყო, არაორდინარული პიროვნება და ეს ვალოდიას ძალიან იზიდავდა. როგორც ყველა ბიჭუნა, ჩვენც გატაცებული ვიყავით დეტექტივებით, კრიმინალური სამყაროთი და დანაშაულის გახსნით.

მამაჩემს ძალიან კარგი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ვალოდიაც სარგებლობდა ამით, უამრავი წიგნი წაიკითხა მაძებრებზე. განსაკუთრებით უყვარდა მამაჩემის მონათხრობი ცნობილი ადვოკატის ფ. პლევაკოს შესახებ.



იურისპრუდენცია ჩვენი ოჯახის ტრადიცია იყო და ამიტომაც მე სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გავაგრძელე.

მე და ვალოდია ისევ ერთად ვიყავით, მას ძალიან აინტერესებდა იურისპრუდენცია და მთხოვდა, — დაწვრილებით მომეყოლა, თუ რას ვაკეთებდი პრაქტიკის გავლის პერიოდში პეტროვკის №38-ში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის სამძებროში გამამწესეს და მუშაობა დავიწყე ოპერრწმუნებულად ერთ-ერთი რაიონული მილიციის განყოფილებაში. ძალიან მეამაყებოდა, როცა მოწმობა და შავი, პრიალა პისტოლეტი მომცეს. მაშინ ბოლშაია კარეტნაიაზე ვცხოვრობდი. ვალოდია და მე, როგორც ყოველთვის, ხშირად ერთად ვიყავით. ვალოდიას პისტოლეტი ვაჩვენე. მან შემდეგ მომიძღვნა სიმღერა „ბოლშაია კარეტნაია“.

ვალოდიას ძალიან იზიდავდა ჩემი ფორმა-მუნდირი და ქუდი. ერთხელ მთხოვა კიდეც, — ტოლიკ, მათხოვე, გავისინჯავო. რა თქმა უნდა, უარი არ მითქვამს. ვალოდია გამოეწყო და სარკის წინ ტრიალი დაიწყო. მე და ჩვენი საერთო მეგობარი ვოვა მეორე ოთახში ვსაუბრობდით. შევამჩნიე, რომ ვალოდია სადღაც გავიდა. შევშფოთდით. ვოვასთან ერთად ქუჩაში გავედით და რას ვხედავთ: მილიციელის ფორმაში გამოწკეპილ ვისოცკის თხუთმეტიოდე წლის ბიჭი დაეჭირა და მკაცრად ტუქსავდა საგზაო წესების დარღვევის გამო. ისე ენერგიულად იქცეოდა, რომ ირგვლივ ხალხიც მოგროვდა. შორიახლოს მდგარი გუშაგი მილიციელიც მათკენ გამოემართა. მე სასწრაფოდ ჩავერიე და ვალოდიას ჩუმად ვუთხარი, — ხომ არ გაგიჟდი, რას აკეთებ-მეთქი...

ვალოდიამ მშვიდად მიმოიხედა და ბიჭი დიდსულოვნად გაუშვა, თანაც გააფრთხილა, — მეორედ ხელში არ ჩამივარდეო...

მილიციელის როლის შესრულება ძალიან მოეწონა, მაგრამ მუნდირი მისთვის აღარასოდეს მითხოვებია.

ვალოდია სამსახურშიც ხშირად მაკითხავდა. იჯდა, ყველაფერს ისმენდა და მთხოვდა კიდეც — რამე „საქმეზე“ წამიყვანეო. შესაფერისი შემთხვევაც მალე მოგვეცა.

50-იან წლებში, იქ, სადაც ახლა ლუჟნიკების სპორტკომპლექსია, პატარა სახლები იდგა. ერთ-ერთში ცხოვრობდა ვ.შ., რომელმაც განცხადებით მიმართა მილიციას ცოლის გაუჩინარების გამო. მისი თქმით, მეუღლე დასთან გაემგზავრა სტუმრად მეორე ქალაქში და მას მერე დაიკარგა.

აღიძრა საქმე, მაგრამ ძიებამ ქალის კვალს ვერ მიაგნო... როცა მე მილიციაში მუშაობა დავიწყე, სწორედ მაშინ განაახლეს ამ საქმეზე ძიება და დამავალეს, გავსაუბრებოდი ვ.შ-ს მეზობლებს.

სწორედ ამ დროს ჩემთან მოვიდა ვალოდია. ვუთხარი, — მეჩქარება-მეთქი და უცებ მოვუყევი, როგორც იყო საქმე და სად მივდიოდი. ვალოდიამ მთხოვა, თან წამიყვანეო. უარი არ მითქვამს. თან მოიგონა, თითქოს ვ.შ.-ს შორეული ნათესავი იყო. იმდენად კარგად გაითამაშა ნათესავის როლი, რომ მეზობლები მას გულახდილად ესაუბრებოდნენ. ერთმა ქალმა ისიც გაიხსენა, რომ რამდენიმე წლის წინ დაინახა ვ.შ., რომელმაც დილაადრიან შინიდან რაღაც მძიმე ტომარა გამოიტანა და მდინარეში გადააგდო.

ვალოდიას ეს ინფორმაცია მე სამძებრო განყოფილების უფროსს მოვახსენე და ამ ცნობაზე დაყრდნობით დაიწყეს ვ.შ.-ს დაკითხვა, რომელმაც, როგორც ჩანს, მაინც ვერ გაუძლო სინდისის ქენჯნას და აღიარა, რომ ჩხუბის დროს ცოლს თავში ბოთლი ჩაარტყა, შემოაკვდა და ტომარაში ჩადებული გვამი მდინარე მოსკოვში გადააგდო...

ასე გახსნა ვალოდიამ თითქმის მკვდარი საქმე.

შემდგომშიც არაერთხელ დამხმარებია სამძებრო ოპერაციების ჩატარების დროს. იმდენად გატაცებული იყო ჩვენი საქმით, მგონი, მსახიობი რომ არ გამხდარიყო, უთუოდ გამომძიებელი იქნებოდა და დარწმუნებული ვარ, შესანიშნავი სპეციალისტიც დადგებოდა.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ვისოცკის რომანტიკული დამოკიდებულება მილიციის მუშაკების მიმართ, რომელიც მან მთელი სიცოცხლის მანძილზე შეინარჩუნა, ბევრ მათგანთან ახლო მეგობრობაც ჰქონდა და შესანიშნავი ლექსებიც მიუძღვნა.

***ოჩნაია სტავკა №2***

# ბაგრატიონის საფლავი — ბუტაფორიაა?

ცნობილ მხედართმთავარს პეტრე ბაგრატიონს სამჯერ შეუცვალეს საფლავი. პირველად დაკრძალეს სოფელ სიმაში, სადაც ნაპოლეონთან ომის გმირი ჭრილობისგან გარდაიცვალა 1812 წლის 12 სექტემბერს, შემდეგ ბოროდინოს ველზე. მსოფლიო ომის გმირის მესამედ გადასვენებაში მონაწილეობდა პოლკოვნიკი ივან ლაპტევი. იგი ამტკიცებს, რომ ე.წ. მხედართმთავრის კუბოში არანაირი ნეშტი არ ყოფილა.

ნუთუ გმირის ამჟამინდელი საფლავი — ბუტაფორიაა?!



ბაგრატიონი ბოროდინოს ველზე 1839 წელს გადაასვენეს ნიკოლოზ -ის ნებით. რუსეთის იმპერატორი ამალითა და 120 000-იანი ჯარით ესწრებოდა გმირის მონუმენტის გახსნის ცერემონიალს.

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ საფლავს ვინმე ხელყოფდა, მაგრამ ასე მოხდა 1932 წელს. ამ დროისთვის პეტრე ბაგრატიონი აღარ იყო რუსეთის ეროვნული გმირი, მას მოიხსენიებდნენ, როგორც „მეფის ვიღაც გენერალს“. მავანთ დინამიტით ააფეთქეს ბოროდინოს მემორიალის მთავარი ძეგლი. ბაგრატიონის საფლავი მთლიანად გაანადგურეს და მისი ნეშტის ნაწილები გარშემო მიმოიფანტა...

რამდენიმე წლის შემდეგ, ბოროდინოს ბრძოლის იუბილესთან დაკავშირებით — გენერალი რეაბილიტირებულ იქნა. ხელისუფლების ბრძანებით, ბაგრატიონს ძეგლად უბრალო ქვა დაუდგეს.

კიდევ ნახევარი საუკუნის შემდეგ ბოროდინოს ბრძოლის საიუბილეოდ გადაწყდა, აფეთქებული ძეგლის აღდგენა და იქვე — ბაგრატიონის დაკრძალვა.

1987 წლის 18 აგვისტოს მესამედ გადაასვენეს ბაგრატიონი. პროცესიას მიჰყვებოდა 20 ჯარისკაცი, პატარა სასულე ორკესტრი და 4 ოფიცერი. სევდიან პროცესიას უძღვებოდა პოლკოვნიკი ლაპტევი.

„იმ დროს მე პოლკოვნიკი ვიყავი, ვმსახურობდი ბოროდინოს მახლობლად — ვხელმძღვანელობდი დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებას, — ამბობს ლაპტევი, — 16 აგვისტოს გამომიძახა დივიზიის უფროსმა გენერალ-მაიორმა ხოდკინმა და მიბრძანა, — ყველაფერი მომემზადებინა დაკრძალვისთვის. შევიცხადე — ბაგრატიონის რანგის მხედართმთავრის დაკრძალვას თავდაცვის მინისტრი მაინც უნდა ესწრებოდეს-მეთქი! მაგრამ — ბრძანება ბრაძანებაა და რას გავაწყობდი. პროცესიის დროს მოვახერხე კუბოში ჩახედვა — ის ცარიელი იყო“.



ლაპტევს უცდია დაედგინა, სად გაქრა მხედართმთავრის ნეშტი და ადგილობრივი უხუცესები დაუკითხავს. „აფეთქების შემდეგ ბაგრატიონის ძვლები კიდევ დიდხანს ეყარა თურმე გზის პირას. შემდეგ ლეგენდარული მეომრის ნაშთი ერთ ღამეს შეუგროვებია ერთ მონაზონს და მოხუც კაცს და დაუკრძალავთ. ის ხალხი ისე დახოცილა, რომ თან წაუღიათ საიდუმლო ბოროდინოს შეგინებული გმირის საფლავისა...

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №38***

# ცეპელინის საიდუმლო

ხანდახან საოცარი დამთხვევა ხდება. მთელი სიცოცხლე დირიჟაბლის აგებაზე ოცნებობდა და დიდი შრომითა და ძალისხმევით თითქმის მიაღწია საწადელს... იმ დღეს, 13 იანვარს, გერმანიიდან, სადაც საჰაერო მანქანას აგებდნენ, ვენაში სასიხარულო დეპეშა გაიგზავნა — დირიჟაბლი მზადაა! დეპეშა მისმა ქვრივმა მიიღო, რამდენიმე წუთით ადრე გამომგონებელი გარდაიცვალა...



ეს გამომგონებელი იყო დავით შვარცი, უნგრეთის მკვიდრი, ეროვნებით ებრაელი. იგი ხე-ტყის საწარმოს მცირე შემოსავლით აცხოვრებდა ოჯახს. საჰაერო მოგზაურობისადმი ინტერესმა მთლიანად მოიცვა კაცი, რომელიც, ერთი შეხედვით, შორს იყო გამომგონებლობისაგან; და მაინც, XX საუკუნის 80-იან წლებში დავით შვარცი პირველი მიხვდა, რომ საჰაერო გემის ასაგებად შედეგიანი იქნებოდა ალუმინის გამოყენება. სპეციალისტები ძალზედ სკეპტიკურად შეხვდნენ ამ იდეას და მას „ტექნიკური ქიმერა“ უწოდეს. არგუმენტად კი გრაფ ცეპელინის დირიჟაბლის მოდელი მოჰყავდათ, რომელსაც აბრეშუმის გარსი ჰქონდა. ორი გამომგონებლის ავტორიტეტი და წონა საზოგადოებაში სხვადასხვა იყო. ამის მიუხედავად, 1863 წელს შვარცმა მიიღო დირიჟაბლის ალუმინის გარსის პატენტი. ავსტრიაში დირიჟაბლის ასაგები სახსრები არ მოიძებნა, გამომგონებელმა პეტერბურგს მიმართა, — იქიდანაც უარი მიიღო. არავინ იცის, ეს ამბავი როგორ დამთავრდებოდა, გერმანიაში ალუმინის ქარხნის მეპატრონე, ვინმე კარლ ბერგი რომ არ დაინტერესებულიყო. შესაძლოა, მას უფრო შემოსავალი ადარდებდა, ვიდრე მეცნიერება. მაგრამ ასეა თუ ისე, სახსარი მოიძებნა. 4 წელი დასჭირდა ექსპერიმენტულ მშენებლობას. მთელი ამ ხნის განმავლობაში შვარცის ოჯახს ბერგი ინახავდა. სამუშაო წინ ნელა მიიწევდა...

დაძაბულმა შრომამ დავითს ჯანმრთელობა შეურყია. 1897 წლის 13 იანვრის საბედისწერო დღეს, როდესაც ოჯახთან ერთად ვენაში იმყოფებოდა. მოულოდნელად გარდაიცვალა. მელანი შვარცმა კი დეპეშა მიიღო, — დირიჟაბლი გამოსაცდელად მზად არისო.

ქმრის დაკრძალვის შემდეგ მელანი შვარცი ბერლინში წავიდა გარდაცვლილის ჩანაფიქრის დასამთავრებლად. მან მოახერხა სამუშაოთა გაგრძელების ნებართვის მიღება. 1897 წლის 3 ნოემბერს შვარცის დირიჟაბლი ჰემპელჰოვის მინდორში იდგა, გაფრენას გერმანიის გენერალური შტაბი ხელმძღვანელობდა. ეს იყო გაბედული ექსპერიმენტი. დირიჟაბლის სპეციალისტი კი არა, უნტეროფიცერი იაგელსი მართავდა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა — მანქანამ სიმაღლე აიღო, საკმაოდ ადვილად იმართებოდა, მაგრამ მალე დაშვების დრო დადგა, იანგელსი დაიბნა, ნარნარად ჩამოსვლის ნაცვლად, სწრაფად დაიწყო ჩამოქვეითება. მიწას რამდენჯერმე დაასკდა და დაიშალა. ამის მიუხედავად, სპეციალისტებმა ეს გაფრენა გამარჯვებად მიიჩნიეს.

ექსპერიმენტული გაფრენის დროს მაყურებელთა შორის იყო გრაფი ცეპელინი. მან ისარგებლა ქვრივის ფინანსური მდგომარეობით და მელანი შვარცს 15 ათასი მარკა გადაუხადა დავით შვარცის პატენტით სარგებლობის უფლებაში. კონტრაქტში ისიც ეწერა, რომ იგი შვარცის ოჯახს 300 ათას მარკას გადაუხდიდა. დირიჟაბლის იღბლიანი გამოცდის შემდეგ დირიჟაბლები მომავალში „ცეპელინის საზოგადოებას“ უნდა მიეღო.

XX საუკუნის დასაწყისში, როცა ატლანტიკის ოკეანეს გადაუფრინა გერმანიის დირიჟაბლმა (მას ეკენერი მართავდა), მსოფლიო აღტაცებით იმეორებდა გრაფ ცეპელინის სახელს. დავით შვარცი კი რამდენიმე სიტყვით მოიხსენიეს ტექნიკურ ლექსიკონში.

***ზა რუბეჟომ №5***

# კოლექციონერები

კოლექციონერებთან სტუმრობა ცოტა არ იყოს, მოსაწყენია: დაგსვამენ, გადაგიშლიან ალბომს და დაწვრილებით მოგიყვებიან, როგორ მოიპოვეს თითოეული ნივთი, როგორ ინახავენ მას.

დეკორატორი **ბორის კრასნოვი** მსოფლიოში ერთადერთი ადამიანია, რომელიც თეთრ სარძევეებს აგროვებს. „მხიბლავს მათი ჰარ-



მონიული ფორმა“, — ამბობს კოლექციონერი.

მოსკოვის მერს, **იური ლუჟკოვს** ზამთარზაფხულ ყველგან კეპი ახურავს. თვითონაც არ იცის, რამდენი ასეთი თავსარქმელი აქვს. ლუჟკოვის კოლექცია დღითი დღე იზრდება. ინგლისის დედოფალს ელისაბედს გაუგია ლუჟკოვის ჰობის თაობაზე და ინგლისელი გვარდიელის ქუდი გამოუგზავნია. ყველაზე მძიმეა აზერბაიჯანის პრეზიდენტის საჩუქარი — „კვარცის კეპი“.

რუსეთის დუმის დეპუტატი **ალექსანდრ შოხინი** მთელი სიცოცხლე სათამაშო ფაიფურის ბაჭიებს აგროვებს.

მომღერალმა **ალექსანდრ როზენბაუმმა** ბულტერიერების კოლექციას შეალია ცხოვრება. გარდა ამისა, 1.500 ვისკის ბოთლს მოუყარა თავი.

კალათბურთელ **მაიკლ ჯორდანს** ალკოჰოლიანი სასმელების მინიატურული ბოთლების კოლექცია აქვს. **დევიდ მონდი** კი მხოლოდ შოტლანდიურ ვისკის აგროვებს. ყველა ბოთლი სხვადასხვანაირია. ეს ნამდვილი ხელოვნებაა.

ამერიკელი **ჯონ მაკგრეგორი** კათხების ტრფიალია. მის კოლექციაში შეხვდებით XV საუკუნიდან დღემდე არსებულ კათხებს. „ვამჩნევ, როგორ იცვლება ყოველწლიურად კათხის ფორმა, ზომა, ფერი... ვინმემ რომ გამიტეხოს, შემომაკვდება“, — იმუქრება ჯონი.

კელნის მუზეუმში დაცულია **მანფრედ კლაუდის** კოლექცია — 9 400 ღამის ქოთანი. ყველაზე ხნიერი 600 წლისაა.

ამერიკელმა **ჰიუ ჰინქსმა** თავისი „მუზეუმის“ შექმნა ბავშვობიდან დაიწყო და დღეს 60 000 სხვადასხვა ფორმის, ზომისა და ფერის ნათურა აქვს.

ინგლისელმა **ტომ ჰოლმსმა** 70 წლის წინათ დაიწყო ჰალსტუხების უნიკალური ექსპოზიციის შექმნა. ახლა მის კოლექციაში 10 624 სხვადასხვანაირი ჰულსტუხია.

ნიდერლანდელმა **ლეონ როზრენმა** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტანსაცმლის 1 729 იარლიყი შეაგროვა.

ლონდონელი **ბრაიან ვაინერი** 3 750 გამოუყენებელ სამედიცინო პლასტირის უნიკალურ კოლექციას ფლობს. **ქრის ჰოუერმა** რამდენიმე წელიწადში 412 სხვადასხვა ფორმის ხელბორკილს მოუყარა თავი. პოპულარული კომიკოსი **ჯიმ ქერი** „სიფათებს“ აგროვებს. მან იცის, როგორი სახის გამომეტყველებით იწერს მოსწავლე სხვისი რვეულიდან, რა სახით შემოდის დურგალი და ა.შ.

მშვენიერმა **პამელა ანდერსონმა** „კრისტიან დიორის“ სხვადასხვა ფორმის და ფერის ბიკინითა და აზღუდით აავსო რამდენიმე კარადა. პამელას რკინის აზღუდიც აქვს (პაკო რაბანის ესკიზის მიხედვით). მის კოლექციაში ჩვეულებრივი ცელოფანის საცვალსაც იპოვით.

ჰოლივუდის ვარსკვლავი **რობინ უილიამსი** საბავშვო სათამაშოების შეგროვებით ისე გაერთო, რომ ბოლოს „დიდი ბავშვი“ შეარქვეს. სამივე სახლი სათამაშოებით აქვს მორთული და საათობით შეუძლია ითამაშოს. ვერა და ვერ გავზარდეო, — იცინის რობინი.

„შავი ავაზა“ — **ნაომი ქემპბელი** გაანებივრეს თაყვანისმცემლებმა ძვირფასი სამკაულებით, მის კოლექციაში 100-ზე მეტი ბრილიანტის ბეჭედი, საყურე თუ ყელსაბამია. სუვენირების მიხედვით ადვილი წარმოსადგენია, როგორ უყვარდათ ქარაფშუტა ლამაზმანი.

ჰოლივუდის ვარსკვლავი **ჯონ ტრავოლტა** თვითმფრინავების დიდი თაყვანისმცემელია. როცა მეუღლისთვის საშობაო საჩუქრად თვითმფრინავს არჩევს, ეტყობა, ამით თავის თავს უფრო ასიამოვნებს. მსახიობი რომ არა, უეჭველად პილოტი ვიქნებოდიო, — ამბობს მილიონერი მსახიობი.

***მკ ბულვარი №7***

# მარქსისტები იეზუიტები ყოფილან?

მსოფლიოში დღეს 800-მდე ორდენი არსებობს, რომელთა წევრია დაახლოებით მილიონ-ნახევარი მორწმუნე. თანამედროვე ევროპაში ორდენს ცუდი სახელი აქვს. იეზუიტების ორდენის სახელით ცნობილი საძმოს მოთხოვნები ძალზე მკაცრია — მატერიალური კეთილდღეობის უარყოფა, პერიოდული განდეგილობა, ავადმყოფობისა და ღარიბების მოვლა-პატრონობა... ამ ორდენის დევიზად იქცა მისი დამფუძნებლის იგნატუს ლოიოლას გამონათქვამი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“ ან „აკეთე ყველაფერი, რაც შეგიძლია“. დღეს იეზუიტების ორდენს რევოლუციური პარტიის პროტოტიპად მიიჩნევენ, ხოლო მისი სულიერი და აღმზრდელობითი დოქტრინა არის XX საუკუნის იდეოლოგიური დიქტატურის საფუძველი.

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ბევრი ცნობილი იეზუიტი თავის თავს მარქსისტად აცხადებს. მარქსიზმი კი კაპიტალისტური წყობის ძალადობით დამხობას ქადაგებს. 1992 წლის 21 ოქტომბერს რომში ხელი მოეწერა მალტისა და რუსეთის ორდენებს შორის ურთიერთობის აღდგენის ოქმს.

ეს ურთიერთობა რუსეთში ჯერ კიდევ ალექსანდრე -მა აკრძალა. ორდენის „შტაბბინის“ ერთ-ერთი დარბაზის კედელზე ოქროს ჩარჩოში ჩასმული იმპერატორ პავლე -ის პორტრეტი ეკიდა. იგი 1798-1801 წწ. ორდენის დიდი მაგისტრის მოვალეობას ასრულებდა იმპერატორ პავლე რიგით 72-ე მაგისტრი იყო და უცხო სარწმუნოების დიდი მქადაგებელი გახლდათ.

***ფავორიტი №2***

# ყოფილი მსახიობის, დღევანდელი მათხოვარი ქალის ამბავი...

ის უცნაური ადამიანია. იმდენად უცნაური, რომ ქაშუეთის ეკლესიასთან ხელგაწვდილი დგას, მათხოვრობს და მაინც შთაგონებული სახით იღიმება.

სულ ბედნიერი გამოვიყურები და ხალხს ნორმალური აღარც კი ვგონივარ, — ამბობს და აქ უკვე ველარ ერევა საკუთარ თავს: მთელი შინაგანი განცდა თვალებში უგროვდება.

ჩემი რესპონდენტი, ყოფილი მსახიობი, მანანა კუჭუხიძე გახლავთ, რომელსაც თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას ქალბატონი ეთერ გუგუშვილი, თურმე, ჯულიეტა მაზინას ეძახდა.



მეხსიერებაში წამეშალა ის წამი, პირველად როგორ გავიწოდე ხელი.

„იცით, შექსპირი რომ ამბობს, ცხოვრება თეატრია, ჩვენ მსახიობები ვართო, მართალი ყოფილა. მე დღეს მათხოვრის როლს ვთამაშობ. ხვალ შეიძლება პრინცესა ვითამაშო. ოღონდ ეგ არის, ღირსეულად უნდა ითამაშო შენი როლი“. ეს სიტყვები, გინდა თუ არა, მაინც გროტესკია. რეალობისაგან ზურგშექცეული ადამიანის ერთგვარი თავშესაფარი, მაგრამ, უნდა გითხრათ, რომ მანანა კუჭუხიძეს, მთელი საუბრის განმავლობაში, უკუღმართი ცხოვრების გამო არც სიძულვილი და არც რისხვა არ გამოუხატავს. უფრო მეტიც, იქნებ მოგეჩვენოთ, რომ მსახიობი ცოტათი კეკლუცობს კიდეც თავისი ბედით. თუმცა, იქნებ ესეც ნიღაბი და როლია. თეატრი კი, აუცილებლად მოითხოვს მიზანში ზუსტად მოხვედრილ რეპლიკებსა და იმასაც — როცა ფარდა დაეშვება, მსახიობს სრული უფლება ჰქონდეს, გავიდეს სცენიდან...

...ბოლოს, ბატონ მიშა თუმანიშვილის თეატრში მუშაობდა:

„მაშინ ჩემი გიორგი 4 წლისა იყო. შინ ვერავის ვუტოვებდი და თეატრის კულისებში დარბოდა-ხოლმე. ერთხელაც ბატონმა მიშამ დამიბარა და მითხრა, ბავშვი სახლში დატოვე და თეატრში ისე მოდი, მსახიობები ჩივიან კულისებში ფეხებში გვებლანდებაო, რაღას ვიზამდი, ავდექი და წამოვედი“.

მანამდე კი მქონდა მიწვევები სხვადასხვა თეატრებში და კინოსტუდიაშიც. მონაწილეობდა ტელესპექტაკლებში: „ორთაჭალის მეთევზეები“ (გაიანეს როლში), „სოფლის აშიკი“ (პასიკიას როლში), აგრეთვე სპექტაკლში „ეს არ უნდა მომხდარიყო“ ნინელი ჭანკვეტაძესა და გივი ჩუგუაშვილთან ერთად.

რეჟისორმა მანანა იმედაძემ მარჯანიშვილის თეატრშიც მიიწვია, „ჰაკი-აძბაში“ ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა ეთამაშა, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრის ნაცვლად რატომღაც მარნეულის თეატრში აღმოჩნდა. კინოსტუდიიდან კი გიორგი შენგელაიამ გაუგზავნა ტელეგრამა მხატვრულ ფილმში „სიყვარული ყველას უნდა“ მთავარი როლის შესასრულებლად, მაგრამ უფროსი ქალიშვილი სალომე მაშინ პატარა ჰყავდა და ვერავის დაუტოვა.

„19 წლის გავთხოვდი, მეგონა, ზღაპრული პრინცი მეწვია და სიყვარული ვამჯობინე თეატრის რეპეტიციებს“. მაგრამ ვერც პირადი ცხოვრება მოაწყო. ასე ნალოლიავები გრძნობა, ერთი სილის გაწვნით გააქრო მისმა მეუღლემ. თეატრში სიარული ხომ საერთოდ აუკრძალა. წარმოიდგინეთ, მეოცნებე ქალის მდგომარეობა, როცა მას ყოველდღე სცემენ, ისე სცემენ, რომ კბილებსაც უმტვრევენ და ცხვირსაც უტეხენ. ოჯახი დაინგრა, სალომე მამასთან დარჩა, გიორგი — დედასთან.

„9 წლის რომ გახდა გიორგი, მშობლებმა და ახლობლებმა მითხრეს, იმუშავე, ჩვენ ველარ შეგინახავთო. მანამდე მეხმარებოდნენ. მთელი ერთი წელი ვეძებდი სამსახურს. მოვიარე მთელი თეატრები, კინოსტუდიაშიც ვიყავი. სხვაგანაც ბევრს ვეცადე, მაგრამ სამსახური ველარ ვიშოვე. ასე დამახინჯებული გარეგნობით არსად მიმიღეს. მთელი დღის დაღლილ-დაქანცული, აქ ქაშუეთის ეკლესიაში მოვდიოდი-ხოლმე სულის მოსათქმელად. ნახევარჯერ მშივრები ვიყავით მე და გიორგი. არ ვიცი, ველარ ვიხსენებ, როგორ მოხდა — მეხსიერებაში წამეშალა ის წამი, პირველად როგორ გავიწოდე ხელი. ეს მოხდა 5 წლის წინ“.

ეტყობა, მართლაც ასეა. შიმშილის შიში არ უნდა ჰქონდეს ადამიანს, თორემ მათხოვრად იქცევა.

„თქვენ იცით, მე მაშინ მინდოდა, გიორგიც დამეყენებინა ჩემს გვერდით, ბავშვებს უფრო ეხმარებიან და საწყალი დედებიც ხშირად „სპეკულანტობენ“ ხოლმე თავიანთი შვილებით. მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ შვილი გვერდით არ მიდგას და მათხოვრობაში არ გავზარდე. ჩემი გიორგი დღეს მიშა თუმანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობია. „არტისტული ჰოლი“ რომ გაიხსნა, იქ მიიღეს კონკურსით.

კიდევ იცით, რა მინდა ვთქვა, აი, აქ დავინახე როგორები ვყოფილვართ ქართველები: ღმერთის მოყვარულნი, კაცთმოყვარე, მოწყალენი. თვითონ ასე უჭირთ და ჩვენ გვიყოფენ. ეს წყალობაა, მისი გულიც იცდება და შენიც — როგორ გაიღებს ის და შენ როგორ მიიღებ. ეს წყალობაა. აი ამ წყალობის, ამ მადლის ღირსი უნდა იყოს ადამიანი“.

მანანა კუჭუხიძეს მიაჩნია, რომ პატარ-პატარა სასწაულებიც ხდება მის ცხოვრებაში. ერთ სასწაულს პირადად მე „პატარას“ ვერ დავარქმევდი. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ეს უცნაური ქალბატონი, თითქმის მთელი დღე თვალის დაუხამხამებლად მისჩერებია მზეს, შთაგონებული სახით.

„ერთხელ ერთი კაცი დამელაპარაკა — რატომ უყურებ მზესო. კარგია, მზეს რომ უყურებო. მე უკვე მომწონხარ, მზეს რომ უყურებო, ე.ი. შენ კარგი ადამიანი ხარ, მზეს რომ უყურებო“. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

„ახლა რასაც გეტყვით, 1000-ჯერ გავზომე და ისე ვბედავ თქმას. ერთ დილას ფანჯარაში გავიხედე „მკვდარმა“, სულიერადაც და ფიზიკურადაც, მზე იყო ძალიან დიდი და ძალიან ახლოს ჩემთან. მომეჩვენა, რომ ტრიალებდა კოსმოსური სიჩქარით. მოხსნილი ჰქონდა სხივები და მთვარეს მიაგავდა. სხივები კი ღრუბლებზე გადადიოდა და თანაც ფერებს იცვლიდა. ისეთი საოცარი სანახავი იყო, გავოგნდი... ეს რა ხდება-მეთქი. იმ წუთს, თითქოს თავიდან დავიბადე მზესთან ერთად. უკვე მეოთხე წელია, ასეთი საოცარი ურთიერთობა მაქვს მზესთან. არ ვიცი, რა უნდა ჩემთან, რატომ დამიკავშირდა. ერთი კია, მე მსიამოვნებს ეს ურთიერთობა, ძალიან მიზიდავს. მეუბნებიან — ნუ უყურებ ამდენ ხანს მზეს, დაბრმავდებიო, მაგრამ ჯერ არ დავბრმავებულვარ. მზე დამეხმარა იმაში, რომ მთელი გალაქტიკა შევიგრძენი. ჩვენი გალაქტიკა ყოფილა საათივით აწყობილი და მამა ღმერთი გახლავთ კარგი მესაათე. მზე მეხმარება იმაში, რომ რაც ღრმა და ქვეცნობიერია ჩემში, ის მაპოვნინოს. მზე მესაუბრება ჩემს ცხოვრებაზე, მამშვიდებს. გალაკტიონის ლექსები შემასწავლა და მთელი პროგრამა მომამზადებინა. იცით, რა გრანდიოზული პროგრამაა. სწორედ ამისთვის ემზადეო, მეუბნება მზე.

ჩემს უფროს გოგონას, სალომეს, მამამისმა ჩემთან ურთიერთობა აუკრძალა. იგი 21 წლისაა და სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს. გაყინული დარდი აქვს ჩემს გოგონას, იმიტომ რომ ჩემთან მოსვლა არ შეუძლია. ორივემ ვიცით, რის გამოც. მაგრამ ვითმენთ. ღმერთი გვათმენინებს, მაგრამ მინდა შვილი დავიბრუნო. სიცოცხლეში ერთხელ თეთრი გედივით დავიმღერო და დავიბრუნო ჩემი სალომე“.

ბევრ რამეს ბოლომდე ჯერ არ „ეუბნება“ მზე, მაგრამ მარჯვენა ხელი დაუმუხტა, დროდადრო საოცარ სითბოს გამოყოფს, მაგრამ არ იცის, რაში გამოიყენოს ეს ენერგია, „მართალია, ჯერჯერობით არც ეს მომხდარა, მაგრამ მჯერა სასწაულის, განა კბილებს ჩავისვამ, ან გატეხილ ცხვირს გავისწორებ?.. არა, უბრალოდ ერთ დილას გავიღვიძებ და ვიქნები ძალიან ლამაზი“.

ვფიქრობ, ამ უცნაური საუბრის შემდეგ, რაღაცის თქმა კიდევ იყო აუცილებელი. როგორც ბერნარდ შოუ ამბობს: „უდიდესი შეცდომა ჩვენი თანამემამულეების მიმართ — ეს არის არა სიძულვილი, არამედ მათი ბედისადმი გულგრილობა“. გასაგებია, ვის გულისხმობდა დიდი დრამატურგი და ალბათ ისიც გასაგებია, ვისი მისამართითაც მოვიტანეთ ეს ფრაზა ჩვენ.

***ნანა გურაშვილი***

# „იეღოველებს“ სამშობლოს დაცვა ეკრძალებათ(!)

## რატომ არ მიჰყავთ „იეღოველები“ ჯარში?..

***(დასაწყისი იხ. გვ. 8)***

მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ყოველივე ამას აქვს ერთი მნიშვნელოვანი, ტრადიციული, კავკასიური ფორმა, საუკუნეობით ჩამოყალიბებული. ე.ი. თავისუფალი ნიში ახალი რელიგიებისათვის კავკასიაში არ არსებობს. თუ არის, მხოლოდ იმ ათეისტების ხარჯზე, რომლებიც ჩამოყალიბდნენ კომუნისტური მმართველობის პერიოდში. ამით მინდა ვთქვა, რომ რეგიონში რომელიმე არატრადიციული რელიგიის გამოჩენისთანავე იქმნება ექსცესი, რისი ნათელი მაგალითიცაა დაღესტანსა და ჩეჩნეთში არსებული დაპირისპირება, რაც გამოწვეულ იქნა არატრადიციული ვაჰაბიზმის გამოჩენით, ანუ ისლამის ორ შტოს — სუფიზმსა და ვაჰაბიზმს შორის წარმოქმნილი დაპირისპირებით. ჩემთვის ნებისმიერი ახალი რელიგიური სექტის შემოსვლა კავკასიაში ექსცესის წინა პირობაა.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში ექსცესის წინა პირობას ქმნის თუ არა კანონების უმოქმედობა და „იეღოველთა“ მიმართ ლოიალური დამოკიდებულება? ხომ არ იქმნება ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ე.წ. „იეღოველად“ მოქცევის საშიშროება, რაც ძირს უთხრის ჩვენს ეროვნულ ღირსებებს?**



— ამის საშიშროება ნამდვილად არსებობს. „იეღოველთა“ სექტა უცხოეთიდან, კერძოდ აშშ-დან იმართება და მას საკმაოდ საინტერესო გავრცელების არე აქვს, თბილისი, კახეთის დიდი ნაწილი და ა.შ. მაგრამ ყურადღება მინდა მიაქციოთ აფხაზეთის მიმდებარე რაიონებს. „იეღოველები“ მრავლად არიან წალენჯიხის რაიონში, მეტსაც გეტყვით, ისინი თითქოს „განლაგებული“ არიან ენგურის ორივე მხარეს, საზღვრის გასწვრივ; აფხაზეთშიც და წალენჯიხის რაიონშიც მათ უამრავი მიმდევარი ჰყავთ და აქ საგულისხმოა არძინბას მთავრობის დამოკიდებულება მათ მიმართ. პრაქტიკულად, ყველა მათგანი დააპატიმრეს. ზოგი ციხეში ჩასვეს, ზოგიც გადაასახლეს. არძინბას ხელისუფლებამ შესანიშნავად განსაზღვრა, რა მოელოდათ, თუკი ამგვარი ხალხი იცხოვრებდა საზღვრისპირა რეგიონებში. ექსტრემალურ სიტუაციაში საზღვარი მათი მხრიდან დაუცველი დარჩებოდა. ჩვენ კი შექმნილ მდგომარეობას არავითარ ყურადღებას არ ვაქცევთ.

**— რა მიგაჩნიათ ამგვარი უყურადღებობის მიზეზად?**

— უთავობა. ჩვენ ასეთი ხასიათი გვაქვს, ყველა ყველაფერზე ინფორმირებულია. გვგონია, თითქოს რაც ხდება, ავადმყოფობასავით გადაივლის და ზიანს არ მოგვიტანს. მე ვაფრთხილებ საზოგადოებას, მთავრობას, თუ რა საშინელება გველოდება არა მარტო „იეღოვას“, არამედ სხვა სექტების გავრცელების შემთხვევაშიც.

საქართველოში არსებობს რელიგიური მიმდინარეობა ბაჰაიზმი, რომელიც არ ჩანს, იმიტომ რომ ხელში ავტომატი არ უჭირავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს. ყველა ეს არატრადიციული რელიგიური სექტა ჩვენი სახელმწიფოებრიობის, ჩვენი ეროვნული იდეოლოგიის დასანგრევადაა გამიზნული. დროულად უნდა დავინახოთ საფრთხე.

**— თქვენი აზრით, რა ფუნქცია უნდა იკისროს საპატრიარქომ მოვლენების დარეგულირებაში?**

— ეს ერთადერთი საკითხია, სადაც საპატრიარქოსა და ბასილ მკალავიშვილის თვალსაზრისი ერთგვაროვანია იმ განსხვავებით, რომ საპატრიარქო თავის მრევლს ვერ დაავალებს ხელჯოხებით სცემოს „იეღოველები“. მაგრამ ეკლესია მიმართავს ხელისუფლებას, მთავრობას, რათა დაცულ იქნეს მართლმადიდებელთა უფლებები.

ჩვენს ქვეყანაში კი, როგორც უკანასკნელი მოვლენები ცხადყოფენ, არსებობს თავისუფლების ინსტიტუტი, რომელიც „იეღოველთა“ დამცველ მეტად საინტერესო ძალას წარმოადგენს. ლოგიკისა და იურიდიული უფლებების, კერძოდ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების თვალსაზრისით, მათი მოქმედება სწორია. ისინი მიიჩნევენ, რომ რელიგიური მრწამსის გამო არავინ არ უნდა შეიზღუდოს, მაგრამ ჩვენ უნდა გვქონდეს აქვე კანონი, რომელიც მოგვცემს საშუალებას დავაპატიმროთ კონკრეტული პირი, რომელიც, დავუშვათ, კრძალავს სამშობლოს დაცვას იარაღით ხელში. თავისუფლების ინსტიტუტი აცხადებს, რომ თუკი სექტანტი გვიბიძგებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის რღვევისაკენ თავისი ქადაგებით, მაშინ ის უნდა დავიჭიროთ, ან გავუშვათ ალტერნატიულ სამხედრო სავალდებულო სამსახურში, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენ არ ვდგავართ ფეხზე. ჩვენი კანონები არ მუშაობენ. თითქოს უნდა ვუყუროთ და ველოდოთ, როდის დაინგრევა ყველაფერი, რომ შემდეგ თავი ვიმართლოთ — აი, კანონი არ მუშაობდა და იმიტომ მოხდა ასე.

რა მოგვდის, იქნებ ჩვენი ჭკუა და გონება საყოველთაო საქმეს გადაეჩვია, თვალი და ყური ყველას იმაზე დაგვება, რასაც „ჩემობის“ ფერი ადევს და არა „ჩვენობისა“. ამაზე წუხდა ილია საუკუნის წინ, არადა სატკივარი დღესაც აქტუალურია, „ერთს წუთს რომ ჩვენი თვალი და ყური მარტო „ჩემობაზედ“ გაჩერებულიყო და „ჩვენობა“ დავიწყებას მისცემოდა, მაშინვე სულს გავაფრთხობდით და ჩვენი ერი მტვერსავით აღიგვებოდა დედამიწის ზურგიდამ“. საქართველოს ისტორიაში ცალი თვალით ჩახედული კაციც კი იოლად დამეთანხმება, რომ ქართული პოლიტიკური და ეროვნული სიძლიერის უმთავრესი ძალა ქრისტეს რჯული და ქართველი მეომრის უბადლო საბრძოლო შემართება გახლდათ. ქართული სახელმწიფოებრიობის გასანადგურებლად მტერი სწორედ ამ ძალის ლიკვიდაციას საჭიროებდა. თუ ასე გაგრძელდა, უახლეს მომავალში მსოფლიო რუკაზე საქართველოს მაგივრად უცხო და გაურკვეველი მინიშნებები გაჩნდება. სანამ დროა, სარკეში ჩავიხედოთ და მოვწესრიგდეთ, რომ მერე არ შეგვრცხვეს.

***ეკა ლომიძე***


# პროფესორ მასწავლებელთა აკადემიური განვითარების პროგრამა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს პროფესორ/მასწავლებელთა აკადემიური განვითარების ახალ პროგრამას 2000-2001 სასწავლო წლისათვის. ამ პროგრამას ხელმძღვანელობს და აფინანსებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განათლებისა და კულტურულ ურთიერთობათა ბიურო და საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭო ACTR/ACCELS.

პროგრამის ძირითადი მიზანია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების უნივერსიტეტთა პედაგოგების სწავლების მეთოდიკის შემუშავება და განვითარება აშშ-ში ყოფნის ერთი წლის განმავლობაში. პროგრამით წარგზავნილებმა დაკვირვება უნდა აწარმოონ და მოუსმინონ კურსებს, დაესწრონ აკადემიურ კონფერენციებს და უნივერსიტეტიდან შესაბამისი მოწვევის შემთხვევაში ჩაატარონ ლექციები. პროგრამის მონაწილეები ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლებისას არავითარ აკადემიურ ხარისხს არ მიიღებენ და პროგრამის დასრულებისთანავე უნდა დაბრუნდნენ საქართველოში.

კანდიდატებს შეუძლიათ აირჩიონ შემდგომი სფეროებიდან ერთ-ერთი:

- ჟურნალისტიკა
- ლიტერატურა
- საზოგადოებრივი პოლიტიკა
- ფსიქოლოგია
- პოლიტოლოგია
- ხელოვნების მენეჯმენტი
- ეკონომიკა
- ისტორია
- სწავლება ამერიკის შესახებ
- გარემოს დაცვის მეცნიერება
- სამართალი
- ფილოსოფია
- ლინგვისტიკა
- საბიბლიოთეკო საქმე
- სოციოლოგია
- ბიზნეს ადმინისტრაცია
- კულტურული ანთროპოლოგია
- განათლების ადმინისტრაცია
- საზოგადოებრივი ადმინისტრაცია
- არქიტექტურა და ურბანისტიკა

ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც

**— ამჟამად ასწავლიან საქართველოს უმაღლესი განათლების სასწავლებლებში**
**— აქვთ სულ მცირე 2 წლის პროფესიული გამოცდილება**
**— კარგად ფლობენ ინგლისურ ენას**
**— შეძლებენ 2000 წლის აგვისტოში აშშ-ში ამ პროგრამით მონაწილეობას.**

სააპლიკაციო ფორმების შევსების ბოლო ვადაა 2000 წლის 31 მარტი.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოს ოფისს თბილისში.

AMERICAN COUNCILS
FOR INTERNATIONAL EDUCATION
ACTR/ACCELS

**მისამართზე: არაყიშვილის ქ. №2**
**☎29-21-06 ან 93-28-99**

## ნუ დააძალებთ პატარებს ჭამას!



მშობლების სურვილს, აჭამონ „ყოველივე საუკეთესო“ თავიანთ შვილებს, არავითარი საერთო არა აქვს ბავშვების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან. ამგვარ დასკვნამდე მივიდნენ დიეტოლოგთა ასოციაციის ამერიკელი ექსპერტები, რომლებმაც დაასრულეს მასშტაბური გამოკვლევა 2-დან 5 წლამდე ასაკის ბავშვთა კვებითი მისწრაფებების შესახებ.

გაირკვა, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის ყველაზე ცუდი მჭამელებიც კი ღებულობენ ვიტამინების 100%-იან ნორმას და პედიატრების მიერ რეკომენდებულ საკვებ ნივთიერებებს. როგორ ხდება ეს? ექიმთა თვალსაზრისით, პატარა ბავშვის ორგანიზმის თავისებურებას წარმოადგენს თვითრეგულირების მაღალი უნარი, რასაც ზრდასთან ერთად კარგავს ადამიანი. ამიტომ არ უნდა შეგეშინდეთ, თუ თქვენი პატარა მთელი კვირის მანძილზე მხოლოდ კარტოფილის პიურეს ან ბანანს მიირთმევს: რაღაც დროის შემდეგ იგი აუცილებლად გადავა ცილოვან პროდუქტებზე ან ბოსტნეულზე.

აი, როგორ კომენტარს უკეთებენ ფსიქოლოგები დედებსა და შვილებს შორის სადილის გამო შექმნილ მუდმივ დაპირისპირებას. „ბავშვის უარი, ჭამოს მაშინ, როცა ამას მშობლები მოითხოვენ, არის მისი დამოუკიდებლობის პირველი გამოვლინება, — ამბობს კარენ მილერი, ბავშვთა ნევროზის სპეციალისტი. ამიტომ თუ თქვენი შვილი პრაქტიკულად ჯანმრთელია და არ არის სავალდებულო, დაიცვას კვების მკაცრი რეჟიმი, დაუთმეთ — ამით თქვენ გააკეთებთ მისი სურვილებისადმი პატივისცემის დემონსტრირებას“. საერთოდ კი, ამერიკელ ექიმებს მიაჩნიათ, რომ ბავშვების სამაგიდო ჭირვეულობა, გაცილებით ცუდად მშობლების ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ვიდრე თავად პატარებზე.

***ზა რუბეჟომ №6***

## სიხლე მომავალი დედებისთვის

იტალიელ და რუს მედიკოსთა ერთობლივმა გამოკვლევებმა ცხადყო, — ქალებს, რომლებსაც ფეხმძიმობებს შორის მოკლე ინტერვალი აქვთ, სუსტი ჯანმრთელობის შვილები ჰყავთ. მინიმალური ვადა ერთი ბავშვის დაბადებიდან მეორის ჩასახვამდე, რომელიც უნდა დაიცვან, 2 წელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემთხვევათა 40%-ში ბავშვი დროზე ადრე იბადება და წონაც მცირე აქვს, რაც შემდგომში მავნე გავლენას ახდენს მის როგორც ფიზიკურ, ასევე გონებრივ განვითარებაზე. მედიკოსებმა ასევე დაასკვნეს, რომ მშობიარე თავიდან აიცილებს საკეისრო კვეთას, თუ ტკივილების შემოტევისას, რაც შეიძლება ბევრს შეჭამს. მაგალითად, მკვლევარებს მოჰყავთ ამერიკელი ქალები, რომლებიც უშუალოდ მშობიარობის დროსაც ჭამენ.

***მეგაპოლის-ექსპრესი №5***

## რა მოდის ონკანეზიდან?

დღე-ღამის სხვადასხვა მონაკვეთში (დედამიწის ველის ცვალებადობისდა მიხედვით) წყალს სხვადასხვა ენერგეტიკული პარამეტრი აქვს. ბიოლოგიურად აქტიური წყალი ჩვენი ონკანებიდან 3-დან დილის 5სთ-მდე; 7.15-დან 8.00სთ-მდე, 11.00-დან 12.40სთ-მდე, ასევე 15.00სთ-დან 16.40სთ-მდე, 20.20სთ-დან 21სთ-მდე, 23სთ-დან 0,00სთ-მდე მოდის. თუ ასეთ წყალს აადუღებთ და ცივი წყლის ნაკადის ქვეშ გააცივებთ, მისი ენერგეტიკული პარამეტრები ერთიორად გაიზრდება. გარდა ამისა, თუ ლოცვასაც წაიკითხავთ, ღმერთს შესთხოვთ განკურნებასა და სასიცოცხლო ძალების მომატებას, წყალი მართლაც გაცოცხლდება. ამ წყლით გაკეთებული კერძი, დიდხანს არ ფუჭდება, ჩაის ნახარშებს და ნაყენებს კი სამკურნალო თვისებები უორმაგდება. მაგრამ დაიმახსოვრეთ, ზემოთ ჩამოთვლილი დროის მონაკვეთების გარდა, სხვა მონაკვეთებში აღებულ წყალს ამგვარი სამკურნალო თვისებები არ აქვს, 0,00სთ-დან ღამის 3სთ-მდე კი უმჯობესია საერთოდ არ იხმაროთ, ონკანის წყალი — ეს მკვდარი წყალია და ორგანიზმს აბერებს.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №42***


ყურადღება!

100%-იანი გარანტიით

ქალებს, რომელთაც გაწუხებთ ჭარბთმიანობა, ნებისმიერი სახით გამოხატული (ნაპარსი, პინცეტით ამონაღები, ეპილაციით გაღიზიანებული და ა.შ.) გეძლევათ შესაძლებლობა, განიკურნოთ, მხოლოდ ერთი პროცედურით თითოეულ თმაზე. მკურნალობა გრძელდება მანამ, სანამ არ შევეხებით თითოეულ თმას (რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთხელ). მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თმის სიხშირეზე. პროცედურის ჩატარების შემდეგ ყველანაირი პასუხისმგებლობით გრჩებათ უვნებელი კანი და მთელი ცხოვრება დაზღვეული ხართ ჭარბთმიანობისაგან. ანაზღაურება - 1 სთ. - 20$.

მის: რჩეულიშვილის ქ. (ზემო ვერა), კორპ. 6 სად. II სართ. 9

☎ 29-42-58; 899-53-01-41





ხერხემლის დაავადებათა (ოსტეოქონდროზი, დისკოზი, ართროზი, სპონდილოზი) და მათი ნერვული, კუნთოვანი, მყესოვანი, სახსროვანი და სისხლძარღვოვანი გართულებების კომპლექსური მკურნალობა

ექიმი ვერტებრონევროლოგი, მანუალური თერაპევტი დავით ქურთუბაძე

თბილისი, ივ ჯავახიშვილის 51, I სართ, ოთახი 9

ტელ: 96-95-69; 877-43-31-26



SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი

SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა

SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები

SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია

SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


## სასიკვდილოდ საშიში დაავადება

ნევროლოგია ნერვული სისტემის და მისი დაავადებების შემსწავლელი მეცნიერებაა. ის მედიცინის ერთ-ერთი უძველესი და ამავდროულად ძალზე რთული დარგია. თანამედროვე პროგრესისა და უამრავი სიახლის სამყაროში ალბათ საოცრებად მოგეჩვენებათ ის, რომ მსოფლიომ 1990 წელს ნევროლოგიურ დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემები გადაუჭრელ, მოუგვარებელ საკითხად „აღიარა“ და შედეგად შემდგომი ათწლეული ტვინის დეკადად „მონათლა“. ეს იმით იყო განპირობებული, რომ განვითარებულ ქვეყნებშიც კი მედიცინის ამ დარგის მიღწევები არადამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული.

ასე იყო თუ ისე, ტვინის ათწლეულად აღიარებული დრო წელს იწურება და ამ ხნის მანძილზე მსოფლიოში ნევროლოგიური პროფილით ჩატარებულ ღონისძიებათა წილიც მეტად მნიშვნელოვანია. ალბათ დაინტერესდებით, თუ რა ზეგავლენა იქონია მსოფლიო პროცესებმა საქართველოში არსებულ პრობლემებზე და რამდენად შეეხო ის ჩვენს მედიცინას. ამ და სხვა საკითხებზე ნევროლოგიური კლინიკის ხელმძღვანელ ქ-ნ **მარინე ჯანელიძეს** ვესაუბრეთ.

**— რომელი დაავადება მიგაჩნიათ დღეს ჩვენში ყველაზე მწვავე, მნიშვნელოვან ნევროლოგიურ პრობლემად?**

— ყველაზე აქტუალურია ინსულტი — თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა. ის, ჩვეულებრივ, ასაკოვან ადამიანთა დაავადებად ითვლება. დაავადების საშუალო ასაკი საზღვარგარეთ 72 წელია, მაშინ, როდესაც ჩვენში ინსულტის გაახალგაზრდავების მკვეთრი ტენდენცია აღინიშნება. ჩვენი კლინიკის მონაცემებით ინსულტგადატანილი ადამიანების საშუალო ასაკი 63-64 წელია.

დაავადების სიმწვავესა და აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ კარგი გამოსავლის ანუ პაციენტის გადარჩენის შემთხვევაში ადამიანთა 35% სამუდამოდ ინვალიდი რჩება. ასეთი ავადმყოფის მოვლა კი ძალზე რთული და პრობლემატურია.

**მოკლე ცნობები...**

თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლას გონების უეცარი დაკარგვა და დამბლა სდევს თან. ინსულტის დროს ადგილი აქვს ტვინის ქსოვილის რაღაც ნაწილის დაღუპვას. ერთ შემთხვევაში ინსულტი სისხლძარღვის სანათურის დახშობით არის განპირობებული (ქსოვილი უჟანგბადობით იღუპება), ხოლო მეორე შემთხვევაში სისხლძარღვის კედლის გასკდომით, რასაც ტვინში სისხლჩაქცევა სდევს თან (იხ. ფოტო). თუკი დაზიანება დიდი არ არის, ორგანიზმის კომპენსატორული უნარის წყალობით, ფუნქციები რამდენიმე დღესა თუ კვირაში აღდგება. მაგრამ თუკი ფართობი დიდია ე.ი. დაზიანება ტვინის მნიშვნელოვან ნაწილს ეხება, მამოძრავებელი და მეტყველების დარღვევები ვითარდება.

***ინსულტისგან დაზღვეული არავინ არის. უფრო მეტიც, ერთხელ გადატანილი პათოლოგიაც კი განმეორებისაგან ვერ დაგიცავთ.***




***პირიქით, თუკი პირველი ინსულტის გამომწვევი მიზეზები ორგანიზმში კვლავაც „ბუდობს“, მაშინ მისი გამეორების შანსი მეტია.***

### ჩვენში „ფეხმოკიდებული“ ინსულტი

დღეს მსოფლიოს სტატისტიკურ მონაცემებთან შედარებით საქართველოში სისხლჩაქცევებით განპირობებული ინსულტი 2,5-ჯერ მეტია.

**— რით აიხსნება ამ პათოლოგიის ასეთი სიმრავლე?**

— სისხლჩაქცევის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მომატებული არტერიული წნევაა. ჩვენში კი მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით (ეკონომიკური და ა.შ.) მოსახლეობის მიერ წარმოებული თვითკონტროლი მკვეთრად შემცირებულია.

**გაითვალისწინეთ...**

ამჟამად არსებობს ათობით პრეპარატი, რომლებიც არტერიული წნევის ნორმალიზებას უზრუნველყოფს და თუკი თქვენთვის არასტაბილური ან მაღალი არტერიული ციფრები ჩვეულია, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. ექიმი, ბუნებრივია, ინდივიდუალურ, თქვენთვის ოპტიმალური მკურნალობის კურსს დაგინიშნავთ.

### რა უნდა იცოდეთ მის შესახებ...

**— რამდენად შესაძლებელია ინსულტის პროფილაქტიკა, არსებობს კი მისი თავიდან აცილების გზები?**

— რამე პროფილაქტიკური გამოკვლევა ინსულტის წინაპირობის აღმოსაჩენად არ არსებობს. უბრალოდ ძალზე მნიშვნელოვანია ინსულტის საბოლოო განვითარებამდე აღრიცხული მთელი რიგი სიმპტომების მიმართ ყურადღებისა და სიფრთხილის გამოჩენა. ესენია: ძლიერი თავის ტკივილი, გულის რევის გრძნობა თანმხლები პირღებინებით, მენინგიალური ნიშნებით. ეს ის სიმპტომებია, რომლებიც ადამიანის დაუყოვნებლივ სტაციონირებას მოითხოვს. ამ შემთხვევაში თავის დამშვიდება და ლოდინის პრინციპით ავადმყოფზე სახლის პირობებში დაკვირვება დაუშვებელია.

### ეს ძალზე მნიშვნელოვანია...

ინსულტის კიდევ ერთი საშიშროება ათეროსკლეროზია. ამიტომ სისხლში ქოლესტერინის დონე ხშირად უნდა გაკონტროლდეს. სისხლში ქოლესტერინის ნორმა 200-ია. თუკი ის 240-ზე მეტია, ეს უკვე პათოლოგიაა. ამ დროს აუცილებელია კვების კონტროლი, ცხოველური ცხიმების შეზღუდვა, კარგია ფიზიკური აქტივობა. თუკი ეს ღონისძიებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს, დახმარებისთვის ექიმს უნდა მიმართოთ. პათოლოგიური ცვლილებები უფრო კარგად „ფეხს“ დაზიანებულ სისხლძარღვებზე „იკიდებს“. სისხლძარღვების დაზიანება კი თამბაქოში არსებულ მავნე ნივთიერებებს ძალზე ადვილად შეუძლია. ინსულტის განვითარებას სისხლის შემადედებელი სისტემის გააქტიურებაც უწყობს ხელს. ამიტომაც ამ სისტემის კონტროლი და მისი მოწესრიგებაც ძლიერ მნიშვნელოვანია.

აი, მოკლედ იმ ფაქტორთა ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინება და აცილება სასიკვდილოდ საშიშ საფრთხეს აგარიდებთ თავიდან.

***მაია მუხიგული***

## ყველაფერი ვიცით ყავის შესახებ?




რა ვიცით ყავაზე? გვამხნევებს, გვახალისებს. ალბათ სულ ეს არის. ერთ ფინჯან ყავაში 100-ზე მეტი ქიმიური ნივთიერებაა, რომელთა უმრავლესობა ძირფესვიანად არც კი არის შესწავლილი, ხოლო მათი ორგანიზმიდან გამოსადევნად ორგანიზმს 24 საათი სჭირდება. მთელი მსოფლიოს ექიმები დიდი ხანია დარწმუნდნენ, რომ კოფეინი ყველაზე გავრცელებული ლეგალური ნარკოტიკია, რომელსაც კაცობრიობის ნახევარზე მეტი ეტანება. ცნობილი ინგლისელი ექიმი სტეფან ზინსერი გვიხსნის ყავის დადებით და უარყოფით თვისებებს.

**გული და სისხლძარღვები.** ცნობილია, რომ ყავა აფართოებს სისხლძარღვებს, მაგრამ როგორც გაირკვა, ყველას არა. თურმე, ზოგიერთი სისხლძარღვი მისი ზემოქმედების შედეგად ვიწროვდება.

**სისხლი.** კოფეინს შეუძლია სისხლის დაელექტროება, რის შედეგადაც ადამიანს შეიძლება კრუნჩხვა დაემართოს. ის სისხლში საგრძნობლად ამცირებს ქოლესტერინს, მაგრამ ზრდის შაქრის რაოდენობას.

**თირკმელზედა ჯირკვლები.** ერთი ფინჯანი ყავის დალევის შემდეგ თირკმელზედა ჯირკვლები მაშინვე იწყებენ შაქრის აქტიურ გამომუშავებას. თუ ზედმეტი კოფეინი შევა ორგანიზმში, მოთენთილობას ვიგრძნობთ.

**ტვინი.** ყავა უდავოდ ზრდის შრომისუნარიანობას. ის აუმჯობესებს მეხსიერებას, აძლიერებს კონცენტრირების უნარს. სიამოვნების ცენტრებს ასტიმულირებს. ყავით შეიძლება თავის ტკივილის გაყუჩებაც, თუ ასპირინს მივაყოლებთ, ამ წამლის მოქმედებას აძლიერებს კოფეინი. თუ უარს ვიტყვით დილის ტრადიციულ ერთ ფინჯან ყავაზე, თავის ტკივილს ვიგრძნობთ და მთელი დღე გაღიზიანებულიც ვიქნებით.

**ნერვული სისტემა.** ყავის მოყვარულებს ცუდად სძინავთ, მაგრამ დილით ადვილად დგებიან.

**ფილტვები.** კოფეინი ახშირებს სუნთქვას და აფართოებს ბრონქებს. ხანდახან გვეხმარება ასთმის შეტევის აცილებაში.

**ნივთიერებათა ცვლაც** უმჯობესდება ერთი ფინჯანი ყავის შემდეგ.

**კუჭი.** ყავის პატარა დოზა კუჭზე შესანიშნავად მოქმედებს, ხელს უწყობს ორგანიზმს საკვების გადამამუშავებელი მჟავის გამომუშავებაში. თუ ზედმეტ კოფეინს მივიღებთ, შეიძლება გასტრიტი ან წყლული დაგვემართოს, ან მუდმივმა ღებინების და ძმარვის გრძნობამ შეგვაწუხოს.

**თირკმლები.** ყავა არის შესანიშნავი შარდმდენი საშუალება, რომელიც უმალ მოქმედებს. თუმცა ზედმეტმა დოზამ შეიძლება შარდთან ერთად დაგვაკარგვინოს სასარგებლო ნივთიერებები — მაგნიუმი, კალციუმი, ნატრიუმი და ვიტამინი $B_6$. ამ უკანასკნელის დეფიციტმა შეიძლება კენჭები წარმოქმნას თირკმლებში.

***სეგოდნია №15***

## შოკოლადი ინფარქტის წინააღმდეგ

სენსაციური დასკვნა გაკეთდა აშშ-ში კარდიოლოგთა კონფერენციის ბოლოს:

— დღეიდან, ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცებულად მიგვაჩნია, რომ შოკოლადი აუცილებლად უნდა შევიდეს რაციონში, როგორც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკური საშუალება, — განაცხადა კონფერენციის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე კალიფორნიის შტატის უნივერსიტეტის პროფესორმა კარლ კინმა.

როგორც მეცნიერმა თქვა, მასშტაბური გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ შოკოლადის რეგულარული მოხმარება აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და ზემოქმედებას ახდენს თრომბოციტების ფუნქციაზე. როგორც ცნობილია, სისხლის ამ უჯრედებს წამყვანი ადგილი უჭირავს თრომბის წარმოქმნაში.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი შეიცავს დიდი რაოდენობის ფლავონოიდებს — ბუნებრივ შენაერთს, რომელიც მოქმედებს თრომბოციტების შეერთებაზე. ისინი დაახლოებით ისე „მუშაობენ“, როგორც ასპირინი, ათხელებენ სისხლს, ოღონდ შედარებით რბილად.



— არ შემიძლია ვამტკიცო, რომ ავადმყოფებს, რომელთაც სისხლის გამათხელებელი პრეპარატები აქვთ დანიშნული, შეუძლიათ წამალი შოკოლადით შეცვალონ, — ფრთხილობს პროფესორი კინი — მაგრამ ჯანმრთელი ადამიანისათვის, რომელსაც არ სურს იავადმყოფოს მომავალში, შოკოლადი კარგი დამხმარე იქნება.

აღმოჩნდა, რომ შოკოლადში შემავალი ზოგიერთი ნივთიერება ენათესავება ენდოფრინებს — ე.წ. „სიამოვნების ჰორმონს“, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი განსაკუთრებით სასიხარულო მომენტებში გამოიმუშავებს.

ასე რომ, გვაქვს მნიშვნელოვანი საფუძველი, ხშირად მივირთვათ შოკოლადი!

***იზვესტია №31***

# საფეხბურთო ბაზარი რეკორდის მოლოდინშია

უახლოეს მომავალში მსოფლიო საფეხბურთო ვარსკვლავთა ფასი 70-80 მილიონ დოლარს მიაღწევს, ზოგიერთი ექსპერტი კი ამტკიცებს, რომ უკვე მომავალ წელს პლანეტის რჩეულ მოთამაშეთა ფასი 100 მილიონს გადააჭარბებს.

სპორტული პრესა უკვე ასახელებს სარეკორდო კონტრაქტის ავტორთა პოტენციურ კანდიდატთა ვინაობას. მათ შორის ყველაზე ხშირად — ბრაზილიელებს: რივალდოს, რონალდოსა და რონალდინიოს, აგრეთვე ინგლისელ დევიდ ბექჰემს. რივალდოს სანაცვლოდ „ლაციო" 65 მილიონის გადახდაზე ჯერ კიდევ ორი თვის წინ არ იხევდა უკან, დანარჩენმა გვარებმა კი სია გასული კვირის მიწურულს შეავსო.

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ხმები, თითქოს მილანის „ინტერის" თავდამსხმელი რონალდო კლუბის დატოვებას და ბრაზილიურ „ფლამენგოში" გადაბარგებას აპირებდა. რონალდოს პირად აგენტს ამის გამო ოფიციალური ახსნა-განმარტების გაკეთება მოუხდა, — გაირკვა, რონალდო არ დატოვებს კლუბს, რომლის აქციათა ნაწილს თავად ფლობს. თუმცა „ინტერის" ხელმძღვანელობა ჭორებს დიდად არ აღუშფოთებია. კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თუკი ვინმე რონალდოს შეძენას მოინდომებს, არც მეტი, არც ნაკლები — 80 მილიონის გადახდა მოუწევს. თანხა შთამბეჭდავია.



გასულ ორშაბათს, ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე ორი დღით ადრე, ინგლისური პრესა იტყობინებოდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცს, სერ ალექს ფერგიუსონს სერიოზული უთანხმოება აქვს კლუბის ნახევარმცველ დევიდ ბექჰემთან, რის გამოც შესაძლოა, ამ უკანასკნელმა კლუბი დატოვოსო. „მანჩესტერი მზადაა გაყიდოს დევიდ ბექჰემი და მის ხარჯზე 40 მილიონი ფუნტით გამდიდრდეს" — ამტკიცებენ ბრიტანელი ჟურნალისტები. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საბუკმეკერო კანტორები უკვე იმაზე იღებენ ფსონებს, თუ სად დაიწყებს მომავალ სეზონს ბექჰემი, თუმცა ბუკმეკერთა აზრით, „მანჩესტერ იუნაიტედი" აშკარა ფავორიტია.

და ბოლოს... ბრაზილიური „გრემიოს" პრეზიდენტმა ჟოზე ალბერტო გერეირამ განაცხადა: ინგლისური „ლიდს იუნაიტედი" ჩვენს თავდამსხმელ რონალდინიოში 81 მილიონ დოლარს გვთავაზობსო, თუმცა თავიც დაიფასა და დასძინა, — 81 კი არა, 100 მილიონიც რომ გვაძლიონ, რონალდინიოს მაინც არ გავყიდითო. „ლიდსის" მწვრთნელმა ამ სიტყვებს სისულელე უწოდა და განაცხადა, — მსგავსი რამ აზრადაც არ მოგვსვლიაო. თავად რონალდინიომ კი დაასახელა სამი ევროპული გუნდი, სადაც კარიერის გაგრძელებას ისურვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ტურინის „იუვენტუსს" ბრაზილიელი ვარსკვლავის შეძენის სურვილი არასდროს გამოუთქვამს, თავად ფეხბურთელმა აღიარა, — სიამოვნებით ვთამაშებდი ტურინულ სუპერკლუბშიო. „ბებერი ქალბატონის" გარდა, რონალდინიომ მომავალ შესაძლო კლუბებად მილანის „ინტერი" და „ბარსელონა" დაასახელა.

როგორც არ უნდა იყოს, ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ კრისტიან ვიერის მიერ მილანის „ინტერთან" გაფორმებული 50 მილიონიანი კონტრაქტი სულ მალე დაკარგავს „რეკორდსმენის" სტატუსს. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა ფასი მინიმუმ 70-80 მილიონ დოლარს მიაღწევს, ეს კი, ბუნებრივია, ერთიორად გაზრდის ფასს რიგით ფეხბურთელებზეც. ასეთი თანხების გადახდა კი მხოლოდ ევროპულ სუპერკლუბებს ძალუძთ, რომელთა რიცხვი არცთუ დიდია და საშუალოდ 15-დან 20-მდე მერყეობს. სუპერკლუბები სუპერფეხბურთელებს შეიძენენ და იმდენად გაუსწრებენ ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ჩვეულებრივ კლუბებს (სხვა კონტინენტის გუნდებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), რომ მათმა ურთიერთშეხვედრებმა, შესაძლოა, მომავალში აზრიც დაკარგოს და დღის წესრიგში დადგეს სუპერლიგის ჩამოყალიბების აუცილებლობა. ყოველივე ეს კი გამანადგურებელ დარტყმას მიაყენებს ფიფასა და უეფას. ასე რომ, მსოფლიო ფეხბურთის მმართველ ინსტანციებს ვარსკვლავების ფასის კატასტროფული ზრდა მხოლოდ ზიანს აყენებს, თუმცა ამ პროცესის შეჩერება მათ კომპეტენციაში არ შედის. სუპერკლუბთა მფლობელები სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენენ მსოფლიო ფეხბურთზე და მათ დაპირისპირებას ფიფასა და უეფას ხელმძღვანელებთან შეიძლება, სულ მალე ოფიციალური სახე მიეცეს.

# პლატინიმ ახალი კალენდარი შეიმუშავა

ყოფილმა ფრანგმა ფეხბურთელმა, სახელგანთქმულმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ დროა, მსოფლიოში ერთიანი საფეხბურთო კალენდარი შემუშავდეს და ჟურნალისტებს საკუთარი ვარიანტი წარუდგინა. პლატინის აზრით, ევროპის არც ერთი ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე კლუბების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 18-ს. საფეხბურთო სეზონი მთელ მსოფლიოში უნდა იხსნებოდეს თებერვლის დასაწყისში და ნოემბრის ბოლომდე უნდა გრძელდებოდეს, დეკემბერი დასვენების თვედ უნდა იქცეს, იანვარი კი კლუბებმა მოსამზადებელი პერიოდისათვის უნდა გამოიყენონ, საერთაშორისო მატჩები (ნაკრებების დონეზე) ივლისსა და აგვისტოში უნდა იმართებოდეს. მოსალოდნელია, რომ უფრო დეტალურად პლატინის პროექტს ფიფა მარტის ბოლოს გასამართ სხდომაზე განიხილავს. კალენდრის მიხედვით, წელიწადის 365 დღიდან მხოლოდ 76 უნდა იყოს საფეხბურთო (ამ შემთხვევაში ფეხბურთელებს თითქმის ყოველ მეხუთე დღეს მოუწევთ მატჩების გამართვა). აღნიშნული 76 დღიდან 48 დღე უნდა დაეთმოს ქვეყნის ჩემპიონატებსა და ეროვნული თასის გათამაშებებს, 16 — საერთაშორისო საკლუბო ტურნირებს, 8 — საერთაშორისო ტურნირებს (ნაკრებების შეხვედრებს), 6 დღე კი პლატინიმ ამხანაგური თამაშებისათვის გადაინახა.,



# ნუ გაიხდით მაისურებს

ამ ბოლო დროს საკმაოდ პოპულარული გახდა ფეხბურთელის მიერ მაისურის გადაძრობით სიხარულის გამოხატვა გოლის გატანის დროს. ზოგი მოთამაშე უბრალოდ თავზე იფარებს მაისურს და საკუთარი სხეულის დემონსტრირებას ახდენს, ზოგს კი შიგნით მეორე მაისური აცვია, სადაც სარეკლამო თუ პოლიტიკური წარწერებია მოთავსებული. უეფამ ამის შესახებ იმსჯელა და დაადგინა: ამიერიდან, ფეხბურთელი, რომელიც ამგვარი მეთოდით გამოხატავს სიხარულს, ყვითელი ბარათით დაისჯება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთი ბარათი უკვე მიღებული აქვს. ეს დადგენილება უეფას მსაჯთა კომიტეტმა მალტაში გამართულ არბიტრთა სემინარზე მიიღო. იმავე სემინარზე მსაჯებმა კიდევ ერთი რეკომენდაცია მიიღეს — ფეხბურთელთა ცვლილების დროს, თანამსაჯი ვალდებულია მივიდეს მოედნის შუახაზთან და ცვლილების დროს მეოთხე მსაჯს დაეხმაროს. ცვლილების შემდეგ ლაინსმენი დაუბრუნდება ჩვეულ პოზიციას უკანასკნელი მცველის გასწვრივ და მთავარ არბიტრს ანიშნებს, თამაში განაახლოს. ამ სიგნალის გარეშე მთავარი არბიტრი სასტვენს არ მისცემს. უეფას ახალი დადგენილებები ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას გაეგზავნა და უკვე ძალაშიც შევიდა.

# ეფენბერგი ნაკრებში თამაშს უარობს

მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველმა შტეფან ეფენბერგმა განაცხადა, რომ არასდროს დაბრუნდება გერმანიის ეროვნულ ნაკრებში, რომლის შემადგენლობაში უკანასკნელად 1998 წლის სექტემბერში იასპარეზა. უკანასკნელი სერიოზული წარუმატებლობების შემდეგ, გერმანელთა მწვრთნელმა ერიხ რიბეკმა საშველად ეფენბერგს უხმო და ევროპის ჩემპიონატზე თამაში შესთავაზა, თუმცა კატეგორიული უარი მიიღო. „საკითხი გადაწყვეტილია, ევროპის ჩემპიონატის დროს შვებულება მაქვს და ბელგია-ჰოლანდიაში გამგზავრება არ მსურს" — განაცხადა „ბაიერნის" კაპიტანმა, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 35 შეხვედრა აქვს ჩატარებული. შეგახსენებთ, რომ ეფენბერგი ჯერ კიდევ 1994 წლის ზაფხულში დაითხოვა ბერტი ფოგტსმა გუნდიდან. ოთხწლიანი შესვენების შემდეგ „ბაიერნის" ფლეიმეიქერმა ერთადერთი მატჩი ჩაატარა ბუნდესნაკრებში და მას შემდეგ რიბეკის გუნდში აღარ გამოჩენილა.

# ავსტრალიური ქარი რეკორდების წინააღმდეგ

სიდნეი თანამედროვე ოლიმპიადების „ყველაზე ქარიანი" დედაქალაქი იქნება. ოლიმპიადის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ შეჯიბრებების დაწყებამდე დარჩენილ დროში პრაქტიკულად შეუძლებელია ოლიმპიადის მთავარ სტადიონზე მოთარეშე ქარის წინააღმდეგ რაიმე ზომების მიღება, რამაც დასაშვებია, დიდი ზიანი მიაყენოს მძლეოსნურ შეჯიბრებებს, განსაკუთრებით კი — მორბენლებს.

რამდენიმე დღის წინ ოლიმპიადის მთავარ არენაზე ავსტრალიის ღია პირველობა გაიმართა მძლეოსნობაში. შედეგებმა ცხადყო, რომ ძლიერი ქარი მართლაც საკმაოდ სერიოზულ პრობლემებს უქმნის სპორტსმენებს. მძლეოსანთა ნაწილმა თხოვნითაც კი მიმართა ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტს, — მორბენალთა შეჯიბრებები სხვა ქალაქსა და სტადიონზე გაიმართოსო, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია. „თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, საეჭვოა, სიდნეის ოლიმპიადაზე ვინმემ სირბილში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება შეძლოს" — განაცხადა მსოფლიო რეკორდსმენმა 100 მ-ზე სირბილში ამერიკელმა მორის გრინმა.



ახალი 110 ათასიანი ულამაზესი სტადიონის არქიტექტორის ჯონ უოტმორის აზრით, მთავარ ოლიმპიურ არენას ნაკლი არა აქვს, ქარი კი სტიქიაა, რომლისთვისაც ნებისმიერი სპორტსმენი მზად უნდა იყოს. მეტეოროლოგები თვლიან, რომ 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე (ოლიმპიადის ჩატარების დღეებში) ძლიერი ქარი მოსალოდნელი არ არის და ქარზე უფრო წვიმიანი ამინდის ეშინიათ. თუმცა წვიმა მორბენლებს ხელს არ შეუშლით, ვინაიდან სტადიონის დიდი ნაწილი, მათ შორის სარბენი ბილიკებიც გადახურულია.

# ჯკიივი ფსიქიატრიულ დაავადებებს ინვევს

დასრულდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, სუპერმძიმეწონოსანი მოკრივის რიდიკ ბაუის სასამართლო პროცესი. მოკრივეს ბრალი ედებოდა ყოფილი მეუღლისა და ხუთი შვილის გატაცებაში. ორი წლის წინ, უკვე ცოლს გაშორებული ბაუი სახლში შეუვარდა ყოფილ მეუღლეს და იარაღის მუქარითა და ლანძღვა-გინებით გაიტაცა ხუთ შვილთან ერთად. პოლიციელებმა იმავე დღეს დააპატიმრეს ხულიგანი და საქმეც აღიძრა. ვარაუდობდნენ, რომ ბაუის მინიმუმ ოთხი წლით მოუწევდა სასჯელის მოხდა, თუმცა სასამართლომ მას სულ რაღაც 30 დღიანი პატიმრობა აკმარა და გაათავისუფლა. ასეთი განაჩენის მთავარ მიზეზად კი მოკრივის საქმიანობა დასახელდა. ექიმებმა განაცხადეს, რომ სპორტსმენის საკრივო კარიერის დროს თავში მიყენებულმა ძლიერმა დარტყმებმა ბაუის ფსიქიკა შეურყია და ციხეში ჩასმის ნაცვლად მკურნალობა დაუნიშნეს.

# „ჩოგბურთის დედოფალი" „რუსულ რაკეტაზე" თხოვდება

მსოფლიო ჩოგბურთის დედოფლად აღიარებულმა რუსმა სპორტსმენმა ანა კურნიკოვამ გადაწყვიტა ცოლად გაჰყვეს მისსავე თანამემამულეს, NHL-ის კლუბის — „ფლორიდა პანტერსის" ვარსკვლავს პაველ ბურეს. ჯერჯერობით სპორტსმენებს ქორწილის ვადა არ დაუთქვამთ და ზუსტ თარიღს ორი კვირის შემდეგ დაასახელებენ. უცხოურმა პრესამ უდიდესი ადგილი დაუთმო ამ მოვლენას. ევროპისა და ამერიკის მოწინავე გამოცემები აჭრელებული იყო მათი ფოტოებით. კურნიკოვამ და ბურემ თითო სართული შეიძინეს მაიამი ბიჩის სანაპიროზე მდებარე ფეშენებელურ სახლში. რუს ჩოგბურთელს თაყვანისმცემლები არასდროს აკლდა. ბურესთან დაახლოებამდე იგი მეგობრობდა ჰოკეისტ სერგეი ფიოდოროვთან, ჩოგბურთელებთან — ლაპენტისთან და ფილიპისუსთან, თავად რონალდოსთანაც კი.



ჯერჯერობით უცნობია, როგორ გაგრძელდება ანა კურნიკოვას ურთიერთობა მრავალრიცხოვან სპონსორებთან. შეგახსენებთ, რომ სხვადასხვა კომპანიებთან ჩოგბურთელის მიერ გაფორმებული კონტრაქტების ღირებულება მილიონობით ფუნტ სტერლინგს შეადგენს. გათხოვების შემთხვევაში სარეკლამო ბაზარზე მისი ფასი მკვეთრად დაეცემა, თუმცა ისეთ მეუღლესთან, როგორიც მილიონერი პაველ ბურეა, „სილამაზის დედოფალს" მომავალზე ზრუნვა არ მოუწევს. „რუსულ რაკეტად" წოდებული ბურე ერთ-ერთი უმდიდრესი სპორტსმენია მსოფლიოში.

ამასობაში მსოფლიო ჩოგბურთის კიდევ ერთმა ვარსკვლავმა შტეფი გრაფმა უარყო ხმები გათხოვების შესახებ: ორიოდე კვირის წინ მსოფლიო პრესა მოიარა ცნობამ, რომლის თანახმადაც, გრაფსა და მსოფლიოს №1 ჩოგბურთელს, ამერიკელ ანდრე აგასის 14 ივნისს ჯვარი უნდა დაეწერათ. „ქორწილის დანიშვნა ჟურნალისტების ფანტაზიაა და ერთადერთ მიზანს — ტირაჟების გაზრდას ისახავს" — განაცხადა გრაფმა.

# სცუმრად უცხოპლანეტელებთან (?!)

ორძრავიანი თვითმფრინავი ჩვეულებრივ სპორტულ რეისს ასრულებდა შოტლანდიის ერთ-ერთ სოფელში. ღრუბლიანი ამინდის მიუხედავად, ერთი-მეორის მიყოლებით 7 პარაშუტისტი გადმოხტა თვითმფრინავიდან. პილოტმა მზერა გააყოლა სპორტსმენებს და როცა დაინახა, რომ ყველა პარაშუტი კარგად გაიხსნა, კაბინაში მშვიდად შებრუნდა. ძირს დაშვებული პილოტი გაოგნდა, როცა აუწყეს, რომ არცერთი პარაშუტისტი მიწაზე არ დაშვებულა — 3 ქალი და 4 მამაკაცი უკვალოდ გაქრა და ღრუბლებში გაუჩინარდა. გამომძიებლებმა დაადასტურეს, რომ ყველა პარაშუტისტი საკმაოდ გამოცდილი იყო, მათი ხელმძღვანელი, რომელიც სულ ბოლოს გადმოხტა, ათასზე მეტჯერ ყოფილა დაშვებული პარაშუტით. სასწაული ვერავინ ახსნა. მომხდარი ფაქტი მით უფრო საინტერესოა, რომ პოლიციის მიერ დაკითხულმა ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიხსენა, — იმ დღეს, როდესაც პარაშუტისტები თვითმფრინავიდან გადმოხტნენ, სოფლის თავზე ძლიერი გამოსხივების მქონე მფრინავი ობიექტი შევნიშნეთო. ოფიციალური დასკვნის გაკეთებისაგან ყველა თავს იკავებს. ისე კი დაინტერესებულ პირთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პარაშუტისტები უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს, გამოსხივების მქონე მფრინავი ობიექტი კი უცხოპლანეტელთა ხომალდად მიიჩნიეს. საბრალო პარაშუტისტთა ახლობლებს უგზოუკვლოდ დაკარგულთა გამოჩენის იმედი აქვთ.

# თავით გინესის წიგნისაკენ

ამერიკელმა კასკადიორმა კენ რიჩარდსონმა საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ მთელს მსოფლიოში ყველაზე მაგარი თავი აქვს. თავიდან იგი ხალხის თვალწინ თავით ამტვრევდა ხის ყუთებს, აგურებსა და თქვენ წარმოიდგინეთ, შედარებით ადვილად მსხვრევად ლითონის ტაფებსაც კი. თუმცა გინესის წიგნში მაინც ვერ მოხვდა და თავზე ხელი აიღო — ათასი მაყურებლის თვალწინ რიჩარდსონმა საკუთარ თავს ნამდვილი ეშაფოტი მოუწყო. დანის მაგივრად კასკადიორმა 8 კილოგრამიანი ფოლადის ბურთულა გამოიყენა. ტვირთი „გმირის" თავზე 10 მეტრის სიმაღლიდან დაუშვეს. მაყურებელმა ამოიგმინა, როდესაც ტყვიასავით წამოსული ბურთულა რიჩარდსონის თავს დაასკდა. „ბედნიერ კასკადიორს" სახე სისხლით შეეღება, თუმცა არ წაქცეულა და უახლოეს ჰოსპიტალში წაბრძანდა. ექიმებმა არ დაიჯერეს, რომ დასახიჩრებულმა თავად მიაყენა ასეთი ტრავმა საკუთარ თავს და 28 ნაკერი დაადეს...

## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ეa6.

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს ორ სვლაში.

ო. ვიურცბურგი



# სამი მისტიკური ამბავი



## ოქროსფერი სავარცხლის საიდუმლო

ბებია რომ გარდამეცვალა, 7 წლისა თუ ვიქნებოდი. ჩვენ მის მეზობლად ვცხოვრობდით. ბებია ძალიან მიყვარდა და ბუნებრივია, უსაშველოდ დამადარდიანა მისმა სიკვდილმა. გაუთავებლად ვტიროდი. რომ დავეწყნარებინე, მეზობლის ქალმა მიცვალებულს განუყრელი ოქროსფერი სავარცხელი ამოაძრო თმიდან და მომცა. სიხარულით ცას ვეწიე, მით უმეტეს, რომ ბებიის სიცოცხლეშიც ამ სავარცხელზე ბევრჯერ მიოცნებია.

ღამე სავარცხლიანად მეძინა, მაგრამ რაღა ძილი ერქვა, როცა ჯოჯოხეთურ სიზმრებში ვითანგებოდი. მესიზმრა: თითქოს მიცვალებულის ოთახის კარს მივადექი და რას ვხედავ, ცხედარი კუბოში წამომჯდარა და წითელი სავარცხლით თმას ივარცხნის. გამიხარდა, ბებია ცოცხალი რომ დავინახე, ხელები გავშალე და ის იყო, მისკენ უნდა გავქცეულიყავი, რომ მან მრისხანედ დამიყვირა, — ჩემკენ ფეხი არ გადმოადგაო.

განაწყენებულმა და გაწბილებულმა ღრიალი მოვრთე. ჟიუტად ვიწევდი მისკენ, თუმცა ნაბიჯს ვერაფრით ვიცვლიდი, თითქოს ჩემსა და მას შორის სივრცე გაუვალი იყო. ბებია იქვე მდგარ შანდალს სწვდა და მესროლა. მერე შანდალს არყიანი ბოთლიც მოაყოლა. შუშის ჭურჭელი ზრიალით მიემსხვრა კედელს...

როცა თვალი გავახილე, თავს ხალხი მეხვია. დედაჩემი სახეს იხოკდა. ჩამესმა ხმები, — ცოცხალია, ცოცხალიაო და დედას დამშვიდება დაუწყეს.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ლაპარაკი შევძელი, მოვყევი ჩემი სიზმარი. ერთი მეზობელი მაშინვე ბებიის სახლში გაიქცა. ცოტა ხანში, უკან დაბრუნებული, მღელვარებითა და კანკალით უყვებოდა ხალხს, — მიცვალებულის ოთახში ბოთლი დამსხვრეული დამხვდა, წითელი სავარცხელი კარებთან ეგდო და შანდალიც, თავის სანთლიანად, იატაკზე გადმოყირავებულიყოო...

## გაცხადებული სიზმარი

ბებიაჩემის საფლავის გაჭრით ჩვენს სოფელში ახალი სასაფლაო გაიხსნა, რადგანაც ძველი უკვე სავსე იყო. იმითაც იწუნებდნენ, რომ დაბლობზე მდებარეობდა და სამარეებში წყალი დგებოდა ხოლმე.

ჩემზე ბებიის დასაფლავებამ შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა. სულ თვალწინ მედგა უკაცრიელ გორაკზე წამობურცული ეული საფლავი.

გავიდა ხანი. სკოლა დავამთავრე და სასწავლებლად თბილისში წავედი. ბებიაზე ფიქრი სიზმრად გადამექცა და მოსვენება აღარ მქონდა. უმეტესად მესიზმრებოდა, რომ მკვდარი ბებია რეზინის ჩექმებს მთხოვდა, — ამ წკაპუნა „ტუფლებით“ მიჭირს ძველ სასაფლაოზე ჩასვლა-ამოსვლა, ყოველთვის ისინი ხომ არ ამომაკითხავენო.

სიზმრებმა იმდენად შემძრა, რომ სოფელში ჩემიანებს მივწერე ამის შესახებ. მალე დედაჩემის წერილი მივიღე, — ბებიას ჩექმა ვუყიდე და მის საფლავზე ავიტანეო. ამის შემდეგ სიზმრებს აღარ ვნახულობდი.

## ჩონჩხის წითელი ნათება

20 წლის შემდეგ მოგვიხდა ბებიის სხვა ადგილზე გადასვენება. კუბო, ერთი შეხედვით, მთლიანი ჩანდა, მაგრამ შეხებისას დაიშალა. თუმცა მთავარი ის იყო, რომ ჩამტვრეული ფიცრებიდან ლამაზი წითელი შუქი გამოკრთა — პირდაპირ სანთლებივით ენთო განსვენებულის ხორცშემომდნარი ფალანგები. ამის შემხედვარენი გაოგნებულები პირჯვარს ისახავდნენ და ლოცვას ბუტბუტებდნენ. როცა ჩონჩხი გადაწმინდეს, ნათება კიდევ უფრო კაშკაშა გახდა. მე თამამად მივედი ბებიის ნეშტთან. იგი, როგორც ამას სოფელში იტყვიან, „გაუქანებელი იყო“. მის ფეხებთან კი ტალახით მოსვრილი რეზინის ჩექმა იდო. რატომღაც მანათობელი თითების დათვალიერება მოვინდომე. ამასობაში რაღაცას წამოვედე, წავიფორხილე და პირდაპირ ყელით გადავემხე ბებიის ხელებს. ყელის გაუსაძლისი წვა ვიგრძენი და სული შემეხუთა. იქ მყოფნი მომეშველნენ, წამომაყენეს, მომასულიერეს.

ამ ამბის შემდეგ საოცრება მოხდა, — ყელი გამითავისუფლდა, ნერწყვსაც თავისუფლად ვყლაპავდი, იოლად აღარ გამოვდიოდი წონასწორობიდან, გული დამიმშვიდდა და საერთოდ, გამოვჯანმრთელდი. ასეთი მკვეთრი ცვლილების მიზეზი კი ჩიყვის უეცარი გაქრობა იყო.

ბებია ახლა ბექობზე განისვენებს. ამბობენ, რომ ღამით მის საფლავზე წითელი შუქი ციმციმებს, ხოლო ბექობიდან ჩამომავალი რუს წყალი თურმე ტკივილებს აყუჩებს და მხედველობას აუმჯობესებს.

*თამარ თარიაძე*

# თუ გწამს...



ტოკიოელმა ბუდისტმა ბერმა ტაკიმო შიამამ მდუღარეწყლიან უზარმაზარ ქვაბში 1 საათი დაჰყო. ქვაბი სავაჭრო მოედანზე იდგა, ქვეშ ცეცხლი ენთო. საბრალო ბერმა თავი ჯოჯოხეთური ტანჯვაწამებისთვის იმიტომ გაწირა, რომ დაემტკიცებინა: ადამიანის ორგანიზმი ყველაფერზე ძლიერია, თვით მდუღარეზეც კიო. თვითხარშვის დროს 54 წლის ბუდისტი მოსეირეებს ეხუმრებოდა და თავისსავე წყალში მოხარშული საკვებით უმასპინძლდებოდა.

დაახლოებით 10 000-მდე კაცი სუნთქვაშეკრული ადევნებდა თვალს „ხარშვის“ პროცესს. მაგრამ მათდა გასაოცრად, ბერი თავს კარგად გრძნობდა და ხალხს არწმუნებდა, — წყალი ცივია, თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ. ხელი მას დაეწვება, ვინც თავს ჩააგონა, დავიმდუღრებიო. მსურველი არავინ გამოჩენილა.

„საკუთარი თვალით რომ არ მეხილა, — თქვა ცნობილმა იაპონელმა ფსიქოლოგმა აკირა ნაკამურამ, — არ დავიჯერებდი. ეს ბერის ფსიქიკური და სულიერი დიდი წვრთნის შედეგია“.

*მეგაპოლის-ექსპრესი №5*

# ინტერნეტში 200 000 მოჩვენება ზუდოშს

ასე გააფრთხილა ინტერნეტის მოყვარულები ცნობილმა ინგლისელმა პარაფსიქოლოგმა ალფრედ ჰალიფკორტმა, რომელმაც ინტერნეტში ანომალიური მოვლენების სპეციალური გამოკვლევა ჩაატარა. ექსპერტის აზრით, ვირტუალურმა ქსელმა ახალი სამყარო გაუხსნა გარდაცვლილთა სულებს, რომელთაც ხშირად სურთ ცოცხლებთან ურთიერთობა.

ბატონი ჰალიფკორტი მოჩვენებას ინტერნეტში ჯერ კიდევ 1996 წელს გადაეყარა, როცა ჩატში ქალიშვილთან, სახელად ქეროლაინთან გააბა ურთიერთობა. პარაფსიქოლოგის ყურადღება ინტერნეტული ნაცნობის მოძველებულმა ლექსიკამ მიიქცია. როგორც გაირკვა, ქალიშვილი 1911 წელს 21 წლის გარდაიცვალა, ქეროლაინმა ისიც აუწყა მკვლევარს, რომ იგი ინტერნეტის იმქვეყნიური ერთადერთი სტუმარი არ იყო. ინტერნეტს ყველაზე ხშირად ახალგაზრდა, უდროოდ გარდაცვლილი ქალები სტუმრობენ, ისინი, ვინც სიცოცხლეში სიყვარული ვერ იგემა.

პარაფსიქოლოგის შემდგომმა ცდებმა ცხადყო, რომ ადამიანთა ვირტუალურ ურთიერთობებში 200 000-ზე მეტი სულია ჩართული. ისინი უმეტესად მამაკაცებთან საუბარს ამჯობინებენ.

*ტაინაია ვლასტ №3*

# ჟიულ ვერნი თანამედროვე პარიზში იყო?

XX-XX საუკუნეების ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, ამერიკელი მილიონერი ჯონ ქეილზ ასტორ დაიღუპა 1912 წელს, „ტიტანიკის“ კატასტროფის დროს. უდიდესი ქონების გარდა, მან მემკვიდრეებს დაუტოვა საოცარი წიგნი — „მოგზაურობა სხვა სამყაროში“, რომელიც 1894 წელს გამოიცა. ბევრი თანამედროვე მკვლევარი ასტორის ამ წიგნს უნიკალურად მიიჩნევს და მას წინასწარმეტყველებას უწოდებს.

წიგნში მოქმედება ვითარდება 2000 წლის შემდეგ, როცა შეძლებული ადამიანების ჯგუფი საკუთარი სახსრებით ააგებს კოსმოსურ ხომალდს. ავტორის ჩანაფიქრით, ხომალდი აღჭურვილია ანტიგრავიტაციული ძრავით, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, მიაღწიონ სხვა სისტემის პლანეტებს. XX ს.-ის ამ წიგნში ასტორმა დაწვრილებით აღწერა კოსმოსური ხომალდი, რაკეტადრომი ოკეანის სანაპიროზე, რომელიც საოცრად მოგაგონებთ ცნობილ ამერიკულ კოსმოდრომს.



მეცნიერებისა და ლიტერატორების უდიდესი ინტერესი გამოიწვია XX ს-ის დასაწყისის ცივილიზაციის ზუსტმა აღწერამ. ასტორ აღწერს სწრაფმავალ მატარებლებს, უახლეს რაკეტებს, კოსმოსურ ხომალდებს და მოტოციკლეტებსაც კი. მილიონერი წერდა, სატრანსპორტო მაგისტრალები, მომსახურების უსაფრთხოების გამო, დაყოფილი იქნება თეთრი ხაზებით, ხოლო პოლიციელები მექანიკური ეკიპაჟების სისწრაფეს გააკონტროლებენ სპეციალური ავტომატური მოწყობილობების საშუალებითო.

შეუძლებელია იმის ახსნა, თუ როგორ იწინასწარმეტყველა ასტორ -მ 100 წლის წინ ტექნიკის მომავალი მიღწევები.

არანაკლებ შთამბეჭდავია ასტორის წინასწარმეტყველება სამხედრო ტექნიკის განვითარების შესახებ. მისი აზრით, გამოჩნდებოდნენ მფრინავი, სწრაფი მანქანები და მომწამვლელი ბომბები. ამის გარდა ასტორი ახსენებს ბაქტერიოლოგიურ იარაღსაც. წიგნში მოთხრობილია, რომ ავსტრალიაში კატასტროფულად მომრავლებული ბოცვრები ხელოვნურად დააავადეს ტუბერკულოზით და გაწყვიტეს.

უცნაურია, მაგრამ სწორედ ასე მოხდა 1997 წელს, — ავსტრალიის მთავრობის ბრძანებით, მეცნიერებმა მიკრობაქტერიებით შეაჩერეს ბოცვრების პოპულაცია.

ასტორის წიგნში მოცემული ბევრი სიზუსტე გვაფიქრებინებს, რომ წიგნის დაწერის პერიოდში მისი გონი უკავშირდებოდა კოსმოსურ ძალებს.

ცნობილია ფაქტები, როცა ესა თუ ის მწერალი გასულ საუკუნეებში შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებში გასაოცარი სიზუსტით ასახავდა შორეულ მომავალს.

ამის ნათელი დადასტურებაა ცნობილი ფრანგი მწერლის ჟიულ ვერნის შემოქმედება. ვერნი თავის რომანებში აღწერდა მთვარეზე მოგზაურობას, თანამედროვე წყალქვეშა ნავებს. მის ყველაზე საოცარ თხზულებად მიიჩნევა ნაკლებად ცნობილი რომანი „XX საუკუნის პარიზი“.

როცა ჟიულ ვერნმა თავისი წიგნი 1863 წელს გამომცემლებს შესთავაზა, მათ უარი უთხრეს გამოქვეყნებაზე. მისმა მუდმივმა რედაქტორმა პიერ ჰეცელმა განუცხადა, — დღეს არავინ დაიჯერებს თქვენს წინასწარმეტყველებასო.

ამ წიგნის ხელნაწერი სადღაც დაიკარგა. იგი 1989 წელს სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა ჟიულ ვერნის შვილთაშვილმა, რომელმაც გადაწყვიტა პაპისეული სახლის გაყიდვა. სახლის დათვალიერებისას მან სხვენზე იპოვა ძველი, დაჟანგული სეიფი. სეიფი ავტოგენით გახსნეს. შიგ ტილოს ნაჭერში გახვეული „XX საუკუნის პარიზის“ ხელნაწერი იდო. ექსპერტებმა დაადგინეს დედნის უტყუარობა.

მალე გამოიცა ფრანგი ფანტასტის ეს შესანიშნავი რომანი და მსოფლიო აალაპარაკა კიდეც.

რომანში მოქმედება ვითარდება 1960 წლის პარიზში. საოცარია, მაგრამ ჟიულ ვერნმა ისე ზუსტად აღწერა თანამედროვე პარიზი, თითქოს თავად იქ ყოფილიყო: ქუჩებში დადის უამრავი ტრანსპორტი, რომლის გამონაბოლქვი წამლავს ქალაქს, მგზავრები გადაჰყავს მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტს, მაღაზიები დღედაღამ მუშაობენ, ბიზნესმენები ერთმანეთს ფაქსებით უკავშირდებიან, ხოლო ბანკებში დგას აპარატურა, რომელიც თვითონ ასრულებს ფულად ოპერაციებს.

ჟიულ ვერნმა ასე დაახასიათა თანამედროვე ნაგებობები: „პარიზში ააშენეს ახალი სახლები, საკმაოდ უგემოვნო, საცხოვრებლად გადაქცეული თანამედროვე მრავალსართულიანი ყაზარმები, უამრავი სარკისებრი ფანჯრებით“.

თავის წიგნში ჟიულ ვერნმა იწინასწარმეტყველა კულტურისა და გარემოს კრიზისი, რაც გამოიწვია კიდეც ცივილიზაციის ტექნოლოგიამ. — ახალგაზრდები, — წერს მწერალი, — უსმენენ ელექტროინსტრუმენტების მიერ შესრულებულ გამაყრუებელ მუსიკას, მრავლდებიან სასტიკი დამნაშავეები, რომელთაც სჯიან ელექტროსკამზე.

კაცობრიობას გადაშენება დაემუქრება, თუკი არ გაუფრთხილდებიან გარემოს, ეკოლოგიას, არ აღორძინებენ სულიერ კულტურას და დავიწყებულ რწმენას.

*ნლო №8*

# ტესტი: გაქვთ მოსმენის უნარი?

**ფსიქოლოგები ვარაუდობენ, რომ ბევრ ჩვენგანს არ შესწევს სხვათა მოსმენის უნარი. მაშინაც კი, როდესაც ლაპარაკს არ ვაწყვეტინებთ მოსაუბრეს და თვალებში შევცქერით, ბევრი სიტყვა ჩვენი ყურადღების მიღმა რჩება. ხშირად სწორედ ეს შეიძლება იყოს მეგობრული ურთიერთობების ნგრევისა და ოჯახური უსიამოვნებების მიზეზი. შვილები შეიძლება განაწყენდნენ მშობლებზე, უფროსს შეექმნას ცრუ შეხედულება თანამშრომელზე და პირიქით.**

**პასუხგაუცემელია კითხვა, — როგორ უსმენს თითოეული ჩვენგანი სამსახურში, სკოლაში, შინ, მეგობართა წრეში, მოულოდნელ სიტუაციაში? ფსიქოლოგთა აზრით, „საშუალო მსმენელი“ ფასდება 55 ქულით. ნიშანდობლივია, რომ შეყვარებულებთან ეს მაჩვენებელი მაღალია და შემდგომი ოჯახური ცხოვრების პირობებში კლებულობს. მოსმენის უნარის შესამოწმებლად უპასუხეთ ტესტის 10 შეკითხვას: პასუხები შემდეგნაირად შეაფასეთ: „თითქმის ყოველთვის“ — 2 ქულა; „უმეტესწილად“ — 4; „ხანდახან“ — 6, „იშვიათად“ — 8, „თითქმის არასდროს“ — 10.**



**1.** ცდილობთ თუ არა საუბრის შეწყვეტას, თუკი საუბრის თემა ან თვით მოსაუბრე უინტერესოდ გეჩვენებათ?

**2.** შესაძლებელია თუ არა, რომ მოსაუბრის მანერებმა გაგაღიზიანოთ?

**3.** უკბილო ხუმრობას თუ შეუძლია თქვენი მოთმინებიდან გამოყვანა?

**4.** გაურბიხართ თუ არა, უცნობ ან ნაკლებად ნაცნობ პიროვნებასთან საუბარს, მაშინაც კი, თუ ის გამოხატავს ამის სურვილს?

**5.** ჩვევად თუ გაქვთ მოსაუბრისთვის სიტყვის გაწყვეტინება?

**6.** თავი თუ მოგიჩვენებიათ, რომ ყურადღებით უსმენთ მონაყოლს მაშინ, როდესაც სულ სხვა საკითხზე ფიქრობდით?

**7.** იცვლება თუ არა თქვენი ხმა, ტონი, სახის გამომეტყველება, ლექსიკა იმის მიხედვით, თუ ვის ესაუბრებით?

**8.** ცდილობთ თუ არა საუბრის თემის შეცვლას მაშინ, როდესაც ლაპარაკი შეეხო თქვენთვის მტკივნეულ საკითხს?

**9.** ჩვევად თუ გაქვთ, სხვისთვის, არასწორად ნათქვამი სიტყვების, ტერმინების ან დასახელებების შესწორება?

**10.** შესაძლებელია თუ არა, რომ საუბრისას გქონდეთ ქედმაღლური, მენტორული ტონი, ირონიისა და უგულებელყოფის ელფერით?

**ზუსტი პასუხი შეიძლება მიიღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მაქსიმალურად გულწრფელად უპასუხებთ ყველა კითხვას. თუ დააგროვეთ 62 ქულაზე მეტი, — საშუალოზე უფრო მაღალი დონის მსმენელი ხართ ანუ რაც უფრო მეტი ქულა გექნებათ, მით უფრო მეტად გაქვთ განვითარებული მოსმენის უნარი.**


ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.



ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.
სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები
☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.**

ლითონის საამქრო
ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი; დაგიმონტაჟებთ აივანს.

ხის საამქრო
კარ-ფანჯარა, ავეჯი, ანტიკვარული გრეხილი კიბე, ლავგანდარი (კარნიზი)
მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.
☎ 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

# „სტალინი ჩვენთვის ყველაფერია"

## 47 წლის წინ გარდაიცვალა სტალინი...



— სტალინი უდავოდ XX საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსია;

— სტალინი უდავოდ დიქტატორია, თანაც სისხლიანი დიქტატორი...

— ვერც კი ვამჩნევთ, რომ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ და თუ გნებავთ, ყოველდღიურ ცხოვრებაში სტალინის მიერ ან მისი ხელმძღვანელობით დანერგილი ბევრი რამ შემოიჭრა. მაგალითად, „სამთავრობო ტრასა" ან მთელი ჩვენი ნომენკლატურულ-ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც ძველი სტალინური სისტემიდან არის გამოჭრილი. ჩვენი მოხელე — გენეტიკურად სტალინელია, თუმცა შესაძლოა სულის სიღრმეში ანტისტალინელი იყოს.

— პოლიტიკური და არქიტექტურული მოსკოვი — სტალინის ქალაქია.

— საინტერესოა, ვის დაასახელებდა თავის სრულუფლებიან მემკვიდრედ საფლავიდან წამომდგარი ტრადიციულად დადებითი ფიგურა პეტრე, რომელიც კარგად მოერგო რუსულ ისტორიას და რუსულ ფოლკლორს. პასუხი ერთია — მხოლოდ სტალინს. სწორედ სტალინმა განახორციელა ცხოვრებაში პეტრე დიდის პოლიტიკური თუ ინდუსტრიალური ანდერძი და გადააჭარბა კიდეც. მართალია, სტალინმა ვერ დანერგა რუსეთში ცხოვრების დასავლური სტილი, რაზეც ასე ოცნებობდა პეტრე, მაგრამ არც პეტრეს გამოსდიოდა ყველაფერი... ვინ მეტად იყო მათ შორის დიქტატორი — საკამათოა. თუ პეტრე დიქტატორი იყო, სამაგიეროდ განათლებულიც გახლდათ. სტალინი არ იყო განათლებული? რუსეთის XX საუკუნის მმართველებიდან ვის შეეძლო რეცენზირება ისე პროფესიულად ლიტერატურის, კინემატოგრაფიის, თეატრის, არქიტექტურის, მუსიკის დარგში, როგორც სტალინს? იგი ხელოვნების მიმდინარეობასაც აყალიბებდა, რასაკვირველია, გარკვეული იდეოლოგიის მიხედვით, მაგრამ პროფესიულად. თვით ლენინიც, რომელიც სტალინზე უფრო განათლებული იყო, ამას ვერ აკეთებდა.

პეტრე დიდისაგან განსხვავებით, სტალინი არ იყო დასავლეთის მიმდევარი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას სჯეროდა რუსეთის განსაკუთრებული ცივილიზაციისა და მეორეც, თავად აპირებდა, მთელი მსოფლიოს ცივილიზაცია საბჭოურ-კომუნისტურ ყაიდაზე გადაეყვანა.

სტალინმა ფაქტობრივად აღადგინა იმპერია და მონარქია (ცხადია, არა მემკვიდრეობითი ხარისხით). ქვეყანა, სახელმწიფო და რეფორმები სტალინისათვის ყველაზე მაღალი ღირებულების ცნებები იყო, უფრო მაღალი, ვიდრე მოსახლეობა, ხალხი, ცალკეული ადამიანები.

ნუ ჩქარობთ დასკვნების გამოტანას. რუსეთში ყოველთვის ასე იყო; სტალინამდე, სტალინის შემდეგაც და დღესაც. ხალხი ჩვენთან ნედლეულია, მასალაა რეფორმებისთვის. ამიტომაც მათ უნდა ითმინონ და ელოდონ.

მაინც ვინ არის სტალინი? მიზანმიმართული მკაცრი პრაგმატიკოსი?

სტალინი ჩვენთვის — ყველაფერია, როგორც პუშკინი. რუსული კულტურის ორი პოლუსი, მათ შორის პოლიტიკურისაც.

ნუ აგინებენ სტალინს ისინი, ვისაც თუ მასზე უარესი საშინელებები არ ჩაუდენია, არც მასზე უფრო კეთილი საქმე უკეთებია. და თუკი მაინც ლანძღავთ, წარმოიდგინეთ, რომ კრემლში ზიხართ: ხომ არ გამოვა თქვენგან უფრო საშინელი, მაგრამ ნაკლებად დიდი სტალინი?

***ნეზავისიმაია გაზეტა***

# ფული არაფერია, იმიჯია ყველაფერი!

როგორ ვაიძულოთ მუშაკი, რომ ეფექტიანად იმუშაოს? ხელფასის მომატებით ამ პრობლემას ვერ გადავწყვეტთ, ამტკიცებენ ამერიკელი სოციოლოგები, რომლებმაც დაასრულეს ოცდაათ დიდ და მცირე ფირმაში ჩატარებული გამოკვლევა.

კორპორაციული კულტურის საკითხების სპეციალისტის გორდონ ბრაიანის დაკვირვებით, ოპტიმალურად მაღალ შედეგს იძლევა მატერიალური და სოციალური სტიმულის შერწყმა. რას ნიშნავს ეს? დაბალი და საშუალო რგოლის მუშაკებში (ტოპ-მენეჯერთა გარემოში — სხვაგვარი თამაში მიმდინარეობს) დიდად ფასობს ნებისმიერი დაწინაურება სამსახურში. ამასთან ფულადი დანამატი — ერთი საფეხურიდან მეორეზე ასვლისას — შესაძლებელია მინიმალური იყოს, როგორც სხვათა შორის, თავად საფეხურის სიდიდეც.

სერვისის ერთ პატარა ფირმაში გონიერმა ხელმძღვანელმა თანამდებობის დატოტვილი სისტემა შემოიღო. მაგ. ახალმიღებული მუშაკი იჭერს „მენეჯერ-სტაჟიორის" თანამდებობას. სამი თვის შემდეგ მას აწინაურებენ — უმცროსი მენეჯერი. ნახევარი წლის შემდეგ, დიდი პომპეზურობით, კოლექტივის წინაშე გადასცემენ „მეორე ხარისხის მენეჯერის" ნიშანს და ასე, დაუსრულებლად... თანამშრომელთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სინამდვილეში ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლის შემდეგ მოვალეობები უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ მატულობს. მიუხედავად ამისა, ხალხი ცდილობს: ხომ უნდა გაიზარდო სამსახურში!

სწორ „სოციალურ" სტიმულირებას შეუძლია არსებითად შეამციროს ფირმის დანახარჯები. ადამიანის გადაადგილება საფეხურიდან საფეხურზე ხელმძღვანელობას 30 დოლარი დაუჯდება. ეს არის მომატებული ხელფასის რაოდენობა. „თავისთავად 30 დოლარი სტიმული არ არის. „სამხრეებზე მორიგ ვარსკვლავთან" შეხამებით კი მას გაცილებით დიდი ღირებულება ენიჭება" — ამბობს ბრაიანი.

ჭკვიანი ხელმძღვანელი მაქსიმალურად გამოიყენებს ადამიანის მისწრაფებას თამაშისადმი. მოაწყვეთ კონკურსი „კვირის საუკეთესო მუშაკის" გამოსავლენად, გამოფინეთ გამარჯვებული საპატიო დაფაზე. შესაძლებლობის ფარგლებში დააჯილდოეთ იგი პრემიით — შოკოლადის ფილით, ძვირფასი ავტოკალმით ან 100 დოლარიანი ბანკნოტით. შრომის ნაყოფიერების მკვეთრ ზრდას პირველივე თვეებში იგრძნობთ, ამტკიცებს ბრაიანი.

ხელმძღვანელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაკვირვება დაეხმარება: გარდა თამაშისა, ადამიანებს უყვართ, როცა მათზე ზრუნავენ. ამიტომ, თუ გინდათ, შეინარჩუნოთ მუშაკი ფირმაში, მოახდინეთ მასზე ზრუნვის დემონსტრირება. გაუგზავნეთ მისალოცი საშობაო საჩუქარი მის ქალიშვილს, აჩუქეთ ყავის საფქვავი მის ცოლს და ა.შ. ამგვარი ერთჯერადი აქციები ფირმისთვის დიდ ფინანსურ დატვირთვას არ წარმოადგენს, სამაგიეროდ დასამახსოვრებელი იქნება. და თუკი შესაძლებლობა გაქვთ, მისცეთ კრედიტი თანამშრომელს ბინის შესაძენად — ის თქვენი იქნება. ყოველ შემთხვევაში, სანამ პროცენტით არ გადაიხდის ვალს.

***სობესედნიკი №6***

# საინტერესო ამბები

• • •

კალიფორნიის შტატის ქალაქ მაუნთ შასტის სასამართლომ 60 წლის ქალბატონს ჯეინ გლასმანს 2 წლით პატიმრობა მიუსაჯა 5 ხანძრის გაჩენისთვის. სასამართლომ გაითვალისწინა ქალის ასაკი, მხოლოდ ჯარიმა გადაახდევინა და დააკისრა იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან განზრახ გაჩენილი ხანძრით მიაყენა ადამიანებს. ქ-ნი გლასმანი ამ პირობებს არ დასთანხმდა, მაგრამ ჯარიმის გადახდა მისმა ვაჟმა იკისრა.

რატომ აჩენდა ხანძარს ასაკოვანი, დარბაისელი ქალბატონი? საქმე ის გახლდათ, რომ მისი ვაჟი მეხანძრე იყო. დედას უნდოდა, მის შვილს თავი გამოეჩინა, დაეწინაურებინათ და ამიტომ გადაწყვიტა, დახმარებოდა.

• • •

ამერიკელმა ასტრონომებმა ახალი გალაქტიკა აღმოაჩინეს. ამ უზარმაზარ, ვარსკვლავურ სივრცეს უწოდეს „მარქარიან-348". ახალი გალაქტიკა დედამიწიდან 300 მილიონი სინათლის წლითაა დაშორებული და 13-ჯერ აღემატება ჩვენს გალაქტიკას. მარქარიან-348-ის თავისებურება ის გახლავთ, რომ მას გარს არტყია წყალბადის უზარმაზარი ღრუბლები.

• • •

უცნაურია, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ცხოველები და ფრინველები სხვადასხვანაირად „ლაპარაკობენ". მაგ. ძაღლის ყეფა ქართულად ჟღერს, როგორც „ავ-ავ", გერმანულად „ვაუ-ვაუ", ინგლისურად „ბა-ბა", ფრანგულად „ვა-ვა", იტალიურად კი „ბუ-ბუ". როგორც აღმოჩნდა, ცხვრებიც ასევე ლაპარაკობენ. ქართულად „ბეეე", გერმანულად „მე-მეე", ესპანურად „ბი-ბიი", თურქულად „მმი-მი", ინგლისურად კი „ბა-ა". რუსეთში ღორები ამ-



ბობენ „ხრიუ-ხრიუ", ინგლისში „უინკ-უინკ", გერმანიაში „კვიკ-კვიკ", იტალიაში „ფრონ-ფრონ", ფინეთში „სნერფ-სნერფ".

ასევე იქცევიან ფრინველებიც. მაგ. ქართული მამალი ყივის „ყიყ-ლი-ყოო", რუსული — „კუ-კა-რე-კუ", გერმანული „კიკი-რიკი", თურქული — „კოკო-რი-კო", ჰოლანდიური — „კუკელუკუ", ხოლო ინგლისელი „კუკ-ე-დუელ-დუ".

• • •

ფანჯრის მინა ვენეციელებმა ოთხი საუკუნის წინ გამოიგონეს და განსაკუთრებით იცავდნენ ამ საიდუმლოს. თავიდან, ფერადი მინები მხოლოდ მდიდრების სახლის ფანჯრებს ამშვენებდა, მაგრამ როცა საიდუმლოს ფარდა აეხადა, გამჭვირვალე მინა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა.

***სანი №2***

# „რივერდანსის" ზეიმმა მსოფლიო აღაფრთოვანა!

ირლანდიური კულტურა მსოფლიო მასშტაბის კულტურაა... იქნებ უჩვეულოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ასეა, ნებისმიერი ცეკვა ირლანდიური მუსიკის თანხლებით სხვა, მომხიბლავ ელფერს იღებს... ოთხი წელია, „რივერდანსი" აჯადოებს მთელ პლანეტას. ირლანდიური შოუ 2 ათასზე მეტჯერ წარდგა მაყურებლის წინაშე. ერთი ნახვის შემდეგ ადამიანებს კონცერტზე მიჰყავთ ახლობლები. დაახლოებით 6,5 მლნ ადამიანი მონუსხა ხელოვნების ამ ფეიერვერკმა. მას ფეხზე ადგომით ხვდებიან... აუხსნელია ეს ფენომენი. „რივერდანსის" მუსიკალურ ხელმძღვანელს უმდიდრეს ირლანდიელთა სიაში მეხუთე ადგილი უჭირავს. მისი ძველკელტური ფოლკლორის ინტერპრეტაციები მილიონი ტირაჟით ვრცელდება მსოფლიოში. ცეკვებს დგამს მაიკლ ფლეტლი — მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი ირლანდიურ სტეპში. მოცეკვავეებს არ აცვიათ ჩვეული სცენური კოსტიუმები, ისინი სადად, შავ ჯინსებსა და პერანგებში არიან გამოწყობილნი, რომ მაყურებელმა ყურადღება არ გადაიტანოს ჩაცმულობაზე, ან შესაძლოა, მხატვარს რომ არ გადაუხადონ. სხვათა შორის, პროდიუსერების ანგარიშით, აღიარება ყველგან გარანტირებული უნდა ყოფილიყო, რადგან, ვთქვათ, ამერიკაში თითქმის ყოველი მესამე წარმოშობით ირლანდიელია; ავსტრალიაშიც ბევრია ირლანდიელი და საერთოდ, ნებისმიერ ქვეყანაში. ირლანდიური პატრიოტიზმი კავკასიურზე ნაკლები არ არის და ამიტომაც გასაგებია მათი აღიარება.



Irisr-step-ის ცეკვას უბრალო რუსულ ჩიჩოტკას ვერ უწოდებ, რადგან ბევრად უფრო რთულია მისი მოძრაობები და ილეთები.

დღეს „რივერდანსს" სამი დასი ჰყავს: ორი ამერიკაში ცეკვავს და ერთიც ევროპაში. სიუჟეტი, მუსიკა, დადგმა ყველგან უცვლელია. მოხალისენი და პროფესიონალები ერთად ცეკვავენ, ბუნდოვანი დრამატურგია არავის აკრთობს... ბილეთები 2003 წლამდე გაყიდულია მსოფლიოს ყველა კუთხეში... რიგში დგას იაპონია, აფრიკა, სამხრეთ ამერიკა. რასაკვირველია, თავის საქმეს კარგად აკეთებს რეკლამა; ნიჭიერად მიწოდებული სატელევიზიო რგოლები გამოსვლამდე ნახევარი წლით ადრე იწყებს მუშაობას. იყიდება რივერდანსის ემბლემიანი მაისურები და ქუდები, ქურთუკები და ჩემოდნები. როგორც თვით მსახიობები ამბობენ, პროდიუსერი და დირექტორი ჰავაის ან კარიბის კუნძულებზე ცხოვრობენ; საქმის წარმოება ფაქსის მეშვეობით ხდება. ისინი მხოლოდ მსოფლიო პრემიერის დღეს გამოჩნდებიან ხოლმე.

„რივერდანსში" მოისეევის რუსი მოცეკვავეებიც გამოჩნდნენ. ისინი აღიარებენ, — მოისეევის ცეკვის სკოლა რომ არა, ამ დასში მონაწილეობას ვერ მივიღებდითო. მოისეევის ადმინისტრაციაში კი ამ რუს მოცეკვავეებს მოღალატეებად მიიჩნევენ და მათი სურათებიც კი ამოიღეს კოლექტივის ისტორიიდან. „რივერდანსი" განაგრძობს მსოფლიოს მოჯადოებას...

***ოგონიოკი №3***

# ძველი სამხედრო გემი ციხე გახდება

ინგლისის სამთავრობო წრეებმა მიიღეს გადაწყვეტილება მოძველებული ავიამზიდის საპატიმროდ გადაკეთების თაობაზე. იგი დორსეტში, პორტლენდის ნავსადგურში დგას და უნდა ჩამოეწერათ 2003 წელს. რატომ გახდა საჭირო ძველი ავიამზიდის საპატიმროდ ქცევა? იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ციხეები მეტისმეტად გადაიტვირთა და დადგა პატიმრებისათვის ახალი ადგილსამყოფელის გამოძებნის აუცილებლობა. მაგრამ რადგან ერთი გემი ვერ აუვა ამდენ პატიმარს, დიდი ბრიტანეთის პენიტენციალური სისტემის გენერალურმა ხელმძღვანელმა ქვეშევრდომებს დაავალა, — გამოიკვლიონ, თავდაცვის სამინისტრო რომელი გემების ჩამოწერას აპირებს უახლოეს 5 წელიწადში. ამგვარი რადიკალური ზომები მართლაც აუცილებელია, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს შეფასებით, პატიმართა რიცხვი, რომელიც დღეს 60 ათასზე მეტია, 2006 წლისათვის 70 ათას გადააჭარბებს.

მოხელეები, რომლებიც ამ საკითხს ამუშავებენ, ჯერ ვერ შეთანხმდნენ, თუ სად იდგება მცურავი ციხე, რადგან ამან შესაძლოა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის პროტესტი გამოიწვიოს. ვარაუდობენ, რომ ჩამოწერილი გემები დგება პორტსმუტის, საუტგემპტონისა და ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის სხვა ნავსადგურებში.

***ზა რუბეჟომ №6***



**თარაზულად:** 6. წყარო, რუ; 7. სეტერი, იუგოსლავია; 9. კენედი, ჯორჯია; 10. აკვარიუმი, ჩიტი; 12. ფაზისი, სომხეთი; 14. ბურუსი, ღრუბელი; 15. დეგა, მატისი; 18. როიალი, კინტო; 19. თხილი, კონკია; 23. წყალი, კალაპოტი; 24. ძროხა, ნალი; 26. ხაფანგი, თევზი; 29. წითელი ხიდი, აჭარა; 30. თოფი, ფილთა; 31. სასამართლო, დაცვა; 32. ფელამუში, თხილი.

**შვეულად:** 1. თუთაშხია, პოლკოვნიკი; 2. რქაწითელი, გურია; 3. გამზრდელი, მერი პოპინსი; 4. ნალია, ღვინო; 5. ოჯახი, შთამომავლობა; 8. ანანასი, კივი; 11. საათი, ვ. ზოდელავა; 13. ფაუნა, ყვავილი; 16. ლიქიორი, ნუში; 17. არისტოკრატი, სოფელი; 20. კოჭლი, ბრმა; 21. თოკი, ბაწარი; 22. შეთანხმება, მოცეკვავე; 25. ვაშლი, ციტრუსი; 27. დივანი, მეფე; 28. ბალი, ნაძვი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 3. კიდობანი; 5. აერობიკა; 9. აგვისტო; 10. ტანძია; 11. სიკოკუ; 15. ფიროსმანი; 17. პიესა; 18. კაფია; 19. ბალატონი; 20. ბისმარკი; 22. კენტი; 24. სტეპი; 26. ინდონეზია; 29. არღანი; 30. კაბარე; 33. ბარიერი; 34. იმიტაცია; 35. კათოლიკე.

**შვეულად:** 1. დინგი; 2. პანტა; 3. კაპიტანი; 4. ბიბლია; 6. ოვაცია; 7. ათათურქი; 8. ჰიპოქსია; 12. გილიოტინა; 13. ინდუსტრია; 14. ასფალტი; 16. მარკეტი; 21. მონარქია; 23. ესპანეთი; 25. პენელოპე; 27. ანგინა; 28. მაროკო; 31. კაკაო; 32. ტრეკი.

„სხვა რომ არ იყოს, ჩვენ ამ ლამაზი ქალების ეშხი დაგვიფარავდა, თორემ მტერს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ — მარაბდა!" — წერდა ლადო ასათიანი თავის ერთ ლექსში, ვერიკო ანჯაფარიძეს რომ მიუძღვნა.

ამ სტრიქონების კითხვისას მყისვე წამოიჭრება ბუნებრივი შეკითხვა: დიდებული ქართველი პოეტი საქართველოს მტერთა დასაფრთხობად რაღა მაინცდამაინც მარაბდას იხსენებს, მარაბდის ომი ხომ ქართველების დამარცხებით დამთავრდაო?

დიახ, ქართველების დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ სრულიადაც არ ცდება პოეტი, როდესაც სიამაყით წარმოთქვამს „მარაბდას", როგორც ჯადოსნურ შელოცვას, უებარი წამალივით რომ ევლინება დასნეულებულ სხეულსა და სასოწარკვეთილებით დათრგუნულ სულს.

მართლაც საოცრება უნდა ვუწოდოთ მარაბდის ომს. გაოგნებული ფიქრობ, თუ როგორ შეძლო თერთმეტი წლის მანძილზე ნაოხარმა ქვეყანამ ძალ-ღონის მოკრება და გადამწყვეტი შერკინება ძლევამოსილ შაჰ-აბასთან, რომელსაც შემზარავი კვალი დაუტოვებია ჩვენს წარსულში: არაერთგზის შემოსევა-აოხრებანი, ათასობით კომლთა გადასახლება ირანში, ყიზილბაშთა აღვირახსნილი რბევა-თარეში საქართველოს მიწა-წყალზე...

მაგრამ ამდენ ჭირ-ვარამს ოდნავ მაინც ამსუბუქებდა ის გარემოება, რომ არასოდეს შეწყვეტილა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა. სულს მოითქვამდნენ ხოლმე და მაშინვე იფეთქებდა მორიგი აჯანყება — ნიშანი დაუმორჩილებლობისა, ქედუხრელობისა.

ამ ძვალ-რბილში გამჯდარი სულისკვეთების მჭევრმეტყველ სიმბოლოდ მოჩანს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მკლავმოუღლელი შემოქმედი და მესაჭე — მეფე კახეთისა თეიმურაზ პირველი, ვისი მრავალფათერაკიანი ცხოვრებაც სარკესავით ასახავდა ქართველი ხალხის თავზე დატეხილ უბედურებათა უსასრულო ჯაჭვს.

თეიმურაზს იმდენად დიდი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც ყიზილბაშთა წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლს, რომ მითქმა-მოთქმამ მიაწერა მონაწილეობა მარტყოფის აჯანყებაშიც.

## ასე არჩია უმრავლესობამ

მარტყოფის აჯანყებამ თვალნათლივ აჩვენა შაჰ-აბასს, რომ ქართველი ხალხი არ აპირებდა დამორჩილებას და „გათათრებას", არც მხნეობას კარგავდა, არც ბრძოლის წყურვილს და ქვეყნის ბედის სწორ გზაზე დადგომას ოცნებობდა.

სეფიანთა ირანის მბრძანებლისათვის ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა თითქოს უკვე ქედმოხრილი ქვეყნის ესოდენ თამამი გამოწვევა. ქართველებმა ძალზე მტკივნეული დარტყმა აგემეს სეფიანთა სახელმწიფოს და შაჰ-აბასი, რასაკვირველია, იოლად ვერ შეეგუებოდა განცდილ მარცხს. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ საპასუხო დამსჯელი ლაშქრობა საქართველოში სასწრაფოდ განხორციელდებოდა.

ასეთი იყო პრელუდია მარაბდის ომისა, რომელიც თვალსაჩინო ნიშანსვეტად აღმართულა საქართველოს ისტორიის ფურცლებზე. საქართველოსაკენ დაძრულ ყიზილბაშთა უზარმაზარ ლაშქარს სარდლობდა ისა-ხან ყორჩიბაში, სიძე შაჰ-აბასისა.

1625 წლის 20 ივნისს ყიზილბაშები მდინარე ალგეთის სანახებში განლაგდნენ და თავრიზის ბეგლარბეგის შაჰბენდე-ხანის მოსვლას ელოდნენ.

ქართველები ტაბახმელაში იმყოფებოდნენ. გაიმართა სამხედრო თათბირი, სადაც უნდა გადაეწყვიტათ, მარაბდის ველზე ჩასულიყვნენ ყიზილბაშებთან საომრად თუ მაღლობებისკენ გამოეტყუებინათ მტერი.

არჩილ მეფე თავის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა" დაწვრილებით გადმოგვცემს სამხედრო თათბირის მონაწილეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, და თითქოს ერთ ჰანგად აჯამებს ყოველივეს ამგვარი ქვესათაურით:

„რჩევა კახთა და ქართველთა ვაჟკაცებისა და ომისა ნადილი" (ჩანს, გამოხატავს რიგით მეომართა სულისკვეთებასაც), სადაც ვკითხულობთ:

„ვაჟკაცები ისწრაფოდეს, თითქმის კბილთა იმსხვრევდიან: „ჰე, რად ჰყოფნით მათზედ მისვლას, ისინი აქ არ მოდიან; მეფის მზემა უსაცილოდ ჩვენგან იმათ სისხლი სდიან, მინდვრადა სჯობს ომი ცხენზედ, სიმაგრეში რასა ჰქვიან?"

როგორც ვხედავთ, უმრავლესობა მოითხოვდა შებრძოლებას, მხოლოდ გიორგი სააკაძე იყო წინააღმდეგი მარაბდის ველზე ჩასვლისა, ქვეით ჯარს გაუჭირდება ბრძოლა სიცხეში და რომ დაგვიმარცხდეს, ერთპირად ამოწყდებაო. მას მხოლოდ ბაადურ ციციშვილმა დაუჭირა მხარი. მარაბდის ველზე ბრძოლას კი დაჟინებით მოითხოვდნენ დანარჩენები: ზურაბ არაგვის ერისთავი, ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანბატონები, იესე ქსნის ერისთავი, მანუჩარ ათაბაგი, კახეთის დიდებულნი... თავიანთ მოთხოვნას ამტკიცებდნენ სხვადასხვა არგუმენტით: ყიზილბაშებს ხანგრძლივად დგომა არ მოსწყინდებათო, ამასობაში ჩვენი ლაშქარი დაგვეფანტებაო, აქ უქმად ყოფნა რას გვარგებსო, დილითვე შევებათ სიგრილეშიო...

ამგვარად, სამხედრო თათბირზე თეიმურაზ მეფის ახირება-ჭირვეულობა კი არ დაუპირისპირდა დიდი მოურავის არჩევანს, როგორც ზოგჯერ წერენ ხოლმე, არამედ ქართლისა და კახეთის დიდებულთა თითქმის ერთსულოვანი განწყობილება, ბრძოლის წყურვილით შეპყრობილი ჯარის მოუთმენლობა და საკმაოდ საფუძვლიანი შიში ბარათაშვილთა განდგომის თაობაზე.

## მრწყინვალე დამარცხება



განა შესაძლებელია ზუსტად წარმოვიდგინოთ, თუ რა მოხდებოდა, მარაბდის ველზე რომ არ ჩასულიყვნენ და კოჯორ-ტაბახმელას მაღლობებზე დალოდებოდნენ მტერს? განა ყიზილბაშები უსათუოდ იქით გაეშურებოდნენ? ფრიად საეჭვოა, რომ გამოცდილ სარდალს ისა-ხან ყორჩიბაშს გაერისკა ქართველებთან შებმა მთის ვიწროებში. ალბათ, გამეორდებოდა 1614 წელი. ყიზილბაშთა ლაშქარი ქართლკახეთის აოხრებას შეუდგებოდა და ქართველთა წვრილ-წვრილი თავდასხმები ვერაფერს დააკლებდა მტერს.

## სულ ახლოს იყო გამარჯვება

მარაბდის ომი გაიმართა 1625 წლის 21 ივნისს.

არჩილ მეფის, ფარსადან გორგიჯანიძისა და ისქანდერ მუნშის მონათხრობის მიხედვით ხერხდება ბრძოლის მეტ-ნაკლებად სრული სურათის წარმოსახვა.

ყიზილბაშთა ლაშქრის ავანგარდს სარდლობდა ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი. ყიზილბაშებმა წინ ზარბაზნები გააწყვეს, რომელთა უკან ცალ მუხლზე ჩაჩოქილი მეთოფენი ჩასაფრდნენ. მეთოფეთა მეორე რიგი ფეხზე იდგა, მესამე რიგი ცხენებზე იყო ამხედრებული, მეოთხე რიგი — აქლემებზე. ესოდენ შთამბეჭდავ წყობას არ შეუშინებია ქართველები. მათ ფარები დაიფარეს, შუბები წააგრძელეს და ცხენჭენებით მიუხდნენ მტერს. დაიგრიალეს ზარბაზნებმა და იქუხა ათასობით მეთოფის ერთდროულმა ზალპმა. თოფისწამლის კვამლისაგან მზე და ჰაერი დაბნელდაო, დღე ღამედ გადაიქცაო... სანამ კვამლი არ გაფანტულა, ქართველებს შეტევა ვერ დაუწყიათ.

მერე კი ზუსტად გამართლდა გიორგი სააკაძის სიტყვები: „ისინი შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებენო". ყიზილბაშთა ჯარში ნაომარმა მხედართმთავარმა საუცხოოდ იცოდა მათი საბრძოლო თვისებანი.

თვით გიორგი სააკაძე უმუზარადოდ იბრძოდა, ყიზილბაშებს რომ ეცნოთ იგი და თავზარი დასცემოდათ.

თეიმურაზ მეფე ორთაბრძოლაში შეხვდა ამირგუნე-ხანს და შუბით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მხლებლებმა საჩქაროდ გაიყვანეს ბრძოლის ველიდან დაჭრილი სარდალი ავანგარდისა.

ამასობაში მეთოფეთა რიგები უკვე აირდაირია.

თავად სპარსელი ისტორიკოსი მიგვანიშნებს ქართველთა მოახლოებულ გამარჯვებას: „ამ ღრიალისა და განგაშისაგან და ურჯულო და გზადაკარგულ ქართველთა ჯარის სიმამაცისაგან, იფიქრეს, რომ ისლამის ლაშქარი დამარცხდაო, ვეღარ დადგნენ, ზოგმა სიმხდალისა და ლაჩრობისაგან, ზოგმაც ქონების სიყვარულით და თავისი ავლადიდების დაცვის სურვილით, პირი იბრუნა ბრძოლის ველიდან. ზარი და შიში ჯარის ცენტრსაც გადაედო, ძრწოლამ და დაბნეულობამ შეიპყრო ლაშქარი".

სულ ახლოს იყო გამარჯვება. ქართველებს ერთი ნაბიჯიღა რჩებოდათ მტრის სრულ განადგურებამდე, მაგრამ ბრძოლის ბედი უეცრად შეტრიალდა. ჯერ იყო და ქართველ მეომრებს ძარცვა-გლეჯის ინსტინქტი გაეღვიძათ და ერთბაშად გადაავიწყდათ, რომ ომი დამთავრებული როდი იყო. დამარცხებისა აღარ ინაღვლეს რა, ყიზილბაშთა ბანაკს დაერივნენ და ნადავლს დახარბდნენო. თურმე განსაკუთრებით გამოუდვიათ თავი ზურაბ ერისთავსა და ავთანდილს, დიდი მოურავის ძეს.

ქართველთა მხედრობის ერთი ნაწილი გაქცეული მტრის დევნით გაერთო და ბრძოლის ველი მიატოვა.

მერე შაჰბენდე-ხანის საღ-სალამათი ლაშქარიც გამოჩნდა. ხმამაღლა იძახდნენ: შაჰგელდი, შაჰ-გელდიო (შაჰი მოვიდაო).

*მარაბდის ველზე 14 ათას ყიზილბაშთან ერთად. სამარე გათხარა შაჰ-აბასის ქიმერულ გულისწადილს საქართველოს მოსპობაზე.*
*გათავდა მისი შემოსევანი.*
*ბოლო მოეღო ყიზილბაშთა განუკითხავ თარეშს.*
*წარსულს ჩაბარდა ულმობელი ხოცვა-ჟლეტა და მასობრივი გადასახლებანი.*
*ამაოდ როდი დაღვრილა ქართველ გმირთა სისხლი მარაბდის ველზე.*

კიდევ უარესი: „ქართველის შვილებსაც აძახებდეს ტირილითა, რომ ბატონი თეიმურაზ მოკლესო".

სინამდვილეში დაიღუპა მეფის სეხნია — თეიმურაზ მუხრან-ბატონი, მაგრამ ჭორი ადვილად გავრცელდა და ქართველთა ჯარს პანიკა დაეუფლა.

ფარსადან გორგიჯანიძე წერს: „ერთგნით ყაენის მოსვლის შიშმან და მეორე ბატონის თეიმურაზის მოკვლის გაგონებამან ქართველთ გული გაუტეხა".

ისა-ხან ყორჩიბაში მანამდეც მტკიცედ იდგა ცენტრში, ახლა მეტი გული მოეცა, დაბნეულ ყიზილბაშებს თავი მოუყარა და ომში ახლად ჩაბმულ შაჰბენდე-ხანის რაზმებთან საერთო ძალისხმევით უკანდახევა აიძულეს ქართველებს. ცხენოსნებმა კოჯრისაკენ ქნეს პირი, მაგრამ ქვეითნი დაღლილი იყვნენ, გაქცევის ღონე აღარ დარჩენოდათ. ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილნი თავდაუზოგავად იბრძოდნენ, მაგრამ რაღას გააწყობდნენ გალაღებულ მტერთან.

ქართული წყაროების თანახმად, მარაბდის ომში დაიღუპა 9 ათასი ქართველი და 14 ათასი ყიზილბაში. მიუხედავად ამისა, გამარჯვება წილად ერგოთ ყიზილბაშებს.

## ამაოდ როდი დაღვრილა სისხლი

იმდენად თვალში საცემი იყო მარაბდის ომის მსხვერპლთა შეფარდებითი ოდენობა, რომ თურქი ისტორიკოსი აღტაცებით შენიშნავდა: „ამ ბრძოლაშიც ყიზილბაშის ჯარმა დიდი ზარალი განიცადა და მთავარსარდალთან ერთად ცოტამ თუ უშველა თავს".

ხოლო ორიოდე წლის შემდეგ დასავლეთ ევროპაში თეიმურაზ მეფის ელჩად წარგზავნილი ნიკიფორე ირბახ-ჩოლოყაშვილი თავის რელაციაში ამტკიცებდა: მარაბდის ომი ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდაო!

პატრიოტული თავმომწონებით გაბრუებული ელჩი, რა თქმა უნდა, აზვიადებდა, მაგრამ მარაბდის ომის შემდგომ მოვლენათა და პოლიტიკური შედეგების გათვალისწინებით არცთუ შორს იდგა სიმართლისაგან.

ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ყიზილბაშებმა ვერავითარი სარგებელი ვერ მოიხვეჭეს მარაბდის ველზედ მიღწეული საჭოჭმანო გამარჯვებით.

ისინი მალე იძულებული გახდნენ, რომ თითქმის დაეცალათ საქართველოს მიწა-წყალი.

ისქანდერ მუნშის სიტყვით, „უგუნურმა და ცეტმა ხალხმა" საქართველოში მომხდარი ამბები სეფიანთა სახელმწიფოს სისუსტეს მიაწერა. ოსმალებმაც იფიქრეს, ხელსაყრელი დრო დაგვიდგაო და მყისვე შეუტიეს ბაღდადს. ისინი ვარაუდობდნენ, შაჰ-აბასი ბაღდადისათვის ვეღარ მოიცლის, ბაღდადში გამაგრებულ ყიზილბაშებს იმედი გაუწყდებათ და როგორც კი გაიგებენ ჩვენი ჯარის მიახლოებას, იქაურობას მიატოვებენ და ბაღდადს უომრად დავიჭერთო.

მაგრამ შაჰ-აბასი სრულიადაც არ აპირებდა ბაღდადის დათმობას. მან საჩქაროდ გაიწვია საქართველოდან ისა-ხან ყორჩიბაში, მისი ლაშქრის უმეტესი ნაწილი ბაღდადის შესაწევნად გაისტუმრა და ყარაბაღში საზამთროდ დარჩენილ ყორჩიბაშს მცირე ძალებიღა დაუტოვა, ისიც — ქართველთა შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად.

ნიკიფორე ირბახის ცნობით, ოსმალეთსა და ინდოეთთან განუწყვეტელი ომებით ილაჯგაწყვეტილი შაჰ-აბასი მიისწრაფოდა, რამდენადაც კი შეეძლო, დაეშოშმინებინა „მეფე ივერიისა", ვინაიდან იცოდა მისი ხალხის სიმამაცე. ბოლოს და ბოლოს, მიაღწია დაზავებას ქართველებთან და თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ აღიარაო.

აი, ასეთი იყო მარაბდის ომის პოლიტიკური შედეგები.

მარაბდის ველზე 14 ათას ყიზილბაშთან ერთად, სამარე გაეთხარა შაჰ-აბასის ქიმერულ გულისწადილს საქართველოს მოსპობაზე.

გათავდა მისი შემოსევანი.

ბოლო მოეღო ყიზილბაშთა განუკითხავ თარეშს.

წარსულს ჩაბარდა ულმობელი ხოცვა-ჟლეტა და მასობრივი გადასახლებანი.

ამაოდ როდი დაღვრილა ქართველ გმირთა სისხლი მარაბდის ველზე.

გაივლის რამდენიმე წელიწადი და სეფიანთა ირანის მრისხანე მბრძანებელს სიკვდილი დაადგება თავზე, მაგრამ კიდევ ასი წელიწადიც რომ ეცოცხლა, აღარ აღმართავდა მახვილს ქართველი ხალხის წინააღმდეგ, თუმცა სასტიკსა და დაუნდობელს, ავკაცსა და მუხანათს ჯავრი არასოდეს მოასვენებდა.

მარაბდის გაკვეთილს უქმად არ ჩაუვლია დიდად გონიერი ხელმწიფისათვის. მიხვდა, რომ ვეღარაფერს გააწყობდა და ბრძნულად შეურიგდა მკაცრ სინამდვილეს — ქართველი ხალხის დამონება მას არ ძალუძდა.

ქართველთა წაგებული ომი ასე გადაიქცა პოლიტიკურ გამარჯვებად, რომელმაც შედარებით მშვიდობიანი გეზი მისცა ქართლის ცხოვრებას.

*თამაზ ნატროშვილი*

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით
ფურცლებში და რულონებში
71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

გთავაზობთ:
ნათურების, ჭაღებისა და თანამედროვე განათების საშუალებების ფართო არჩევანს
ტელ: 34-85-30;
/899/ 55-87-24
ქ. თბილისი, დიდუბის ქუჩა №6
შ.პ.ს „ახალი ნათება"
სინათლე თქვენს ფანჯრებში, ოფისებში და ა.შ.

ყველა სახის სარეკლამო პოლიგრაფია
სავიზიტო ბარათები, საფირმო ბლანკები, კონვერტები, მაისურები, კალმისტრები, თვითწებადი ეტიკეტები, პირადობის მოწმობები, სანთებელები, ბუკლეტები, ჟურნალები, ბილბორდები, გარე რეკლამა, და მრავალი სხვა.
სარეკლამო-პოლიგრაფიული ფირმა
სანაპიროს 2ა, ტელ.: 98 24 98, 37 64 46

# ქინქლაძემ „დერბიში“ საკუთარი ანგარიში გახსნა



შაბათს, დერბის „პრაიდ პარკზე“ პრემიერლიგაში დაბრუნების შემდეგ, პირველი გოლი გაიტანა გიორგი ქინქლაძემ. „დერბიმ“ „უიმბლდონს“ შინ 4:1 მოუგო. ქართველმა მეორე ტაიმის 68-ე წუთზე გახსნა ანგარიში — სტუმართა საჯარიმოში შეჭრილმა, მარცხენა ფეხით „უიმბლდონს“ ლამაზი გოლი გაუტანა და „დერბი“ დააწინაურა. უკვე მეორე მატჩია, ქინქლაძე გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაშობს და ინგლისური პრესისაგან მაღალ შეფასებებსაც იღებს. „უიმბლდონთან“ მატჩის 72-ე წუთზე ქინქლაძემ მცირე ტრავმა მიიღო და მოედანი დატოვა. ამ დროს „დერბი“ 2:0-ს იგებდა. გუნდმა უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა უშუალო კონკურენტთან და პრემიერლიგაში დარჩენისაკენ დიდი ნაბიჯიც გადადგა.

# ლობანოვსკიმ ნაკრებთან კონტრაქტი გააფორმა



2 მარტს ვალერი ლობანოვსკი ოფიციალურად დაინიშნა უკრაინის ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის უკლებლივ ყველა წევრმა დაუჭირა მხარი კიევის „დინამოს“ თავკაცს. ლობანოვსკიმ ნაკრებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და 2002 წლამდე უხელმძღვანელებს ქვეყნის მთავარ გუნდს. პარალელურად იგი კიევის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის მოვალეობასაც შეასრულებს. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა დამხმარე მწვრთნელების ვინაობის დასახელებისაგან თავი შეიკავა. ლობანოვსკის სანაკრებო დებიუტი 26 აპრილს შედგება ბულგარელებთან ამხანაგურ მატჩში, 31 მაისს კი უკრაინელები „უემბლიზე“ შეხვდებიან ინგლისის ნაკრებს.

# „ბრაზილიური ფეხბურთი“ ბარსელონას და ბაიერნის შესრულებით

***თითქმის ორთვიანი შესვენების შემდეგ, განახლდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშება. გაიმართა მეორე შესარჩევი ეტაპის მესამე ტურის შეხვედრები.***

**A ჯგუფი**

**ბარსელონა — პორტუ 4:2**
**ჰერტა — სპარტა 1:1**

კატალონიის დედაქალაქში, „ნოუ კამპზე“ გამართული ულამაზესი მატჩი ორი ბრაზილიელის, რივალდოსა და მარიო ჟარდელის დუელად იქცა. მართალია, მათი პირადი ანგარიში ამ მატჩში საყაიმო გახლდათ, მაგრამ მთლიანობაში „ბარსა“, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის წინა ტურში სასტიკად დამარცხდა „რეალთან“, ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე. თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო და უკვე მეხუთე წუთზე ჟარდელმა ფრანკ დე ბურს თავით დაასწრო და ანგარიში გახსნა. ათიოდე წუთის შემდეგ, რივალდომ უზადოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა. ტაიმის დასრულებამდე „ბარსამ“ კიდევ ორი გოლი გაიტანა — ფრანკ დე ბურმა თავურით დააწინაურა კატალონიელები, კლიუვერტის უზადო გოლმა კი ესპანელები შესვენებაზე ორბურთიანი სხვაობით გაუშვა. თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე ჟარდელმა კიდევ ერთი თავური გაიტანა. 89-ე წუთზე კი რივალდომ ბავშვივით მოატყუა „პორტუს“ ორი მცველი, მათ მეკარეც მიაყოლა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ლუის ვან გაალი აღფრთოვანებას ვერ მალავდა: „დიდებულია, გუნდში ისეთი ფეხბურთელის ყოლა, როგორიც რივალდოა, ახლა ჯგუფიდან გასვლის მთავარი ფავორიტები ვართ“. „პორტუს“ თავკაცმა ფერნანდო სანტუშმა სინანული გამოთქვა დამარცხების გამო და დაიქადნა: ერთ კვირაში „ბარსას“ შინ გავუსწორდებითო.



**A** ჯგუფის მეორე შეხვედრა დაძაბულობითაც აშკარად ჩამოუვარდებოდა პირველს და სანახაობრივადაც. „სპარტა“ თავიდანვე მოინათლა ჯგუფის აუტსაიდერად, „ჰერტამ“ კი აშკარად გაუცრუა მის გულშემატკივარს იმედები. მიუხედავად იმისა, რომ ბერლინელები მთელი მატჩის მანძილზე უტევდნენ, ჩეხთა კართან ორი-სამი საგოლე მომენტი თუ შეიქმნა. ერთ-ერთი მათგანი პირველი ტაიმის ბოლოს გერმანელმა ფაიტმა გამოიყენა. „ჰერტას“ გამარჯვებამდე 7 წუთი აშორებდა, როცა სვერისონმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და ანგარიში გაათანაბრა. ფრე კი „ბარსელონასა“ და „პორტუს“ უფრო აძლევდათ ხელს, ვიდრე ამ უსახური ყაიმის შემოქმედთ. მატჩის შემდეგ იურგენ რიომერმა განაცხადა, ჯგუფიდან გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი დაგვრჩა, მიუხედავად ამისა, პრაღაში აუცილებლად გავიმარჯვებთო. „სპარტას“ მწვრთნელმა ივან ჰაშეკმა თავის ბიჭებს მადლობა მოუხადა და რიომერის დარად, ისიც მომავალი მატჩის მოგებით დაიქადნა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 10-3 | 7 |
| პორტუ | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| ჰერტა | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| სპარტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-8 | 1 |

*მომდევნო მატჩები: 7 მარტი. პორტუ-ბარსელონა, სპარტა-ჰერტა.*

**B ჯგუფი**

**მანჩესტერი — ბორდო 2:0**
**ფიორენტინა — ვალენსია 1:0**

თუ „ჰერტას“ და „სპარტას“ მატჩის შედეგი, ასე თუ ისე მოულოდნელი გახლდათ, B ჯგუფში სენსაცია არ მომხდარა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ფრანგული „ბორდოს“ შეხვედრა 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო. სტადიონამდე მისასვლელ გზაზე შექმნილმა დიდმა ავტოსაცობმა გუნდები თითქმის ერთი საათით დააგვიანა. „მანჩესტერი“ უდავო ფავორიტი იყო და მოიგო კიდეც. თამაშის გმირი კი უელსელი რაიან გიგზი გახდა, რომელმაც 42-ე წუთზე დააწინაურა მასპინძლები, თამაშის მიწურულს კი ჩინებული დრიბლინგის შემდეგ, საგოლე გადაცემა გაუკეთა ტედი შერინგემს. ფრანგები ადვილად არ დანებებულან და მათაც შექმნეს ერთი-ორი მომენტი, თუმცა მაინც ქულის გარეშე დარჩნენ და სამ მატჩში მოპოვებული ერთადერთი ქულით ჯგუფის აშკარა აუტსაიდერები არიან. ალექს ფერგიუსონმა ქება-დიდება არ დაიშურა გიგზის მიმართ და აღნიშნა, რომ მისმა გუნდმა უმნიშვნელოვანესი სამი ქულა მოიპოვა და დიდი ნაბიჯი გადადგა მეოთხედფინალისაკენ. ელი ბოპი მეტად მოწყენილი გახლდათ. „შინ ორი მატჩი გველის და თუ ორივე მოვიგეთ, ჯგუფიდან გასვლის შანსი გაგვიჩნდება“ — განაცხადა ფრანგთა მწვრთნელმა.

„ფიორენტინამ“ უდიდესი ძალისხმევის შედეგად, სძლია „ვალენსიას“. მატჩი სანახაობრივად არცთუ მიმზიდველი გამოდგა. ერთადერთი გოლი იტალიელთა იუგოსლავმა ლეგიონერმა პრედრაგ მიატოვიჩმა გაიტანა მისივე მოცელვისათვის დანიშნული პენალტით. ესპანელებს რამდენჯერმე ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, თუმცა უშეცდომოდ თამაშობდა იტალიელთა მეკარე ტოლდო. ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ მოგების შემდეგ, გუნდს ამაღლებული განწყობა აქვს და ამ განწყობის შენარჩუნებას მომავალ მატჩებშიც შეეცდებიან. ჰექტორ კუპერმა ამდენი მომენტების გამოუყენებლობას საშინელება უწოდა და იმედი გამოთქვა, რომ შემდეგ შეხვედრებში მსგავსი რამ აღარ გამეორდება და მისი გუნდი ჯგუფიდან გავა. აღსანიშნავია, რომ თამაშის წინ ბევრი სპეციალისტი ამ მატჩს ორი არგენტინელის, გაბრიელ ბატისტუტასა და კლაუდიო ლოპესის ერთგვარ დუელად ნათლავდა, მაგრამ თავი ვერც-ერთმა ვერ გამოიჩინა. ლოპესი მეტად ინერტული გახლდათ, ბატისტუტამ კი სამიოდე მეტრიდან თავით ცარიელ კარს ააცილა ბურთი. „ბორდო“ ჯგუფის აუტსაიდერია, დანარჩენები კი პირველ-მეორე ადგილზე გასვლის პრაქტიკულ შანსს ინარჩუნებენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიორენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ვალენსია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| ბორდო | 3 | 0 | 1 | 2 | 0:5 | 1 |

*მომდევნო მატჩები: 7 მარტი. ვალენსია-ფიორენტინა; ბორდო-მანჩესტერი.*

**C ჯგუფი**

**რეალი — ბაიერნი 2:4**
**დინამო — რუსენბორგი 2:1**

მადრიდში, გადაჭედილ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალმა“ და „ბაიერნმა“ საოცარი ფეხბურთი ითამაშეს და დაუვიწყარი სპექტაკლი დადგეს. უიშვიათესია ისეთი შემთხვევა, როდესაც ტემპერამენტიანი ესპანელი გულშემატკივარი ტაშით აცილებს მოედნიდან წაგებულ „რეალს“. 29 თებერვალს სტადიონი ორივე გუნდმა მქუხარე ოვაციების ქვეშ დატოვა. თამაში გერმანელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მეხუთე წუთისათვის „ბაიერნმა“ ორი მომენტი შექმნა. ყოველივე ამის ლოგიკური დასასრული გახლდათ შოლის მიერ 21-ე წუთზე გატანილი გოლი. სამიოდე წუთში ეფენბერგმა უნაკლოდ შეასრულა ჯარიმა და ორი ბურთით დააწინაურა „ბაიერნი“. მადრიდელებმა თამაში განაახლეს თუ არა, მორიენტესმა ერთი ბურთი გაქვითა. 39-ე წუთზე ელბერისა და ფინკეს ულამაზესი კომბინაცია ამ უკანასკნელის გოლით დასრულდა. მეორე ტაიმში რაულმა და პაულუ სერჟიომ თითოც გაიტანეს და „ბაიერნმა“ 4:2 მოიგო. ოტმარ ჰიტცფელდი: „პირველ ტაიმში ბრაზილიური ფეხბურთი ვითამაშეთ, მეორეში — სუფთა გერმანული. ორივე ტაქტიკამ გაამართლა, უაღრესად კმაყოფილი ვარ“. ვისენტე დელ ბოსკე: „გულწრფელად ვულოცავ „ბაიერნს“, გერმანელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს, მატჩის გმირი კი „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი გახლავთ, მან რამდენჯერმე იხსნა გუნდი. ურიგოდ არც „რეალს“ უთამაშია“. ამ მოგებით „ბაიერნმა“ პირველ ადგილზე აინაცვლა, ორი მატჩი კი შინ დარჩა გასამართი და ჯგუფიდან გასვლის უპირველესი ფავორიტია.



კიევის „დინამოს“ მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს შინ „რუსენბორგთან“ და საწადელს მიაღწია. გიორგი დემეტრაძემ ძირითადში ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გაუტანია, ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. პირველ ტაიმში დემეტრაძეს ასპროცენტიანი შანსიც ჰქონდა, თუმცა სამიოდე მეტრიდან ძელს მოარტყა ბურთი. კახი კალაძემ მთელი მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა და კიეველთა შორის საუკეთესო იყო. უკრაინელებმა ანგარიში პირველ ტაიმშივე გახსნეს. ტაიმის მიწურულს კი რებროვმა ულამაზესი გოლი გაიტანა და „დინამო“ ორი ბურთით დააწინაურა. ნორვეგიელებმა მეორე ტაიმის დასაწყისშივე გაქვითეს ერთი გოლი, თუმცა მეტი ვეღარაფერი მოახერხეს. „დინამომ“ ორი მარცხის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა და ჯგუფიდან გასვლის შანსი მიეცა. „რუსენბორგი“ კი ბოლო ადგილზე დაქვეითდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-4 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-6 | 6 |
| დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| რუსენბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-6 | 1 |

*მომდევნო მატჩები 8 მარტი. რუსენბორგი-დინამო; ბაიერნი-რეალი.*

**D ჯგუფი**

**მარსელი — ჩელსი 1:0**
**ლაციო — ფეინოორდი 1:2**

ლიგის წლევანდელ გათამაშებაში მარსელის „ველოდრომზე“ „ოლიმპიკმა“ უკვე მეორე ინგლისური კლუბი გაამწარა. ჯერ იყო და „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო 1:0, ახლა კი, ამავე ანგარიშით „ჩელსის“ ინტერნაციონალურ გუნდსაც სძლია. აღსანიშნავია, რომ „ჩელსის“ ორი მოთამაშე დეშამი და დესაი ადრე „ოლიმპიკის“ ღირსებას იცავდნენ, ლებეფი კი წარმოშობით სწორედ მარსელელია. მომენტები ორივე გუნდს საკმარისად ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ერთადერთი გოლი გავიდა — პირესი მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და ყველას რომ ეგონა ბურთს საჯარიმოში ჩაკიდებდა, მოულოდნელად კარისაკენ დაარტყა. ბურთი ჯერ ერთ ძელს მოხვდა, შემდეგ მეორეს და „ჩელსის“ კარში შეგორდა. ჯან ლუკა ვიალიმ, რომელიც წინა მატჩში სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს და თამაშს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, ამ მარცხს დიდად არ აუღელვებია და განაცხადა, რომ მისი გუნდი შინ ორივე მატჩს თუ მოიგებს, მეოთხედფინალისაკენ გზას ვერავინ გადაუღობავს. ბერნარ კაზონიმ კი კმაყოფილება გამოთქვა, მის გუნდს რომ პატარა შანსი გაუჩნდა.

ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის მთავარი სენსაციის შემოქმედი ჰოლანდიის „ფეინოორდი“ გახდა, რომელმაც რომში მოუგო „ლაციოს“ და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია. რომაელები დიდ სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა მხოლოდ ერთი მომენტი გამოიყენეს — 37-ე წუთზე ხუან სებასტიან ვერონმა სტუმრებს ულამაზესი გოლი გაუტანა და ყველას ეგონა, რომ „ფეინოორდი“ გატყდებოდა. თუმცა ჰოლანდიელმა დალ ტომსონმა მეორე ტაიმში ორჯერ დაამწუხრა მეკარე მარკეჯანი და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი ჯგუფში მესამე ადგილზე დააქვეითა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეინოორდი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| ჩელსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| ოლიმპიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |

*მომდევნო მატჩები: 8 მარტი. ფეინოორდი-ლაციო; ჩელსი-მარსელი.*

# „გალათასარაი“ — გერმანელთა „მტერი“

***სამშაბათს და ხუთშაბათს გაიმართა უეფას თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური შეხვედრები.***

**სლავია (ჩეხეთი) — უდინეზე (იტალია) 1:0**
**ვერდერი (გერმანია) — პარმა (იტალია) 1:0**
**მალიორკა (ესპანეთი) — მონაკო (საფრანგეთი) 4:1**
**დორტმუნდი (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) 0:2**
**ატლეტიკო (ესპანეთი) — ლანსი (საფრანგეთი) 2:2**
**იუვენტუსი (იტალია) — სელტა (ესპანეთი) 1:0**
**რომა (იტალია) — ლიდსი (ინგლისი) 0:0**
**არსენალი (ინგლისი) — დეპორტივო (ესპანეთი) 5:1**

უეფას თასის პირველ მერვედფინალურ ეტაპზე მთავარი სენსაცია თურქულმა „გალათასარაიმ“ მოახდინა, რომელმაც ლიგის პირველ ეტაპზე სტუმრად 4:1 მოუგო „ჰერტას“, ახლა კი „ბორუსიას“ სძლია მისსავე მოედანზე, თანაც ორბურთიანი სხვაობით. ლონდონის „არსენალმა“, რომელმაც უეფას თასზე ჩემპიონთა ლიგიდან გადმოინაცვლა, აბუჩად აიგდო ესპანეთის ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი, ლა კორუნიას „დეპორტივო“, ხუთი გოლი გაუტანა და თუ სასწაული არ მოხდა მეოთხედფინალში ინგლისელები ითამაშებენ. მერვედფინალურ ეტაპს ალბათ, „მონაკოს“ სამი ბურთით მძლეველი „მალიორკაც“ დაძლევს, დანარჩენი წყვილების ბედს კი საპასუხო შეხვედრები გადაწყვეტს, რომელიც 9 მარტს გაიმართება.

# [illegible]

მსოფლიოში სახელგანთქმულმა ბრიტანულმა საბუკმეკერო კანტორამ „უილიამ ჰილმა“, ჩემპიონთა ლიგის მეორე შესარჩევი ეტაპის მესამე ტურის შედეგები გაითვალისწინა და ლიგის შესაძლო გამარჯვებულთა ახალი კოეფიციენტები გამოაქვეყნა. შეგახსენებთ, რომ აქამდე ბუკმეკერები გამარჯვების მთავარ ფავორიტებად „ბარსელონასა“ და რომის „ლაციოს“ ასახელებდნენ. კატალონიელთა შთამბეჭდავი თამაშისა და „ლაციოს“ მოულოდნელი მარცხის შემდეგ, ბუკმეკერებმა აზრი შეიცვალეს და მიაჩნიათ, რომ „ბარსას“ თასის აღების ყველაზე დიდი შანსი აქვს. მოთამაშე, რომელიც ესპანურ კლუბზე დადებს ფსონს, „ბარსელონას“ თასის აღების შემთხვევაში, ყოველ დადებულ ფუნტ სტერლინგზე 2,5 ფუნტს მიიღებს. მეორე კანდიდატი კვლავ რომის „ლაციოა“, რომლის კოეფიციენტია 1-4-თან, შემდეგ მოდიან „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მიუნხენის „ბაიერნი“. მათი კოეფიციენტებია შესაბამისად 1-4,5 და 1-5; დანარჩენ გუნდთა ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება: მადრიდის „რეალი“ — 1-7,5; „ჩელსი“ — 1-8; „ფიორენტინა“ 1-12; „პორტუ“ — 1-33; „ფეინოორდი“ და „ვალენსია“ — 1-40. აშკარა აუტსაიდერები არიან კიევის „დინამო“ — 1-66, მარსელის „ოლიმპიკი“ — 1-80 და „რუსენბორგი“ — 1-250. რაც შეეხება „ჰერტასა“ და „ბორდოს“, ბუკმეკერებს ისინი ლიგის უსუსტეს გუნდებად მიაჩნიათ და მათ გაჩემპიონებაზე დადებულ თითოეულ ფუნტზე კლიენტს 500 ფუნტს სთავაზობენ.

## №9 (178) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 798 მკითხველი გამოეხმაურა. 13 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 309 ქალმა და 476-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რა სახის დანახარჯი აწვება თქვენი ოჯახის ბიუჯეტს ყველაზე მეტად?“**

არ შეგვიძლია, ჩვენს ტრადიციას არ ვუღალატოთ და მოკლედ არ გაგაცნოთ ერთი პენსიონერის ბარათის შინაარსი, ქალბატონისა, რომელიც ბევრს ეცადა წესების დაცვით (ერთიდან რვამდე) შეევსო ბარათი, მაგრამ ვერ მოახერხა იმ „მარტივი“ მიზეზის გამო, რომ მისი ოჯახის ბიუჯეტს მხოლოდ პურსა და ტრანსპორტში დახარჯული თანხა შეადგენს...

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა ოჯახების ბიუჯეტს ყველაზე მეტად საკვებზე დახარჯული ფული ამცირებს. 7,70 საშუალო ქულით „საკვები“ პირველ ადგილზეა, პირველ ადგილზეა იგი მაქსიმალური ქულების რაოდენობითაც — მკითხველთა 89-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალურით კი მხოლოდ 1-მა შეაფასა.

შემდეგ ადგილზე, სეზონის შესაფერისი — „გასათბობი საშუალებებია“, საშუალო ქულაა 6,12. ასევე, ოჯახის ბიუჯეტიდან საკმაოდ დიდი თანხა იხარჯება ტრანსპორტშიც. 5,32 საშუალო ქულით „ტრანსპორტით მგზავრობა, ბენზინის საფასური“ მესამე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ნაკლები მინიმალური ქულა (0,51) „გასათბობ საშუალებებს“, „ტრანსპორტით მგზავრობასა“ და „ტანსაცმელს“ ხვდა წილად.

როგორც ჩანს, ჩვენი მკითხველები, ყველაზე ნაკლებ ფულს საოჯახო ნივთებსა და გართობა-დასვენებისთვის ხარჯავენ.




საპრიზოს ზუსტად 15 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 58 წლის **ვალერიან გაფრინდაშვილი,** 51 წლის **ციური ბათხაძე,** 24 წლის **ირმა გიძორაშვილი,** 39 წლის **დოდო დეკანოსიძე,** 40 წლის **ირინა მიქაია,** 67 წლის **რუსუდან ვაჩნაძე,** 35 წლის **ქეთინო დოლიძე,** 38 წლის **მარინა მეტონიძე,** 21 წლის **ნათია ბუძოიძე,** 17 წლის **მალხაზ მამულაშვილი**, 10 წლის **მიხეილ მაისურაძე,** 53 წლის **ვაჟა ძაშიაშვილი,** 42 წლის **ოთარ გუბელიძე** (ყველა თბილისიდან), 26 წლის ქუთაისელი **ვერიკო ძორიძე** და კასპელი **ზურა ჩხეიძე**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 7 მარტს, 17 საათზე.

## №10 (179) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის ლოტერეაში.

**№10 (179) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 8 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 9 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

### თემა №10 (179) — მავნე ჩვევა

**თქვენი აზრით, რა არის ადამიანის ყველაზე მავნე ჩვევა** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს 7 — და ა.შ. 1-მდე.

№10(179) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | ჩვევა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მოწევა | |
| 2 | ტყუილი | |
| 3 | ნარკომანია | |
| 4 | ლოთობა | |
| 5 | ფრჩხილების კვნეტა | |
| 6 | ჭორაობა | |
| 7 | მრუშობა | |
| 8 | ბილწსიტყვაობა | |

მკითხველის ლოტერეა *

**XX საუკუნის რომელ ქალს მიაკუთვნებდით ღირსების ორდენს?**

✓ ____________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს.**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას — **„გჯერათ თუ არა ჰოროსკოპის?“** — 762-მა მკითხველმა უპასუხა. რესპონდენტთა უმრავლესობა — 54 აცხადებს, რომ ჰოროსკოპის არ სჯერა; 44 ენდობა მას, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე მკითხველს, თურმე, მხოლოდ „კვირის პალიტრაში“ დაბეჭდილი ჰოროსკოპის სჯერა და წუხს, რომ ასტროლოგიურ პროგნოზს აღარ ვთავაზობთ. მკითხველთა 2 კი ნაწილობრივ ენდობა მათ.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

____________

თქვენი სახელი, გვარი ____________

ქალაქი (რაიონი) ____________



ვახტანგ რჩეულიშვილი, თემურ მღებრიშვილი.

**თ.ს.** — ხალხო! ახალი ანეკდოტი იცით? შევარდნაძე არჩევნებში დამარცხდა.

***თ.ჩ. ბაღდათი***

**თ.ს.** — ბატონო ედუარდ, ამბობენ, დრონი მეფობენო, ჩემზე გაჭრა, თქვენზე არ ჭრის?

***ნანა დავითაია, თბილისი***

**თ.ს.** — რვა ლარით ეკონომიური დიასახლისი იცხოვრებსო, ხა... ხა... ხა...

**ნ.შ.** — ხა... ხა... ხა...

**ე.შ.** — ეს რა თქვა ამ ქალმა, ვეუბნები — დაფიქრდი, როცა ხუმრობ-მეთქი.

***ნანა, თბილისი***

**ე.შ.** — დევილუპე, გონია ყაზახი, რაფრა ყოფილან ეგენი შეხმატკბილებულები. გედეიტანს ახლა ჩემი კნეინა ამ აბდალის გაგდებას?

***„ვინჩენცო“, ქუთაისი***

„აიეტი ტივის“ რეკლამა „ჩვენ არასოდეს გიღალატებთ“.

***დ. დათკა, თბილისი***

**ე.შ.** — ე, ბიჭო, დავიმალო. მგონი აბდალაძე დადის დარბაზში თავისი ფოტოაპარატით.

***ზ. გიორგაძე, თბილისი***

მურმანის ეკალი.

***ლაშა გეწაძე, თბილისი***



ნანული შევარდნაძე, ედუარდ შევარდნაძე და თენგიზ სიგუა

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 187 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

„იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის“ — ფიქრობს ედუარდ შევარდნაძე სიგუაზე.

***რუსუდან ოქროაშვილი, გორი***

**თ.ს.** — უყურებს ამ ფოტოს და ფიქრობს: „რომ ვიცინოდი მახსოვს, მაგრამ რატომ — ის აღარ“...

***თამრიკო ოქროაშვილი, თბილისი***

ეს კაცი როცა სასაცილოა, ტირის და როცა სატირელია, იცინის. რას გაუგებ???

***რუისელი ა.ე.***

მ/ფ „სიყვარული ვენახში“ — პრემიერაზე

**ე.შ.** — არა, არა, ჩემი გული ამდენს ვერ აიტანს.

***ზურა, თბილისი***

1993 წელი. — ტრიბუნაზე სიტყვით გამოდის ჯაბა იოსელიანი. კითხულობს მოხსენებას — საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებაზე, ჩვეული სტილით.

***თაგვრინეა, თბილისი***

**ე.შ.** — ღმერთო, გამახსენე, ვინ არის ეს კაცი, აქ ზურიკო არ უნდა იჯდეს?..

***ბადრი, თბილისი***

უყურებენ ბრძოლას წესების გარეშე.

**თ.ს.** — უყურეთ პუპუზამ რჩეულიშვილს ყური მოაჭამა.

**ე.შ.** — რა გაცინებთ, თქვე უგულოებო, ვერ ხედავთ ცხვირიდან ბორჯომი მოსდის.

***ალო ვერელი, თბილისი***

**თ.ს.** — გავიგე, ასლანის ცოლს სურს გახდეს საქართველოს პირველი ლედი.

**ე.შ.** — თენგიზ, მასე ნუ ხუმრობ, ნანული არ გადაბჟირდეს.

***ჯიბუტი, თბილისი***

„ერთი იცინის, თავის თავს დასცინის, ორი იცინის, ერთმანეთს დასცინის, სამი იცინის, ვიღაცას დასცინის, ე.ი. ეს ხალხი ჩვენ დაგვცინის!!!

***რამდენიმე ავტორი***

## მგონი ეშველა ბერბიჭას...



ახლახან გაირკვა, თუ რატომ არის პრინცი ალბერტი დღემდე ბერბიჭა. თურმე, ჯერ კიდევ ყმაწვილობისას მას მიზნად დაუსახავს ცოლად შეერთო ქალი, რომელიც დედას მოაგონებდა. როგორც პრინცის ახლობლები თვლიან, შესაძლოა ახლო მომავალში ალბერტმა თავისი ოცნება განახორციელოს, ვინაიდან მისი ბოლო შეყვარებული — პოპულარული ფრანგი მსახიობი ფანი არდანი რაღაცით ჰგავს გრეის კელის (ალბერტის დედას).



***

ღამის ორი საათია. ოჯახის უფროსი სამზარეულოს კარადებში იქექება. ცოლს გაეღვიძა:

— რას ეძებ?

— აქ სადღაც არაყი მქონდა დამალული...

— ერთი თვის წინ არ დალიე მამაჩემის დაკრძალვაზე?

— ჰოო, სულ მიკვირდა მამაშენი რატომ არ ჩანს ამ ბოლო დროსთქო...



## ფოტო განწყობისთვის



**— გიყვართ? მოიცა! ახლავე... თქვენც შეგიყვარდებით...**


ჯანმრთელობისთვის არახელსაყრელი გეომაგნიტური პერიოდი

9/III 15.⁰⁰–17.⁰⁰სთ-მდე;

11/III 8.⁰⁰–10.⁰⁰სთ-მდე;



## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**


„კვირის პალიტრის“ **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე“** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება:*** **თბილისში — *ხუთშაბათობით 13 საათიდან.*** *მათი განთავსების ადგილებია მეტროების — „მარჯანიშვილი“; „ვაგზლის მოედანი“; „თავისუფლების მოედანი“; „რუსთაველი“; „ღრმაღელე“; „ნაძალადევი“; „ახმეტელი“; „ავლაბარი“, „300 არაგველი“, „ვარკეთილი“; „სამედიცინო ინსტიტუტი“, „პოლიტექნიკური“, „ისანი“; „სამგორი“; „გოცირიძე“; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაძე — იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში — მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, საგარეჯო, სიღნაღი, ახმეტა, წნორი, ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, თელავი — ***არსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (10) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________

________________

________________

________________

________________

________________

________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№10 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 9 მარტის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.



## წინა სკანვორდის პასუხები



## ყოყოჩობიზმები

წინა კაცი უკანა კაცის ხიდია
წინა კაცს უკანა კაცი ფეხებზე ჰკიდია.

***ვალერიან გაფრინდაშვილი***

„მოქკავშირის“ დაუჯერებელ შვილს ან მელა შეჭამს ან კიდევ მისი მელაკუდებიო.

***ნ.ლ.***

„ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო“.
ახალი ქართული ვარიანტი
„ცხრა ვაგონი თხილი ერთმა ძმამ წაიღო“.

***გიორგი მესაბლიშვილი, თელავი***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი. სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.